114/4
1946

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

7

თბილისი
1946

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი ოცდამესამე

4134

7

19 ივლისი 46
სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
გამსახურდია კონსტანტინე
კალაძე კარლო
მაშაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე გალაკტიონი
ჭიაჩელი ლეო
შენგელაია დემნა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-46 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. უე 09586
შეკვეთის № 1237. ტირაჟი 5000.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი, ტელ. 3-04-64.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის
საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ჟორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჟუთათელი

მოხუცის სამუღლობელო

მარნის კედელთან წაქცეულ ძველ საწნახელზე წამოწოლილა და მიწურულ შემოდგომის მზეს ეფიცხება ოთხმოცი წლის ბერიკაცი — იონა ჩხეიძე. იგი უჩვეულოდაა გამოწყობილი: დახეული შლიაპა ჰხურავს, დაკონკილი პიჯაკი და ასეთივე შარვალი აცვია, ხოლო ფეხზე კი — ალიზ მიწაში ამოთხვრილი წაღები. ამ დახეულ ტანსაცმელს მუშაობის დროს იცვამს, ხოლო დასვენების, სტუმრობისა და მახლობელ ქალაქში გამგზავრების ჟამს კი — მაღალყელიან ჩექმებს, ახალ და სუფთა შარვალს, ხალათსა და კეპს. მზე ბებერ ძვლებს უამებს და თვლემასა ჰგვრის. გვერდით მის განუყრელ კატას „ხატულის“ და, საწნახლის წინ, მეგობარ ძაღლს, — „ბეჟან-ბეგს“ ჩასძინებიათ.

პატარა, ფიცრულ სახლს მიშენებულ მარანში, ბუხარიც აეგო იონას და, საწნახელს ანგარიშში თუ არ ჩავაგდებთ, იგი სამზადი უფროა ამქამად, ვიდრე მარანი.

იონას ეზოს ორად ჰყოფს ხრამი: „მაღლა-ეზო“ და ასწლოვანი ძელქვებით დაშშვენებული „დაბლა-ეზო“. ერთი, ყველაზე ბებერი და ბუმბერაზი ძელქვა, იონას სახლის უკან, ხრამის პირას აღმართულა და არა მარტო ეზოს და სოფელს, არამედ მთელ არემარეს ამშვენებს. შორიდანვე ამჩნევს ძას მგზავრი და ღიმილით ამბობს: „იონას ძელქვა“.

ჯარჯულიანი ღობით შემორაგვული იონას ეზო თითქმის ზეკარის მთამდე კალთებამდეა მიჭრილი. შუა ეზოში ბებერი თუთა დგას, მაღალი და ქოლგის მსგავსად ტოტებგაშლილი. ზედ ფიცრებდაფენილი, მოაჯირიანი სადგომია, რომელსაც იონა ხან „სათვალთვალოს“ ეძახის და ხან კიდევ „სამზერს“. გვალვიან ზაფხულს ჩამოწოლილ სიცხეში, როდესაც კაცს ალხი სტანჯავს და ღამითაც კი სულს უხუთავს და ანელებს, იონა იმ სამზერზე კიბით ადის, ზედ წვება და იძინებს. მაგრამ ზაფხულობით ასეთი ცხელი დღეები ხშირი როდია ამ მთის სოფელში, და ეს სამზერი მარტო ღამის გასათევად არ გაუშენებია იონას, არამედ ბუნების ლამაზი სურათების საშვრეტადაც.

ბევრჯერ მიფიქრნია ამ მარტოხელა, უცნაური და ახირებული კაცის ბედზე.

ეს ძველი ხალხოსანი, საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი და პოეტური ბუნების ადამიანი, ჩემი მკითხველისათვის ნაცნობია.

იონა მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. ნახევარი საუკუნე გავიდა

მას შემდეგ, რაც იგი რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და მამას — შეძლებულ მემამულეს გაეყარა. ჰიწის იმდენი ნაკვეთი აიღო, რამდენსაც საკუთარი მარჯვენით მოერეოდა. შიგ ეს, ქოხის-მაგვარი, პატარა სახლი ჩადგა და სოფლის მეურნეობა დაიწყო. მშრომელი გლეხკაცობის სიყვარულმა, მისი სამსახურის წყურვილმა და დიადმა და წარმტაცმა ბუნებამ გააძლებინა სოფელში და შეინახა იგი ჯანმრთელი და სულით მტკიცე ამდენხანს. იონა იყო ამ თემში ყოველი საქმის თაოსანი, მშენებლობის წამომწყები და სწავლისა და განათლების შემტანი. ელსადგური, ღვინის პატარა ქარხანა, საავადმყოფო, ფოსტა-ტელეგრაფი, სკოლა-თეატრი, წყალსადენი და ხიდი, — მისი თაოსნობით და ამაგით გაშენდა. მისი წიგნთსაცავი მუდამ ღია იყო და ახლაც ღიაა ადგილობრივი ახალგაზრდობისათვის. იონას ჩინებული სმენა აქვს და მომღერალთა ჩინებული გუნდიც ჩამოაყალიბა. შეასწავლა ამ გუნდს არა მარტო ძველი და ახალი ქართული სიმღერები, არამედ უკრაინული, რუსული და უცხოურიც. მაგალითად, მუდამ განცვიფრებული ვუსმენდი და ვუსმენ ახლაც ცნობილ კომპოზიტორის მიერ სამ ხმაზე სასიმღეროდ დაწერილ გოეთეს „მგზავრის ღამეულ სიმღერას“, რომელიც თვითონ იონამ სთარგმნა ლერმონტოვიდან. სიყრმიდანვე მოჯადოებული დარჩა იგი ბარათაშვილისა და ლერმონტოვის ლექსებით. სთარგმნა კიდეც ლერმონტოვის: „სამი პალმა“, „პალესტინის რტო“ და „ანგელოზი“. თარგმანი ბრწყინვალე გამოვიდა და ერთერთ მაშინდელ ჟურნალში მოათავსეს და შემდეგ უცხოურ მწერლობის ანთოლოგიაშიც შეიტანეს. იონა გაბრიელ ეპისკოპოსის ნათესავი იყო. იგი გაბრიელმა აღზარდა. ამიტომ ზედმიწევნით და კარგად იცის საეკლესიო მწერლობა. ჟურნალ-გაზეთებში დასტამბულ მის ნარკვევებში და წერილებში ნარნარი ქართული ისმის. შესანიშნავია: „გელათი“ და „გელათის ზარების სიმფონია“. განსაკუთრებით კილაზისტანსა და ოსმალეთში მოგზაურობის შედეგად დაწერილი ნარკვევი „ოშკის ტაძარი“. ოშკის ტაძრის კედლებთან ქართველი კაცის განცდა და ფიქრი მკითხველს აჟრჟოლებს, პატრიოტულ გრძნობას უნერგავს და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებს. იონა სამშობლოზე, მის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე შეყვარებული კაცია. დიდებული ჩვენი მწერლისა და ბრძენი ადამიანის—ილიას აღთქმა და დანაბარები კანონად მიუჩნევია: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“. სწორედ ამის გამო იყო, ახალი საქართველოს დამკვიდრებას სიხარულით რომ მიეგება იგი, და ეს ხალხოსანი, გლეხკაცობის მოამაგე, უპარტიო კაცი, ადგილობრივი თემის აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა სამ-ოთხ წელს.

ასეთია იონა, რომელსაც მარნის კედელთან წაქცეულ საწნახელზე სძინავს ახლა, თითქოს ეს ადგილი მიუჩნევიაო საუკუნო განსასვენებლად, ნაშრომ-ნაჯაფსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილ ოთხმოცი წლის მოხუცს.

*

* *

ყოველ დილით, განთიადისას წამოიჭრება ხოლმე ეს დროული მოხუცი და მზის ჩასვლამდე შრომობს და ფუსფუსებს პატარა ეზო-გარემოში: ვენახსა და ყანაში ტრიალებს, ერთადერთსა და საყვარელ ძროხას „მაიას“ და თხას „სკუპურას“ აძოვებს და მწყესავს. სიმინდი უკვე მოტეხა და სასიმინდეში ჩაჰყარა: სამოციოდე გოდორი. ჩალა მოსჭრა, შეჰკონა და ორტოტა ხეზე ოსტატურად დაზვინა. წელს ვენახი გვიან შევიდა მწიფობაში,

ოქტომბრის ათს დაათოვა კიდეც, ყურძენს სიტკბო წაართვა ყინვამ და, რთველს ზემოთში დააგვიანდა. ან კი რამდენი ყურძენი უნდა დაჭყლეტოს და დასწუროს იონამ კვინჩხისა და კუნელის მსგავსად დაგრეხილი, დაბუერებული და ტყედწასული ორასი ძირი ვაზისაგან!? ოც ჩაფ ჩქეფსაც კი ვერ ჩაასხამს ტალავრის ქვეშ დაფლულ ხუთფუთიან ქვევრებში. რომელთაც მისი მეზობელი და მამის მონათლული სერაფიონ ენდელაძე რეცხავს ახლა სარცხით, ხის ტარზე წამოცმულ ბალღოჯის კანით და ჩხებიანი თაგვისარით.

წვერში თეთრ-შერეულ, სამოცი წლის კაცს — სერაფიონს ნაბდის ქუდი ჰხურავს, შავი ხალათი იდაყვამდე, ხოლო ნაცრისფერი შარვალი მუხლამდე დაუკარწახებია. შიშველი ფეხებით ზის ჯორკოზე და ქვევრში ჩამდგარ წყალს იღებს ხრიკაქვაბურით.

მწარე გოგრისათვის თავი წაუცლია სერაფიონს და ამ გამხმარ გოგრაზე, ხრიკაქვაბურაზე მარჯვნივ და მარცხნივ, კანაფით შვინდის ჯოხები მიუმაგრებია: ხრიკიტარები. ხრიკაქვაბურას ხრიკიტარებით ქვევრში უშვებს მრეცხავი. ქვაბურა წყალს წვდება და ზედ ცურვას იწყებს. მაშინ სერაფიონი ცალხელს მაღლა იშვერს, ხოლო მეორეს—დაბლა. ქვაბურა ყირავდება, წყლით ივსება და იძირება. ახლა მრეცხავი ხელებს ასწორებს, ხრიკიტარებს თანაბრად და თარაზულად იჭერს, სავსე ქვაბურას ქვევრიდან მაღლა ეზიდება და წყალს ტალავრის იქით, ატალახებულ ალიზ მიწაზე ღვრის.

სწორედ ასეთი ხრიკა და ხრიკიტარებით, სწორედ ამგვარად რეცხდა ალბათ ათასი წლისა და ათასი წლის წინადაც ქართველი კაცი ქვევრებს.

მზე ტყისკენ იხრება. საღამო ახლოვდება. მზის სხივები ტალავარს და სერაფიონს ირიბად ეცემიან. სახლის სახურავის ჩრდილი მუხლებამდე მიჰფენია იონას და მალე სულ დაჰფარავს. მერე მზე ერთბაშად ჩაეშვება შავი ზღვის იქით, მიწურული შემოდგომის ცივი ამინდი ჩამოდგება და ბერიკაცი გაცივდება. მაგრამ სერაფიონი იმრიგად გართულა ხრიკაქვაბურით და ქვევრიდან წყლის ამოღებით, რომ მძინარ იონასათვის არა ცხელა.

აი, სწორედ ამ დროს მოადგა იონას ეზოს ირემივით ყელმოღერებული, ლამაზი და ტანასვეტილი ახალგაზრდა ქალი. იგი ღობესთან შედგა. კარგანს უცქირა სერაფიონის უცნაურ მუშაობას, საწნახელზე მძინარი იონა დაინახა და გაუკვირდა. სარს ხელი წაავლო და უმალვე ღობეს შველივით გადაევლო. „ბეჟან-ბეგმა“ იცნო და არ შეჰყეფა.

მხოლოდ ახლა შენიშნა სერაფიონმა მისკენ მომავალი, ლამაზი აღნაგობისა და სათნო სახის ქალი — თბილისიდან ამ სოფელში სამუშაოდ დანიშნული ექიმი მავრა ქავთარაძე.

მავრა იონას ძმის ცოლი-დის შვილიშვილია, შორეული მოყვარე. დიდედას ხშირად მოჰყავდა იგი დასთან. ბავშვობა აქ გაატარა მავრამ და ამიტომ ეგ სოფელი მისთვის ნაცნობია და საყვარელი. არც მავრას დიდედა და არც დიდედის დაი და ამის ქმარი, ამჟამად ცოცხალი აღარ არიან. ახლა მავრა, იონას მეორე ძმისცოლის, ქვრივი ქალის, ძალუა ნატოს სახლში ცხოვრობს.

ეგ სოფელი მდინარის გაღმა-გამოღმა, მთიდან მთაზეა გაფენილი. მახლობელ სოფლებშიც ხშირად უხდება მავრას ცხენით მოგზაურობა, ავადმყოფების ნახვა და მკურნალობა. წვიმა-ავდარში რეზინის ჩექმებით სოფელ სარკოიას ორღობეში ალიზი მიწის ტალახსა ზელს, ან ბნელი-მთის აღმარ-

თის ლაფში ეფლება. ამ ერთი წლის განმავლობაში, კარგი ექიმის სახელი მოიხვეჭა.

სერაფიონი წამოდგა, ნაბდის ქუდი მოიხადა, მოკრძალებით მიესალმა და მერე ისევ თავის საქმეს შეუდგა.

— უი-მე, იონას სად დასძინებია? ამ დროს ძილი რომ [illegible] ვერ შეიყვანე, შე კაცო! — უსაყვედურა მავრამ სერაფიონს.

სერაფიონმა გაიცინა, ჯერ კიდევ ბროლივით თეთრი კბილები გამოაჩინა და მავრას მიუგო:

— რა უჭირს! დღეს ბევრი იმუშავა და დაიქანცა. ჰაერზე ძილი შეერგება.

— როგორ რა უჭირს? ახლა გარეთ წოლა ვინ გაიგონა? გაცივდება! ამდენი კი არ შეუძლია: ოთხმოც წელს მიღწეული კაცია.

სერაფიონმა სასოებით შეხედა ჯანსაღსა და ახალგაზრდა ექიმ ქალს, რომელსაც ლურჯი პიჯაკი ეცვა, მოკლე და ლურჯივე ქვედა ტანი, მაღალქუსლებიანი შავი ტუფლები. ზემოიმერულ კილოზე დაამღერა:

— გაგიგონია ექიმო, რა გააცივებს!? მაგი ჩვენი ჯილაგია, სოფელში გამოჯაგული. თქვენსავით ქალაქელი, სუსტი და აზიზი კი არაა! ფხიზელი ძილი იცის! ბებერ ტურასავით მისდებს თავს, თვალს მოატყუებს და მერე ისევ ციყვივით წამოხტება!

მავრამ ისე ხმამაღლა გადიკისკისა, რომ იქვე ასკილისა და მაყვლის ბარდებში შემალული მამალი შაშვი დაფრთხა და ჭახჭახით წამოფრინდა, თითქო იონას ეზოში შეპარულმა მონადირემ მაჭახელა დაუმიზნა და თოფს ჩახმახი დააცემინაო.

მყისვე იონაც წამოიჭრა. საწნახელზე დაჯდა და ეზოში მავრა რომ დაინახა, გაეხარდა, მიესალმა და შესძახა:

— შენმა კისკისმა და შაშვის ჭახჭახმა გამომაღვიძა! ხომ დაინახე და გაიგონე, რა ვაჟკაცურად შემოგვიტია მამალმა შაშვმა? შენი მოსვლა გაეხარდა, მავრა! ვენაცვალე შაშვს! იმ ჩემს ხეზე რომ შემოჯდება და ნაღვლიან გალობას მოჰყვება, გულზე მალამო მეცხება, კაცი მხეცი და ნადირი თუ არ არის, ასეთ მგალობელ და დიდებულ ფრინველს როგორ უნდა ჰკლავდეს?! ამას-წინათ ჩემი მეზობელი, ისიდორე მუტრუკი დავიჭირე დაბლა-ეზოში. შაშვს მოსაკლავად ეპარებოდა. იცოცხლე იმას დღე დავაყარე და კუდით ქვა ვასროლინე! რას იკუნძები მტარვალივით და ეპარები ტყის ნადირივით? რა დაგიშავა შაშვმა, ამ მთელ სოფელს გალობით რომ ატკბობს? ატ, შე წამხდარო, როგორ იფიქრე ჩემს ეზოში შაშვის მოკვლა-მეთქი, — ვუკივლე, ვეცი და თოფი წავართვი, კინაღამ არ შემომაკვდა!

— შაშვისთვის ჰკლავდი კაცს? — ჰკითხა ღიმილით სერაფიონმა.

— კაცს კი არა, ტყის ნადირს, — გაუსწორა იონამ.

სერაფიონმა მავრას შეხედა, თვალი ჩაუკრა და ანიშნა: „ეჰე, დაიწყო იონა-ახირებულმა თავისი უცნაურობაო“. მაგრამ მავრა იონას დაეთანხმა:

— შაშვის მოკვლა მართლაც ცოდვაა!

— რაა, ექიმო, ცოდვა? შინაურ ფრინველს და საქონელს რომ ვკლავთ და ვსჭამთ, ეს უფრო დიდი ცოდვა არ არის? — ჰკითხა სერაფიონმა.

— დიდი ცოდვაა! ჩემს ეზოში ნადირობის უფლებას არავის მივცემ! ვერც ვინ გაბედავს ჩემს კარმიდამოში ფრინველისა და პირუტყვის დაკვ-

ლას. ჩემის ხელით გამოზრდილ ფრინველისა და პირუტყვის ხორცს ვერ ვჭამ. — არ აცალა იონამ მავრას პასუხის გაცემა.

სერაფიონმა კარგად იცოდა იონას ახირება და უცნაური ხასიათი. მასთან კამათი და დავა უყვარდა და არც ერიდებოდა. ამიტომ დაცინვით შენიშნა:

— ეს მართალია: შენს ეზოგარემოში შენი ფრინველისა და პირუტყვის დაკვლის უფლებას არავის მისცემ, მაგრამ სხვაგან თუ შეჭვარი ვარია, გოჭი და სუკის მწვადები მოგართვეს, დიდებულად და მადიანად რომ შეექცევი, ეს რომელ კანონში გიწერია?!

— სწორედ ეს არის ჩემი უბედურება! რა ვუყო: მეც მხეცი ვარ და ტყის ნადირი. მაგრამ ნახავთ: ხორცის ჭამას სულ მალე მივატოვებ!—გაიჯოხა საკუთარი თავი მავრას თვალწინ, სერაფიონის მიერ შერცხვენილმა იონამ.

ახოვანი მოხუცი წამოდგა და მრუდე ფეხებით მავრასაკენ გაეშურა.

— შენისთანა ბებერს აწი უხორცობა არ ავნებს, — დაეთანხმა სერაფიონი.

— შენც არაფერი დაგიშავდება! — შენიშნა იონამ.

— მე ნუ მედრები: წვრილი შვილების პატრონი კაცი ვარ. დღე და ღამეს მუშაობით ვასწორებ. ხანდახან ხორცი თუ არ შევჭამე და ზედ ღვინო არ დავაყოლე, ჩემს მუშაობას ხვავი არ ექნება. ხილი, ფხალი და ბალახი ბავშვებისათვის არ კმარა; უხორცოდ მალე დაჭლექდებიან. შენ კი რა გიჭირს? მარტოხელა კაცი ხარ! როცა გინდა იმუშავებ, როცა გინდა, აგერ იმ საწნახელზე დაწვები და დაიძინებ. ვაი, საყვარელო, ჩემი ქალი ასე დღისით რომ წამოწოლას და ძილს მაცლიდეს, რა ბედნიერი ვიქნებოდი! — ინატრა სერაფიონმა. მავრამ ღიმილით შენიშნა:

— იმ, რა დალაგებული ოჯახი და დოვლათიანი სახლკარი გექნებოდა მაშინ!

— რალა დალაგებული! ხომ მოგახსენე: მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ვშრომობ, ვჯახირობ და წვრილ ცოლ-შვილს მაინც ვერ გავწდომივარ! თქვენ ხომ იცით ჩემი გაჭირვება? — ჰკითხა სერაფიონმა მისი ბავშვების საექიმოდ მასთან არაერთხელ ნამყოფ ექიმ ქალს. მავრამ იმედი მისცა:

— ნუ გეშინია, სერაფიონ! მალე შენი გოგია და დუდე ჩამოგივლენ და მერე შენც შეესძლებ ხანდახან მზეზე წამოწოლას, დასვენებას და დაძინებას.

— თქვენ პირს შაქარი! გოგიას და დუდეს ჩამოსვლას თუ მოვესწარი, მაშინ რალა მიჭირს!?

— ომი დასრულდა, სერაფიონ! მტერი დავაჩოქეთ და გავანადგურეთ, დემობილიზაცია გამოცხადდა და გოგიას და დუდეს ჩამოსვლა რა საეჭვოა?—არც კი დაუმთავრებია სიტყვა მავრას და, მაშინვე, სოფელში ყვირილი, ყიჟინა და ერთი ალიაქოთი ატყდა.

იონა ხრამთან მიიჭრა და მეზობელს გადასძახა:

— რა ამბავია, თეოფილე?

— ნიკიფორე ჩოგოვაძის შვილი ჩამოვიდა.

— რომელი?

— დათუა!

იონა შემობრუნდა და მავრას და სერაფიონს შეატყობინა, თითქოს მეზობლის მყივანი ხმა არ გაეგონოთ: „დათუა ფრონტიდან ჩამოსულაო“.

— მადლობა ღმერთს, დათუა შინ მშვიდობით დაბრუნდა! — თქვა სერაფიონმა და გულში გაიფიქრა: „ნეტავი ჩემი გოგია და დუდეც მალე გამოჩნდებოდესო“. მავრა თითქოს მიუხვდა გულისთქმას:

— საკვირველია, სერაფიონ! გოგია და დუდე ვახსენეთ და, დათუაც მაშინვე გამოჩნდა! აგერ ნახავ, ამ დღეებში შენი ვაქკაცებიც თუ არ ჩამოვიდნენ!

— ბევრი ბრუნდება ახლა ჯარიდან, — იმედიანად ჩაილაპარაკა სერაფიონმა.

— ო, რა სასტიკი, ჯერ უმაგალითო და დიდი ომი მოვიგეთ! — დაიძახა მავრამ.

— პირველ იმპერიალისტურ ომში ჯარისკაცად ვიყავი. კარპატებზე ვიბრძოდი, მაგრამ მაშინდელი ომი ამ ომთან რა სათქმელია. გაგიგონია! — შენიშნა სერაფიონმა.

— ნეტავი როდის მოისპობა ამ ქვეყანაზე ეს დაწყევლილი ომები! — იკითხა იონამ.

— როცა იქითაც ერთობა, ძმობა და თავისუფლება დამყარდება! — მიუგო მავრამ.

*

* *

იონამ ქვევრებში ჩაიხედა და სერაფიონს ჰკითხა:

— გაათავე რეცხვა?

— ვათავებ! — მიუგო სერაფიონმა. ქვევრიდან ამოღებული და წყალით გაჟღენთილი ჩვარი გასწურა.

იონამ უთხრა:

— რეცხვას რომ მორჩები, ნატოსთან გადადი. დაიბანე. ცოტა მოისვენე. ძროხას და თხას ამოკდენი, დავაბინავებ და მერე, მე და მავრაც მოვალთ და, ერთად ვივახშმოთ! ვახშმის შემდეგ დათუას სანახავად უნდა წავიდეთ!

— ვახშამი არ მინდა.

— სერაფიონ, მეწყინება მაგისთანა ლაპარაკი! ვახშამი როგორ არ გინდა ნამუშევარ კაცს? ნუ გეშინია: მშიერს არ დაგტოვებ. კარგ ვახშამს გაჭმევ!

— ეს რა სათქმელია?

— აბა რა გინდა? ვერ ხედავ, რა დიღებული სტუმარი გვეწვია, შე გლახა? მავრა ჩვენი სოფლის მოამაგე ექიმია, ჭკუით და გრძნობით სავსე, მშვენიერი და საყვარელი ქალი.

იონამ ღვინოც შეახარბა:

— სახელგანთქმული, ჩემი წითელი ღვინო „ერეკლე“ გადავკრათ! ბევრს კი არ დაგალევინებთ: სამლიტრიან, პატარა კოკას წამოვიღებ!

იონა კარგ გუნებაზე იყო: მავრას მოსვლით გახარებული. ალტაცებით უცქერდა მზით გაშუქებულ ტალავერისაკენ მიმავალ ახალგაზრდა ქალს. ვაზის ფოთოლთა შუა გაჭრილი შუქი და ჩრდილი ასულის სახეზე და ტანზე რიალებდა ათასფრად და ქალი ტალავერში მოსეირნე ფარშავანგსა ჰგავდა.

ღირსშესანიშნავი ტალავერი ჰქონდა იონას: ფრანგი აგრონომის — ტიეგოს მიერ საფრანგეთიდან ჩამოტანილი, უცხო ვაზებისაგან „გრო-გილიომისგან“ შეთხზული. ამ ვაზის მტევანი ორ კილომდე იწონის და თვითეული მარცვალი შავქლიავის ოდენაა. მწიფობის ჟამს: შავქლიავივით ჩალურჯებული და მინაცრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალავერთან გაჩერებულ ასულისაკენ იონა უცნაური როკვა-ცეკვით წავიდა. კაცი იფიქრებდა: ხომ არ გაგიჟდაო? ბებერი მუხის შემხმარი ტოტებივით იშვერდა ოთხმოცი წლის მოხუცი ბანჯგვლიან ხელებს და გახევებულ თითებს, მაგრამ ეტყობოდა ამ ბებერ და ტოტებშემხმარ მუხას ტანი ჯერ კიდევ მთელი ჰქონდა და ნედლი ფესვები ღრმად გადგმული მიწაში.

ცეკვით ართობდა დაგლეჯილ-შლიაპიანი და დაკონკილ-პიჯაკიანი, ალტაცებული მოხუცი სასურველ სტუმარს — მავრას. თანაც კარმენის სიმღერას ეტყოდა: „შენ არ გიყვარვარ, მე კი მიყვარხარ. მაშ მოერიდე ჩემს სიყვარულსა“.

გამოძინებული, მწითური და ჯერ კიდევ ჯანსაღი მოხუცი შესდგა ღა გადიჭიხვინა, მერმე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— მასხარა ვარ, წუთისოფლის მასხარა! ვიმასხროთ და გავერთოთ. სხვა რა წაგვყვება ამ ტანჯვით სავსე წუთისოფლიდან იმ ქვეყნად!? ალბათ მავრა ფიქრობს: რამ გააგიჟა ეს გადაბერებული კაციო? გამარჯვება, სოფლის ბიჭების დაბრუნება და შენი მოსვლა გამეხარდა. მინდა თავი მოვიგიჟიანო და გაგართო. ასე, ჩემო მავრა! — უთხრა იონამ. შლიაპა დაიხურა. შუა ეზოში გაჩერდა და განაცხადა: — აბა, შემომხედე, ვინა ვარ? კაცი ვარ თუ არა ქვეყანაზე? არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია! აი ამ ჩემი მარჯვენით და ჩემი შრომით ვცხოვრობ! ასე არ არის, სერაფიონ?

— ნამდვილი ბრძანებაა! — დაუდასტურა სერაფიონმა.

მავრას მაინცადამაინც არ გაჰკვირვებია „იონა ახირებულის“ ცეკვა და სიმღერა. ისიც შეჩვეული იყო მის უცნაურობას.

იონამ ჯიბის დანა გაშალა. გრო-გილიომს მტევანი შეაჭრა და მავრას მიართვა.

მავრამ მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— ბიძია იონა, თქვენ დაუბერებელი და ბედნიერი კაცი ხართ!

— ბედნიერიო? — ჩაიქნია ხელი იონამ, თითქო გაბრაზდა და ეწყინაო: — რა ბედნიერი?

— რატომ? — გაუკვირდა მავრას. შეკრთა და განცვიფრებით შეხედა.

იონამ მაჯა და მკლავი გაიშიშვლა, მავრას უჩვენა და ზიზღით და აღრენით უთხრა:

— დაგბერდი, ჩემო მავრა! სიკვდილი ახლოვდება! შეხედე: ხორცი ჭკნება, მალე გაიხრწნება და აყროლდება კიდეც!

— უი, რა საშინელებას ამბობთ, ბიძია იონა! — შესძახა მავრამ. ისედაც მაღალი და ოდნავ აწურული მხრები უფრო აწურა, თითქო შესცივდა და ტანში გააჟრჟოლაო, თავიც გაიქნია. ლამაზ კისრამდე შეკრეჭილი, კრაველის ბეწვივით დაკვარკნილი და მჭიდროდ შეკრული, წაბლისფერი თმა შეერხა და ქარმა მოსტაცა.

იონამ საიდუმლო გაუცხადა:

— საკვირველია! — ამდროული კაცი ვარ და, სიკვდილი მაინც არ მინდა! მეშინია!

სიკვდილის მოახლოვება აშინებდა იონას. ამიტომ წუთისოფელთან და სიკვდილთან შერიგების მაგიერ, უფრო აღრენილი და დამცინავი ხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავრას შეეცოდა და ხანგრძლივ დააცქერდა.

იონას კეხიანი, დიდი ცხვირი, ხორციელობის მაჩვენებელი, ფართო ნესტოები, სოლივით წაგრძელებული თეთრი წვერი, რომლითაც დემონს ემსგავსებოდა, ლურჯი ძარღვებით შემოხლართული, კოჟრიანი და ბანჯგვლიანი ხელები, რომლებიც მუხის ხავსიანი ტოტებივით გაეშვირა ჰაერში მონუცს და ტყიური კაცისა, ბებერი სატირისა და პანის ხელებს მოგაგონებდათ, — სრულიადაც აღარ აშინებდნენ ახლა მავრას. პირიქით: რაღაც შეუცნობი და უხილავი ძალით იზიდავდნენ კიდეც.

იონას შავსა და შუქიან თვალებში დაუშრეტელი სიცოცხლის ძალა ამოიკითხა მავრამ და შესძახა:

— არა, ბიძია იონა! თქვენ ჯერ კიდევ ჯანსაღი ხართ! რა ვუყოთ, რომ მოხუცდით? მე თქვენზე ბებერი ახალგაზრდა მინახავს, სულით და ხორცით მიხრწნილი! არა, თქვენში ჯერ კიდევ ჭაბუკის სული ჰბუდობს! თქვენი კუნთები და ძვლები ჯერ კიდევ მაგარია, გაუტეხელი! თქვენოდენს ჭაბუკიც ვერ იმუშავებს! ამდენს, ამ მთაში, ჭაბუკიც ვერ ივლის! განა თქვენი ხნის კაცი, მაგრე მარდად და დაუღლელად იცეკვებს? — მავრამ გაიცინა და დასძინა: — არა, ბიძია იონა, თქვენ მართლაც დაუბერებელი და ბედნიერი მოხუცი ხართ!

— დამაიმედე, ჩემო მავრა, დამაიმედე! — მიუგო დამცინავი ღიმილით იონამ. სერაფიონმა დაადგინა:

— ცოლშვილს რომ მოჰკიდებოდა, უფრო ბედნიერი იქნებოდა!

ქვევრის რეცხვა გაათავა. ადგა და ხალათის სახელოს და შარვლის ტოტის ჩამოშვება დაიწყო.

იონას ათასჯერ ჰქონდა გაგონილი, ცოლშვილის გამო ეს საყვედური და გაბრაზდა:

— შენ რომ ცოლშვილს მოეკიდე და ექვსი შვილი გააჩინე, რა ოქროს ჯიღა გადგას, ბიძია?

— ჩემისთანა ღარიბი კაცი, ჩემსავით დაგვიანებით, ცოლშვილს რომ მოეკიდება, აბა რა დაემართება? — მიუგო სერაფიონმა. — ცოლი ოჯახსა და წვრილ შვილს უნდება, მუშა ხელი მარტო ვარ. რა შრომა დღე უნდა დამიგროვდეს? მაგრამ მალე ჯარიდან გოგია და დუდე დამიბრუნდება. პატარებიც დამეზრდებიან და მაშინ ნახე, რა ქარხანა ავაწყო და რა დოვლათი დავაგროვო!? უცოლშვილობას, მაინც ცოლშვილი სჯობს!

სერაფიონმა ომში წასული შვილები, განსაკუთრებით კი გოგია რომ ახსენა, უმალვე გული მოულბო იონას. ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო გოგია, როდესაც დევნიდა თავის ტოლებსა და იმ ბავშვებს, რომლებიც ჩიტის ბუდეს შლიდნენ, მეზობლის ჭირნახულს იპარავდნენ, ქურდობდნენ, ან სხვა რაიმე უმსგავსობას ჩადიოდნენ. ეს გულკეთილი ყმაწვილი დაიახლოვა იონამ. წიგნებს აძლევდა და მის განვითარებას ხელმძღვანელობდა. ამიტომ შედარებით ლმობიერად შენიშნა სერაფიონს:

— ღმერთმა მშვიდობით დაგიბრუნოს ჩვენი გოგია და ცოლ-შვილიც კარგად გიმყოფოს! ჩემს ცოლშვილზე ლაპარაკი კი ზედმეტია, უადგილო

და შენგან არ მეკუთვნის! ათასჯერ მითქვამს შენთვის, რომ საცოლეშვილო კაცი არა ვარ! არც მეცალა მაგ საქმისათვის.

— საიდან გეცლებოდა? — დაუდასტურა სერაფიონმა,—ყველაფერი შენი წყალობით შენდებოდა ამ ჩვენს თემში. ყველას შენ ქომაგობდი, საქმეზე ფიქრმა საკუთარ თავზე ფიქრი აღარ გაცალა. ახლა რალა დროა საა? მაგრამ რა გიჭირს? წინათ სოფელს თუ ქომაგობდი და ეხმარებოდი, ახლა, შენი სიბერის დროს, მთელი სოფელი მოგეხმარება, და ერთ კაცს როგორ ვერ შეგინახავს?

სერაფიონმა იცოდა რა ხერხით უნდა გაქცეოდა იონას რისხვას და როგორ უნდა დაეცხრო იგი. ამისთვის საჭირო იყო იონას შექება. ასეც მოიქცა და მიზანსაც მიაღწია. იონას იამა და დაუტკბა:

— შენ იცოცხლე, ჩემო სერაფიონ! შენ რომ მეზობლობა არ გაგეწია ეა არ დამხმარებოდი, სიმინდი აუღებელი დამრჩებოდა, ქვევრები კი გაურეცხავი. ხვალ ვენახის კრეფა უნდა დავიწყო. მეშინია: ავდარმა არ მომისწროს. აგერ, მავრაც მომეხმარება.

— სიამოვნებით! — მიუგო მავრამ.

მავრას მოსვლით და სტუმრობით გახარებულმა იონამ ისე გაშალა ხელები, თითქოს ისევ ცეკვას აპირებსო. „ინდი-ფინდი-ფერად-შინდი“,—დაიძახა და დაბლა-ეზოსაკენ გასწია. მავრამ ხელი სტაცა და არ გაუშვა: „ძროხას და თხას მე მოვდენიო“, დაიჩემა, მტევანი სასოებით გადასცა და ხრამზე გადებული ხიდით დაბლა-ეზოსაკენ დაეშვა.

იონა ხრამთან გაჩერდა. დაბლა-ეზოში გაშვებულ ძროხას და დაბმულ თხას გაღასძახა:

— მოდი, მაია! მოდი, სკუპურა!

ძროხამ მოაბღავლა. ბღავილს თხის კიკინი და პეტელიც მოჰყვა.

გვერდებავსილი, მაკე ძროხა ხიდზე გამოვიდა. უკან მავრა მოჰყვებოდა და თოკით თხა მოჰყავდა. როდესაც ძროხა მაღლა ეზოში შემოვიდა, იონამ მავრა და სერაფიონი თუთის ხესთან გააჩერა, თითონ სახლთან მივიდა და ძროხას ალერსით და დაჟინებით მოუხმო. ოქროსფერი, ზორბა და ლამაზი ძროხა ნელის ნაბიჯით და ზლაზვნით გაეშურა პატრონისაკენ. იონამ ხელი გაუწოდა. პირუტყვი მივიდა და ხაოიანი ენით გაულოკა. იონამ მეორე ხელი შეაპარა და კისერი მოფხანა. ძროხამ თავკისერი გაიწოდინა. მაშინ უფრო ახლოს მივიდა პატრონი და სიამეში-მყოფ პირუტყვს სიპისა და მუცლის ფხანა დაუწყო. ალერსიანად, ჩუმად და მომნუსხავად ეტყოდა: „მოდი დაწექ, მაია! მოდი დაწექ, მაია!“ თანაც მუხლებზე სცემდა ხელს. ძროხამ მუხლები მოიკეცა, დაიჩოქა და, მერე მთელის ტანით დაეშვა და ეზოში რუმბივით გაგორდა. მაშინ იონა მავრასკენ და სერაფიონისაკენ მიბრუნდა და, ისე როგორც ცირკის არენაზე პირუტყვთა მწურთვნელებმა იციან, — რევერანსი გააკეთა და დამსწრე საზოგადოებას, შლიაპის მოხდით და თავის დაკვრით, მადლობა გადაუხადა.

— ამას რას ვხედავ?! — იყვირა მავრამ და გულიანად გადიკისკისა.

იონამ განაცხადა:

— დუროვი ვარ, დუროვი! მხოლოდ ჩემი თხა სკუპურა ჯერჯერობით ვერ მოვარჯულე. ეშმაკები ელანდება და ტყეში გარბის. თხა მეზარება: მალე მოვიშორებ თავიდან. აგერ ჩემ საყვარელ ბეჟან-ბეგს გავწვრთნი, შევასკუპებ მაიას ზურგზე და, თუ გამიჭირდა, — მე, ჩემი მაია და ბეჟანი

თბილისში ჩამოვალთ. თბილისში კი არა, საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქს მოვიელით, ცირკში გამოვალთ, ფულს გავაკეთებთ და პურსა ვჭამთ, არა, მაია? — შეეკითხა ის უკვე ფეხზემდგარ ძროხას.

„წავალ, თუ არა, ეს კაცი გადამრევსო“ — დაიძახა სერაფიონმა, ხელი ჩაიქნია, იარაღები და ხელსაწყოები აიღო და ნატოსაკენ გასწია.

*
* *

მავრამ თხა გამოუწველა იონას, მერე ძროხა და თხა ბოსელში შერეკა იონაჰ და კარები გამოკეტა. უეცრად ბოსელთან გაჩერებულმა მოხუცმა ისეთი კიჟინი მორთო: „უჰე, ცეცხლი მოედო, ცეცხლი მოედოო“, რომ მავრამ იფიქრა: ალბათ სოფელს ხანძარი მოედო და იწვისო. ბეჟან-ბეგმა ყეფა ასტეხა.

— რა ამბავია, ბიძია იონა? — მიაძახა შეშინებულმა მავრამ. მავრას მეზობლებიც მიჰყვნენ.

— მზემ თეთნულდი და უშბა გააშუქა. მალე სამზერზე, თორემ მზე საცაა ჩავა და დავიღუპებით: მერე ვერაფერს ვერ დავინახავთ! — ყვიროდა მოხუცი და ბოსელიდან მავრასაკენ ქაქანით ამორბოდა.

მეზობლებმა უნუგეშოდ ჩაიქნიეს ხელი: „ნამდვილად გიჟიაო,“ დაადგინეს.

მავრა თუთაზე ავარდა. მას იონაც მიჰყვა. სამზერზე გაჩერდნენ და მარადი თოვლით გადალესილ კავკასიონის ქედებს გაჰხედეს.

მართლაც წარმტაცი სურათი გადაეშალათ.

შორს, ჩრდილოეთისაკენ, მოწმენდილ ცის ტატნობზე ახატული და დადუმებული ქედები ჩამავალ მზეს გაეშუქებია. ჩამოთოვლილი ქედები ვარდისფრად ჰღვივოდნენ, თითქოს მართლაც ცეცხლი და ხანძარი მოსდებიათო. ამ ბუმბერაზი სურათის ხილვამ, უმალვე მოაჯადოვა და დაადუმა იონა და მავრაც.

იონა ბუნებისმოტრფიალე კაცია. ბუნების სილამაზეთა ჭვრეტით ვერ ძღება, თითქო ამ ოთხმოცი წლის მანძილზე იშვიათად თუ გამძღარიყოს და დამტკბარიყოს მათი ცქერით! ძლიერ უყვარს ფართო სახედები და ჰორიზონტები. ხოლო მის ეზოდან დაბლა-ეზოში ამართული ძელქვების კენწეროები უჩრდილავენ და უფარავენ კავკასიონის ქედებს. ამ თუთის სამზერიდან კი ნათლად სჩანან ისინი; ამიტომ გააშენა თუთაზე ეს სამზერი.

შედგა თუ არა სამზერზე, მაშინვე ჯადონაკრავებით გაჰხედა მოხუცმა კავკასიონის ქედებს: რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთებს, ხომლს, ნაქერალას, მარადი თოვლით გადალესილ უზარმაზარ თეთრ პირამიდას: თეთნულდს. უშბა სარდალივით ჩამდგარიყო მთაგრეხილთა ლაშქარში. მზით გაშუქებული, ვარვარა მუზარადი დაეხურა ბუმბერაზს.

თვითმფრინავის შორეული გუგუნი შემოესმა იონას, მაგრამ ეს იყო წუთით და ძრავის გუგუნი მყისვე უსაზღვრო დუმილმა და თვალუწვდენმა მანძილმა შთანთქა.

ვინ იცის, რასა გრძნობდა ბებერი იონა, როცა სამზერიდან ჩამავალი მზის სხივებით გაშუქებულ, შორეულ მთის მწვერვალებს და შავზღვამდე გაშლილ რიონის ველს გაჰყურებდა?

ბოლოს მიუხვდა მავრა. მთებამდე, შავზღვამდე და მზემდე არსებული მანძილი და სიშორე კი არ აჯადოებს იონას, არამედ ბუნების მშვენიერება, რაღაც ღვთაებრივი, გონებით მიუწვდომელი და მიუთხრობელი დიადი სიჩუმე და სასწაულებრივი მოლოდინი მომავლისა.

ბუნებისა და მთების მესაიდუმლე მგოსნის — ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“ მოაგონდა მავრას: „იდგნენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი“... იონა ნეტარი ღიმილით უსმენდა ლამაზი ქალის ნარნარსა და საამურ ხმას.

და ბოლოს, როდესაც მზე ჩავიდა, შემწუხრდა, ჩაძინებულ და დადუმებულ მთათა მწვერვალებზე ღამე ჩამოეშვა, შავნაბადა ტყეში მუხათა კენწერონი უძრავად დადგნენ, ხოლო წყნარსა და მშვიდ რიონის ველს კი ბურუსი გადაეფინა, — იონამ გოეთეს „მგზავრის ღამეული სიმღერა“ დაიწყო: „დადუმებულან ზვიადი მთები“ და მერმე, გულის სიღრმიდან ამოღებული, ისეთი ცრემლმორეული და დიდმნიშვნელოვანი ხმით დაასრულა: „დაიცა, მალე დაგეძინება, — შენც დამშვიდდებიო“, — რომ მავრამ იფიქრა: არა გოეთეს, არამედ ოთხმოცი წლის იონას გამოუთქვამს ეს საგალობელი საკუთარი თავის დასატირებლადო. მავრა მართალი იყო, რადგან გენიოსი პოეტის მიერ ამ ლექსში გაცხადებული ოლიმპიური სიმშვიდე, ბუნების ბრძნული ჭვრეტა და ბედთან შერიგება, მსმენელსაც სიმშვიდეს და უცრემლო, ესთეტიკურ სიამოვნებასა ჰგვრის.

მაგრამ იონას შეხედა და გაოცდა. მოხუცს ქუდი მოეხადა დიადი ბუნების წინაშე, თითქოს დიდებულ ტაძარში სალოცავად შესული ყოფილიყო. ასე იდგა სამზერზე, ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ და აწ იისფერ ბურუსში გადამდნარ, უჩინო და შორეულ ქედებს უჭვრეტდა, თვალზე ცრემლი მოსდგომოდა. ბაგენი უთრთოდნენ.

ასეთია იონა. ბუნებისა და ხელოვნების მიერ შექმნილ მშვენიერების ჭვრეტა, მოსმენა და მისი განცდა, გულს უჩვილებს და ცრემლსა ჰგვრის. სიბერის ჟამს კი ცრემლი ერთთავად მოერია. დიდრონ, შავსა და ცრემლით სავსე, მგზნებარე თვალებს სულმთლად წაეშალა ახლა დემონური მეტყველება და დამცინავი იერი მოხუცის სახისა და ზედ სიკეთისა და სილამაზის შუქი მიეყენებინა.

ახალგაზრდა ქალი ისე მისჩერებოდა უჩვეულო მოხუცს, ვით მოწაფე თავის მასწავლებელს. იონამ იგრძნო ქალის თანაგრძნობა. ბანჯგვლიანი ხელი ასწია, ქალს დაკვარკნილ თმაზე ნაზად გადაუსვა და უთხრა:

— რა ბედნიერი ვარ, ჩემო მავრა, შენ რომ აქა ხარ, ჩვენს სოფელში! ძნელია ჩემი სიხარულის სიტყვით გადმოცემა. მე უკვე ღრმად მოვხუცდი. წინათ ხშირად ჩავდიოდი ქუთაისსა და თბილისში. იქ ჩემს ნაცნობებს და მეგობრებს ვინახულებდი. ლექციებზე, თეატრსა და მუზეუმში დავიარებოდი. ქვეყნის მაჯისცემა მესმოდა. ამ ბოლო დროს ვერც ამას ვახერხებ და, როდესაც ჩვენს სოფელში შენისთანა კულტურული ადამიანები ჩამოდიან, ჩემთვის დიდი შენაძენია. ერთადერთი, კულტურული ოჯახი აქ ტერეზას ჰქონდა. ტერეზა კარგი ხანია გარდაიცვალა. მისი შვილები კი გაიფანტნენ და სოფელს აღარ ეკარებიან. დიდი სიმარტოვე და დიდი გლოვაც გამომივლია. იცი, რა ძნელია ჩემისთანა კაცისათვის სოფელში მარტო ყოფნა? აქ ბევრს ვერ ნახავ ისეთს, რომ ფიქრი ანდო, გრძნობა შენი გაუზიარო.

მაგრამ რა? განა ახლა მარტო ვარ? შენ მომიფრინდი ახალ ცხოვრებისა და ახალი ქართლის მახარობელად.

— ბევრჯერ მიფიქრნია თქვენ გამო, ბიძია იონა! — მიუგო მაგრამ, — კარგად ვიცი, ამ მთასა და ამ პატარა სოფელში გამუდმებით ცხოვრება, თქვენისთანა კაცისათვის, ადვილი რომ არ იქნებოდა! მაგრამ, ხალხან-სამსახურმა და ამ დიადმა ბუნებამ დაგაბათ აქ, ამდენხანს.

— ქალაქში მოხელედ ყოფნას, სოფელში ასეთი ყოფა ვარჩიე და განა შევცდი? — ჰკითხა მოხუცმა, თუმცა თითონაც დარწმუნებული იყო, რომ ვერავითარი ძალა ვერ მოჰგლეჯდა ამ სახლ-კარს, კარ-მიდამოს, ამ სოფელსა და წარმტაც არემარეს.

იონამ ხელი წინ გაიშვირა. საჰზირზე ტრიალი დაიწყო, მავრას ის წარმტაცი არემარე უჩვენა და ალტაცებით დაიძახა: — ერთი უცქირე ჩვენ სოფელს, მთიდან შხუილით დაქანებულ და მოგრიალე მდინარეს! აგერ, იმ სოფელს, მთის კალთებზე მიფენილ სოფლებს! იმ ლამაზ გორას, მთა-შუბანს და ზეკარის უღელტეხილს! შავნაბადა ტყესა და შავზღვამდე გაშლილ რიონის ველს! აი, იქ მიჯარულ კავკასიონის ქედებს! განა სადმე არსებობს კიდევ ასეთი ლამაზი კუთხე ქვეყნისა? ეს ჩემი სამფლობელოა! მე ვარ მისი მფლობელი! რა მდიდარი და ბედნიერი მეფე ვარ! აბა, შემომხედე, — თქვა მარტოხელა მოხუცმა და უცნაურად გაიცინა. დაკონკილი პიჯაკით გაჩერდა მავრას წინაშე. თვალები უელავდნენ, ქარმა თეთრი თმა აუშალა.

მავრას ყველასაგან მიტოვებული და ველადგაჭრილი მეფე ლირი მოაგონდა რატომღაც და ანგარიშმიუცემლად უთხრა:

— თქვენ ლირი ხართ, მე კი ლირის ქალი — კორდელია.

— განა მართლა მარტოხელა, უბედური და გაძარცული მეფე ვარ? განა შენ ჩემს გვერდით არა დგეხარ? არა, მე ბედნიერი და მდიდარი მეფე ვარ! — მიუგო ღიმილით მოხუცმა. მაგრამ ხმაში მალე ნაღველი შეეპარა: — რაღა მდიდარი და ბედნიერი? — ამოიოხრა მან: — სადღა არიან ჩემთვის საყვარელი და მახლობელი ადამიანები? ყველა დაიხოცა, დაიკარგა, ან შორს წავიდა... არავინ შემრჩა. მარტო დავრჩი ამ წუთისოფლად. ასე მგონია, თითქოს ეს ხელები აჩრდილებს ეხვეოდნენ და არა ცოცხალ ადამიანებს. ხეტავ თუ გესმის შენ ამ სიტყვების მნიშვნელობა? — ჰკითხა მოხუცმა ახალგაზრდა ქალს და ღრმა დუმილის შემდეგ დამწუხრებით წარმოსთქვა: — სიკვდილზე უარესი სიბერე და მარტოობა ყოფილა! ხედავ: როგორ დამღრანჯა სიბერემ, დამაჭკნო და შეუბრალებლად დამცინა? — რაღაც გამოუთქმელი ნაღველი, გესლი და ბრაზი გაისმა მოხუცის შეკითხვაში.

იონამ შლიაპა დაიხურა. ხელები გულმკერდზე დაიკრიფა და დადუმდა. ვინ იცის, რომელ საყვარელ ადამიანს და მეგობარს, რა შორეულ შემთხვევას და ამბავს იგონებდა მოხუცი!? მავრას შეეცოდა:

— არა, ბიძია იონა! — ისევ შესძახა მან. — აკი გითხარით, თქვენ ჯერ კიდევ ჯანსაღი ხართ-მეთქი! თქვენში ჯერ კიდევ ჭაბუკის სული ჰბუდობს, სული პოეტისა და გონება ბრძენისა! თქვენ არწივის ხედვა და სმენა გაქვთ! საიდან მოიტანეთ თქვენი სიბერე? რა ვუყოთ, რომ სხვაზე დიდხანს იცხოვრეთ? რად გგონიათ, თითქო მარტო იყოთ ამ ქვეყნად? განა მე, განა ამ სოფლის ახალგაზრდები, ყველანი თქვენი შვილები არა ვართ? განა ჩვენს ქვეყანაში მოხუცი მარტო რჩება? ხომ გაიგონეთ სერაფიონმა რა გითხრათ: მთელი სოფელი ერთ მოხუცს ვერ შეინახავსო? არა, თქვენ მარტო არა

ხართ, არც უბედური. პირიქით: ბედნიერი! განა ეს წარმტაცი და მშვენიერი ბუნება, მართლაც თქვენი სამფლობელო არ არის? თქვენ ხალხის მოამაგე და ამ მშვენიერი ბუნების მესაიდუმლე იყავით და ხართ ამ ეამადაც. თქვენ გამიცხადეთ პირველად ზოგი რამ იმ საიდუმლოებისა, და ეს შემდეგ ჯადოშეყრილი დავიარები. მე აქ ხელმეორედ დავიბადე, [illegible] თქვენ შემაგნებინეთ ხალხის სამსახურის სიდიადე. თქვენ შემაყვარეთ ბუნება და მისი სილამაზე.

— ჩემო მავრა, — აღმოხდა ცრემლმორეულ მოხუცს, — რა კარგი ქალი ხარ! ეს ზამთარიც გაივლის, გაზაფხული მოვა და, ცოცხალი თუ დავრჩი, — მაშინ აი, იმ მთაშუბანის მწვერვალზე აგიყვან. იქიდან დაგანახვებ ლიხს იქით და ლიხს აქეთ გაშლილ სამშობლოს, მის წარმტაც ბუნებას, მთელი ამ ქვეყნის მშვენებას და აურაცხელ სიმდიდრეს.

— ბიძია იონა! — მიუგო მავრამ, — ეს ზამთარიც გაივლის, გაზაფხული მოვა და თქვენც ცოცხალი იქნებით. მხოლოდ არ დაგავიწყდეთ მთაშუბანი! რა საამური და საოცნებო შეპირებაა!

მავრამ ნეტარ გუმანში გადასულივით გაჰხედა მთაშუბანს, მერმე პირი დასავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ იბრუნა. შორს გაიხედა; ჩუმი და ნარნარი ხმით დაიწყო, თითქო იონას კი არა, არამედ საკუთარ თავს ესაუბრებაო:

— მთაშუბანი... გაზაფხული! მაგრამ ახლა აქედანაც ვხედავ რიონჰესის სანათურებს. მის იქით, უბრალო თვალითაც შეამჩნევს კაცი აი იქ, ქუთაისში, და ქუთაისის ახლოს, ცისფრად მოციმციმე ელნათურებს. ეს ახალი ქარხნის — გიგანტის მშენებლობის ადგილია. სტალინური ხუთწლიანი დიადი გეგმით გამიზნული! იქიდან უამრავ ქარავნებად მოედება საქართველოს გზებს ქართული მანქანები. ისინი გასწევენ შავი ზღვისაკენ და ფართოდ გაღებულ სამოთხის — კოლხიდის კარებით ნარინჯის ხვავიან ბაღში შეიჭრებიან. გადაივლიან ლიხს იქით და ჩითახევიდან წამოსულ, ელვით გაჩირაღდნებულ ჩვენს საოცნებო და სანუკვარ დედაქალაქს — თბილისს მიადგებიან. მეც იმ მანქანით ჩავალ დედაქალაქში. ირგვლივ უდაბნოსავით გადამწვარი მიწის ნაცვლად, წყურვილმოკლული, ამწვანებული და ბაღ-ბოსტნებით შემკული სამგორი დამიხვდება. იქვე — თბილისის კარებთან დამიხვდება, აგრეთვე ძველი, ნაბრძოლი, მტერთაგან დაქცეული და აწ ისევ აღორძინებული და წინაპართა ძვლებზე დაფუძნებული, დიდი ინდუსტრიული ქალაქი, — რუსთავი, მწვანე გამზირებით, მოედნებით და ხეივნებით დამშვენებული. იქ, მარტენებისა და დომნების ბუმბერაზ ღუმელებში ცეცხლის ნიაღვრად-ქცეულ ფოლადს ქართველი მუშები, ცეცხლფარეშები აცხრობენ, იმორჩილებენ და გაჭრილ კალაპოტებში აგდებენ. ფოლადი შხუის და შიშინებს. ფოლადს ქართველი მჭედლები და ოსტატები ცემენ, რანდავენ და ჩარხავენ. ფოლადს აწრთობენ და საჭირო ზოდებად, ძელებად და ღერძებად სჭრიან, ფარებად და ბორბლებად, ხრახნილებად და მარჭვლებად აქცევენ. ქართველი ზეინკლები და ხარატები ფოლადისაგან რთულ მანქანებს, იარაღებს და საჭურველს აკეთებენ, რათა საქართველოს, ამ ოდესღაც „რკინის-დედის სამშობლოს“ და მოწინავე ქვეყანას, უამრავ მტერთან უანგარიშო ბრძოლაში ღაკარგული ძლიერება და ხალხ-

თა შორის განკუთვნილი, საპატიო ადგილი დაუბრუნდეს... ვხედავ: სოფლური, ოდესღაც ჩამორჩენილი და ღარიბი ჩემი ქვეყანა, ტექნიკურად ძლიერ, მოწინავე, ინდუსტრიულ ქვეყნად ქცეულა! დიდება ხალხთა წინმსვლელობის და ბედნიერების შემომქმედს! დიდება ბელადს!— დასრულა მავრამ გონების თვალით დანახულის სიტყვით გადმოცემა. ... ახლა შენიშნაო იონა, მიუბრუნდა და უთხრა:

— ბიძია იონა! არა მარტო ეს ზამთარი, ხუთი და ბევრად მეტი ზამთარიც გაივლის, გაზაფხული მოვა და, როგორც გითხარით, მაშინაც ცოცხალი და ჯანსაღი იქნებით! მომავალ გაზაფხულს კი, თქვენ მთაშუბანის მწვერვალზე უნდა ამიყვანოთ, საიდანაც ლიხს იქით და ლიხს აქეთ გაშლილი ტურფა სამშობლო, ამ ქვეყნის მშვენება და სიმდიდრე უნდა დამანახვოთ! მაგრამ იცოდეთ: მეხუთეჯერ ასვლისას, მთაშუბანის მწვერვალიდან, ჩვენ დავინახავთ ჩვენს სამშობლოში მას, რასაც ზევით ვამბობდი. და განა რასაც ვამბობდი? არა, ათასჯერ მეტს!

— ჩემო მავრა! — მიუგო მოხუცმა, — მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი სამშობლოს დიდების მოლოდინი იყო მხოლოდ!

— მაშ, არ დაგავიწყდეთ მთაშუბანი! — გააფრთხილა მავრამ, — მოვა დრო და შეპირებულის შესრულებას მოგთხოვთ!

— შეგისრულებ კიდეც! — მიუგო ღიმილით მოხუცმა, შრომით და ჯაფით დაკოჟრებული, ბანჯგვლიანი ხელებით შეიპყრო ასულის სახე და ფართოდ გაშლილ, ფიქალ შუბლზე აკოცა, თითქო მათი სახით ძველი და ახალი საქართველო ერთმანეთს ეამბორაო.

ამ დროს მთვარეც გადმოდგა მთაშუბანზე და მოხუცის სამფლობელო დღესავით გააშუქა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

ჩემო თბილისო!

ვახტანგს რომ რეკა მოესმა —
შენი ზარების ხმა იყო,
გაიხსნა ლურჯი გუმბათი,
ლაჟვარდი შუა გაიყო,
შენ ციდან დაბლა დაეშვი,
ოქროს კარები გაიღო.

შენი გუგუნი მესმოდეს,
მე სხვა გალობა რად მინდა?
შენს მტკვარს ვხედავდე ყოველდღე,
ვნახო მეტეხი, მთაწმინდა!
სხვისი ალმასიც არა მსურს,
შენი უბრალო ქვაც მინდა.

4134

მე მიყვარს შენი ქუჩები,
მოედნები და ბაღები,
შენი მქუხარე მხედრობის
გაშლილი ბაირაღები.
დგახარ ურყევი, უძლევი,
ათას მტერს შენაჯახები.

ძველი დიდების ხსენებას
დიდება არ მოჰკლებია,
იქ გაუვლია რუსთაველს,
თამარ-დედოფალს ჰხლებია,
მზე ჩამოსულა საცქერლად, —
სინათლე შეჰხარბებია.

შემოგჯარვია მცველებად
მზით გარუჯული გორები,
თითქო დამდგარან ვეფხვები,

აუშვერიათ ტორები.
მე შენს მიწაზე რუსთველის
ნაკვალევს ვეამბორები.

ათასხუთასის წლისა ხარ,
სიბერე არ გიწერია.
შენ გასახელა სტალინმა,
აგალორძინა ბერიამ.
შენ გადიდებენ შვილები,
შენზე სიმღერას მღერიან.

მე ვხედავ ზღაპრულ მომავალს
შენი დღე-ღამის ცვლისასა,
თეთრ სასახლეთა სიმრავლეს,
ბაღებში ელვას მტკვრისასა.
ნეტავ იმ ქართველს, ვინც გნახავს
ათას ექვსასის წლისასა!

1 სექტემბერი, 1945 წ.

ლექსის თარიღი

მომავალ დროთა ოქროს კარი არ გაიღება,
თუ არ მიგიძღვის შენი დროის დიდი ნათელი.
ამიტომ მიყვარს ხელნაწერის დათარიღება,
რომ ლექსს თან გაჰყვეს წამის ელვა და ჟრუანტელი.

ასე მგონია, ამ თარიღში გამოხვეული
ბრწყინავს ვარსკვლავი და ანთებულ სიტყვებს მიაფრენს,
საუკუნეებს გადალახავს ლექსთა რვეული
და მომავლის ცას ჩვენი დროის ნათელს მიაფენს.

და ესეც მჯერა, რომ ჩემ მიერ ამ წუთს დაწერილ
ამ სტრიქონებსაც თან გაჰყვება სხივების გროვა,
რადგან თარიღი, ლექსს რომ ახლავს: დღე, თვე და წელი,
დიდი სტალინის ბრწყინვალე დროა.

1 იანვარი, 1946 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიოლოგი კაპანაძე

დიდი ქართველი

— დილას შინ იყო, — ვკითხულობ, —
ახლა, ნეტავი, სად არის?
— მე მივლის! — წყნარად ჩურჩულებს
მტკვარზე დახრილი ჭადარი, —
რა შავი დღე აგვაშორა,
რა გრიგალი და ავდარი!

— გადამირჩინა მეც ბუდე! —
ბაღში ჟღურტულებს მერცხალი.
— მან გვიხსნა, — ამბობს გუგუნით
მთაწმინდა მწუხრზე შემწყრალი, —
ქვაში სიცოცხლედ შეჰქონდა
ცის შუქი, მზის ნაპერწკალი.

რა შავი დღე აგვაშორა,
რა სეტყვა-კორიანტელი,
შორს არის, — მაინც აქ ვხედავთ.
აქ ბრწყინავს დიდი ქართველი,
არწივთა მშობელ ქვეყანას
ჰფენია მისი ნათელი.

თბილისში მისი გული ძგერს,
მისი მართვები ჰყივიან,
უნისლო განთიადები
მისი სიცოცხლით ღვივიან,
ღამით რომ სივრცე ნათლდება,
ისიც ბერიას სხივია.

მან იცის, რასაც თბილისი
გულში სურვილად გაივლებს;
მისი თვალების ღიმილით
მარად მზე ადგას აივნებს,
ხეებს არ სცვივათ ფოთლები,
არ უზამთრდებათ ყვავილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა*

პირველ მაისს დავითის ქორწილი კინაღამ გადაიდო. მცხეთიდან კათალიკოსი ჩამობრძანდა, რომელსაც თან სამოცი რუსის ჯარისკაცი ახლდა. ეს ჯარისკაცები ტოტლებენს გამოქცეოდნენ გორიდან და მცხეთაში გამოვლის დროს სვეტიცხოველში შესულიყვნენ სალოცავად. კათალიკოსმა რუსული კარგად იცოდა და ჯარისკაცებს გასაუბრებოდა. მათ დაწვრილებით ეამბნათ მის მაღალუწმინდესობისათვის თავიანთი გაქცევის მიზეზი და ტოტლებენის განზრახვა, ერეკლე მეფე ტახტიდან გადაეყენებინა, ხოლო საქართველო სრულიად დაეპყრა. გაოცებული ანტონი მაშინვე გამოემართა თბილისისაკენ ჯარისკაცთა თანხლებით. მან თუმცა ბევრი რამ იცოდა ტოტლებენის მოქმედებათა შესახებ, მაგრამ ასეთი აშკარა თავხედური განზრახვა თუ ჰქონდა, ამის წარმოდგენაც კი არ შეეძლო.

რუსები ამალასავით შემოერტყნენ გარშემო კათალიკოსის ეტლს და ისე მიაცილეს იგი თბილისამდე. ყაბახზე კათალიკოსი ეტლიდან გადმობრძანდა, თბილელის მეთაურობით შეგებებული სამღვდელოება დალოცა და პირდაპირ ბატონის სასახლისაკენ გაემართა. ყველას გაუკვირდა კათალიკოსის საქციელი, რადგან მას როგორი საქმეც არ უნდა ჰქონოდა მეფესთან, პირველად ანჩისხატის ტაძარში ან სიონში უნდა შესულიყო, მცირე პარაკლისი გადაეხადა და შემდეგ შედგომოდა ყოველ სასულიერო ან საერო საქმეს. რუსის ჯარიკაცების თანხლებამაც საერთო გაოცება გამოიწვია და ქალაქში უცბად ერთი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ხელად გავრცელდა ხმა, რომ რუს იარანალს მეფესთან კათალიკოსი მიუგზავნია, რათა ტახტიდან გადადგომა გამოუცხადოსო, თან ჯარი გამოუტანებია და უთქვამს, თუ უარზე დადგეს, ძალით გადააგდეთ და ქალაქის გასაღები მე ჩამაბარეთო. ამ ხმამ მოურავოვის ყურამდეც მიაღწია, რომელიც გულგახეთქილი გამოვარდა საელჩოდან და თითქმის სირბილით გაემართა ყაბახისაკენ. გზაზე მას არანაკლებ გაოცებული დავით სარდალი შეეფეთა და ორივემ ერთსა და იმავე დროს მიახალეს კითხვა ერთმანეთს:

— რა მოხდა, თქვენო ბრწყინვალებავ?

— მე არა ვიცი რა...

— არც მე. იქნებ თქვენ იცით სარწმუნო...

მოურავოვი შედგა. მას უნდოდა დავითისაგან გაეგონა პირველად ეს არასასიამოვნო ამბავი, მაგრამ ცხადი იყო დავითსაც ასეთი განზრახვა ჰქონდა და პასუხის მოლოდინში გაოცებული შესცქეროდა რუსების ელჩს. ვინ იცის, შეიძლება კარგა ხანს გაგრძელებულიყო მათი ასეთი დაჯიბრება, მაგრამ ამ დროს დავითს უზბაში ქაიხოსრო მურვანიშვილი მიუახლოვდა,

* გაგრძელება, იხ. „მნათობი" № 5—6.

დაბლად თავი დაუკრა და მოკრძალებით მოახსენა: ყაბახზე რუსები იცდიან, ბატონის ნახვას თხოულობენ, და მიბრძანეთ, როგორ მოვიქცეო.

— ბევრნი არიან?—ჰკითხა დავითმა.

— სამოცი კაცია. ორი დღეა მშივრები ვართო. თითონ არა გააჩნიათ რა და თუ არ მივხედეთ, ცოდონი არიან. თუ მიბრძანებთ, ნარიყალას შეცხოვნეებთან ავიყვან, დავაპურებ და შემდეგ, როგორც ბატონი ბრძანებს, ისე მოვიქცეთ.

— კარგი, აგრე სჯობია. მანდატურს უბრძანე თარჯიმანი იახლოს, ჩვენება ჩამოართოს, ყველაფერი დაწვრილებით ჰკითხოს, ჩაიწეროს და ბატონთან მოგვახსენოს. იარაღით არიან?

— დიაღ. შუბიანი თოფები აქვთ და ხმლები.

— იარაღი აჰყარეთ და ციხისთავს ჩააბარეთ. კათალიკოსი მობრძანდა?

— დიაღ. მაშინვე ბატონთან წაბრძანდა.

— კარგი,—დავითმა ხელით ანიშნა ქაიხოსროს წასულიყო, თითონ კი მოურავოვს მოუბრუნდა,—თქვენ როგორ გნებავთ, რუსებს ნახავთ თუ ბატონთან წაბრძანდებით?

— მართალი მოგახსენოთ, სჯობდა რუსები მენახა და ნამდვილი ამბავი გამეგო, მაგრამ თქვენ თითონ განსაჯეთ, რას ეგვანება, რუსეთის ელჩი რომ ძოღალატე ჯარისკაცებთან მივიდეს და საუბარი გააბას. ისევ მიჯობს ბატონს ვეახლო.

— კარგი, მაშ ერთად წავიდეთ.

ორივენი სასახლისაკენ გაემართნენ. ალაყაფთან მათ მეფის ეჯიბი შეეგება, რომელმაც დავითს მოახსენა, რომ ბატონმა სასწრაფოდ გიხმოთ და სწორედ თქვენთან მოვდიოდიო.

— ბატონ მოურავოვს სასტუმრო დარბაზში გაუძეხ,—უთხრა დავითმა ეჯიბს.—მე კი მეფეს მოვახსენებ, რომ რუსეთის ელჩს მისი უმაღლესობის ნახვა ჰსურს.

ძოურავოვი ეჯიბს გაჰყვა, დავითი კი მეფესთან გაემართა. დიდ დარბაზში მას სეფექალები შეეგებნენ ანას მეთაურობით. დავითი თავდაბლა მიესალმა სეფექალებს და უნდოდა გზა განეგრძო, მაგრამ ანამ შეაჩერა.

— ბატონო დავით, თქვენ მაინც გაგვაგებინეთ, რა მოხდა. ქალაქში ხმა დავარდნილა, თითქო...

— არაფერი არ არის ისეთი, რომ შეშფოთებას მივეცეთ,—შეაწყვეტინა დავითმა ღიმილით,—განა ყოველი ჭორი დასაჯერებელია?!

— რა ვიცი, ჩვენ კი გული საგულეს აღარა გვაქვს. კათალიკოსი ბატონთან ჩაიკეტა, სხვა კი სარწმუნოს არას გვეუბნება. ჩვენ აქ ქორწილისათვის ვემზადებით და—ვინ იცის, იქნება ლხინის ნაცვლად ბედი სხვა რამ უბედურებას გვიმზადებდეს.

— ტყუილუბრალოდ შეშფოთებულხართ, თქვენო ბრწყინვალეებავ. ტოტლებენს სამოცამდე ჯარისკაცი გამოქცევია და ბატონს ეახლენ. ხალხმა დაინახა და ხომ მოგეხსენებათ ვაჭრების ამბავი, მაშინვე ჭორის გუდები დაჰბერეს.

— მაშ, შეგვიძლია გულმშვიდად ვიყოთ?

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. სანამ ბატონი ერეკლე გვპატრონობს, ნუგეშის ღმერთი ჩვენდამი მუდამ უხვი იქნება.

— ღმერთმა აგრემც შენი ბედნიერება ნუ მომაკლოს, როგორც ჩვენ ახლა გულები გაგვიხარე. მაშ, წავალ, თამარს გახარებ, თორემ დარდით აღარ არის.

დავითი გამოეთხოვა ქალებს, რომლებმაც იგი მხიარული სიცილ-კისკისით და ქათინაურებით მიაცილეს კარებამდე, იქ კი მას სოლომონ ლეონიძე შეეგება და ბატონთან გაუძღვა.

— ბატონი ძალზე შეშფოთებული ბრძანდება!—უთხრა სოლომონმა დავითს.

— რაო?

— ბგონი რუსებზე გალაშქრებას უნდა აპირებდეს. ბატონიშვილები ლეონი და გიორგი იხმო. მერე თქვენც დაგიბარათ. მეტი არა ვიცი-რა, რადგან არავის არ ლებულობს. მდივანბეგები ეახლენ, მაგრამ ისინი დარეჯანთან წარგზავნა. მეც, აი, კართან დგომა მიბრძანა დერეფანში. შებრძანდი, ბატონო დავით,—თვალით ანიშნა კარზე სოლომონმა,—ბატონი მოუთმენლად გელოდება. რამდენჯერმე გიკითხა.

შეაღო თუ არა კარი დავითმა, ერეკლემ არც კი აცალა მისალმება და მაშინვე შემდეგი სიტყვებით შეეგება:

— ბატონო დავით, ბგონი, ქორწილის ნაცვლად ხატაველთა წინააღმდეგ ბოგიხდეს ლაშქრობა. რაც ახლა მისმა უწმინდესობამ მოგვახსენა, ისეთი რამ არის, რომ, თუ ახლავე ხმალი არ აღვმართეთ, შემდეგ, ვაი, თუ გვიან იქნეს. ლაშქარი უნდა დავიბაროთ.

დავითმა მშვიდად მოუსმინა ერეკლეს, შემდეგ კათალიკოსთან მივიდა, ხელზე ეამბორა, ბატონიშვილებს თავის დაკვრით მიესალმა და ისევ ერეკლეს მოუბრუნდა:

— თქვენო უმაღლესობავ, რუსეთის ელჩი ბატონი ანტონ მოურავოვი გეხოვთ მიიღოთ. ხომ არ ინებებთ მის ნახვას?

— სთხოვეთ მოვიდეს. მე მასთან დასამალი არა მაქვს-რა!—ერეკლე ზარს მისწვდა, დარეკა და კარებში შემოჭყეტილ სოლომონ ლეონიძეს უბრძანა: — ანტონ მოურავოვი მიხმეთ!

— სასტუმრო დარბაზში იცდის!—მიაძახა დავითმა წასასვლელად გამზადებულ სოლომონს.

სანამ მოურავოვი მოვიდოდა, კათალიკოსმა დავითს ჯერ მომავალი ბედნიერება და ბატონთან დასიძება მიულოცა, შემდეგ კი დაწვრილებით უამბო, რაც ჯარისკაცებისაგან გაეგო. ეს რაზმი ტოტლებენს გორიდან, რომელიღაც სოფლის დასარბევად გაეგზავნა, რადგან ამ სოფელს უარი განეცხადებინა გორში გამოცხადებულიყო, რუსეთის იმპერატრიცის ქვეშევრდომობაზე ფიცის მისაღებად. სოფლელები ჯარისკაცებს ხატჯვრებით შეგებებოდნენ და ეთხოვათ ტყუილუბრალოდ სისხლს ნუ დაგვაღვრევინებთ და აქედან მშვიდობიანად გაგვეცალეთო. იმათაც თურმე ახსენეს ღმერთი და პირდაპირ ტფილისისაკენ გამოემართნენ, ისევ საქართველოს მეფეს ვემსახუროთ, ის გვიჯობს, ვიდრე ჩვენი გენერლის ბრძანებით უდანაშაულო ქრისტიანენი ვაწიოკოთო.

სანამ კათალიკოსი ამბავს დაამთავრებდა, მოურავოვიც მოვიდა და, როდესაც მანაც დაწვრილებით გაიგო ყოველივე, მაშინვე მოახსენა მეფეს:

— დიდი შეშფოთების საბაბს მე ვერა ვხედავ, თქვენო უმაღლესობავ. ვამოქცეულ ჯარისკაცთ განა ყოველივე დაეჯერება? რუსის ჯარში სამსახური ძალზე მძიმეა. ალბათ ამ ჯარისკაცებს სასჯელი რამ მოელოდათ ცუდი სამსახურის გამო და გამოიქცნენ, რადგან თავი ქრისტიან სამეფოში დაიგულეს. ხოლო თქვენი გულისმოსაგებად განგებ აზვიადებენ ტოტლებენის

მოქმედებას. ეს ჭორიც იმისათვის გამოიგონეს; რათა თქვენი წყალობის და მფარველობის ღირსნი გახდნენ.

— საყდრის კარი ღია იყო, ძაღლს ნამუსი არა ჰქონდაო,—შეაწყვეტინა უცბად დავითმა მოურავოს და მაშინვე ცხარედ განაგრძო,—რასაც ტოტლებენი მოქმედებს, ჭორი რომ არ არის, ეს ცხადზე უცხადესია. [illegible] მაგრამ ასეთი თავხედობის ატანა უკვე შეუძლებელია. სანამ ის ძაღლი საკურთხეველს შეგვიბილწავდეს, უმჯობესია ბოლო მოვუღოთ. თორემ ეს რასა ჰგავს! ხალხის თვალში ჩვენ არარანი ვიქნებით, თუ ხმა არ აღვიმაღლეთ და დროზე ხმალიც არ აღვმართეთ. თუ კი ბედითგან სიკვდილი გვიწერია, ასეთ ნაზრახ სიცოცხლეს ისევ სიკვდილი გვიჯობს. ნება მომეცით ტოტლებენთან მე გვახლოთ. მცირე ამალას წავიყვან, რომ არა იფიქროს რა. ერთი ვნახო ჩემთან როგორ ჰანგზე იმღერებს. დასაფარავი არა გვაქვს რა და აქვე მოგახსენებთ, რასაც ვეტყვი. ქარაგმულად მასთან საუბარი არ გამოდგება. ჯერ ერთი, თავიდანვე განვუცხადებ, რომ დაუყოვნებლივ ჩემი თანდასწრებით დასწეროს ხელწერილი და აღგვითქვას სრული მორჩილება. ბოდიში მოიხადოს, რაც დანაშაული ჩაუდენია ჩვენი სამეფოს მიმართ, გააუქმოს ყოველივე თავისი ბრძანებანი და პატიებისათვის ეახლოს ბატონს ერეკლეს. თუ ყოველივე ამაზე უარი განაცხადა, მაშინ არავინ დამზრახოთ, თუ ყმასა ფეხთა მოვეკიდო, თავი სვეტსა შევუტაკო. სხვა გზა არ არის და ნურც იმით დავაიმედებთ ჩვენს თავს, რომ მგელს ტკბილი სიტყვით მოვაშინაურებთ.

— ეგ მართალი სიტყვაა,—წამოიძახა გიორგიმ, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა სავარძელში და თითქო თვლემდა,—მგელს ტკბილი სიტყვით მართლა ვერ მოვაშინაურებთ.

მოურავოვი გაფითრებული უსმენდა დავითს. მას უცბად წარმოუდგა თვალწინ მთელი ის უბედურება, რაც არა თუ მარტო მას, არამედ მთელს საქართველოს დაატყდებოდა, დავითს რომ მართლა სისრულეში მოეყვანა თავისი მუქარა. ამიტომ, იმის შიშით, რომ მეფეს სარდლისათვის დასტური არ მიეცა, მაშინვე ითხოვა სიტყვის ნება, მაგრამ ერეკლემ თითონ დაასწრო და დავითს განუმარტა მისი განზრახვის უსაფუძვლობა.

— ეგ არ შეიძლება, სარდალო!—სთქვა ერეკლემ და მძიმედ ამოიოხრა,—ტოტლებენი ფიცხი კაცია და თუ მას, ჩვენი არც ხათრი აქვს, არც მორიდება, თქვენს სიტყვას უმეტესად არ ირწმუნებს. თქვენც ფიცხი ბრძანდებით და უეჭველია ტოტლებენი მართლა შემოგაკვდებათ. ეგ კი იმას ნიშნავს, რომ თქვენც ტყუილუბრალოდ თავს წაიხდენთ. მართლა-და ტარიელის დრო ხომ არ არის, რომ ხმლისა და აბჯრის იმედით უვნებლად გამოვლოთ რუსთა ბანაკი, თუნდაც მკლავი მართლაც ტარიელისა გქონდეთ. ტყვიით დაგცხრილავენ...

— განა, მეფევ, ისეთი უღირსი ვარ, რომ არ შეიძლება შევკადრო ჩემი თავი მსხვერპლად სამშობლოს?—რაღაც საოცარი გულისტკივილით წამოიძახა დავითმა.

ერეკლემ გაიღიმა.

— არა, მაგისათვის არ მოგახსენებ, შვილო ჩემო. მსხვერპლი მაშინ არის კარგი, როდესაც შედეგი საბოლოო იქნება და სარწმუნო. ჩვენ კი ერთი მურტალი ადამიანის გულისათვის მთელი სამეფო მტრად მოგვეკიდება. რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომლის საფარველს ქვეშ იქნებ სული მაინც მოვითქვათ და ჩვენი დაქცეული ქვეყანა ხელახლა აღვაშენოთ. სხვა რამ

უნდა მოვიფიქროთ. სინდეთს მემახურენი ლომბებს ხუნდით იქერეს, ასეთ პატარა ტურას სარეგვავიც რომ დავუგოთ, საკმაო იქნება. ვთხოვოთ ლენერალს მუხრანს მობრძანდეს ბანაკად თავისი ლაშქრით. შემდეგ ვაცნობებ, რომ მე იმპერატრიცის ერთგულების ფიცი მინდა მივიღო სარწმუნოებაზე დავიბარებ. დანარჩომისა ნუ გეფიქრებათ. ლაგამით მგელსაც კი მუხს ჯვუაზე ატარებ, თუ კი ამოსდებ და დაიმორჩილებ. ისე ტოტლებენის დატყვევებით ან თუნდაც მოკვლით ვერც რაიმეს გავხდებით და იმპერატრიცასაც განვარისხებთ.

მთელი ამ საუბრის განმავლობაში ლეონი ფანჯარასთან იდგა და ფიქრებში წასული დასცქეროდა სასახლის მოედანს. ის არ იზიარებდა მამის აზრს და მთლიანად დავითის მხარეზე იყო. მას აუცილებლად მიაჩნდა ტოტლებენის ან დატუსაღება ან მოკვლა და რუსის ჯარის გადმობირება. იმპერატრიცა პირველად შეიძლება კიდევაც განრისხდებოდა, მაგრამ ამის გამო საქართველოს ომს ვერ დაუწყებდა და შემდეგში მადლობელიც კი იქნებოდა, თუ განდგომილ ჯარს უკან დაუბრუნებდნენ. ხოლო ტოტლებენის საქმეს თუ საფუძვლიანად გამოიკვლევდა, მაშინ ხომ სავსებით დარწმუნდებოდა ქართველთა სიმართლეში. ლეონი მხოლოდ არ იზიარებდა დავითის სურვილს პირადად გამგზავრებულიყო ტოტლებენთან. ასეთი მსხვერპლი ლეონსაც უაზრობად მიაჩნდა.

თათბირი კარგახანს გაგრძელდა. დავითი მაინც თავისას არ იშლიდა და ურჩევდა მეფეს სწრაფსა და გაბედულ მოქმედებას. მოურავოვი შიშმა შეიპყრო—დავითმა მართლა არ გადაიბიროს ბატონიო—და მთლიანად ერეკლეს მხარეზე იყო. გიორგი საუბარში არ ერეოდა, რადგან თავში მას სულ სხვაგვარი აზრები უტრიალებდა. მას ვერ გაერკვია, რა უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის, ტოტლებენის გამარჯვება თუ დამარცხება. პირველად აზრმა გაუელვა: ტოტლებენი თუ გაიმარჯვებდა და ერეკლეს გადააყენებდა. საქართველოში მის მაგივრად მეფე ხომ უნდა დაესვათ? გიორგის იქით გზა არ ეჭნებოდათ. ეს აზრი წინა დღით მას, რატომღაც, მოურავოვის საელჩოს მდივანმა ბეჟან ეგუტოვმა მოახსენა საიდუმლოდ, თანაც დასძინა: შიში ნურაფრის გექნებათ, რადგან ბატონს იმპერატრიცა თავისთან დაიბარებს და პირველ მინისტრობას უბოძებსო, თქვენ კი, რახან რუსეთის მორჩილებას აღიარებთ, მაშინვე მეფედ დაგსვამენ და იცხოვრეთ თქვენთვის მშვიდადო.

გიორგის, ცხადია, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ რუსეთის საელჩოში კარგად იცოდნენ, თუ როგორ აარიდა მან თავი ასპინძასთან მომხდარ ბრძოლას და მამამისს არ მეშველა. არც ის იცოდა, რომ ბებრუხანა ვასილ პეტროვიჩ ლვოვმა ბეჟან ეგუტოვი განგებ მიუგზავნა მას და კბილი მოუსინჯა. ამიტომ ყველაფერი ეს გულუბრყვილოდ დაიჯერა და ეგუტოვს უთხრა, თუ ეგ აგრე მოხდება, კიდევ შეურიგდება ბედს ადამიანი, მაგრამ, ვაი, თუ უარესი მოგველის და საქართველოში ვახტანგის მემკვიდრეები გაამეფონო. მართალია, ეგუტოვმა ათასი ფიცით დაარწმუნა გიორგი, თუ რაიმე მოხდა, სწორედ ისე აღსრულდება, როგორც მე მოგახსენებთო, მაგრამ ეჭვი საბოლოოდ მაინც ვერ განუფანტა, რადგან, როდესაც ჰკითხა ეგუტოვს, მოურავოვიც მაგ აზრისაა თუ არაო, ეგუტოვმა ხმის კანკალით მოახსენა, მოურავოვთან არა წამოგცდეთ რა, რადგან ის ბატონის ერთგულია, პირიქით ცდილობს იმპერატრიცის განზრახვებს ხელი შეუშალოს, არცერთ ჩვენგანს არ დაგვინდობს და ყოველივეს გაამჟღავნებსო.

„თქვენს შესახებ იმასაც კი ამბობსო,—დასძინა ეგუტოვმა,—რომ გიორგი ბატონიშვილის ასპინძასთან ჩადენილ ვერაგობას მამამისს მოვახსენებ და მერე ვნახოთ, რა დღესაც დააყრის ერეკლე თავის ვაჟსაო“.

ამ ამბებმა გიორგის სულ აუბნია დავთარი. პირველად ისე ეცადა გაამსჭვალა მოურავოვისადმი სიძულვილით, მაგრამ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ეჭვი შეეპარა, განგებ ხომ არ უნდოდათ მისი გადამტერება მეფის ერთგულ ელჩისადმი, თორემ რა უშლიდა ხელს მოურავოვს აქამდე აემხედრებინა ბატონი უფროსი შვილის წინააღმდეგ. გიორგისათვის ახლა ცხადი იყო, რომ რუსეთის საელჩოში ყველაფერი რიგზე არ იყო და საელჩოს მოხელენი სამსახურში დაწინაურების მიზნით ერთმანეთს ხრიკებს უწყობდნენ. მართალია, ტოტლებენი მეტად გაბედულად მოქმედებდა და მისი მომხრენიც თავს არ იზოგავდნენ, მაგრამ ერეკლესთან შეიძლება ვერა გაეწყოთ რა და მაშინ ეგუტოვისთანა ადამიანებზე დანდობა არ შეიძლებოდა. ხელად შეიცვლიდნენ გეზს და გიორგის შეიძლება თავიც კი წაეგო. ამიტომ ამ არეულ ამბებს თავი ვერ მოუნახა და საუბრის დროს ხან დავით სარდალს ეთანხმებოდა, ხან მამამისს, ხან მოურავოვს. ერეკლემ რამდენჯერმე გაიცებითაც კი გადახედა თავის უფროს ვაჟს,—ეს რას მიჰქარავსო.

თათბირი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როდესაც ლეონმა უცბად დაძაბული ყურადღებით გაიხედა ფანჯარაში და შემდეგ აღტაცებით წამოიძახა:

— ბესიკი მოვიდა, თან რუსის აფიცრები ახლავს.

ყველანი წამოიშალნენ და ფანჯარასთან მივიდნენ. მხოლოდ კათალიკოსი არ ამდგარა და ადგილიდან იკითხა:

— რა მოხდა? ვინ მოვიდა?

— მადლობა უფალს. ახლა უკვე დარდი არაფრისა მაქვს,—წამოიძახა შვებით ერეკლემ და ისევ თავის სავარძელს დაუბრუნდა,—რატიევი მოვიდა, თქვენო უწმინდესობავ! რუსის ჯარი მოიყვანა. შვილო, ლეონ,—მიუბრუნდა ერეკლე თავის ვაჟს,—წადი, მიეგებე და სატახტო დარბაზში მიიღე. მეც და კათალიკოსიც იქ გეახლებით.

ლეონი მაშინვე გაიჭრა ოთახიდან, კიბეები სწრაფად ჩაირბინა და გზადაგზა ეჯიბებს განკარგულება მისცა სასახლის დიდებულები სატახტო დარბაზში მოეგროვებინაო, თითონ კი მორიგე მინბაშები იახლა და ახლადმოსულებს მოედანზე შეეგება. ისინი უკვე ჩამომხტარიყვნენ ცხენებიდან და ნამგზავრ ტანსაცმელის სწორება-ბერტყვაში იყვნენ გართულნი. ლეონის დანახვისთანავე ყველანი უცბად გასწორდნენ. რატიევმა სწრაფად წამოიძახა:

— სმირნაა გასპადა აფიცერი!..—დეზების ჩხრიალით და მტკიცე ნაბიჯებით დაწინაურდა, ლეონის წინ ფეხი ფეხს მიადგა და ბატონიშვილს პატაკი ქართულად მოახსენა:—თქვენო უმაღლესობავ, პოდპოლკოვნიკი რატიევი მოგახსენებთ. ბრძანებისამებრ საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა გამოვცხადდი თბილისში ხუთასი ჰუსარის თანხლებით. გარდა ამისა თან მახლავს პოდპოლკოვნიკი თავადი ჩოგლოკოვი და პორუჩიკი დეგრალიე, რომელთაც ჰსურთ ბატონ მეფეს ერთგულება შეჰფიცონ.

რატიევმა პატაკი დაამთავრა და სარიგით გაჭიმული უცდიდა ლეონის ბრძანებას. ამ თავისებურმა ცერემონიამ ლეონი დააბნია. მას, მართალია, რამდენჯერმე ნახული ჰქონდა რუსეთის ჯარში დადგენილი უფროსებთან

შეგებების წესები, მაგრამ ახლა იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის მოედანზე გაჩიმულ ოფიცერთა გარინდება და რატიევის მიერ სხვაგვარად წარმოთქმული პატაკი, რომ აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, თავის შეურხევლად იქით-აქეთ თვალი მოავლო, დაინახა, რომ ბესიკი ლიმილით რაღაცას ანიშნებდა. ვერ მიხვდა. ისევ რატიევმა იხსნა მდგომარეობიდან.

— მიბრძანეთ: თავისუფლად.

— თავისუფლად!—ამოიღო როგორც იქნა ხმა ლეონმა და, როდესაც რატიევმა სიტყვა თავის ოფიცრებს რუსულად გაუმეორა, ლეონი მივიდა და ყოველ მათგანს სათითაოდ გადაეხვია.

ბესიკი მხარზე ეამბორა ბატონიშვილს. ლეონმა სტუმრები სასახლეში მიიწვია და გზადაგზა ბესიკს გამოჰკითხა: ასე ჩქარა როგორ იარეთ, ჩვენ გვეგონა ორი დღე კიდევ დაგაგვიანდებოდათო...

— თიანეთზე გამოველით,—უპასუხა ბესიკმა,—დღედაღამე მოვდიოდით. დავხოცეთ ცხენები და ჩვენც ჩვენი დაგვემართა. მუხლები თითქო ჩაჟანგული მქონდეს, გაშლა აღარ შემიძლიან. ქორწილი ჯერ ხომ არ გადაგიხდიათ? დარდით აღარ ვიყავ, ვაი თუ ვერ მივუსწრო-მეთქი.

— ბედი გქონია. ამაღამ იქნება ჯვარისწერა. ლხინს მოვასწრებთ, ოღონდ ეს ტოტლებენი როგორმე მოვთოკოთ და...

— ტოტლებენიო, ჰმ!—ჩაიცინა ბესიკმა და ცალი თვალით რუს ოფიცრებზე ანიშნა.—ჯერ დაიცა და მალე ბევრ რამეს გაიგებ. ესენი მალე ანდერძს აუგებენ.

*

* *

ქორწილი რაღაც არეულდარეული გამოვიდა. უნებურად დაირღვა ის საზეიმო განწყობილება, რომელიც ყოველთვის გამოწვეული იყო ხოლმე ნეფის მობრძანების მოლოდინით, მახარობლის მოსვლით, მაყრიონის ყიჟინით, დაფა-ზურნით და საერთო მხიარულებით. დავითის მაყრებს იმის ნაცვლად, რომ ნეფე სასახლეში მიეცილებინათ, ლოდინით გული გაუწყალდათ, რადგან არ იცოდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. დავითი ბატონთან იმყოფებოდა და, როგორც ჩანდა, აღარც კი აპირებდა თავის სასახლეში დაბრუნებას, ხოლო უნეფოდ ხომ არ გაუდგებოდნენ გზას მაყრები ერეკლეს სასახლისაკენ, რას ეგვანებოდა, რომ მაყრებს მახარობელი გაეგზავნათ სასახლეში? რა უნდა ეხარებინათ, ნეფე თქვენთან ბრძანდება და ჩვენი მოსვლა გიხაროდეთო?!

ერეკლესაც თითქო დაავიწყდა, რომ მის სასახლეში ქორწილი მზადდებოდა, მან დავითი და ლეონი რატიევის ჰუსარების დასათვალიერებლად გაგზავნა და მათი მოვლა-პატრონობა დაავალა. თითონ კი ჯერ სპარსეთის ელჩს ეთათბირა და შემდეგ აღაიბრეიმი დაიბარა, რომელმაც რამდენჯერმე შემოუთვალა მეფეს, მიმიღეო.

სოვდაგარი მეფესთან მარტოდმარტო ჩაიკეტა და თავისი გაჭირვება მოახსენა. მას ამ ორი წლის განმავლობაში ექვსასი ათასი შულო აბრეშუმი, ათასი საპალნე ყაჭი და ათასხუთასი საპალნე ენდრო დაგროვებოდა, რომელიც თურქეთში უნდა გაეზიდა. ენდროს სმირნაში გაყიდდა, ხოლო აბრეშუმს ლიონში ჩაიტანდა. ახლა თურქებთან ომის გამო გზა გადაკეტილი ჰქონდა და საქონლის მეტხანს გაჩერებაც შეუძლებელი იყო. ჯერ ფიქ-

რობდა აბრეშუმი რუსეთის გზით წაეღო, მაგრამ ახლა საქმე რუსებთანაც უარესად აირია და მთელი საქონელი შეიძლება სულ დალუპვოდა. ან რუსები ჩამოართმევდნენ, ან მთიელები დაესხმოდნენ თავს და სულ გასძარცვავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაიბრეიმი ურჩევდა მეფეს ზურგი შეექცია რუსებისთვის, თურქეთს მორიგებოდა და შუამავლობას თითონ კისრულობდა:

— მე თვით ვეახლები ხონთქარს, თქვენო უმაღლესობავ, ყოველივეს ისე მოვახსენებ და განვუმარტავ, რომ შეიძლება ახალციხის საფაშო თითონ გიბოძოთ, არა თუ აქეთ შეგედაოთ რამეზე. ხონთქარმა რომ ის გაიგოს, ერეკლე ბატონს რუსებს ომს უპირებსო, სიხარულით მგონი გონებაც კი დაჰკარგოს. ამაზე უკეთეს დროს ხონთქართან მოსარიგებლად ჩვენ ვერც კი ვიშოვით. ეგ ნუ გადარდებთ, მეფევ, რომ ხონთქარს ასპინძასთან ჯარი დაუმარცხეთ. ამ საქმეში ისინი თითონაც არ არიან სუფთად და გულმოსასვლელი თქვენ უფრო გაქვთ, ვიდრე იმათ. კრინტსაც კი არ დასძრავენ ამაზე. პირიქით, უხვი საჩუქრებით აგავსებენ და, თუ სუფხავ-ხანისთვის თქვენს საწინააღმდეგოდ ოციათასი თუმანი არ ენანებოდათ, ახლა თქვენი გულის მოსაგებათ ასიათას თუმანსაც არ დაიშურებენ.

— მაშ შენ მალე აპირებ გამგზავრებას?—ჰკითხა ფიქრებში წასულმა ერეკლემ.

— თუ თქვენ ნებას მომცემთ, ერთ თვეში მზად ვიქნები. თანაც თქვენი ათასი აქლემი უნდა მომაქირაოთ, ჩემი თეთრის სარგებლის ანგარიშში გამოგიბრით. დანარჩენ აქლემებს ვიშოვი. ზოგი მე მყავს, ზოგსაც განჯიდან მოვიყვანენ.

— ახალციხეზე ვერ წახვალ.

— აზრუმს გეახლებით, ლორე ბამბაკის გზით. აზრუმის ფაშა ჩემი დიდი მეგობარია. მე აქ ხმას გავავრცელებ, ვითომ სპარსეთს მივდივარ ქერიმხანთან შირაზს. მართალი რომ თქვას კაცმა, იმ გზითაც შემეძლო წასვლა. იქედან ბაღდადს ჩავიდოდი. ენდრო იქ უფრო ძვირად ფასობს, მაგრამ აზრუმზე მირჩევნიან. პირდაპირ სმირნაში ჩავალ აზრუმიდან და, სანამ ენდროს გავასაღებ, სტამბოლსაც მოვიცლი. ხომალდი სმირნაში იქნებ ვერც ვიშოვო და ამისათვის მაინც სტამბოლს დამჭირდეს გამგზავრება.

— არა, ისევ სპარსეთზე გიჯობს წასვლა,—ურჩია ერეკლემ,—თორემ აქ სომეხი ვაჭრები გაიგებენ და მაშინვე რუსებთან დაგვაბეზღებენ. ქერიმხანთან ჩემს ელჩს გაგაყოლებ. ყაენი თავის ფირმანს გიბოძებს და თურქეთში ირანელ სოვდაგრად გაემგზავრები. მართალია ორ თვეზე ადრე შენ სტამბოლამდე ვერ მიაღწევ და ვგონებ სამი თვეც დაგჭირდეს, მაგრამ ჩემთვის ახლა შეუძლებელია შენი, პირდაპირ თურქეთში გაშვება.

ერეკლე, ცხადია, სრულიადაც არ ფიქრობდა თურქებთან მეგობრული კავშირის გაბმას, მაგრამ ამ გართულებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო თურქების სამხედრო მოქმედების შენელება საქართველოს წინააღმდეგ. ამიტომ, მართლაც, ალაიბრეიმს შეიძლება უდიდესი სამსახური გაეწია ერეკლესათვის და, სანამ ხონთქარი საქართველოს მეფესთან თავისი ელჩების საშუალებით მოლაპარაკებას დაიწყებდა, მანამდე იმპერატრიცის პასუხიც მოვიდოდა, ამ უგვანო გენერალსაც გაარიდებდნენ და რუსეთთან წესიერი ურთიერთობა დამყარ-

დებოდა. ამგვარად ალაიბრეიმის შემწეობით ერეკლე დროს მოიგებდა და შემდეგ თურქებს უკვე სხვაგვარად დაუწყებდა საუბარს.

— განა თქვენთვისაც უკეთესი არ არის, რაც უფრო ადრე ჩავალ სტამბოლს?—ჰკითხა ალაიბრეიმმა ერეკლეს,—სანამ ხელახლა გამოიღვიძებენ ჩვენს წინააღმდეგ, მგონია მანამდე ჯობდეს მოლაპარაკება.

— არა, ამ ცხელ გულზე შეიძლება ახლოსაც არ გაგიკარონ. ჩვენს წინააღმდეგ ლაშქრობას კი ისინი შემოდგომამდე ვერ შეიძლებენ, ისიც მხოლოდ მაშინ თუ ბალკანეთზე საქმე კარგად წაუვიდათ. იქ კი მათ რუსეთის ღენერალ-ფელდმარშალი გრაფი რუმიანცევი ცხელ დღეს აყრის.

— მაშ, ისევ ისპაჰანით მირჩევთ გამგზავრებას?

— აგრე აჯობებს. შორის გზით მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო, ხომ გაგიგონია? მერე და, განა აბრეშუმი ისპაჰანში ან შირაზში უფრო არ გაიყიდება?

— რასა ბრძანებთ?!—ჩაიცინა ალამ,—ისპაჰანში იმის მესამედსაც ვერ ავიღებ, რასაც ლიონში მომცემენ.

— ამდენი ქვეყნები უნდა გავლო და ბაქს როგორ აუდიხარ?

— რას იზამ, მეფეო, ვაჭრობა ისეთი საქმეა, რომ ყველაფერს უნდა გაუძლო, ბაქსაც, ავაზაკებსაც, მეკობრეებსაც. რაღა თქვენი ომები და რაღა ჩვენი ვაჭრობა.

— მაშ ასე, ჩემო იბრეიმ. როდესაც მოემზადო, კიდევ ერთხელ მოვითათბიროთ. ჩემს დესპანს მეც ყოველივეს განვუმზადებ და ღმერთი იყოს თქვენი შეჰწე, მშვიდობით მგზავრობას გისურვებთ. ხვალ ჩემი ასულის თამარის ქორწილში მესტუმრე.

— ხვალ? — გაოცდა ალა,—განა ხვალისთვის გადადევით ქორწინება?

— დაიცა, დაიცა,—შემოიკრა შუბლზე ხელი ერეკლემ.—დღეს ხომ პირველი მაისია? ღმერთო დიდებულო, ისე ჩავიფალ საქმეებში, რომ სულ გადამავიწყდა ყველაფერი. ჩემი სიძებატონი კი საქმეზე გავგზავნე. ახლა რომელი საათია?—შეხედა დიდ კედლის საათს ერეკლემ.—უკვე რვა სრულდება. კიდევ კარგი, მომაგონე. ჰეი, ეჯიბო!..

ოთახში მაშინვე შემოვიდა სოლომონ ლეონიძე და მეფის ბრძანების მოლოდინში კარებთან გაირინდა. ალა გამოეთხოვა მეფეს, ხოლო ერეკლემ სოლომონს დაავალა ეჯიბი და ფარეშები ეხმო, ჰკითხა ქორწილისათვის ხომ ყველაფერი მზად არისო.

— ყოველივე მზად არის, მეფევ! — უპასუხა სოლომონმა.

— დავითი სად ბრძანდება?

— არა ვიცი-რა, თქვენო უმაღლესობავ. ლეონთან ერთად წავიდა და რუსი ოფიცრები წაიყვანა სადღაც.

— ჰო, ვიცი! ერთი შენს დღეგრძელობას, წადი ახლავე, უთხარ საქმეებს თავი ანებოს. შინიდან მაყრიონით მობრძანდეს, თუ ჯერ შინ არ მოსულა, ჰავლაბრის ბოლოს იქნება, მინდორზე. რუსის ჯარი იქ ბანაკობს. რუსის ოფიცრები ქორწილში მოიწვიე. ეზოს მოძღვარს უბრძანე, რუსის ჯარს ათი ძროხა დაუკლან და რაც შეიძლება პატივი სცენ. ავჩქარდეთ, ნუღარ დავაყოვნებთ. მართლა, ბესიკი სად წავიდა?—შეაჩერა წასასვლელად გამზადებული სოლომონი ერეკლემ.—ჩვენთვის მგზავრობის ამბები უნდა მოეხსენებინა. მომიძებნე და ჩემთან გამოგზავნე.

სოლომონი წავიდა, ხოლო ერეკლე ოთახში აფუსფუსდა. საშინაო ხალა-

თი და ქოშები გაიძრო, სტავრის საზეიმო ხალათი და ლურჯი მაშიები ჩაიცვა და დედოფლის პალატებისკენ გაემართა. დერეფანში წამოწეულ მჯიბს უბრძანა ქალაქში ჩირაღდნები აენთოთ და საყდრებში ზარების რეკვით ეცნობებინათ ყველასათვის ქორწინების ზეიმის დასაწყისი.

მთელი სასახლე უცბად ამოძრავდა. ყველამ შვებით ამოისუნთქა. ბევრს უკვე ეშვიც კი ეპარებოდა, რომ ქორწინება შესდგებოდა. მნათეებმა სასახლის კანდელები და ლამპრები აანთეს, დარბაზებში ამოძრავდნენ მდიდრულად მორთული სეფექალები და დიდებულები, სანადიმო დარბაზის ქანდარაზე მესაკრავეებმა მომხიბვლელი საამო ჰანგები დაუკრეს, ჯერ ათი საათიც არ იქნებოდა შესრულებული, რომ მოედანზე დამბაჩამ დაიქუხა, ნეფე მობრძანდებაო,—დაიძახა მახარობელმა.

გოგია ფატრელმა მას ატენურით სავსე თასი მიაგება. მახარობელმა დასცალა და ადათის მიხედვით სცადა თასი წაერთმია, მაგრამ მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა თითონ გოგია ფატრელის გატაცება, ვიდრე თასის წართმევა, მკლავიც კი ვერ მოუხარა.

მალე ნეფეც მობრძანდა თავის მაყრიონით. ზურნის გამყივანი ხმები, დოლის ბაგაბუგი, დამბაჩების გრიალი, სულ ერთმანეთში აირია.

ნეფეს მდადე შეეგება, გადაეხვია და ფრანგულ დარბაზისკენ წაუძღვა, სადაც მას პირბადე ჩამოფარებული თეთრებში მორთული საცოლე ელოდებოდა.

ყველაფერი თითქოს ისევ წესრიგის მიხედვით მიმდინარეობდა, დარბაზები სტუმრებით იყო სავსე, მხიარულებასაც თავისი ელფერი ჰქონდა, მაგრამ მალე ისევ იქცია ამ ბუნებრივმა მდინარებამ მხარი. ბატონს თითონ უნდა დაელოცა მექორწილენი, აელო თამარის ხელი და შთაედვა დავითის ხელსა შინა ცალმუხლზე დაჩოქილს.

ბატონმა კი კვლავ დააგვიანა გამობრძანება.

წესი იყო: ამ წუთებში თვით რძალი და ყოველნი მანდილოსანნი ისე მდუმარედ, წყნარი ყოფაქცევით და კრძალვით უნდა მსხდარიყვნენ, რომ როგორც იტყოდნენ, საყურენიც კი არ უნდა დაეძრათ.

ასეთი საზეიმო მდუმარება სუფევდა დარბაზში, როდესაც ანამ დავითი მიიყვანა თამართან და მის გვერდით დასვა. თავის შეურხევლად, ყველამ უნებურად დაიწყო ცქერა იმ კარისაკენ, საიდანაც მეფე ერეკლე უნდა შემობრძანებულიყო. ლოდინი კარგახანს დაჭირდათ, მაგრამ ვერცერთი ვერ ბედავდა არა თუ ხმის ამოღებას, არამედ ოდნავ შერხევასაც კი.

დარეჯანიც კი მდუმარედ იჯდა თამარის გვერდით და ძოთმინებით გასცქეროდა კარებს. მხოლოდ ერთხელ ოდნავ ცალი თვალის მოუტეტვით ანიშნა ფარეშთუხუცესს, მოეგონებინა ერეკლესათვის დარბაზში შემობრძანება. ფარეშთუხუცესმა გაკვირვებით აიწურა მხრები და მაშინვე მიიმალა.

ერეკლეს დაგვიანება კი მუხრანიდან მოვარდნილმა შიკრიკმა გამოიწვია, რომელმაც მეფეს საოცარი ამბები მოახსენა. ტოტლებენი დუშეთს მისულიყო, არაგვის ერისთავის კარმიდამო აეწიოკებინა, ციხიდან ზარბაზნები მოეხსნა. მერე მუხრანისკენ რაზმი გამოეშვა, რომელსაც წილკნის ტაძარი სრულიად გაეძარცვა და ჯარისკაცებს, რაც კი რამ ძვირფასი იყო: ოქროვერცხლის ხატები, შანდლები, თვით ბარძიმფეშხუმიც კი წაეღოთ.

არაგვის ერისთავს თიანეთში შეეფარებინა თავი და ბატონს უთვლიდა, ნება მიბრძანეთ ლაშქარი შევკრიბო და თბილისს გვახლორ.

ახლა უკვე ცხადი ხდებოდა, დაყოვნება შეუძლებელი იყო და ერეკლეს სწრაფად უნდა ემოქმედნა. თავისი თავხედური მოქმედებებით გათამამებულ ტოტლებენს შეეძლო მოულოდნელად დასხმოდა თავს თბილისს და მაშინ უკვე გვიან იქნებოდა.

ერეკლემ წარბშეჭმუხვნით მოისმინა ყოველივე, შიკრიკი დაუთვალიერა და რამ თითონ ფიქრებში წასული კარგახანს იჯდა სავარძელში გარინდული, სანამ ფარეშთუხუცესი არ ეახლა და მოახსენა, რომ დარბაზში ელოდებოდნენ. მაშინ ის სწრაფად წამოიჭრა ზეზე, მიმოიხედა და ასევე სწრაფად გაემართა ფრანგული დარბაზისაკენ. გზადაგზა მას დერეფანში მოძლოდინე მდივნები აედევნენ, რომელნიც მოწიწებით მიაცილებდნენ მეფეს.

ყველამ შვებით ამოისუნთქა, როგორც კი ერეკლე დარბაზში შებრძანდა და პირდაპირ გაემართა ნეფედედოფლისაკენ. მან დავითისა და თამარის ხელები შეაერთა, შემდეგ ცოტა უკან დაიწია, ოდნავ მაღლა აიხედა, თითქოს ჰსურდა უკეთ შეერჩია სიტყვები და ისე დაეწყო მიმართვა. სახეზე ეტყობოდა რომ სულ სხვაზე ფიქრობდა და ლაპარაკი უჭირდა.

— ამიერიდან ვაუწყებ ძირთა და მოდგმათა ქართველთა თავადთა, აზნაურთა, გლეხთა და ყოველთა საეროთა, რომელთა ბფარვიდეს ლოცვა და ვედრება, მისი უწმინდესობის კათალიკოს-პატრიარქისა და ყოვლისა საშღვდელოსა ღმერთმსახურთა საქართველოს ეკლესიათა შინა, რამეთუ ჩვენის ნება-სურვილით შევაუღლეთ ასული ჩემი თამარი საქართველოს ლაშქრის სპასპეტ და სახლთუხუცესს...

დარბაზში მყოფნი ოდნავ შეირხენ. დიდებულებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. დავითის სახლთუხუცესად ხსენება მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ბევრი მათგანი ცდილობდა ამ უმაღლესი თანამდებობის მიღებას და ერეკლეს წინაშე თავს არ იზოგავდა. ხანში შესულ მდივანბეგებს განსაკუთრებით არ ესიამოვნათ ასე ახალგაზრდა სარდლის მათზე გაუფროსება, მაგრამ სახეზე არცერთს არ შეტყობია წყენა. ჰაბუა ორბელიანის გარდა, რომელიც ოდნავ მოიღუშა. დავითის მეგობრები კი, განსაკუთრებით ლეონი და ბესიკი სიხარულით ცასა სწვდნენ და ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

— ... სახლთუხუცესს დავით ორბელიანთან, — განაგრძობდა ერეკლე საოცრად მიჩუმებულ დარბაზში თავისი მომჯადოებელი ტკბილი ხმით, — ბედნიერ-ჰყოს უფალმან და მეუფემან დამბადებელმან ჩვენთა, ღმერთმა იესო ქრისტემ ქორწინება მათი. გვედრებ, შვილო ჩემო დავით, იყავ პატრონი და მფარველი ასულისა ჩვენისა, ვითარცა შეჰფერის რაინდობით, სიკეთით და განათლებით აღსავსესა გვარსა თქვენსა.

უკანასკნელი სიტყვები ისეთი ვედრებით და ისეთი გრძნობით წარმოსთქვა ერეკლემ, თითქოს მარტო თავის ქალიშვილის ბედს კი არა, არამედ მთელი საქართველოს ბედნიერებას აბარებდა დავითს. ქალებს ცრემლებიც კი მოერიათ. დავითი ადგა, მადლობა განუცხადა ბატონს. შემდეგ აღარ დამჯდარა და ყველანი ერეკლესა და დარეჯანის გარდა მაშინვე პირდაპირ გაემართნენ სიონისაკენ.

სასახლიდან სიონის ბჭეებამდე ნოხები იყო დაფენილი. ხოლო ნოხების ზემოდან, ნეფედედოფლისათვის, ვარდისფერი აბრეშუმის ფართო ბაფთა ეფინა. მთელი ქუჩა, სახლის ბანები და აივნები ისე იყო დახუნძული საზეიმოდ მორთული ხალხით, რომ შენობათა კედლებიც კი არა ჩანდა. დავითს

მარჯვენა ხელში ეპყრა თამარის წამოსასხამის მარჯვენა სახელო და ორივენი საოცარი წყნარი ნაბიჯით მიდიოდნენ ტაძრისაკენ. მათ ოდნავ მრშორებით მიაცილებდნენ, თამარის მდადი ანა და დავითის ეჯიბი ბესიკი. შემდეგ კი უფროს-უმცროსობის მიხედვით ჰისდევდნენ სეფექალები, მაყრები და სასახლის დიდებულები. მთელი ეს საზეიმოდ მორთული ბარჯა-ხეა აბრწყინდა ჩირაღდნების შუქზე, ისე აელვარდა მათი სტავრა-აბრეშუმის ტანსაცმელი და ძვირფასი თვლებით მოოქვილი უამრავი სამკაულები, რომ ჩოგლოკოვს, როჰელიც რუს ოფიცრებთან ერთად სიონის ბჭესთან ელოდეოდა მექორწინეთ, უნებურად აღმოხდა:

— Какая красота?!—ბევრი მინახავს მდიდრული ზეიმი ან ქორწინება, მაგრამ ამის მსგავსის ნახვა ჯერ არ მღირსებია.

მრავალხმიანი შეწყობილი მაყრული კიდევ უფრო აძლიერებდა შთაბეჭდილებას.

სიონში რუს ოფიცრებს საპატიო ადგილი დაუთმეს აღსავლის კარის მარჯვენა მხარეს იმ ადგილას, სადაც ოქროსგუმბათიანი სამეფო კვარცხლბეკი იდგა. ოფიცრებს განსაკუთრებით ჰსურდათ პატარძლის კარგად დანახვა, რომელსაც თუმცა ძალზე თხელი პირბადე ეფარა, მაგრამ მისი სახის ნაკვთების გარჩევა მაინც ძნელი იყო. მთლად თეთრებში მორთული თამარი ოდნავ თავდახრილი იდგა დავითის გვერდით და ძლივს სწვდებოდა მას მხრებამდე. ეს განსხვავება უნებურად სტოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს თამარი ხნოვანებითაც ასევე განსხვავდებოდა დავითისაგან და რუსმა ოფიცრებმა ერთმანეთსაც კი წაუჩურჩულეს, შეხედე, რა ახალგაზრდა ქალია? მთლად ბავშვი ყოფილა, ალბათ ცამეტ წელზე მეტის არც იქნებაო. მათ, რასაკვირველია, არ იცოდნენ, რომ თბილისში ოც წელს გადაცილებულ ქალს დაბერებულად სთვლიდნენ, ხოლო თამარს კი, ჰით უმეტესად, რადგან ის ამ ასაკს უკვე გადაშორებული იყო.

ქანდარიდან გაისმა მგალობელთა შეწყობილი ხმები და მთავარ-დიაკონმა თავისი ტკბილი და თანაც უცნაურად ძლიერი ბანით დაიწყო ქორწინების საიდუმლოების აღსრულება.

ჩოგლოკოვმა გაოცებით წასჩურჩულა რატიევს:

— სად არის მისი უმაღლესობა მეფე ერეკლე? რისთვის არ ესწრება ქორწინებას?

— მგონი წესად არ უნდა იყოს ჰმობლების დასწრება, — უპასუხა რატიევმა და მიმოიხედა, — ისინი სახლში უნდა შეეგებნენ ჯვარდაწერილებს.

— ჩადრი რატომღა აქვს პატარძალს? — თვალით ანიშნა ჩოგლოკოვმა თამარზე.

— ეგ ხომ ჩადრი არ არის! — გაიცინა რატიევმა, — პირბადეა.

— სულ აგრე ექნება?

— არა. ახდიან. მერე იცი როგორ? როდესაც სანადიმო სუფრაზე დავსხდებით, ნეფის ეჯიბი, აი ის, ჩვენ რომ გამოგვაცილა ანანურიდან...

— თავადი გაბაონი?..

— ჰო, ბესიკი, მივა პატარძალთან და ხმლით ახდის პირბადეს. დაიცა, შეხე, ნეფე-დედოფალს გვირგვინებს ადგამენ.

დავითს და თამარს თავზე ქართული გვირგვინები დაადგეს. ამ თავისებურ გვირგვინებს, რომელნიც მხოლოდ მოჩუქურთმებულ ოქროს რკალისაგან შეადგებოდნენ, ოთხ-ოთხი ფოჩი ეკიდა. ტანმორჩილი მღვდელი ძლივს

შესწვდა დავითს, როდესაც მას გვირგვინს თავზე ადგამდა და ამ ამბავმა უნებური ღიმილი გამოიწვია რუს ოფიცრებში.

— აი, გოლიათი ეგ არის, — ჩაიცინა ჩოგლოკოვმა. შემდეგ უცბად რატიევს მკლავში ხელი სტაცა და ჰკითხა. — გამიგონე, ვინ არის ეს ... მზეთუნახავი, დედოფლის უკან რომ დგას, გაბაონის გვერდიდან?

— არ ვიცი.

— არ შეგიძლია გაიგო? რა მშვენიერებაა... გაიგე როგორმე, — აწრიალდა ჩოგლოკოვი და მიმოიხედა, რომ ვინმესთვის ეკითხნა უცნობი ქალის ვინაობა.

რატიევი საელჩოს მდივანს ბეჟან ეგუტოვს მისწვდა მაჯაში, მაგრამ, სანამ რამეს ჰკითხავდა, ჩოგლოკოვმა დაასწრო:

— ვინ არის, აი ის ქალი, ეგუტოვ?

— რომელი?

— აი ის? — თავის ოდნავი მოძრაობით ანიშნა ჩოგლოკოვმა.

— ის ხომ ბატონის ერეკლეს დაი ბრძანდება, ანა!

— ერეკლეს დაო? — გაოცდა ჩოგლოკოვი. — ეგ შეუძლებელია! რამდენი წლისაა? ნუთუ ასეთი ახალგაზრდა დაი ჰყავს მეფეს? გათხოვილია?

— ის სრული ორმოცდა ხუთისაა თუ მეტის არა. — უპასუხა ეგუტოვმა, — მაგრამ, შეხედეთ, რა მშვენიერია!

— სტყუი!

— პატიოსნებას გეფიცებით!

— ალბათ ქმარი ახალგაზრდა ეყოლება?

— მაგის ქმარი ოთხმოცდაათი წლისაა და ლოგინადაა ჩავარდნილი.

— ოჰ! — აღმოხდა ჩოგლოკოვს. — არ შეიძლება, რომ წარმადგინოთ მის ბრწყინვალებასთან?

— ჰი, ჰი, ჰი! — მუშტში ჩაიხითხითა ეგუტოვმა. — მგონია, რომ თქვენ დაგაგვიანდათ, გრაფო!

*

* *

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ერეკლეს ჯარი ლაშქრობიდან დაბრუნდა, ანას იმედი ჰქონდა, რომ ბესიკს შეხვდებოდა. რამდენჯერმე კიდევაც სცადა, როგორმე საიდუმლოდ ეცნობინებინა ბესიკისათვის, რომ პაემანზე მოსულიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მაიამ ვერცერთჯერ დავალება ვერ შეასრულა, რადგან მისი სიტყვით ბესიკი ან ბატონთან მორიგეობდა, ან განუყრელად იყო დავითთან, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ კი ანანურს გაგზავნეს რატიევის მოსაყვანად. ამ ბედუკულმართობამ ანა ისე გააშმაგა, ისე მძლავრად შეიპყრო ბესიკთან შეხვედრის სურვილმა, რომ სრულიად დაკარგა მოსვენება და თავისი მიჯნურობის გამჟღავნების შიშის გრძნობაც. ისე გათამამდა, რომ ანახანუმსაც კი ესტუმრა და მოისურვა ბესიკის ოთახის დათვალიერება. მას სურდა ამგვარად მაინც ეგრძნო ბესიკთან სიახლოვე, შეხებოდა იმ ნივთებს, რომელთაც ბესიკი ეხებოდა, ესუნთქა ის ჰაერი, რომლითაც ბესიკი სუნთქავდა და, რაც მთავარია, იდუმალად დაეტოვებინა პატარა ბარათი, რომელსაც ბესიკი მიაგნებდა და წაიკითხავდა.

ქალებისათვის ჩვეული ეშმაკობით ჩამოუგდო ლაპარაკი ანამ ბესიკის შესახებ ანახანუმს, მოიგონა ზაქარია, მისი გადასახლება და უსამართლოდ

დასჯა. შემდეგ თავისი დედინაცვალი შეაქო იმ მზრუნველობისათვის, რომელსაც ის ბესიკის მიმართ იჩენდა, და ბოლოს ფრთხილად უთხრა, ნეტავ ერთი მისი ოთახი მაჩვენა, როგორ ცხოვრობს ეს ჩვენი სასახელო მგოსანი. ანახანუმი მაშინვე წაუძღვა ამ ნანატრ ოთახისაკენ ანას.

ოთახი სუფთად იყო დალაგებული. აღტაცებული ანა ბატონის ფრთქიალებდა ოთახში. ყველაფერს ათვალიერებდა. ხელით სინჯავდა, ხოლო მაგიდაზე დაზვავებულმა წიგნებმა სულ გააგიჟა.

— ღმერთო, ეს რამდენი წიგნები ჰქონია? — აღმოხდა ანას, — ამაებს სულ კითხულობს? ეს რა არის?—გადაშალა ერთი მათგანი,—ბერძნულია თუ ლათინური? ეს კიდევ. ეს არაბული ყოფილა. განა ქართული წიგნები არა აქვს? თიმსარიანი! მამაჩემის ნაწერი, ნეტავ როდის გარდაიწერა?

ანამ სათითაოდ გასინჯა ყოველი წიგნი, მერე ხელნაწერ ფურცლებს დასწვდა.

— ეს რაღა არის? ლექსები! თქვენ არ გინახავთ, დედა ბატონო, როგორ სწერს ლექსებს?

— იჰ, რამდენჯერ თავზე დავდგომივარ!—ჩაიცინა ანახანუმმა.—ყურთან ზარბაზანი რომ დაუცალო, ვერ გაიგებს.

ანამ ფურცლებს ზერელად გადახედა, შემდეგ თავის დედინაცვალთან ერთად ბესიკის ტახტზე დაჯდა და კარგახანს მუსაიფობდნენ. ანა წასვლას აგვიანებდა. ბავშვივით ნატრობდა, ნეტავ ახლა ბესიკი მოულოდნელად კარს გააღებდეს და შემოვიდოდესო და ყოველ ასეთ გაფიქრებაზე გული სანეტაროდ სტკიოდა.

გულდასმით შეისწავლა ბესიკის ოთახი ანამ და დარწმუნდა, რომ მასთან აქ მოსვლა ვინმესგან შეუმჩნეველად შეუძლებელი იყო, მხოლოდ ზაფხულზე, როდესაც ანახანუმი საციციანოში გაემგზავრებოდა სააგარაკოდ, თუ მოახერხებდა ანა ამ პალატებში მოსვლას. მაშინ მთელი ჯალაბი გაიხიზნებოდა და მთელი ამ ოთახების ბატონპატრონი რამდენიმე მოახლე და ბესიკი იქნებოდნენ. ანას მოსვლას აგრე ადვილად ვერავინ შეამჩნევდა და საჭიროების მიხედვით წინასწარ ყოველგვარი ზომების მიღება შეიძლებოდა.

კარგახნის საუბრის შემდეგ ანა გამოეთხოვა დედინაცვალს და ოდნავ დამშვიდებული თავის პალატებში დაბრუნდა. ახლა თამარი მოძებნა და მასთან საუბარში უნდოდა თავი გაერთო. აქამდე მხიარული და კისკისა თამარი ახლა რატომღაც დაღვრემილი იყო და მოთენთილი მიწოლილიყო რბილ ტახტზე. ანამ მიუალერსა თავის ძმისწულს და ჰკითხა მოწყენის მიზეზი.

— იჰ, რა ვიცი! — უპასუხა თამარმა, — რატომღაც გული მიტირის. ასე მგონია ყველაფერი გათავდა-მეთქი. აქამდე ჩემი თავის ბატონი ვიყავი და პატრონიც. ამის შემდეგ...

— კარგი ერთი, შენ კი შემოგევლე, შენ რა გაქვს სადარდო. მოწიფული ქალი ხარ, ბავშვობასაც მოესწარ, ქალიშვილობასაც და განსწავლული შეებმები ცოლქმრობის უღელში. აბა მე რაღა უნდა ვთქვა, ბავშვობაც რიგზე არა მქონდა განვლილი, რომ გამათხოვეს და თოთხმეტი წლისა მამაჩემზე უფროსს, უკბილო, მელოტ მამაკაცს გამაყოლეს. შენ კი შენი ტოლი გოლიათი ვაჟკაცი, შენი მიჯნური ჩაგიკრავს გულში.

— მამიდაჩემო, ეგ რომ თვალწინ წარმომიდგება, სულ შიშითა ვკანკალებ, მაშ, იმან ხელი უნდა მომხვიოს, უნდა მაკოცოს!..

— ჰა, ჰა, ჰა! — გადიკისკისა ანამ, — რა მიამიტი რამა ხარ. მაშ, როგორ იქნება?

თამარი გაირინდა და შემკრთალი სახით უაზროდ იცქირებოდა სივრცეში. ანა ღიმილით უცქეროდა თავის ძმისწულს. „სულელი, სულელი! — ჩაფიქრობდა ანა.—მან არც კი იცის როგორ განიცადოს ბედნიერება — ალბათ ასე უკულმართად ეს ცხოვრება მოწყობილი. ზოგს ბედი მიუწდომელ ხილად ექცევა, ზოგს კიდევ ფეხქვეშ ეფინება. ეჰა, ალბათ ასე ყოფილა: ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო“.

მერე თავისი თავი წარმოიდგინა, ასე წამოწოლილი მარტოდ-მარტო, ბესიკის მოლოდინში, წარმოიდგინა ოთახში შემოსული თავისი მიჯნური. მისი ახოვანი, ოდნავ მოსხლეტილი ტანი, ანთებული თვალები და ანას ისე შეაჟრჟოლა, თითქოს ელვას დაერბინოს მის სხეულში.

თამარი უცბად გამოერკვა ფიქრებიდან და გაოცებით შეხედა მამიდამისს. ჩვეულებრივი გუმანით მიხვდა, თუ რატომ გააჟრჟოლა ანას და თვალებში ჩახედა.

ანას მზერა დაეცა, იქით-აქეთ მიმოიხედა და მკლავებზე ხელები მოისვა.

— გცივა, მამიდა? — ჰკითხა თამარმა.

— ჰო, არა... — შედგა ანა, შემდეგ გაეცინა, თამარს წელზე ხელი მოხვია და ყურში წასჩურჩულა, — რა ეშმაკი ხარ!

— შენ ადგილას რომ ვიყო, იცი რას ვიზამდი?!

— რასა?

— რასა და... — თამარი შედგა და ანას ისე შეხედა, რომ ორთავემ უსიტყვოდ წაიკითხეს ერთმანეთის ნააზრევი.

— ეგ როგორ იქნება? — შეჰკრა წარბები ანამ, — რას იტყვიან?

— განა ქვეყანას ვეტყოდი?

— მერე, ჯოჯოხეთი...

— სახარებაში სწერია, კაცს რომ ურიცხვი ცოდვა ჰქონდეს ჩადენილი, თუ სიკვდილის წინ ღმერთს პატიებას სთხოვს, ღმერთი ყოველივე შეცოდებას აპატიებსო.

— ეჰ, მე უკვე გარდავსულვარ, ჩემო თამარ, ხომ გახსოვს: მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია. შენ გაიხარე, გენაცვალე, მალე ჩემს პატარა ანიკოსაც დავაქორწინებ...

— იცი, მართლა, რა გითხრა, მამიდა? — წამოიწია თამარი. — ანიკო ვის ემიჯნურება!

— ვისა? — გაოცდა ანა.

— აბა, თუ მიხვდები? უცაბედად მივუსწარ, ხელსახოცზე ქარგავდა „ბესიკისა ვარ“.

— რაო? — ელდანაკრავი წამოიჭრა ანა, უცბად შეტრიალდა მის თვალწინ ოთახი, გადაქანდა, მერე ისევ ყოველივე თავის ადგილას შეჩერდა და ანამ შვებით ამოისუნთქა, მკერდს შიგნით შეშინებული ჩიტივით ფათქუნობდა გული, თავს ძალა დაატანა და გაჭირვებით ჩაილაპარაკა, — უჰ, როგორ შემეშინდა, მე სხვა მეგონა. სულელი. ბესიკს ემიჯნურება სამეფო გვარის ქალი. ეგ როგორ არ იცის.

— გათხოვდება და დაავიწყდება! — ანუგეშა თამარმა. — სოლომონის ბიძისწულს დავითს რა შეუთვალეთ?

— ჯერ არაფერი. თანხმობას ვაცნობებთ, აბა იმაზე უკეთესს გის ვიშოვით!

ანა ახლა მზად იყო მეორე დღესვე შეეთვალნა თანხმობა გიორგისათვის: თქვენს ვაჟს სიძედ მოვიკიდებთო, და დროზე გაერიდებინა, ბატარა ანა ამ სახიფათო მიჯნურობიდან. მთელი ღამე მოუსვენრად ეძინა, მეორე დღეს რამდენიმეჯერ სცადა თავის ძმას მოლაპარაკებოდა ამის შესახებ, ბარათებიც კი დასწერა გიორგისთან და სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანთან გასაგზავნად და ახლა ერეკლეს თანხმობას ელოდა, რომ მაშინვე ეფრინა შიკრიკი ზუგდიდისაკენ. ანას ეშინოდა ბატონს უარი არ ეთქვა ამ ქორწინებაზე, მაგრამ მასთან მოლაპარაკება ვერ მოახერხა და გულის ჩქროლვამ ისე მიასუსტა, რომ საღამოს დარბაზში გამობრძანება ძლივს შესძლო. როდესაც ბესიკი, როგორც ნეფის ეჯიბი, მის გვერდით დადგა, ანას მისთვის არც შეუხედნია. ეშინოდა გული არ შეღონებოდა. ამ საქორწილო ზეიმმა, მორთულმა ხალხმა, დაფაზურნის ყიჟინამ, რაღაც თავისებური გავლენა მოახდინა ანაზე. თითქოს ეს მისი ქორწილი იყო, თითქოს ბესიკი ეჯიბი კი არა, მისი საქმრო იყო და ანას უცბად გული მოუვიდა ბედზე, რომელიც რაღაც უხილავ არსებად ჰქონდა წარმოდგენილი და ახლა მას დამცინავი ღიმილით უცქეროდა ყოველი კუნჭულიდან, ყოველი კუთხიდან, საითკენაც არ უნდა გაეხედა.

და ანამ გადასწყვიტა: ან ამაღამ ან არასოდეს!

— ეს ჩემი ქორწინებაც იქნება, არა, ბესიკ? — გაუელვა გულში ანას, და იმ დროს, როდესაც მისი სილამაზით აღტაცებული ჩოგლოკოვი მოურავოვს ეხვეწებოდა ბატონის დასთან წარმადგინეო, ანა ოდნავი დაბინდული თვალებით შესცქეროდა სიონის საკურთხეველს და გუნებაში განუწყვეტლად იმეორებდა: — ან ამაღამ ან არასოდეს!

ანამ გადასწყვიტა შეხვედროდა ბესიკს გათენების ხანს, სასახლის კოშკის პატარა ოთახში, როდესაც სუფრა ნახევრად აიშლებოდა და ნეფედედოფალს მოსასვენებლად მიაცილებდნენ. სუფრას მხოლოდ მსმელი მამაკაცები შერჩებოდნენ, ქალები ვინ დასაძინებლად წავიდოდა და ვინ თავიანთ ქმრებს დაელოდებოდა სვეტებიან დარბაზში, სადაც ალბათ, ნარდისა და თაგვ-ფიშიგის თამაშს გააჩაღებდნენ. ამიტომ ვერავინ ვერ შეამჩნევდა მათ წასვლას და არც არავის მოუვიდოდა აზრად, კიდევაც რომ მოესაკლისებინათ ორთავე, რომ ისინი პაემანზე იქნებოდნენ. კოშკის პატარა ოთახი კი, რომელიც მტკვარს გადასცქეროდა, იმით იყო ხელსაყრელი, რომ მას კედელში საიდუმლო კიბეგვირაბი ჰქონდა დატანებული და ამ გვირაბით მტკვრის პირად ქარვასლის ბურჯთან შეიძლებოდა ყველასგან შეუმჩნევლად გასვლა. იქ საჭირო იყო მხოლოდ ურდულის გაგდება და კედელში დატანებული ქვის კარი თავისით შებრუნდებოდა. გახვიდოდი თუ არა დღის სინათლეზე, კარი ისევ დაიხურებოდა და არავის არ მოუვიდოდა აზრად, რომ აქ სასახლიდან გამოსასვლელი საიდუმლო ხვრელი არსებობდა, ისე ოსტატურად იყო დატანებული კედელში მთლიანი თლილი ქვის კარი. ეს გვირაბი და ამის მსგავსი კიდევ რამდენიმე როსტომ მეფეს გაეკეთებინებინა, როდესაც ამ სახლს იშენებდა და მათი არსებობის შესახებ არავინ არ იცოდა, რადგან ისინი ირანიდან მოყვანილ ოსტატების მიერ იყო ნაგები, ოსტატებმა საიდუმლოება თან გაიყოლეს და როსტომიც ისე გარდაიცვალა, რომ ეს საიდუმლოება არავის გაუმხილა.

მხოლოდ თეიმურაზის დროს, როდესაც შეუდგნენ სასახლის განახლებაშეკეთებას, რომელსაც ანას მეუღლე დიმიტრი ორბელიანი ხელმძღვანელობდა, ოსტატები წააწყდნენ ამ საიდუმლო გვირაბებს და ყოველი მათგანი დიდის გულისყურით იქნა შესწავლილი, თუმცა ეს აღმოჩენა, რომელმაც ერთხანს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ყველას მალე მიავიწყდა. მაშინ ეგონათ საიდუმლო საგანძურს წავაწყდით, სადაც ალბათ როსტომს თავისი ქონება ჰქონდა ჩაფლულიო, მაგრამ როდესაც ნესტიანი გვირაბების გარდა მეტი ვერაფერი ნახეს, ხელი ჩაიქნიეს. თეიმურაზს ამ გვირაბების ამოქოლვაც კი უნდოდა, მაგრამ დიმიტრიმ არ დაანება, იყოს, განა რას გვიშლისო.

ამისათვის აირჩია ეს კოშკის ოთახი ანამ ბესიკთან შესახვედრად, თუმცა რაიმე საფრთხისაგან მთლიანად არ იყო უზრუნველყოფილი, რადგან საიდუმლო გვირაბით შეიძლებოდა ბესიკის მხოლოდ გაპარება, შესვლით კი მას აუცილებლად იმ ოთახზე უნდა გაევლო, სადაც დავარდნილი დიმიტრი იწვა. მართალია დიმიტრის სიბერის გამო სხვა უბედურებასთან ერთად სმენაც აკლდა და თვალთხედვაც, მაგრამ ოთახში მას იშვიათად გამოეპარებოდა რაიმე შეუმჩნეველი და დღე ძილს შეჩვეული მთელი ღამეები თვალგახელილი იწვა. ანამ ეს კარგად იცოდა და მაშინვე აფრინა თავისი ერთგული მაია პატერ ლეონარდოსთან, რომელსაც დასაძინებელი თეთრი ფხვნილი წამალი მუდამ ჰქონდა, მოატანინა და მაიას უბრძანა ეს ფხვნილი ღვინოში ჩაეყარა და ისე დაელევინებინა დიმიტრისათვის, როდესაც მას ვახშამს მიართმევდნენ.

ამგვარად ყველაფერი მზად იყო შესახვედრად და საჭირო იყო მხოლოდ ბესიკისათვის ნიშნის მიცემა, რომ გათენების ხანს ის საერთო ალიაქოთში შეუმჩნევლად გალალულიყო კოშკის ოთახისაკენ.

ეს საქმე ანამ არავის არ ანდო და თითონ იკისრა ეცნობინებინა ბესიკისათვის, თუ სად ან როგორ უნდა შეხვედროდნენ ორთავენი ერთმანეთს.

ეს კი ყველაზე ძნელი აღმოჩნდა.

სანამ სუფრაზე დასხდებოდნენ, ანას რამდენიმეჯერ ჰქონდა ხელსაყრელი შემთხვევა ეთქვა თავის ჭაბუკი მიჯნურისათვის ყოველივე, მაგრამ ყოველთვის ისე აძაგძაგდა ღელვისაგან, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა. ამიტომ თავის განზრახვას შემდეგი ხელსაყრელი შემთხვევისათვის სდებდა და თავს იმით ინუგეშებდა, რომ ხელის შემშლელ მიზეზებს მეტად სახიფათოდ იჩნევდა.

მაგრამ, როდესაც ვახშმად დასხდნენ, ანა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვერაფერს ვეღარ ეტყოდა ბესიკს და მთელი ეს სამზადისი სრულიად ფუჭად ჩაუვლიდა. მართალია ბესიკი სხვებისაგან გამონაკლისად, როგორც ნეფის ეჯიბი, ანას პირდაპირ იჯდა, მაგრამ აქ, კიდევაც რომ დაეძლია თავისი აღელვება, ანა მაინც ვერ მოახერხებდა ენიშნებინა ბესიკისათვის რაიმე ან გადაეცა ბარათი სხვებისაგან შეუმჩნევლად.

ანა იმასაც კი ვერ ბედავდა, რომ პირდაპირ შეეხედნა ბესიკისათვის. ან თავდახრილი იჯდა ან გადაჭარბებულ მზრუნველობით ეხვეწებოდა თამარს ერთი ლუკმა მაინც ეჭამა რამე, რომელსაც თავისი მამიდის მსგავსად აღელვებისაგან კრიჭა ჰქონდა შეკრული და ხელს არაფერს აკარებდა.

— ჭამე, გენაცვალე, ეს ჩურჩხელები მაინც აიღე, თორემ გული შეგიღონდება, — ეხვეწებოდა ანა თამარს და ოქროთი მოვარაყებულ ფაიფურის საინზე ხან რას გადმოულებდა და ხან რას.

— არ მინდა, მამიდა, არა — უარობდა თამარი და სრულიად ვერ ამჩნევდა, რომ მამიდამისიც არაფერს აკარებდა ხელს.

როდესაც გათენების ხანს სუფრა აიშალა და ნეფედედოფალი მოსასვენებლად საწოლ ოთახამდე მიაცილეს, ანა ისე იყო აღელვებისაგან დაღლილი და მოთენთილი, რომ უკვე აღარაფერზე არ ფიქრობდა. ძან სხვა სეფექალებთან ერთად მიაცილა თამარი საწოლ ოთახამდე, შეხსნა სამკაულები, ძილინებისა უსურვა და მაშინვე უკან გამობრუნდა, თუმცა თამარმა მკლავში მწარედ ჩაავლო ხელი და ეხვეწებოდა: „შენი ჭირიმე, მამიდ›, მარტო ნუ დამტოვებო“.—ანამ ძლივსძლივობით გაინთავისუფლა მკლავი და გაემართა თავის პალატებისაკენ. თავდახრილმა გაიარა რამდენიმე დარბაზი, თაღებიან აივანზე გავიდა და ყურადღება არ მიუქცევია დანარჩენი ქალებისათვის, რომელნიც დილის შუშხუნებისა და შადლუხის საცქერად აივნის ხარიხებს მიაწყდნენ. ნარიყალის კოშკებზე გრიალებდნენ ზარბაზნები და მოედანზე ნაირნაირად დანთებული შუშხუნებით მთელი წარმოდგენა იყო გამართული. .

ანამ გულგრილად ჩაუარა გვერდი ამ სანახაობას და იმედგაწყვეტილი მოთენთილი მიემართებოდა ბროლის კანდლებით განათებულ დერეფანში, როდესაც სრულიად მოულოდნელად შეეფეთა ბესიკს.

ანამ უცბათ მიმოიხედა; დერეფანში არავინ არ იყო მათ გარდა, იქვე ახლო კი მისი ოთახის კარი მოჩანდა. უცბათ აუჩქროლდა გული ანას, ყველაფერი აირია, ჭერი გადაქანდ-გადმოქანდა, სანთლებით გაბრწყინვებული ბროლის კანდლები დატრიალდნენ, ცეცხლის ნაპერწკლები ისროლეს და სადღაც ჩაწყდა და ჩაიძირა ყოველივე.

გულშეღონებულ ანას სწრაფად მიაშველა მკლავი ბესიკმა, ხელში აიტაცა და უმწეოდ მიმოიხედა, შემდეგ მიუახლოვდა ანას პალატის კარს, მხარით შეაღო და ოთახში შევიდა. დერეფნიდან შემოჭრილი სინათლე ზოლად გაწოლილიყო ოთახში და ბესიკმა პირველად ვერაფერი ვერ გაარჩია. შემდეგ მიბნელებულ კუთხეში ტახტი შენიშნა, გულშეღონებული ანა მაშინვე ზედ დაასვენა და სურით წყალს დაუწყო ძებნა. რაღაცას ხელი წამოსდო, ძირს გადმოაგდო და ოთახში უცნაური ჟღრიალი გაისმა. ირანული თასი კუთხისაკენ გაგორდა. ბოლოს ხელში ქანდაკების მაგვარი ბოთლი მოხვდა, რომელშიც ფრანგული ნელსაცხებელი აღმოჩნდა. თავი მოხსნა და ანას სახეზე აპკურა.

ანა შეკრთა და თვალი გაახილა. პირველად ვერ გამოერკვა, თუ სად იყო და ზეზე წამოიჭრა. თვალები მოიფშვნიტა. წყნარი ხმა მოესმა:

— დედოფალო, რა მოგივიდათ?

მოიხედა და ორივე მკლავი მოხვია ბესიკს.

— ბესიკი! — ჩურჩულით სთქვა ანამ... — ბესიკი!

მერე ისევ მოეშვა, ტახტზე მიესვენა და ხელით ანიშნა კარი მიეხურა. სანადიმო დარბაზიდან მოქეიფეთა ღრიანცელი ისმოდა და დერეფანშიდაც გაისმა ვილაცას ხმა.

ბესიკმა სწრაფად მიხურა კარი. ოთახი ახლა სრულიად დაბნელდა. ანა ფეხზე წამოიჭრა, ბესიკს ხელი ჩაავლო და მეორე ოთახისაკენ გაემართა, რომ ორთავენი კოშკის ოთახში ასულიყვნენ, რადგან აქ მალე ალბათ პატარა ანა მოვიდოდა და მეტხანს შეუძლებელი იყო მათი აქ დარჩენა. შემკრთალი ბესიკი ოდნავ უკან იხევდა და თითქო უძალიანდებოდა ანას. მეორე

ოთახში მას დიმიტრი ეგულებოდა, მაგრამ ანამ ძალუმად გაიწია წინ და მეორე ოთახის კარი გულდამშვიდებით შეაღო. შეაღო და კარებშივე შედგა, დიმიტრის სარეცელთან კელაპტარი ენთო და თვალებდაჭყეტილი ანას მეუღლე მოუთმენლად იცქირებოდა კარებისკენ. ანას დანახვისთანავე თავი ოდნავ ასწია და ჩაიჩიფჩიფა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ტიალი, რო აღარ თენდება! გათავდა ქორწილი, ქალო? — თან ოხვრა დააყოლა: — რო აღარც დამეძინა?!

*

* *

სამი დღე გაგრძელდა საქორწილო ნადიმი. ღამენათევი, ნაქეიფარი სტუმრები ძლივს ასწრებდნენ გამოძინებას, რომ ხან დიდ დარბაზში, ხან აივანზე, ხან ბაღში ახალი სუფრა იშლებოდა და ისევ ისმოდა საზანდარის შეწყობილი ხმები, დუდუკების ღუღუნი, აშუღთა გამყივანი სიმღერები და გულისცემასავით ამაღელვებელი ბაგაბუგი დაირებისა. ყველაზე პატივსაცემი სტუმრები ამ ნადიმებზე რუსი ოფიცრები იყვნენ, რომელთაც ყოველთვის საპატიო ადგილას აჯენდნენ და ღვინის სმაში ავარჯიშებდნენ. რატიევს ეშინოდა, რომ მის ხელქვეით ოფიცრებს რაიმე უწესოება არ ჩაედინათ და სასტიკად აუკრძალა ყველას მისი ნებართვის გარეშე ღვინის დალევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სუფრას ერეკლე ბატონი დაესწრებოდა. ეს ბრძანება ჩოგლოკოვს არ ეხებოდა, რადგან მოულოდნელად ეს ახალგაზრდა ოფიცერი შეუდარებელი მსმელი აღმოჩნდა. დაუღალავად სცლიდა ჯიხვის ყანწებს და მუდამ ერთ დონეზე მთვრალს არც ენა ეშლებოდა, არც ფეხი და არც არავითარ უწესოებას ჩადიოდა. ამით ისე მოაწონა თავი ყველას, რომ როდესაც სასახლეში ნადიმი დამთავრდა, დიდებულები ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩოგლოკოვისა და რატიევის მიწვევაში ხან სადილად და ხან ვახშმად.

ყველაზე პირველად ორთავე ლეონ ბატონიშვილმა მიიწვია ვახშმად თავის მამიდის ანას ბაღში. ბაღი სოლოლაკის ზღუდეს ეკვროდა, იქ, სადაც ბეჟანის დიდი ქარვასლა იდგა, ქალაქის ზღუდის გარეთ, და, კოჟრის გზა მიუყვებოდა. ლეონმა მათ გარდა, სხვა ოფიცრობაც მიიწვია რატიევის არჩევით, ხოლო თავისიანებიდან მარტო ახალგაზრდა ვაჟები იხმო. ლეონს ლაღი ქეიფი სურდა სტუმრებთან, მაგრამ მოულოდნელად ანამ ისურვა თავის ძმისწულის ლხინს დასწრებოდა და ლეონი იძულებული გახდა ამის გამო ქალთა მთელი მარაქა მოეწვია... ლაღი ლხინიც აღარ გამოვიდა და მთელი ნადიმი პეტერბურღულ ასამბლეას უფრო წააგავდა, ვიდრე ქართულ ქეიფს. სანამ სუფრაზე დასხდებოდნენ, დიდხანს სეირნობდნენ შუშისა და ქაღალდის ფარნებით განათებულ ხეივნებსა და ტალავერებში და შემდეგ, როდესაც გაშლილ სუფრას მიუსხდნენ, იქაც კარგა ხანს არ მიცემიან ლხინს, რადგან საუბარმა მოულოდნელად სულ სხვა ხასიათი მიიღო. ყველანი გულისყურით უსმენდნენ ლეონისა და რატიევის საუბარს, რაც უმთავრესად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას შეეხებოდა. ლეონი უფრო შეკითხვებით კმაყოფილდებოდა, ხოლო რატიევი საკმაო ვრცელ პასუხს აძლევდა და გზადაგზა რუს ოფიცრებს აცნობდა საუბრის შინაარსს.

ჩოგლოკოვი, რომელსაც როგორც იქნა ეღირსა ანასთან წარდგენა და ახლა სუფრაზე მის პირდაპირ იჯდა, განსაკუთრებით ცდილობდა გა

მორჩეულიყო, როგორც თავაზიანობით და უმაღლესი კეთილშობილებით, აგრეთვე სახელმწიფო საქმეთა ცოდნით და საუბარში ცხარე მონაწილეობა მიიღო. რატიევი ძლივს ასწრებდა ეთარგმნა ლეონისათვის მისი მოსაზრებანი, ხოლო აღფრთოვანებული ჩოგლოკოვი დაჟინებით უმეორებდა ლეონს იმავე მოსაზრებას, რასაც ის ჯერ კიდევ სურამში ყოფნის დროს ამბობდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ,—ამბობდა ჩოგლოკოვი,—მე რუსეთის იმპერიაში მესამე პერსონა ვარ იმპერატრიცისა და ტახტის მემკვიდრის შემდეგ. გადაუთარგმნეთ, — უთხრა მან რატიევს, როდესაც შეატყო, რომ რატიევი შედგა, თითქოს სურდა ეს სიტყვები გამოეტოვებინა, — გადაუთარგმნეთ, თუმცა მისმა ბრწყინვალებამ იცის, ვინცა ვარ, მაგრამ დაე სხვებმაც იცოდნენ.

— რაო, რას ამბობს? — ჰკითხა ლეონმა რატიევს.

— მოგახსენებთ, რომ მესამე პირი ვარ რუსეთის იმპერიაშიო, თუმცა მე კი არა მჯერა. ისე სასახლეში მიღებული უნდა იყოს. მგონია ვიღაც სამეფო გვარის კაცის ბუშია. (ეს სიტყვა ხმადაბლა წარმოსთქვა რატიევმა, რომ ქალებს არ გაეგონათ, რაზედაც ჩოგლოკოვმა მიაძახა — ხმამაღლა სთქვით, მე მინდა სხვებმაც გაიგონონო). თითონ გრაფის წოდებისაა და დედა მაგისი იმპერატრიცის აღმზრდელია.

— უთარგმნეთ? — ჰკითხა ჩოგლოკოვმა და შემდეგ განაგრძო, — მე ამას იმისთვის კი არ მოგახსენებთ, რომ თავის გამოჩენა მსურდეს, მინდა გაცნობოთ, რომ შემიძლია დიდი პასუხისმგებლობა ვიკისრო ჩემს თავზე იმ დიდ საქმეში, რომელიც ახლა გადამწყვეტ მოქმედებას მოითხოვს. თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ უნდა დაარწმუნოთ მამათქვენი, რომ დაუყოვნებლივ დააპატიმროს გრაფი ტოტლებენი. ნუ უჯერებს მოურავოს. ეს საბრალო ნადვორნი სოვეტნიკი, მშიშარაა და ფიქრობს ხარისხის მოპატების მიზნით მგლის მოშინაურებას. არაფერი არ გამოვა. ტოტლებენი ისეთი მგელია, რომელსაც მარტო ტყვიით მოაშინაურებ. მამათქვენსაც ნურაფრის ნუ ეფიქრება, ჩვენ, მთელ ჩვენს ჯარს მის უმაღლესობას დავუქვემდებარებთ და პირდაპირ გავილაშქრებთ სტამბოლისაკენ. სანამ პეტერბურგში ტოტლებენის დატუსაღების ამბავი მივიდოდეს, ჩვენ სტამბოლს ავიღებთ და ამის შემდეგ ვისღა გაახსენდება ტოტლებენი. თუ გაახსენდება და ისე, რომ ვეჭვობ ეს სასიამოვნო იქნეს გრაფისათვის.

— ბატონიშვილო, თქვენ მზესა ვფიცავ, — ჩაერია საუბარში სოლომონ ლეონიძე, რომელიც ყველაზე ახლო იჯდა ლეონთან, — გნებავთ ნაბიჭვარი იყოს ეს ადამიანი, გნებავთ კიდევ უარესი, უნდა ვთქვა, რომ სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. — შემდეგ ჩოგლოკოვს მოუბრუნდა და ოდნავი ბორძიკით რუსულად უთხრა, — თქვენ სრულ სიმართლეს ბრძანებთ, სხვა გზა არ არის.

— დიაღ, დიაღ, — აღელვებით განაგრძობდა ჩოგლოკოვი, — თქვენ წარმოგიდგენიათ ხუთიათასი რუსის რეგულარული ჯარისკაცი, მას ალბათ ათი ან თხუთმეტი ათასი ქართველობა მიჰყვება და მათ სათავეში ჩაუდგება ერეკლე, წარმოგიდგენიათ ეს რა იქნება! ერთი დარტყმით გავანადგურებთ ოსმალეთს და ისტორიის ბორბალი ჩვენსკენ დატრიალდება, სრულიად ნუ აფიქრებს მის უმაღლესობას ერეკლეს, რომ ტოტლებენის დატუსაღება რუსეთის იმპერატრიცის პრეროგატივის დარღვევა იქნება. ტოტლებენი ამჟამად ერეკლე მეფის საბრძანებელში იმყოფება და

უნდა ექვემდებარებოდეს საქართველოს მეფის სუვერენიტეტს. ეს დღესავით ნათელია.

— მერე და ვინ დაატუსაღებს ტოტლებენს? — იკითხა ლეონმა, — ქართველები რომ მივიდნენ იმის დასატუსაღებლად, ამან შეიძლება გამოიწვიოს შეჯახება რუსის ჯართან. ეს არც ისე ადვილი საქმეა, როგორც თქვენა გგონიათ.

— მე დავატუსაღებ, თქვენო ბრწყინვალებავ. — მოულოდნელად უთხრა რატიევმა ლეონს, — ჩემი ჰუსარებით მივალ იმის ბანაკში და მოხედვაც ვერ მოასწრებს, რომ იარაღს ავყრი.

— მერე ჯარი?

— მაგისაც ნუ გედარდებათ, თქვენო ბრწყინვალებავ. ერთი ხუთიოდე ოფიცერსაც დავატუსაღებ მასთან ერთად, ხოლო დანარჩენები ყველა ჩვენი მომხრე გახდება. ჯარი ხომ მთლიანად ჩვენი მომხრეა. გამოქცეულებს გამოვკითხე სათითაოდ. მითხრეს, ერთი რომ გასძახოთ, ტოტლებენს თითონ გათოკავენო. მე მხოლოდ ბატონი ერეკლე მიბრძანებდეს და საქმეს არ დავაყოვნებ...

— თქვენ უნდა ურჩიოთ ბატონს, — ჩაერია ისევ საუბარში სოლომონ ლეონიძე, — ამაზე ხელსაყრელ დროს ჩვენ ვერ ვიშოვით. მაპატიეთ კადნიერება, მე რა ღირსი ვარ თქვენ გირჩიოთ რაიმე, მაგრამ ალბათ თქვენც თითონ უკეთესად ხედავთ, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს. ვგონებ დავით სარდალიც ამავე აზრის უნდა იყოს.

ლეონი ჩაფიქრებული უსმენდა სოლომონს და დანარჩენ სტუმრებს, რომელნიც ერთმანეთს ასწრებდნენ და ემუდარებოდნენ ბატონიშვილს, როგორმე დაერწმუნებინა მამამისი და სწრაფად ემოქმედნა ტოტლებენის წინააღმდეგ.

ჩოგლოკოვმა დაწვრილებით აუხსნა ლეონს, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა იმ გამარჯვებას, რომელსაც ისინი ერეკლეს სარდლობით მოიპოებდნენ. დამარცხებული სულთანი მთლიანად დასთმობდა მთელ ჩრდილოეთ მცირე აზიას ტრაპეზუნდის ჩათვლით, ხოლო აღმოსავლეთით სომხეთის უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც, როგორც ერეკლეს საბრძანებელი, ისევ საქართველოს შეემატებოდა. მაშინ ერეკლეს ხელქვეითი გახდებოდა უმდიდრესი მხარეები ამ კუთხისა და ეს პატარა ქვეყანა დიდ სახელმწიფოდ გაზრდილი საბოლოოდ დააჩოქებდა უდიდეს თავის ისტორიულ მტრებს — ირანსა და თურქეთს, რუსეთს კი ეყოლება უძლიერესი ერთგული მეზობელი.

— განა შეიძლება ასეთი შესაძლებლობის წინაშე თუნდაც ოდნავ დაფიქრება, თქვენო ბრწყინვალებავ? — განაგრძობდა ჩოგლოკოვი, — მერწმუნეთ, რომ შეუძლებელია.

— კარგი, — სთქვა ბოლოს ლეონმა, — მოვახსენებ ყოველივეს მამა ბატონს, მანამდე კი ლხინს მივეცეთ, თორემ მანდილოსნებმა მოიწყინეს. აბა, მემუსიკენო, თქვენი ჯერია...

ცალკე სუფრაზე მსხდარმა დამკვრელებმა მაშინვე მოიმარჯვეს თავისი საზ-ჭიანურები და სანამ აწყობა-მომართვას დაამთავრებდნენ, სუფრას მოულოდნელად მიუახლოვდა ბესიკი, რომელიც შეუმჩნევლად ამოძვრა სიბნელიდან და პირდაპირ ლეონისაკენ გაემართა. ყველანი მხიარული ყიჟინით შეეგებენ მას და ლეონმა თავის გვერდით მიუთითა ადგილი, მაგრამ ბესიკი არ დაჯდა და ლეონს ხვეული ქაღალდი გაუწოდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა ლეონმა და გრაგნილს ზემოდან გადახედა, — მოდი დაჯექ, უშენოდ ჩვენი სუფრა რას ემგვანება.

— აკი ადრევე მოგახსენეთ, ბატონთან ვმორიგეობ-მეთქი. დაჯდომა არ შემიძლიან, და ვგონებ, თქვენც აგიშალოთ ლხინი. ბატონი თავისთან გიბარებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლავე? განა რა მოხდა ისეთი?—უკმაყოფილოდ მოირუშა ლეონი.

— ეს ქაღალდი წაიკითხე და ყოველივეს გაიგებ.

ლეონმა გრაგნილი გამოართვა, გაშალა, ფარეშმა ფარანი მოუმარჯვა და როდესაც წაიკითხა, მაშინვე ფეხზე წამოიჭრა.

— ოჰო, ეს ქართული პირია? რუსულად ნაწერი სად არის?

— რა არის, ლეონ? — უცბად იკითხა ანამ.

— მანიფესტი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სრულიად რუსეთის ყოვლადმოწყალე დედოფლისა.

— მანიფესტი? წაგვიკითხე ერთი, შენმა დღეგრძელობამ,—ფუსფუსი» უთხრა ანამ და ფეხზე წამოდგა.

ყველანი წამოიშალნენ. ლეონს მოღუშულ სახეზე ეტყობოდა, რომ გრაგნილში კარგი არა ეწერა და ამიტომ ყველანი სულგანაბული მოუთმენლად ელოდნენ შინაარსის გაგებას. ანამ ბესიკს გადახედა და თვალებით ჰკითხა, ვითომ რა სწერია ქაღალდშიო, მაგრამ ბესიკმა ხელით ლეონზე ანიშნა, ახლავე გაიგებთო, და მაშინვე სოლომონ ლეონიძეს რაღაც წასჩურჩულა ყურში. სოლომონს გაოცებისაგან სახე მთლად დაუგრძელდა, ლეონის ნებადაურთველად მაშინვე დასტოვა სუფრა და სასახლისაკენ გაემართა. ლეონმა კი გრაგნილი მოიმარჯვა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

— ის ვინც მოღალატეებს რატიევს, ჩოგლოკოვს და დეგრალიეს ცოცხლად რუსეთის საიმპერიო კორპუსში, რომელიც ბატონ ღენერალის ღრაფი ტოტლებენის ქვეშე იმყოფება, მოიყვანს, ის მიიღებს ჯილდოდ იმ წამსვე ათას ოქროს, ხოლო ვინც მათ კორპუსში მკვდრებს წარმოგვიდგენს, ის მიიღებს აუცილებლად ათას მანეთს ნაღდ ფულს იმისთვის, რომ იმათ, როგორც მისი უმაღლესობის უდიდესი არსების, აგრეთვე სრულიად რუსეთის სახელმწიფოს, და აგრეთვე უმაღლეს მფარველობაში მიღებულ მეფე ერეკლესა და მის გვარეულობისადმი გამოავლინეს თავი თვისი სრულიად მოღალატეებად და მეამბოხეებად. ხოლო ისინი, რომელნიც, როგორც ეს პირნი მეამბოხენი იქნებიან, ან დაეხმარებიან და ხელს შეუწყობენ მათ, მიჩნეულ იქნებიან ასეთსავე მოღალატეებად და არ ასცდებათ სათანადო სასჯელი. ხელს აწერს რუსეთის საიმპერიო ჯარების ენერალი საქართველოში ღრაფი ტოტლებენი.

ლეონმა კითხვა დაამთავრა და გრაგნილი ბესიკს დაუბრუნა. შემდეგ რატიევს შეხედა, რომელიც თავდახრილი უამბობდა ჩოგლოკოვს მანიფესტის შინაარსს.

— რას იტყვით? — ჰკითხა ლეონმა რატიევს.

რატიევი გაიმართა, ბატონიშვილს დაღვრემილი სახით ოდნავ გაუღიმა და მხრების აწურვით მოახსენა:

— ჩვენ რა გვეთქმის, თქვენო ბრწყინვალებავ, თუ ტოტლებენს დაუჯერებთ, არა თუ რუსეთის დედოფლისათვის, თურმე ერეკლე მეფისათვისაც გვიღალატნია. უბრძანეთ დაგვატუსაღონ, თორემ ალბათ მან ეს მანიფესტი მთელ საქართველოს მოჰფინა და...

— მოითმინეთ, — ლეონს თვალებში ეტყობოდა მრისხანება. მან მამის

მსგავსად უცბათ იცოდა აფეთქება, — ლხინი განაგრძეთ. მე მამაბატონს ვეახლები. მამიდავ, თქვენთვის მომინდვია სტუმრების პატივისცემა, ჩვენს ერთგულ ბატონს ოფიცრებს ერთ წუთსაც არ ვაგრძნობინოთ ჭმუნვა. ერავინ მოიწყინოთ. სუფრის თამადად ბატონს რატიევს ვნიშნავ. ბესიკ, წავიდეთ.

ლეონმა ხელით ანიშნა შორიახლო მოკრძალებით მდგარ მსახურებს, რომელთაც მაშინვე აანთეს მაშხალები და ბატონიშვილთან ერთად თავქვე დაეშვნენ. ბესიკმა მხოლოდ ერთ წუთს გაელვებასავით შეხედა ანას თვალებში და მაშინვე მიჰყვა ბატონიშვილს. ანა ამ მზერით მიხვდა, რომ რაღაც მოხდა ისეთი, რაც მათ მიჯნურობის ამბებს შეეხებოდა და გულში მწვავედ გაჰკრა. შემკრთალმა გააყოლა თვალი მიმავლებს და ცდილობდა წარმოედგინა, რა უნდა მომხდარიყო. ეჭვი მაიაზე ეპარებოდა, რომელიც სასტიკად დატუქსა და სასახლიდან დაითხოვა, თუმცა ის ხატზე ეფიცებოდა, თქვენი ბრძანება შევასრულე, ბატონს დიმიტრის ის ფხვნილი ღვინით დავალევინე, მაგრამ თუ წამალმა არ გასჭრა და არ დაეძინა, ჩემი რა ბრალიაო.

სუფრაზე დარჩენილები უნებურმა მდუმარებამ მოიცვა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი დარდით შეპყრობილმა ანამ თავს ძალა დაატანა და სცადა მძიმე განწყობილების გაფანტვა, ხან რატიევს გაესაუბრა, ხან ჩოგლოკოვს, ხან კიდევ სეფექალებს უბრძანა ემღერნათ, ყოველგვარმა ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა. მხიარული განწყობილება გაქრა და საუბარი ისევ ტოტლებენის მანიფესტის გარშემო ტრიალებდა.

ჩოგლოკოვი ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. ხან ადგებოდა და ტალავერში წალმაუკულმა დადიოდა, ხან ისევ რატიევს მიუჯდებოდა და აღელვებული სხაპასხუპით ეჩურჩულებოდა.

— შენ წარმოგიდგენია იმ არამზადას ოინი?—ეუბნებოდა ჩოგლოკოვი რატიევს, — ერეკლეს მოღალატეებიო, ჩვენზე ამბობს, რომ ქართველები ჩვენს წინააღმდეგ აამხედროს.

— მერე რა?

— როგორ თუ რა, ეგ მე და შენ ვიცით ვინაა მოღალატე და ვინაა ერთგული, ხალხმა რა იცის. ახლა ყოველ კუთხიდან უნდა ელოდე ტყვიას. ღარიბი კაცისათვის ათასი ოქრო მთელი ქონებაა, მით უმეტეს, თუ გაიგო, რომ მოღალატეს ვესვრიო, თავს არ დაიზოგავს.

რატიევმა აღარაფერი უპასუხა, ჩოგლოკოვი კი ადგა, გაიარ-გამოიარა, მერე თითქოს რაღაც მოაგონდა და ახლა მეორე მხრიდან მიუჯდა რატიევს:

— ასეთი მანიფესტი მან მეფე ერეკლეზედაც შეიძლება გამოსცეს. დანიშნავს ჯილდოდ ათიათას ოქროს... ნუ თუ ამას მეფე ვერ მიხვდება. აჰ! რატომ ჩვენც არ წავედით მეფესთან, გვეთქვა ეს ყოველივე. იცი რა, წავიდეთ, აქ სული მეხუთება რაღაც. მგონია, კიდევაც გაავდარდეს, მოახსენე მის ბრწყინვალებას ანა თეიმურაზის ასულს...

რატიევი დაეთანხმა და სთხოვა ანას ლხინი შემდეგისათვის გადაედოთ. ანა მაშინვე წამოდგა ზეზე, დანარჩენებიც წამოიშალნენ და ყველანი კოერის ანუ მაღალი კარიბჭისაკენ გაემართნენ.

ჰაერი საოცრად იყო დახუთული, კუპრივით შავი იყო ღამე და მსახურთა ხელში აქიანებული ფარნები ოდნავი კიაფით უნათებდა გზას წინ მიმავალ მანდილოსნებს.

(გაგრძელება იქნება)

ლიდია მეგრელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშობლიურ ცის ქვეშ*

რომანი

მთვარე ცალი თვალით იცქირებოდა

ეუხელ ღამ შუაღელაში გამართული კრების დროს, ბეგლარ მანთიძე სეფეს გვერდით იჯდა მდელოზე. ხალხი სულგანაბული ისმენდა ჩაბალახით თავშეხვეული აგიტატორის ლაპარაკს.

ნაშუაღამევი იყო. მთვარე ცალი თვალით იცქირებოდა ტყიდან ფოთლებში მიმალული. მკრთალ ნათელში მოსჩანდა ჯირკზე შემდგარი, ევროპულად ჩაცმული ვაჟკაცი — სახე შეფარული. ლაპარაკობდა მტკიცედ და დამაჯერებლად. ბეგლარი თრთოდა, თითქო ნაცნობი ხმა ესმოდა. აგონდებოდა მახარე. მხოლოდ ეს უფრო დასრულებული ვაჟკაცის ხმას ჰგავდა. ცმუკავდა ბეგლარი, ვერ ჰფარავდა აღტაცებას, ცალკე, ჯერ არგაგონილი ამბების სმენით, და ცალკე, მახარეს ხმის მსგავსებით.

— რა უჭირს ამ დალოცვილმა აიხადოს ჩაბალახი?—ეჩურჩულებოდა ბეგლარი სეფეს, — რატომ გვემალება? განა ცუდ რამეს გველაპარაკება? ყველაფერს მართალს არ გვეუბნება?..

„ვაცხონე ამის მშობლები!“.. წამოიძახებდა შეხმაურების ნიშნად ხანგამოშვებით ბეგლარი და ისევ მიუგდებდა ყურს. სეფე მტკიცედ ინახავდა საიდუმლოს. არ უმხელდა ბეგლარს, თუ ის მისი მახარე იყო, მახარე ხალხში არ ხედავდა მამას.

მთვარე ჩადიოდა.

იქუფრებოდა ღამე.

სეფეს გული ეთანაღრებოდა: გაემხილა თუ არა ბეგლარისათვის აგიტატორის ვინაობა, ვერ გადაეწყვიტა მირიანის დაუკითხავად. ებრალებოდა მამა.

სდუმდა ხალხი. პირველად ისმენდნენ სამართლიან სიტყვას, და რაც მოისმინეს, ხალხის გულიდან იყო ნათქვამი. მხოლოდ ერთი რამ მაინც რჩებოდა უთქმელი და, აი, წამოდგა ბეგლარ მანთიძე, მოაგონა ხალხს, რომ ისინი იდგნენ საკუთარი სინდისის წინაშე.

— ამხანაგებო, — დაიწყო ბეგლარმა,—დავიდოთ ხელი ულვაშზე მამაპაპურად, დავსდოთ ფიცი სინდისზე, რომ არ გავდგებით განზე და არ ვუღალატებთ ჩვენს „ძმობას“ და „ერთობას“.—ბეგლარი შეჩერდა, თითქო უცებ მოაგონდა რაღაც, და მერმე ხმამაღლა დაიძახა: — ამხანაგებო, მომდურავები უნდა შევრიგდეთ...

---

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“, № 5 — 6.

ამ სიტყვაზე ასტყდა ხალხში ჩოჩქოლი, სიცილი და მომდურავი მეზობლების გამოძახილი: „შევრიგდეთ, შევრიგდეთო!“ და ჩოჩქოლის შემდეგ ეხვეოდნენ მეზობლები ერთმანეთს, ჰკოცნიდნენ და სიტყვას სდებდნენ ფოლადზე უმტკიცესს, რომ არ გადაუდგებოდნენ „ახალ საქმეს“.

„სინდისი დასდო ხალხმა საფიცრად. ამაზე ძლიერი რაღაც [illegible] ფიქრობდა მახარე, ტოკავდა მამის ხმაზე, უხაროდა რომ პირველად ბეგლარმა აღიარა ადამიანური სინდისი. უნდოდა გადამხტარიყო ჯირკიდან, გადახვევოდა მამას, მაგრამ არ შეეძლო. ამაღამ მირიანისა და სეფეს განკარგულებაში იმყოფებოდა მახარე.

სეფეს გულმა აღარ მოუთმინა და კრების დაშლის შემდეგ, გზაში ბეგლარს ჩუმად უჩურჩულა, რომ ის ღვთისმაგიერი კაცი ბეგლარის მახარე იყო. ბეგლარმა წაიყრუა, არაფერი უპასუხა სეფეს. მამასხარავებსო, იფიქრა და გზა განაგრძო შინისაკენ.

— დაიჯერე, ბეგლარ, შენი მახარე იყო იგი, — არ ეშვებოდა სეფე, — უთენიას ჩადი წისქვილში და ნახავ. მეწისქვილესთან არ წამოგცდეს, რომ შენი შვილია. არც სახლში გაამხილო. ცოტა მოითმინე.

ბეგლარს ცრემლები მოადგა თვალებში. ამასწინათ წერილი მიიღო მახარესგან, იწერებოდა, ადრე გნახავთო, ახლა...

— რა იფიქრა ამ ბიჭმა, შინ რომ არ მოვიდა?!

არ ისვენებდა ბეგლარი. მთელი ღამე ეზოში დადიოდა. ბეღელში შევიდა, ცოტა სიმინდი ჩაყარა ტომარაში. მერე ფაცხაში შევიდა, თვალი მოავლო მძინარე ბავშვებს. მთელი დღე ბოსტანში მუშაობის შემდეგ, ისე ღრმად ჩასძინებოდა მაკას, რომ არ გაუგია, როგორ გააღო ბეგლარმა ფაცხის კარი. ბეგლარი დააცქერდა ცოლს და გაიღიმა. „ეგებ ძილში ესიზმრება?.. ცოდვაა ეგ ოჯახქორი“... ლოგინისკენ მიიწია, კინაღამ წაცდა საიდუმლო... მაგრამ ბავშვებს გადახედა და უკან გამობრუნდა. ფრთხილად გავიდა ფაცხიდან.

. . . . . .

ალიონის ვარსკვლავი კაშკაშებს.

წისქვილის წინ, კუნძზე ჩამომჯდარი, ფიქრებში გარინდებულა ბეგლარი. ზევით წისქვილის სათავანთან ჯარგვალი დგას. ორმოცდა ათი წელი მაინც იქნება, რაც ეს ჯარგვალი დაუდგამს აქ სოფელს მთავრობის ბრძანებით. მაშინ გზატკეცილის ყარაულები ათევდნენ აქ ღამეს და ამ ადგილს საყარაულოს ეძახდა სოფელი. მერე, როცა ყარაულობა გადავარდა, ჯარგვალი წისქვილის პატრონის განკარგულებაში დარჩა. ახლა წისქვილის საყარაულოს ეძახიან. როცა შორსმდებარე სოფლებიდან სიმინდი ჩამოაქვთ ჩამოსაფქვავად, აქ ანთებენ კერაზე ცეცხლს და ელოდებიან სიმინდის ჩამოფქვას. გარდა სოფლელებისა, ათას შეგვიანებულ მგზავრს გაუთევია ამ ჯარგვალში ღამე. ახლა მახარეს სძინავს აქ. ფილიმონმა „უცხო მგზავრს“ ნაბადი მიუგო ფიცრის ლოგინზე. თვითონ წისქვილში იძინებდა ფილიმონი. აქ ჰქონდა თავისი განჯინა და კერა.

ბეგლარი მოუთმენლად მისჩერებოდა კარმიხურულ ჯარგვალს. სიმართლემ სინათლესავით შეაშუქა ბეგლარის გულში, მაგრამ მაინც არ სჯერა, რომ იგი მისი მახარე იყო, რომელსაც მთელი ხალხი უსმენდა, რომელიც ყველაფერს მართალს ლაპარაკობდა: „მზე და ჰაერი ყველას ეკუთვნისო, მიწაც ყველას უნდა ეკუთვნოდესო“.

— ღმერთმა ჰქნას, შვილო!..

ბეგლარის გულმა უნებლიედ ამოიოხრა. შეკრთა, ფიქრებიდან გამოერკვა: მახარეს ჩახველება მოესმა. წამოდგა, ჯარგვალში შესვლა უნდოდა და მახარე წინ შეეფეთა. გაუკვირდა მახარეს. არ მოელოდა მამასთან შეხვედრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბაბაა?! — წამოიძახა ბავშვურად და მამას გადაეხვია.

სანამ მეწისქვილე ჯარგვალში შემოვიდოდა, მახარე მამას ესაუბრებოდა. ჰკითხავდა სოფლის ამბებს. სწუხდა ოჯახისათვის. ენატრებოდა დედა და ბავშვები.

— რატომ შინ არ მოხვალ, შვილო?! — კინაღამ ატირდა ბეგლარი.

— ჩემი სოფელში გამოჩენა ამხანად არ ივარგებს, ბაბა!

მახარემ ჯიბეზე მოივლო ხელი. დიდიხანია ცოტა ფულს აგროვებდა შშობლებისათვის. ამოიღო ქისა და მამას ჩაუდო ხელში.

— ამით ბაღნები შემოსე, ბაბა. უთხარი, მახარეს გამოუგზავნია-თქვა. ნენეს არ დაუმალო ჩვენი საიდუმლო. უთხარი, რომ ზაფხულში მოვალ უსათუოდ. გაივლის ეს მღელვარე ამბები. ვნახოთ, როგორ წავა ქვეყნის საქმე.

მახარემ ღია კარიდან მეწისქვილე დაინახა.

— ეს მეწისქვილე სადაურია, ბაბა?

— ბახველია. კაი კაცია.

— უთვისტომო ყოფილა საწყალი. ბევრი ამბები მიამბო. გაზეთის თანამშრომელი ვარ-მეთქი, უთხარი.

ფილიმონმა დაბალი სუფრა შემოიტანა, მახარეს წინ დადგა და მოიბოდიშა:

— თქვენი საკადრისი არაფერი მაქვს, მაინც დავიხემსოთ ცოტა.

ჯამით ყველი დადგა და მჭადი დატეხა.

— ბეგლარ, შენ რამ მოგიყვანა ამ დილაადრიან?

— ცოტა სიმინდი მაქვს, ფილიმონ, ჩამოსაფქვავი.

— მერე მინდის საქმე რავა ვქნათ? — გაიცინა ფილიმონმა და გამხდარ ლაწვებზე ნაოჭები ჩაკეცა.

— შუაღელაში იყავი წუხელ?

— ვიყავი. ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი. კარგად ილაპარაკა სწორედ.

მახარემ მამას შეხედა, გაიღიმა და მჭადს ყუა მიატეხა.

მზე მთების მწვერვალზე იდგა, როცა მახარე მამას გამოეთხოვა. თვალი შეავლო სოფელს. სერზე შქერნალი აყვავებულიყო. გაფურჩქნილი ხეხილების სურნელი იდგა. გიორგობა იყო ამ დღეს — 1902 წლის 23 აპრილი. წმიდა გიორგის ეკლესიიდან ამაოდ ისმოდა ზარის ზუზუნი. ივანე ხუცესი იდგა შემოსილი უკაცრიელ საყდარში. არავის მოყავდა ვერცხლით რქამოჭედილი მოზვერი წმიდა გიორგისათვის შესაწირად. არავინ ჩანდა მლოცველი. იწყებოდა სოფლად ბოიკოტის დღეები. სახელმწიფო გადასახადი თავის ნებით არავის შეჰქონდა. დრამის ფულზე უარს ამბობდნენ. გურიელის მამულში მოხნული ყანები მიატოვა გლეხებმა უთესლოდ. ტყისმცველებმა თავი მიანებეს ტყეს. მოჯამაგირეები გარბოდნენ დამქირავებლიდან. მეწისქვილე ფილიმონი მინდს აღარ იღებდა ნაკაშიძის სასარგებლოდ.

სიბილო დაჟინებით ამბობდა: მახარე გარეგნობით ნეაპოლელ ჰერმესს ჰგავსო. მისი გული სავსეა დაუცხრომელი სურვილებით. ცხოვრების სიცოცხლე ჩქეფს მის ძარღვებშიო. ასეთი ადამიანი უდროოდ დაიფერფლებაო.

აივანზე ისხდნენ ახალგაზრდები, მასლაათობდნენ. თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე თითბრის სამოვარი ჩუხჩუხებდა. ტასი ჭიქებს და ჩაის კოვზებს აწკრიალებდა. ჩუმად ღელავდა მახარეს ხსენებაზე.

მახარე ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო გურიიდან. მოუთმენლად მოელოდნენ ამხანაგები. საპირველმაისოდ ბათუმში უნდა ყოფილიყო აუცილებლად.

„ახალი მესია“ გურიის ყოველ კუთხეში მართავდა კრებებს.

ბათუმში „ცხელი ამბები“ მოდიოდა გურიიდან: სოფელ სუფსაში ერთი შემამულე მოჰკლესო. მკვლელობის მიზეზი არ იციანო.

მერიაში ვიღაც აზნაური ქარცივაძე მოეკლათ. აქაც ვერ აღმოეჩინა პოლიციას მკვლელები. ყველაფერი ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ გურიაში სერიოზული აჯანყება იწყებოდა.

ტასიმ ჩაიზე მიიწვია სტუმრები. ღარიბული სუფრა ჰქონდა—ორიოდე თეთრი ჩიტპურა და შემწვარი სულგუნი, მაგრამ მხიარულება არ აკლდა. აგერ დაროც მოვიდა. დარო თამამი ქალიშვილი იყო. სიბილო მას ახტაჯა გოგოს ეძახდა. ულამაზო იყო დარო და ამიტომაც დედაბრების როლში გამოჰყავდა ანტონს იგი. უყვარდათ ამხანაგებს დარო, ვინაიდან დაროს გულის კარი და სახლის კარი, მუდამ ღია იყო ამხანაგებისათვის.

მარჯვენა ოთახის ფანჯარაზე, სადაც მაგდა ყოველთვის მოსჩანდა საკერავზე წახრილი, დღეს საგანგებო სქელი ტილოს ფარდა იყო ჩამოფარებული. იმ ოთახიდან ადამიანის სუნთქვა არ ისმოდა. მაგდა მთელი დღე ჯდა სულგანაბული და გამწარებული ქარგავდა წითელი ატლასის დროშაზე კარლ მარქსის სურათს.

ღამდებოდა. ოცდაათი აპრილი იმარცვლებოდა. მაგდას ეჩქარებოდა საქარგავის დამთავრება. ჩქარა ერმილე უნდა მოსულიყო დროშის წასაღებად. სიბილოც ერმილეს მოსვლას ელოდებოდა. ქუჩისკენ ეჭირა თვალი. მაგდას ოთახს დარაჯობდა. „ავ თვალს არ სძინავსო“, ფიქრობდა სიბილო. ამიტომაც არ იშლიდნენ დღეს აივანზე მხიარულებას.

მაგდამ ოქრომკედის ყაითანი შემოავლო დროშას და ასწია ზევით, გაშალა. წითელი ატლასი, ოქროსფერი ყაითნებით ამოქარგული, წარმტაცად ელვარებდა. მაგდას დროშაზე ოქროსფერი მკედით წაეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. წარწერა გარს უვლიდა მარქსის სურათს. მაგდა თავმოწონების სურვილმა აანთო, ქალურმა გრძნობამ დასძლია, დროშა უფრო მაღლა გაშალა და ფანჯარაზე ფარდა გადასწია. ყველანი სახტად დარჩნენ ნახელსაქმის სიმშვენიერით. მხოლოდ სიბილო მივარდა, ფანჯარას აეფარა და მაგდას დაუყვირა:

— სულელო, მაინც ქალის ჭკუა გაქვს!..

ტასიმ ჭიშკრისაკენ მიიხედა. ეზოში ერმილე და მახარე შემოდიოდნენ.

— მახარე ჩამოსულა!—დაიძახა დარომ და სიხარულით ხელი-ხელს შემოჰკრა.

ტასი აილეწა მოულოდნელი სტუმრის შესახვედრად.

მახარე არაჩვეულებრივ მხიარულ ხასიათზე იყო ამ საღამოს. ივანზე შემოსვლისთანავე გიტარას დაავლო ხელი და ტასის გადააწოდა:

— დაუკარი, ტასი, იქნებ ეს დღეც ჩქარა გავიდეს.

ტასიმ გრძელი, ქარვისფერი თითები ეშხით ჩამოჰკრა სიმებს.

მღეროდა ტასი, მღეროდა მთელი გრძნობით. მახარეს სიყვარულით სავსე გული მოხდენილად გადაჰქონდა ნაზ მელოდიურ სიმღერებში. ამას ყველაზე უფრო ერმილე გრძნობდა. მახარე იცინოდა. იგი სხვაგან იყო ფიქრებით. მის თავში საპირველმაისო დემონსტრაცია ხმაურობდა. წითელი დროშა ფრიალებდა. მახარეს მუსიკალურ სმენაში სასიყვარულო ლექსების მაგიერ საბრძოლო ლექსის სტრიქონები ბგერდა: „მეგობრებო, წინ, წინ გასწით...“ ხან მარსელიოზის ნაწყვეტები მიმოქროდნენ ყოვლისდამტევ გრძნობის სიღრმეში. ვის შეეძლო შეცნობა: რამდენი შხამი და შარბათი ჟონავდა მახარეს სულში. საპირველმაისო დემონსტრაციას უნდა გამოევლინებია ხალხიდან ახალი მებრძოლები, უნდა გამოემჟღავნებია ხალხის შეგნება.

რამდენი სათქმელი ჰქონდა მახარეს ხვალ ტრიბუნიდან.

შეხვდებოდა თუ არა ტრიბუნს ხალხი თანაგრძნობით?

იცინოდა მახარე. მაგრამ, როცა ტასიმ „მხოლოდ შენ ერთს“ იმღერა, მაშინ მახარეს ფიქრები უეცრად დიასთან გადაფრინდა.

ორი მაისის ღამე

№ 5, 7, 9. ამ ნომრებზე საიდუმლო აგენტების ნაცვალი გვარები ჰქონდა გურიელს ჩამოწერილი. № 5—„ქვეშქვეშა“, № 7—„დამაცადე“, № 9 — „კოლო“. გურიელი ოთახში დადიოდა, ბოლთას სცემდა. ყაზარმაში ორმოცამდე მუშა და მოწინავე პირები ყავდა დატუსაღებული. მაგიდაზე ქაღალდი ედო, რომელზეც აღნიშნული იყო ტუსაღების გვარები. იქვე ეწყო ქუჩებში შენაკრები პროკლამაციები. მარჯვნივ იდგა მრავალუჯრიანი სასტამბო ყუთი, სადაც უთავბოლოდ ეყარა ჟანგმოდებული ძველი შრიფტები, ქართული და რუსული. ახლა დროშის ბრაზი ეჩხირებოდა ყელში ლევანს, დროშამ, რომელმაც თვალი მოსჭრა დემონსტრაციაზე და სწრაფად გაქრა, ხალხში მიიმალა, ხალხის გულში დაბინავდა. „ის, ის უნდა ამოირუჯოს ხალხის გულიდან“...

არ ცხრებოდა გურიელი, დღეს მთელი დღე აგენტებს ლანძღავდა, ვინდა არ გინდა დროშა უნდა აღმოაჩინოთო. ხან „ქვეშქვეშას“ უყვიროდა, ხან „კოლოს“ ემუქრებოდა. როსტომს ესაყვედურებოდა:

— კაცო, ასეთი უბედურება გინახავს სადმე? ამხელა დროშა როგორ ნემსივით გაგეპარათ ხელიდან? ეს მხოლოდ ლაჩრებს დაემართებათ. — ეუბნებოდა როსტომს.

როსტომი საღამოს აღარ გამოჩენილა ურიადნიკის კაბინეტში.

ყაზარმიდან ისმოდა პატიმრების ხმამაღალი სიცილი და გურულ-მეგრული სიმღერები, რაც კიდევ მეტად აბრაზებდა ლევან ესეს-ძეს.

მეკარემ თავი შემოჰყო ოთახში.

— სტუმარი გიახლათ, ბატონო!—მოახსენა.

— აა, კარგ დროს გაგახსენდა მობრძანება! — კოპებშეკრული მიმართა სტუმარს ურიადნიკმა. სკამი უჩვენა, დაჯექიო, უთხრა.

„დამაცადე“ ამცბარი ჩამოჯდა. არ ესიამოვნა უხეში შეხვედრა.

— უქეიფოდ ხომ არ ბრძანდებით, ბატონო?—ჰკითხა „დამაცადემ“ დუმილის შემდეგ.

— ჯერ ეს მიბრძანე, რა გააკეთე ამ დღეებში მისი ძალაბრწყინვალების: ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის სასარგებლოდ?

ენაბორკილი იყო „დამაცადე“ და ახლა დაება ენა.

— ბბბბატონო, ცოტა ددددامაცადე...

— რაო, რა სთქვი?—საჩვენებელი თითი ცხვირთან დაუტრიალა გურიელმა.—კიდევ „დამაცადე-دددامაცადეს“ გაიძახი? უგუნურო, იცი რას გიზამ? ვირის აბანოში ამოგაყოფინებ თავს. ოქროების მუქთად გაფლანგვა არ შეიძლება.

— ررررას მერჩი ببببატონო, ეს ببببოროტი სტამბა ხომ ددددامოგიჩინე?

გურიელმა შრიფტებს შეხედა, მოაგონდა; სტამბა „دددددامაცადეს“ ددددامოჩენილი იყო. პროკლამაციების ასოებს შეადარა. ამ შრიფტებით იყო دددددامასტამბული ეს პროკლამაციები... ხმას دددددامუდაბლა, თითქმის მუდარით სთქვა:

— ეს კარგი, მარა, درررررامაში?

— درررررامაში მოჩვენებასავით გაქრა, ბატონიშვილო, ხალხის ددددددامალამ წაიღო ის და ისე უცებ دددددامალა, რომ... შევხედე, ქალის ხელით იყო ناქარგი. ქალებიც გაეშმაკدددددامენ, ჯილაგგასაწყვეტლები.

„دددددامაცადე“ წასასვლელად წامოدددددامგა. ფული უნدددددامოდა ეთხოვნა, მაგრამ ვეددددددامარ გابددددددامა, ვინაიددددددامან ურიددددددامნიკი ცუდ გუნებაზე იყო دددددامღეს.

სანამ „دددددامაცადე“ კარებისაკენ مددددددامიدددددامოდა ფეხისთრევით, გურიელმა ორი ددددددامოქრო ددددددامოددددددامიدددددامო ددددددامუჯრიددددددامან და კარებში مددددددامიمავალს مددددددامიاددددددامახა:

— دددددامაცადე كددددددامაცو, ددددددامარ دددددامაცددددددامლი? ددددددامული ددددددامინددددددامოدددددامو ددددددامლبددددددامو.

„دددددامაცადე“ ددددددامემددددددامبددددددامუნددددددامو, ددددددامვددددددامლددددددامبددددددامი ددددددامაددددددامწყددددددامინددددددامو.

— ددددددامენი ددددددامირددددددامე, بببببب

შა გაატანეს ამხანაგებმა გურიაში გადასამალავად. ტასი ტიროდა თავისუფლად. არავის წინაშე სირცხვილი არ აწუხებდა. მიკრულივით იჯდა სკამზე და სარკეს ჩასცქეროდა უაზროდ. ღაწვებზე ჩამოღვრილი ცრემლი წვეთწვეთად ეცემოდა თეთრი ქსოვილის საფარს. იქვე ლამპა ბჟუტავდა. ერთი პაწია ფარვანა შემოფრენილიყო ფანჯრიდან და თავს ევლებოდა ანთებულ პატრუქს. იწვოდა ფარვანა და მაინც არ შორდებოდა სინათლეს. დააცქერდა ტასი ფარვანას. დაასკუპდებოდა იგი ცხელ შუშას და კვლავ წამოფრინდებოდა, კიდევ და კიდევ, სანამ სულ არ დაეწვა ფრთები და არ დააკვდა სინათლეს.

„მეც ფარვანა ვარ,—გაიფიქრა ტასიმ,—შენ კი ჩემი თვალის სინათლე, ჩემო"...—და ახლა მისი თვალის სინათლე პატიმრებთან იჯდა ყაზარმაში. მძიმე სასჯელი მოელოდა მახარეს. ამ საღამოს სიბილო მოვიდა ტასისთან. ქალივით ოხრავდა ვაჟკაცი: ჩამოხრჩობა მოელისო მახარეს. გოგილო შეწუხებული დარბოდა ამხანაგებში. ტრიფონს ერთი ქისა ოქრო დაეჭირა ხელში შავი დღისათვის შემონახული და გადარჩენილ ამხანაგებს ევედრებოდა: წაიღეთ, ბიძია, აი პარტახი ოქრო და რამენაირად დაიხსენით ეს ბიჭის სიცოცხლეო.

ერმილეს ოთახი გაეჩხრიკა და დაებეჭდა პოლიციას. ოლომფრე და ნიკიტაც მახარესთან ისხდნენ ყაზარმაში. ერმილე თავის თავზე არ სწუხდა.—გადამასახლებენ, ამით ხომ რევოლუციას ვერ ჩააქრობენ? გაიმარჯვებს ჩვენი დაწყებული საქმე და დავბრუნდებით, ბიჭებო, გული არ გაიტეხოთ!—მიმართავდა ერმილე ამხანაგებს. ნიკიტა გიტარას ეხვეწებოდა ყველას. „ოღონდ გიტარა მომიტანეთ და სხვა არა მინდა რაო".—სწერდა ქეთინოს ნაფლეთ ქაღალდზე, რომელსაც გაცნობის დღიდან—დღემდე პირველად ყაზარმიდან უცხადებდა სიყვარულს. „ძვირფასო, მე ჩქარა დავბრუნდები. ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, მანამ შორიდან ვებულბულები შენს სიყვარულს. მაპატიე, რომ დამიგვიანდა ადრესათქმელი"—ატყობინებდა ნიკიტა ქეთინოს. თანაც დასძენდა: არ დამივიწყოო... მოულოდნელი და გასაკვირველი იყო ეს ამბავი ქეთინოსათვის.

„ჩუუ ნიკიტას ვუყვარვარ? მერმე სად იყო აქამდე? ციხიდან მეუბნება ამას?" „დას" რომ მეძახდა? ბრიყვი ყოფილა!"—წამოიძახა ქეთინომ და გიტარაზე ძაფები დაამაგრა.

არც ოლომფრე ჩიოდა თავის-თავზე. ყველას მახარეს დარდი სწვავდა. მახარე პირდაპირ ტრიბუნაზე დაიჭირეს. „კოლომ" ისახელა ამ საქმეში თავი. სამაისოდ შეკრებილ მიტინგზე პირველ საჯარო სიტყვას ამბობდა იგი ბათუმის საზოგადოების წინაშე. ამას ზედ დაერთო ერმილეს ოთახის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი წერილი, რომელიც მახარეს უცაბედად დაუვარდა პირველ მაისის დილას—ოთახიდან გასვლის დროს. წერილი დიას ეკუთვნოდა. წერილში ერთ ადგილს მახარე სწერდა დიას:

„ჩემო მშვენიერო, ხუთი წელია ვოცნებობ შენზე. არც ერთი წუთით ეჭვის ჩრდილი არ მიჰკარებია შენს სახეს ჩემს ხსოვნაში. ისევე ლამაზი და სპეტაკი ხარ ჩემთვის, როგორც იყავი თივაში თამაშობის დროს. თვრამეტი წლის ხარ ახლა. მე ისევ ცამეტი წლის ტანლერწამა

გოგონა მახსოვხარ და ვერ წარმომიდგენია, როგორ გექნება ახლა კაბის ღილები შეკრული გულზე?

. . . . . .

მაგრამ მე უფრო სხვა რამ მეინტერესება...

როგორ გრძნობ თავს გურიის ყვავილნარში? გაზაფხულობა და თვალწინ მეხატება აყვავებული ნუში და ვაშლი, მწვანე ტყეები და ჭრელი მინდვრები და ვფიქრობ, კარგია ახლა შენთან ყოფნა.

. . . . . .

მე ვემზადები შენთან შესახვედრად და მეშინია: ვაი რომ იჩქითად გამიქრეს ის სახე, რომელიც მე წინ მიძღვის ადამიანურ გმირობისაკენ.

რა ვიქნები მაშინ მე?

ჩემო სანატრელო, სიყვარული ავსებს ადამიანის სულის ხარვეზებს".

წერილის მეორე გვერდზე სწერდა მახარე: „მე მაინც მინდა გარკვევით ვიცოდე: როგორ დაემთხვა შენი სული თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის საერთო საქმეს".

ეს წერილი ღუპავდა მახარეს. წერილი წაიკითხა გურიელმა და მაგიდის ყუთში ჩაკეტა.

ტასიმ წერილის შესახებ არაფერი იცოდა. მას მხოლოდ სიბილო ჩასძახოდა ყურში: „ჩამოახრჩობენ... ჩამოახრჩობენ"...

მახარესაც კარგად ესმოდა, მისი დანაშაული უფრო დიდი იყო, ვიდრე ამხანაგების. მეტი სასჯელი მოელოდა, მაინც მხიარულად ეჭირა თავი.

„ჩამომახრჩობენ. ამით ხომ ჩემი საქმის კვალს ვერ წაშლიან. რევოლუცია მაინც გაიმარჯვებს. ჩემი სახელიც გმირთა სახელებს მიემატება", სთქვა მახარემ აუღელვებლად და იატაკზე მიწვა, მკლავი თავქვეშ შემოიდო, ეძინებოდა. ნიკიტა უფრო ადრე მიწოლილიყო კუთხეში და ძილისპირულს ღიღინებდა.

. . . . . .

ტასი ჯერ კიდევ თავის ოთახში იჯდა. საშინელი ამაზრზენი ფიქრები უვლიდა ტანში. მთელი დღე ლუკმა პური არ უჭამია. „პატიმრებს ხვალ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გადაიყვანენ. მერე შველაზე ფიქრი გვიანღა იქნება. წავალ, ფეხქვეშ ჩაუვარდები ოლქის უფროსს. ნუთუ „ნოინზე" უფრო ბოროტია ქართველი თავადი? ნოინმა შეიწყნარა ქალის თხოვნა, დაუბრუნა მას სატრფო, იქნებ მეც მაჩუქოს გურიელმა მახარეს სიცოცხლე?"

მეტი ფიქრის დრო აღარ იყო. ტასი წამოდგა, უცებ კაბა გადაიცვა. სარკეში ჩაიხედა. შინაგანი მღელვარება მეტ ეშხს ჰმატებდა ყმაწვილი ქალის სახეს. მოეწონა ტასის თავისი სახის აღნაგობა, სახის ნაკვთების შეხამებული მოხატულობა და კანის ფერის სისპეტაკე. და ისევ ამაზრზენი ფიქრები შეეჭრა გულში. შიშმა აიტანა. თითქო განიცადა ვიღაცის ხელი ეხებოდა მის სხეულს. და ეს ვიღაცა ის იყო, ის, „მტარვალი"... და—იყვირა ტასიმ უნებლიეთ: ზურგის უკან სარკეში მოელანდა ლევან ესეს-ძე. ცვილისფერი მოგრძო სახე, აგურისფერი ჩოხა და სირმანაკერი ჩინები.

სარკეს მოშორდა. მიიხედ-მოიხედა. კარგი, რომ მაგდა არ იყო სახლში. „დასწყევლოს ღმერთმა, რა მემართება. წმიდაო გიორგი დამიცავი, სამას სამოცდა ხუთო ანგელოზო—დამიფარე, ღმერთო, განდევნე ჩემგან შიში!"—სასოებით აღაპყრო ცისკენ თვალი ტასიმ.

„მე უნდა გადავარჩინო იგი ჩამოხრჩობას!“

ცრილი წვიმა ეშხაპუნებოდა ვაზის ფათალოებზე ფანჩატურში. ბნელოდა.

შუა ქუჩაზე მიდიოდა ტასი იქითკენ, საიდანაც მოჩანდა ჭრელი სინათლე ფანრით განათებული. იქ იყო ალაყაფის კარები ორსართულიანი აგურის შენობისა, სადაც ცხოვრობდა ოლქის უფროსი—გურიელი. ღია ფანჯარაში ოდნავ ატოკებდა ნიავი მძიმე ფოჩებიან სუროსფერ აბრეშუმის ფარდას, საიდანაც გამოკრთოდა დაწეული ლამპის შუქი ცისფერ აბაჟურში.

აგურის შენობის უკან, ეზოში, ჩაბნელებული მოჩანდა ქვისაგან ნაგები გრძელი ყაზარმა. ეს იყო პატიმრების სამყოფი.

ტასი ჭიშკრის მავთულს შეეხო.

მეკარემ გამოიშვრიტა.

— დედაკაცო, ახმედ-აღას ყავახანა ხომ არ გგონია აქ, ალბათ ღამის გასათევს ეძებ?—გაეხმაურა შალწამოსხმულს.

— არა, ღამის გასათევს არ ვეძებ. მე კარგად ვიცი სადაც ვარ. წადი, ურიადნიკს მოახსენე, ქალი გეახლაფ, თქვენი ნახვა სურს-თქვა.

— გვიანია,—ლუღლუღით წაიბურტყუნა მეკარემ,—დილით მოდით.

— ჩქარა წადი, თორემ პასუხს აგებ. უთხარი, ვისაც ელოდი, ის ქალი გეახლათ, ასე დამაბარა-თქვა.

არ გასულა ორი წუთი, დინჯი და გაბედული ნაბიჯით ტასი ავიდა კიბეზე. შავი შალიდან წვიმა წვეთწვეთად ჩამოდიოდა.

გურიელი ჩვეულებრივ მოქარაფებული იჯდა ჟოლოსფერ მაუდგადაფარებულ მაგიდასთან—ფეხიფეხზე გადადებული. ქარვის მუნდშტუკში ბამბაწახვეულ წინდისჩხირს უჩხიკინებდა, თუთუნის ძინთს სწმენდდა. საწოლი ოთახის კარი გამოეღო. კანდელივით წმინდა შუქი ლიცლიცებდა იისფერ აბაჟურში. ლევან ესეს-ძის სასთუმალთან კედელზე დაკიდებული მოსჩანდა ტიტველი ქალის პორტრეტი.

ატოკებული ფარდის ფოჩები ლორიგანის სურნელებას ანიავებდა ოთახში.

ორმოცი წლის ღია კარებს უცოლ-შვილოდ მისდგომოდა გურიელი. ეს უკანასკნელი ნაშიერი იყო უშვილოდ გადასული გურიელების გვარისა.

ტასი კარებში შედგა შავშალმობურული. გული აუცახცახდა.

ურიადნიკმა თვალი შეავლო უდროო სტუმარს, სახე დაეღრიჯა. გაიფიქრა ტუსაღის დედა იქნებაო, როგორ გაბედაო ამ დროს მოსვლა, ჩერჩეტმა! მუნდშტუკიდან წინდისჩხირი გამოძურწა, ძინთი გააცალა და ცალყბად ჰკითხა:

— რისთვის მოსულხარ, დედაკაცო, ვინ დაგიბარა? არ იცი რომ ამ დროს აქ მოსვლა არ შეიძლება?

ტასის ენა დაება. იდგა ერთ ადგილზე და თვალს ადევნებდა გურიელის დამანჭულ სახეს, უსიამოვნო სტუმრის დანახვაზე რომ დაეღრიჯა. მხოლოდ, როცა ლევან ესეს-ძე ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მუნჯ სტუმარს, ტასიმ მაშინ მოისაზრა შალის მოხდა პირისახიდან. გურიელი შეკრთა. მიულოდნელი სიხარული ეწვია თავადის სულს. ღილებგახსნილ ახალუხს სწვდა შესაკრავად. თან თავაზიანად მოიბოდიშა, რომ ქარაფად იჯდა, სახლში. არავის მოველოდიო სთქვა. მოლისფერი ხავერდის სავარძელი შემოაბრუნა, წინ დაისვა სტუმარი.

დიდხანს ჩასცქეროდა ტასის წამწამებდახრილ თვალებში.

ქალი თვალებდახრილი იჯდა. გული ძლიერად უძგერდა. ხან შენაცვლებითვით აუცახცახდებოდა ქვედა ბაგე, ხან ნაპრალის პირას მდგომ ნაკრეკვით შეშინებული გამოიხედავდა. ხელები ჯვარედინად გადაეჭდო მაჯების ქვევიდან.

ეროვნული

გურიელს ჩუმი სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა ტანში. ბუნებრივად ... ...

— ეს უნდა იცოდეთ, ქალბატონო, იოლად არაფერი არ კეთდება. მაინც რისთვის გარჯილხართ?

— ბატონიშვილო, — დაიწყო გულაჩუყებულმა ტასიმ,—დარწმუნებული ვარ, ნოინზე უფრო მრისხანე არ იქნებით ქართველი თავადი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— მერე... მერე...

— ჰო, მერე...

— ის, რომ...

— რა?

— გთხოვთ, ვითარცა ნოინმა აჩუქა ნათელას თავისი სატრფოს სიცოცხლე, ისე მაჩუქოთ მეც ჩემი შეყვარებულის სიცოცხლე, ბატონიშვილო!..

ურიადნიკმა მხრები ასწურა, კბილები დაახრჭიალა და ზეზე წამოდგა:

— მერე იცით ვის სიცოცხლეს თხოულობთ? ავაზაკის, ხელმწიფის მოღალატის, ქვეყნის დამღუპველის. როგორ მიბედავთ?

ურიადნიკმა მუშტი გაჰკრა მაგიდას ისე, რომ ჭიქები აწკარუნდა.

— როგორ მიბედავთ-მეთქი?..

— ბატონიშვილო!.. სიყვარულმა მიბრძანა...—ბაგეების ცახცახით სთქვა ტასიმ. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გურიელმა დაასწრო:

— სიყვარულმა გიბრძანა?! ჰმ, განა სიყვარული ბრძანებლობს ადამიანს?..—უცებ მოლბა ურიადნიკი, გაიღიმა და ჭალისაკენ მიიწია,—სიყვარულმა გიბრძანათ!

— გულმა, ბატონიშვილო!

— ა, უფრო საკვირველი!—გააზვიადა სიტყვა ლევანმა.—გულმა გიბრძანათ. ეს კი მჯერა, მჯერა, ჩემო მშვენიერო, მჯერა, რომ ქალს გულის მეტი არა გააჩნია რა. მაგრამ უფრო მჯერა: შენ მოსაუბრესაც რომ გული აქვს. და ამაზე საამო არა არს რა ჩემთვის, როცა ლამაზი ქალი თავის გრძნობებზე მეტიტინება. მე ვიცი, როგორ უყვარდა ნესტანს ტარიელი, თინათინს ავთანდილი. მაგრამ არ მესმის ჩვენი მდაბიო ქალიშვილების სიყვარული. თქვენ დგეხართ მამაკაცების ახლოს ტყიდან გამოვარდნილი ნადირივით. მახსოვს ერთხელ საყორნიაზე ვნადირობდი. შველს მოვჰკარი თვალი, ბორცვზე იდგა, და მშვიდად იწუწნებოდა ბალახს. მიეპარე ქვევიდან და ხმალი შემოვჰკარი ბარკალზე. მიმოიხედა აცახცახებულმა და გაჭენდა. იმ შველს მაგონებს ეგ შენი თვალები და ისე მომწონხართ... მე მესმის ქალის მოწონება, საშიშარი არაფერია.

ლევანმა გრძელი თითები ფაფუკად მოჰკიდა ქალს მკლავში და ისევ დასვა სავარძელში.

— დაჯექი, მეტიტინე მაგ ტკბილი ენით. მიამბე, რა არის ეგ შენი სიყვარული? მე მომწონებია ქალი, ხან ძილიც გამტეხია ქალზე ფიქრით. ბევრი დრო მიტარებია ლამაზებთან და ყველანი გაქრნენ, როგორც პეპლები ქრებიან საღამო ჟამს. არც სახეები მახსოვს მათი და არც სახელები. ახლა შენ მომწონხარ, ხვალ შეიძლება სხვა მომეწონოს. იქნებ ამიხსნა, რა არის სიყვარული, რომელმაც გიბრძანა შუაღამისას ჩემთან მოსულიყავ ავაზაკის გასათავისუფლებლად?

— ბატონიშვილო, ის ავაზაკი არ არის. ის ნამდვილი ადამიანია, უალრესად კეთილშობილი.

— იმას ჩამოხრჩობა მოელის. ის ხელმწიფის მოღალატეა, გესმის?

— არაფერი არ მესმის. მე ის მიყვარს.

— შენს თავს გირჩევნია?

— უმისოდ ქვეყანა ცარიელი მეჩვენება.

— დაივიწყე. იმას ჩამოხრჩობა მოელის.

— მე მოვედი გამოვისყიდო მისი სიცოცხლე. გევედრებით!

— მხოლოდ ერთი პირობით.

— რა პირობით?—შეშფოთებით მიაჩერდა ტასი.

— იმ პირობით: რომ ბათუმის მიწაზე ფეხი აღარ დაადგას. ახლა მოიფიქრე, როგორც გინდა.

გურიელი წამოდგა, მაგიდიდან ამოიღო ბრძანების ფურცელი.

— რა გადასწყვიტეთ?

ტასის გადასაწყვეტი არაფერი ჰქონდა. იგი წინასწარ განზომილი გადაწყვეტილებით მოვიდა.

— წამიკითხეთ რა დასწერეთ!

— მოისმინეთ: „მახარე ბეგლარის-ძეს მანთიძეს, ეძლევა რა ეს წინადადება მას შინა, რომ მან მანთიძემ ოცდაოთხ საათში დასტოვოს ბათუმის მიდამოები“.

ხელს აწერს ბათუმის პოლიციის უფროსი, ოლქის უფროსი ურიადნიკი ლევან ესეს-ძე გურიელი.

1902 წელი 2 მაისი.

— გადაეცით!

გურიელმა ჩქარი ნაბიჯით გაიარა დარბაზი და კარები გაიკეტა.

მამლები ყიოდნენ

— ჩუმად იყავი-მეთქი, ნუ ბოდავ!

მახარემ თავი წამოსწია.

— ნუ თუ სიზმარი იყო! დედავ, დედილო!..

— სსს, ჩუმად!

— შენ ვინ ხარ? ოლომფრე, რას დაბორიალობ?

— ადექი, ჩქარა, ჩუმად. გიბრძანებენ...

მახარეს გააჟრჟოლა: იცნო. საკანის მეთვალყურე იდგა მის წინ, შავად გაბოლილი ფანარი ეჭირა ხელში.

წამოდგა მახარე, თვალი მოავლო საკანს. ღრმა ძილს მისცემოდნენ პატიმრები.

მძიმე და სულისშემხუთავი ჰაერი იდგა საკანში.

მახარე მეთვალყურეს მიაჩერდა თვალებში.

— აქ ქალი იყო ვინმე?—ჰკითხა დაბალი ხმით.

— ვინ ქალი, რას ბოდავ, გამომყევ ისე, რომ არავინ გაიგონოს შენი ხმა, თორემ დაისჯები, გესმის?

— ბრიყვო, მე არ მსურს ძილი ვავუტეხო ამხანაგებს.

საკანის კართან შესდგა მახარე. ერმილეზე დარჩა გული. მოაგონდა მისი დიდი ამაგი: „ნეტა სიცოცხლე. დასცლოდა მახარეს, ყველაზე უმალ მეგობრის ამაგს გადაიხდიდა. მშობლების ამაგიც მიყვება მახარეს“.

მწუხარებამ დაისადგურა ვაჟკაცის გულში. მოაგონდა [illegible] სიტყვა: „ბიჭო, ხიფათს გადაეკიდები და მამაშენის საჯახირო გახდებიო“, რომ უთხრა მაშინ. „არა, ბაბა, მახარიას შენს ჯახირი აღარ დასჭირდება. გმადლობ შენ, დედავ ბატონო, რომ ეგ შენი ცრემლი სინანულით არ ავსებს ჩემს სულს“.

ლიბრი ღამე იდგა.

ორნი ლანდებივით ძლივს ხედავდნენ ერთმანეთს.

ღარიბთა უბანში მამლები განთიადს უყიოდნენ.

მოწმენდილიყო ცის გუმბათი, ხოლო ცის კიდურები ჩაქუფრულიყო, როგორც ეს იცის ალიონის წინ.

ჭიშკართან მივიდნენ ორნი.

მეთვალყურემ ფრთხილად ამოიღო უბიდან მოკეცილი ქაღალდი და გადასცა მახარეს, ჭიშკარი გამოაღო და ისე მაგრად ჰკრა ხელი გულზე, რომ მახარე წაბარბაცდა, თან ღვარძლიანი ხმით მიაძახა:

— დე ვიყო ბრიყვი, მაგრამ ჩემი ხელობა ჯაშუშობას მაინც სჯობია. შენ ჯაშუშობისათვის გაგათავისუფლა ურიადნიკმა.

მახარე სახტად დარჩა ამის გამგონე. მიიხედ-მოიხედა, მართლაც არსად სჩანდა შავი ეტლი, არც წითელხალათიანი ჯალათი, ერთი ოქროსათვის რომ ახრჩობდა ადამიანებს. ქუჩებში ბაიბური არ ისმოდა. გაშალა ქაღალდი, ღამის ფანარს მიუშვირა, წაიკითხა ბრძანება გურიელის ხელმოწერილი.

გაოცდა!

უსიხარულოდ გაიარა ქუჩები. გული ისევ საკანში რჩებოდა. მამლები ყიოდნენ ღარიბთა უბანში. უხმობდნენ განთიადს.

მახარე მიდიოდა სიზმარეულივით.

ვერ წარმოედგინა თუ რა მოხდა მის თავზე.

„მზეო, ამომავალო, ჩამოიხედე ჩემს სულში! მე ხომ ღალატი არ ჩამიდენია, არც ვამიზრახავს“,—გაიფიქრა მახარემ და ლანდივით შეეფარა ქუჩებს.

. . . . . .

ტასიმ შალი წამოიხურა და ის იყო კარებში გასვლას აპირებდა, მაგრამ ლევანი დაეწია, ხელი სტაცა მკლავში და სამუშაო მაგიდასთან მიიყვანა. ყუთი გამოაღო და დიასადმი მინაწერი მახარეს წერილი ამოიღო, სპარსული ჭადრაკული აბრეშუმის ცხვირსახოცი გაშალა, ოქრო აიღო და ცხვირსახოცში შეახვია, ნეკიდან ბრილიანტის თვლებიანი ბეჭედი წაიძრო და საჩვენებელ თითზე წამოაცვა ტასის, ოქრო უბეში ჩაუდო.

— ეს ბეჭედი ჩემ სახსოვრად გქონდეს. ეს ოქრო სახსოვრად წაიღე. ოღონდ მითხარი, დარჩები თუ არა ჩემი? მე ცოლს არასოდეს არ შევირ-

თავ, ყელამდე სიმდიდრით აგავსებ. პაემანზე სადაც გნებავს, იქ გეახლები. ოლონდ იყავი ჩემი, მუდამ ჩემი!

გურიელმა კვლავ მოხვია ხელი ქალს, თავი გადაუწია და ტუჩებში აკოცა. ტასის შეაჟრჟოლა. ბეჭედი წაიძრო თითიდან, ოქრო ამოიღო უბიდან და მაგიდაზე დააწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ოქროზე არ ეყიდი ჩემს სხეულს. ბეჭედი რად მინდა? განა იმიტომ, რომ მუდამ მახსოვდე? მე კი მინდა ახლავე დაგივიწყო.

ლამაზი გარეგნობის კაცი იყო გურიელი, მაგრამ ტასის გულში იოტისოდენა სითბო ვერ გამოიწვია. ძალიან ცდილობდა ნაზი ალერსით შეეყვარებინა თავი ქალისათვის, მრავალ ლაპირებებით მოეხიბლა და გადმოებირებინა თავისაკენ, მაგრამ ამაოდ, არაფერმა არ გასჭრა.

— გესმის, გოგონა? წადი, მაგრამ არ ინანო. ის ავაზაკია, ვისაც შენი სიყვარული შესწირე. დაგიმტკიცებ, რომ ავაზაკია. მე კი შენი სიყვარულისათვის ფიცი გავტეხე ხელმწიფის წინაშე და ავაზაკი გავათავისუფლე.

ლევან ესეს-ძემ კარებამდე მიაცილა ქალი და ცივად გამოეთხოვა. კარებში მახარეს წერილი გადასცა.

— ეს წერილი ჩემთვის საჭირო აღარ არის, კიდევ გიმეორებთ, რომ ის ავაზაკია.—ტასიმ გაკვირვებით ჩამოართვა მოკეცილი წერილი, არ იცოდა რა ეწერა წერილში და ვის ეკუთვნოდა. სწრაფი ნაბიჯით ჩაირბინა კიბე, მეკარესთვის არ შეუხედავს, ისე გაიარა ჭიშკარი. თვალებზე და ტანზე მაგდას დიდი შალი ებურა. ტასი მირბოდა შინისაკენ, მაგდამ არ მომასწროსო, ფიქრობდა.

მატარებელი, რომლითაც მაგდა უნდა დაბრუნებულიყო გურიიდან, კივილით შემოდიოდა სადგურში.

ოთახის კარი გამოაღო ტასიმ, ქალალდის ნაფლეთი დაუვარდა ფეხებში. წასვლისას მახარე მოსულიყო და მაგდასთვის წერილი დაეტოვებინა.

— ახლა ჩემი წასვლა სჯობს ბათუმიდან,—სწერდა მახარე მაგდას, სთხოვდა ერმილეს ოთახისათვის ყურადღება მიექცია მირიანის ჩამოსვლამდე, თან ატყობინებდა: დღეს პატიმრები მიყავთ და საგზლისათვის იზრუნე, ფულს ბიძია ტრიფონი მოგცემსო.

ტასის მოკითხვას უთვლიდა.

მახარეს წასვლის ამბავმა თავზარი დასცა ტასის. საპირვარდო მაგიდასთან ჩამოჯდა, უნებლიედ სარკეს წააწყდა მისი თვალები. ეუცხოვა თავისი სახე: ქუთუთოებში ნაღველის ფერი ჩამუქებია, ტუჩები ძალზე გაფითრებია, სახეზე ავადმყოფის ფერი დასდებია.

გულის ღილები გაიგლიჯა.

გურიელის ნაბოძები წერილი ამოიღო უბიდან, თვალები აემღვრა, ძლივს წაიკითხა:

„ისევ ლამაზი და სპეტაკი ხარ ჩემთვის, როგორც იყავი თივაში თამაშობის დროს.

გაზაფხულია და თვალწინ მეხატება აყვავებული ვაშლი და ნუში და ვფიქრობ, კარგია ახლა შენთან ყოფნა“.

ტასის თვალები დაუბნელდა, სკამიდან გადმოვარდა და უგონოდ დაემხო იატაკზე.

ახლა გაიგო საბრალომ: მახარეს სხვა უყვარდა.

* *

მთელი ღამის უძინარი ტასი გონს არ მოსულა. იატაკზე დამხობილს ჩაეძინა. მზე ცის ბაღლობიდან დაჰყურებდა დედამიწას.

ღრმა ძილში სიბილო მოელანდა ტასის, უცებ გამოეღვიძა, გაუკვირდა რად ეძინა იატაკზე. ზანტად წამოდგა, თავბრუ ეხვეოდა. მიხედ-მოხედა, გაეხარდა: მაგდა არ დაბრუნებულიყო გურიიდან. იატაკზე დაგდებული წერილები აიღო, ჯერ კიდევ არ იყო კარგად გამოფხიზლებული, როცა ოთახში სიბილო და დარო შემოვიდნენ.

— მაგდა არ დაბრუნებულა?—იკითხა დარომ.

— არა.

— იცი ტასი? დღეს ჩვენ უნდა ვიკისროთ მაგდას მაგიერობა.

— ამხანაგებს საგზალი უნდა მოვუმზადოთ, ტასი, აბა თქვენ იცით, როგორ დატრიალდებით,—სთქვა სიბილომ და ხელი მაგრად ჩამოართვა ქალიშვილს.

— ტასი, ახალი ამბავი იცი? — მხიარულად წამოიძახა დარომ, — მახარე გაქცეულა საკნიდან.

— სასწაულია პირდაპირ, როგორ მოახერხა!—იჭვნეულობდა სიბილო, მაგრამ როდესაც ტასიმ მახარეს ნაწერი წერილი გაუწოდა, სიბილო დარწმუნდა, მახარე ნამდვილად გაქცეულიყო საკნიდან.

— უთუოდ იმ ბჭედელმა მოახერხა,—კმაყოფილი ღიმილით წარმოსთქვა სიბილომ.

— ბიძია ტრიფონმა?

— ასე მგონია, მოხერხებული კაცია ტრიფონი. იგი ჩვენი ახალგაზრდობის გულწრფელი მეგობარია.

ტასი სდუმდა. მხოლოდ გაკვირვებას გამოსთქვამდა. თითქოს კმაყოფილი ღიმებოდა. გულში კი ნაღველი ჰქონდა ჩამდგარი. სიბილოს მზერა ვერ მისწვდა ტასის გულს. საღამოს სადგურზე გამოფენილიყო ხალხი — გადასახლებულთა მეგობარნი და ჭირისუფალნი. ყველას სანოვაგით სავსე კალათი ეჭირა ხელში. გამცილებლებს ცრემლები ჩამოსდიოდათ თვალებიდან.

ტუსაღები ხმაურობდნენ ვაგონში, მღეროდნენ. ფანჯარაში გადმოეყოთ თავი, მხიარული ოხუნჯობით და სიცილით ეთხოვებოდნენ ბათუმის მიდამოს. აგერ, ახალგაზრდა ქალიშვილმა გამოირბინა და ნიკიტას გიტარა მიაწოდა ფანჯარაში. ეს ქეთინო იყო. ნიკიტამ თითები ჩამოჰკრა სიმებს და ხალხში გაისმა აკაკის ლექსი:

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
. მტერისთვის საბრჩობელაო!“

დარო და სევე ოლომფრესაკენ წავიდნენ კალათებით. აგერ პირგაბადრული მჭედელიც გამოჩნდა თეთრი გოგორა პურებით.

ტასი და სიბილო ერმილეს ეძებდნენ. ერმილემ მოგვიანებით გამოჰყო თავი ფანჯარაში. ერმილეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ტასიმ სანოვაგით სავსე კალათთან ვარდების კონა მიაწოდა წითელი ლენტით შეკრული. გურიელი ჟანდარმებით დადიოდა ბაქანზე, თვალი მოჰკრა ტასის სწორედ იმ დროს, როცა ყვავილებს აწვდიდა ერმილეს. შეკრთა გურიელი. ტასის ორი მარცვალი ცრემლი ვერცხლივით უციმციმებდა თვალებში. ახლა გაცილებით უფრო ლამაზი ეჩვენა იგი ლევანს. შეშფოთდა, ხმალი შეათამაშა ურიადნიკმა. ტასიმ უბარივით ჩაუარა. მატარებელი დაიძრა. ვაგონებში გაისმა სიმღერა: „დრუჟნო ტოვარიშჩი“.

ხალხი ქუდებს ისროდა.

ავადმყოფი ნინიძე ჯოხზე დაბჯენილი გაჰყურებდა მიმავალ მატარებელს. მთების მწვერვალზე ჩამავალი მზის სხივი ლიცლიცებდა და ხათელი დღის შუქი ჰქრებოდა.

ნინიძის სულში შემოდიოდა ღამე კანდელივით მკრთალი ვარსკვლავებით. იდგა ერთ ადგილს და ჯოხს არაკუნებდა ქვაზე.

ხალხი დაიშალა.

ბაქანი დაცარიელდა.

— რას ელოდები?—ჰკითხა ლუღლუღით ვიღაცამ ნინიძეს.

— ცრაფერს!—ყრუდ გაისმა პასუხი მწუხარე გულიდან.

ბოიხედა, გოგილო იდგა მის გვერდით. ხელში ქალის მანდილი ეჭირა და ცრემლს იწმენდდა. ნინიძემ იცნო ქეთინოს ხელით ნაქარგი მანდილი, ნიკიტასთვის გადასაცემად რომ მოიტანა ქეთინომ, მაგრამ იმ წამს მატარებელი დაიძრა და მანდილი გოგილოს შერჩა ხელში.

„ეს სხვა რამეს ხომ არ მოასწავებსო?"—გაიფიქრა ნინიძემ და მწარედ გაიღიმა. „იქნებ ქეთინოც გოგილოს შერჩესო?"—ამ აზრმა გაურბინა თავში.

გურიის ყვავილნარში

საითაც გაიხედავთ, ყველა ეზოში, ყველა აივნის წინ მაისის ვარდები გაშლილან. მთავარ ქუჩებს მწკრივად მიყვება ცისფრად და თეთრად შეღებილი ოდები. ოდების წინ კოხტა ეზოები კოინდარით აჟუჟუნებულა. ოდის გვერდით ბაღჩებში ალუბლები და ალუჩები შეთქვირებულან.

თეთრ ბალს ლოყა შეტრუსვია.

ყველაფერს სიახლისა და სიმწვანის ფერი აძევს.

ყველაფერს საამო სურნელი ასდის.

ატლასივით სრიალა ფოთლებზე ნამი მარგალიტებივით გადმოღვრილა.

დილაა.

მზეს ოქროსფერი წამწამები ამოუწვერავს ჭალარა მთების გადაღმიდან. შერცხლების დაუსრულებელი ჭიკჭიკი აღვიძებს ქალაქს. ეს ქალაქი ჩვენი პატარა ოზურგეთია, გურიის დედაქალაქი, შემკობილი მრავალფერი ყვავილებით და ხეხილებით. ორი მდინარე საზღვრავს მას—ერთი მხრით—ჟუჟი და მეორე მხრით—ნატანები. ქუჩის გაღმა-გამოღმა მხარეს, მაღაზიების წინ, ნაკადულები მიჩხრიალებენ. ქალაქის ახალ მესვეურს მოედანზე კიპარისები დაურგავს. ყვავილებით მოუჩუქრთმებია. ბილიკებზე აგურის ფხვნილი დაუფრქვევია. მოედანის მარჯვნივ, კუთხეში, მაღალ აკაციებს შორის პატარა ტალავერი აუგია, მაღალი, მრგვალი, ვიწრო კიბით, ოთხი-ხუთი კაცის დასაჯდომი, დასასვენებელი. კოშკს უფრო ჰგავს ეს ტალავერი. დილაადრიან დიტია მგელაძე და კაცია ნაკაშიძე ასულან და დამსხდარან ახალუხის ამარა. ეტყობათ კლუბში გაუთენებიათ ღამე, ბანქოს თამაშში.

— ფრაპში მაინცადამაინც არ დაიღუპება კაცი, მაგრამ ეს ბაქარა... დასწყევლოს ღმერთმა ამის მომგონი,—გულგრილად ამბობს კაცია ნაკაშიძე,—ფულის მახეა ნამდვილი.

— მერე უბედურებაა, თუ ჩაჯექი, ვეღარ მოშორდები, ან როგორ უნდა მოშორდე ოქროს კალოს!—შეესიტყვა კაციას მგელაძე,—ერთი ბანკი ოუ მოხსენი, ერთი წლით დაზღვეული ხარ.

— ყველა ამას ფიქრობს და ამიტომაც არის სწორედ უკანასკნელ ჩოხაც რომ სტოვებენ.

— არა, ამ მეფართლე დონაძის ვაჟს—შეამჩნიეთ, თავადო, როგორ აგებს მამის ქონებას? ამბობენ ელიზე არისო შეყვარებული.

— თუ პირიქით, ელი არის დონაძის ფულებზეო შეყვარებული.

— ხა, ხა, ხა... დიდი ჭკუამახვილი ბრძანებულხართ. უთუოდ ... ვერ მოვისაზრე. ახლა კი ყველაფერი მესმის... ადვოკატები გაკოტრდნენ. ელის ქმარს კაპიკი არ მოეძებნება. ელის შვილები ყავს გასაზრდელი. ლამაზი ქალია, მსუყე ბეღელს ბისდგომია. ფული... გული... ხა, ხა, ხა...

კაცია კაციას-ძემ ცალყბად ჩაიღიმა. დიტიამ ახლა სხვაგან გადაუგდო სიტყვა.

— მე მაკვირვებს მაინც, თავადო კაცია, თქვენი მოურავი დიდი კრიჟანგი უნდა იყოს.

— რაზე ამჩნევ?

— მთელი ღამე თავზე დაგვტრიალებდა წუხელ და არც ერთხელ ბანქოსკენ არ წამოწეულა.

— დაფიცებული ვარ ბანქოს არ მოვკიდო ხელიო,—მთქნარებით სთქვა ნაკაშიძემ.

წამოდგა დიტია: „კლუბში ჯობს, ბატონო, წასვლაო",—შეახსენა კაციას.

ახალუხის ამარა ბაღში ჯდომა უხერხულად მიაჩნდა მგელაძეს. ქალაქი ეღვიძებდა.

ეუჩებში ხალხმა იწყო დენა.

ის იყო კოშკიდან ჩამობრძანდა ნაკაშიძე, ბაღში მისი მოურავი ჭაპანაძე მოიჭრა და უხეშად მიმართა ბატონს:

— თქვენ, ბატონო, ბანქოს თამაშით ერთობით აქ და თქვენს მამულში არცერთი გლეხი არ ჩადის. საყანე მიწები ჯერაც მოუჩალავია. თესვის დრო გადის, წავიდეთ, ბატონო, შინ... უნდა მოელაპარაკოთ გლეხებს. შეთანხმებაა, ბატონო, საჭირო.

დიტია მგელაძე ინგლისურ სიგარას აბოლებდა დოინჯშემოყრილი.

ნაკაშიძემ პაპიროსს მოუკიდა.

— ცხენი მომიყვანე?

— ჭაკი მოგიყვანე, ბატონო, ულაყი ვერ დავიჭირეთ, გავერანდა უხედნელი.

— ესღა მაკლია, ეორამ, ახლა ჭაკზე შემსვა,—სთქვა უკმაყოფილოდ კაციამ.

— ბატონო, ჯორზე ნუ შეჯდებით და ჭაკს არა უშავს,—გამოართვა პირიდან სიტყვა მოურავმა:

— ჩამობრძანდით, ბატონო, ჯორიდან. დაუთმეთ გლეხებს ცოტა რამ, თორემ...

— არაფერსაც არ დავუთმობ. რა მმართებს მათი? ეზოს დავათესიებ ფარნაოზას და მეყოფა. მორჩა.

— ფარნაოზასო? ჰმ...

გაყუჩდა მოურავი, არ უნდოდა ყველაფერი ერთად მიეხალა თავადისათვის.

კლუბის ეზოში მუცელგამობერილი ჭაკი ება—შეკაზმული. სხვა რა გზა ჰქონდა. შეჯდა თავადი ჭაკზე და გაემგზავრა, ზედობანს გადაღმა—თავის სასახლეში. ჭიშკრიდან სანამ სასახლემდე მიაღწევდა, ერთი-ორი ვერსი ბალნარი უნდა გაევლო. უცებ ტყვიამ იშხუვლა ხეებიდან. კაციამ ჭაკი გააჭენა.

ტყვია აიცდინა. სახლში შევარდა და ჩაიკეტა კარები.

საღამომდე ელოდა ფარნაოზას, მაგრამ არსად სჩანდა. ოცი წელი ემსახურებოდა იგი ნაკაშიძის ოჯახს ერთგული ძაღლივით. ახლა ვერ წარმო-

ედგინა კაციას ოცი წლის ერთგულ მსახურთან ასე უცებ დაშორება. ფარნაოზაც სწუხდა. „შეუჩვეველ ლხინს — შეჩვეული ჭირი მირჩევნიაო“ — ამბობდა. დაყრუებული ფაცხის წინ იჯდა მარტოდმარტო. ჩამავალ მზეს გასცქეროდა. თუთუნს სრესდა ხელისგულით და ჩიბუხს ტენიდა. [illegible] ბოდა, ბატონის სასახლის ბაღში საღამოობით ჩამავალი მზე [illegible] ნებოდა მაისის ვარდებს. ამ დროს ნაკაშიძის ხასასთან ერთად დადიოდა ფარნაოზა ბაღში და ასუფთავებდა ბილიკებს. თან სოფლის ჭორებზე ემასლაათებოდა. ეთამამებოდა ფარნაოზა ქალბატონს და განაგონს არ უმალავდა:

— ქალბატონო, ბატონს უშენოდ სული ამოსდის, როცა სახლში არ ბრძანდები, დღე წელიწადად ეჩვენება. რა გიჭირთ ბარემ ჯვარი დაიწეროთ და სოფლის ყბა ჩააჩუმოთ?

— რა გულუბრყვილო ხარ, ფარნაოზა, ბატონი ერისთავის ნასიძეა. ერისთავის ქალის დროსაც ხომ ემსახურებოდი შენ ბატონს?

— ვემსახურებოდი... და თუ გინდა მართალი მოგახსენოთ, ასე ტკბილი არ იყო მაშინ სასახლე.

— ეს იმიტომ, ფარნაოზა, რომ შენ გლეხი ხარ და მეც გლეხის სისხლი მიდგას. თუმცა რას ვაქნევ ხალხის ლაპარაკს. მე ბატონი მიყვარს.—ამოიოხრა კაციას ხასამ.

ფარნაოზამ გაიღიმა.

„ახლა? ახლა რას ისურვებს ნეტა ნაკაშიძის ხასა?—გაიფიქრა ფარნაოზამ,—სიყვარულს ამჯობინებს თუ ხალხის სიმართლეს?“

ნაკაშიძის ხასა ამ დროს გაფითრებული იჯდა ბატონის გვერდით და შეშინებული პირჯვარს იწერდა.

„ვმადლობ უფალს, რომ ტყვია აგცდა, ბატონო!“ თან ცრემლებს აღვარღვალებდა. სასახლეში აღარავინ მოდიოდა სოფლიდან.

კაცია კაციასძემ ხელი მოხვია მტირალ ქალს და ჩურჩულით უთხრა:

— ადექ, მარინა, ჩაიცვი, დროა ჯვარი დავიწეროთ.

მარინა გაშტერებული მიაჩერდა შეყვარებულ ბატონს. ყურს არ უჯერებდა განაგონს.

მაგრამ ნაკაშიძემ მის პასუხს აღარ დაუცადა, კარადიდან მოსასხამი გამოიღო და თავის ხელით მოახურა მარინას.

— წავიდეთ!—სთქვა და ხელი მოჰკიდა ქალს.

კარებში ჭაპანაძე შეეჩეხა. ეს ეს იყო მოაღწია ოზურგეთიდან ფეხითმომავალმა. აქოშინებული მიეჩრა ბატონთან. გზაში გაეგო თოფი ესროლესო თავადს. ორი რევოლვერი აიღო ნაკაშიძემ, ერთი იორამს მისცა და ერთი თვითონ დაიკიდა ქამარზე. წავიდნენ ზედობანს, მთავარანგელოზის ეკლესიაში—ჯვრისდასაწერად.

ღამე იყო. მიდიოდნენ ტყის ბილიკით შეყვარებულები და მათი მოურავი. ბულბული ნაჩვევ ხის ტოტზე შემომჯდარიყო და შეღამების საგალობელს გალობდა. მთვარე ვერცხლისფრად მოსავდა ზედობნის ხერნალს. საითკენაც ბილიკი მიიმართებოდა. მარინას გულში იფურჩქნებოდა ქალწულებრივი ნაზი გრძნობა, გრძნობა ახალგაზრდა ქალის, რომელიც პირველად ხდება „მხევალი“ ქმრისა, თუმცა ოცი წელი გაატარა მარინამ ხასის სახელით და ორმოც წელს გადასული იყო.

კაცია ნაკაშიძე როცა ჭაკზე შეჯდა ზედობანს წასასვლელად, დიტიამ მოედანი მიატოვა, მოვიდა ამ ორსართულიან სახლში, მამას ... ბისა უსურვა და ოთახში ჩაიკეტა. ცოლს მუქარით უთხრა: „არავინ გაბედოს ჩემს კარზე დაკაკუნებაო!

ვატა მგელაძე—დიტიას მამა „დვარიანსკი დრუჟინის“ ყოფილი ოფიცერი, ტანიდან არ იშორებდა ლურჯი მაუდის მუნდირს. ოფიცრის ჩინიც მუდამ მხარზე ეკერა. სახლშიაც არ იხდიდა ოფიცრის რუსულ ქუდს. ვატას რამდენიმე წელია მიწაზე ფეხი აღარ დაუდგამს. მაღლა სართულიდან ვეღარ ჩადიოდა დაბლა. დილიდანვე მუნდირში გამოჭიმული, ჭიპამდე დაყრილი თეთრი წვერებით იჯდა აივანზე თოვლის ბაბუასავით, უძრავად, ყურს არ ესმოდა. მასთან მივიდა ცოლი—ჩხირივით ხმელი დედაბერი და რაც ძალ-ღონე ჰქონდა ჩასძახა ყურში: „წამოდექი ბეროკაცო, ალბათ, შენს შვილს რაღაც ცუდი ამბავი შეემთხვაო“. ვატა წამოდგა, მუნდირი გაისწორა, წვერებზე ხელი ჩამოისვა და დაკეტილ ოთახის კარებს მიადგა ჭუსლჩაკეცილი ფლოსტების ჩლარტუნით.

— დიტია,—ბრძანებით მიმართა ყოფილმა ოფიცერმა შვილს,—გააღე კარი!

დიტიამ უსიტყვოდ გააღო კარი, ვატა შევიდა შვილთან. დიტია მაგიდასთან იჯდა. ვატა გვერდით მოუჯდა.

— შვილო, რამდენჯერ მითხოვნია შენთვის, თავი დაანებე ბანქოს თამაშს-მეთქი!—ბაგეების ცმაცუნით სთქვა ვატამ და თვალებში მიაშტერდა შვილს.

შავგვრემანი, პირხმელი, შუატანის კაცი იყო დიტია. ხაფხულობით ევროპულად შეკერილი თეთრი „პარუსინის“ ტანისამოსი უყვარდა. მამის ჩვეულებას არც ის ღალატობდა: იუნკრის ჩინი მუდამ მხარზე ეკერა. იშვიათად იცვამდა ჩოხა-ახალუხს. ამ დილით სწორედ ეს იშვიათი ჩერქეზული ჩაეცვა და ის იყო ლაზარენკოსთან ემზადებოდა წასასვლელად. განცხადებას სწერდა ქვეყნის დაცვის საჭიროებაზე. დიტიას მამას—ყრუ ბერიკაცს არაფერი არ ესმოდა, რა ხდებოდა ქვეყანაზე. დიტიას ოთახში ჩაკეტვის მიზეზი ბანქო ეგონა, „ალბათ, უკანასკნელი კაპიკი წააგოო“.—ფიქრობდა.

დიტიას სხვა ამბები აწუხებდა:

— რომელ ბანქოზე მეუბნები, მამაჩემო?—გაიკვირვა დიტიამ, და რომ არ ეყვირნა სხვის გასაგონად—წერილით გაესაუბრა ყრუ მამას:

„ჩვენი ცხოვრებაც, მამაჩემო, ბანქოს ჰგავს, ტრიალებს ბაქარასავით და ვინ იცის ვის ერგება წილად ბედნიერება. დრომ სხვა ამბები მოიტანა, ბანქოზე საშინელი და ოქროზე მკაცრი. საჭიროა ხასიათის სიმტკიცე...

ღალატის სუნი ტრიალებს, მამაჩემო. შენ ხომ ხელმწიფის ერთგული ხარ! მეც შენი შვილი ვარ. ხელმწიფეს უნდა ვემსახურო.

ახლა შეიძლება უბრალო იუნკერიდან—გენერალ-გუბერნატორი გახდეს კაცი. ლევან გურიელს ოლქის უფროსობა ჩააბარეს“.

დიტია წამოდგა, მაზრის უფროს ლაზარენკოსთვის მისართმევ განცხადებას ხელი მოაწერა, განცხადება გულის ჯიბეში ჩაიდო და სახლიდან გავიდა. ეს იყო 1902 წლის 12 მაისს.

ვატამ ჯოხის ბიჯებით გაიარა აივანი. ყრუ ბერიკაცს მხოლოდ ხელმწიფის ერთგულება ჩარჩა გულში. სხვა მისთვის გაუგებარი იყო ყველაფერი, რაც მის შვილს ამოქმედებდა. ვატა ნაჩვევ სავარძელში ჩაჯდა, ნახევრად დადამბლებული მუხლები მოხარა და თეთრი წვერები მზეს მიუშვირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიმნი სიყვარულისა

„ჩემო ძვირფასო,

მზიური სიმღერის ერთ უმცირეს სიმს რომ არხევს სიო მარადისიდან, — ეს შენი ხმაა სპეტაკი ისე, ვით იადონის სალბუნები, ვარდზე ნაცრემლი, ჟამსა ცისკრისას. ჩემო ძვირფასო, მოვერცხლილ ტბაზე, როცა რძისფერ ლოტოსს მთვარე დახედავს,—მომეჩვენები, თითქოს ჩემ წინ დგეხარ უმანკო, ვით ის ლოტოსი ბრინჯაოსფერ ტბის მინანქარზე, და შენი სახის სინარნარე წარმტაცებს მზერას. ჩემო სიცოცხლევ, ვით გოლვიან დღეს მოსწყურდება მგზავრს უდაბნოში, — ისე მწყურია ჩემი სული შთავნერგო შენში, რომ ერთი გრძნობით, ერთი აზრით, ერთი შეგნებით, ერთად შევსტრფოდეთ მზის და მთვარის ამობრწყინებას. და ასე ვლიდეთ გზას დიდების, კაცს რომ შეშვენის, პატიოსნების და სიკეთის დასამყარებლად“.

სკამლოგინზე ზის მახარე, ზურგით მისწოლია ასწლოვან მუხას. შემოღამების მწუხარებას დაუბინდავს მახარეს სული და ფოთლებიც თითქოს ეჩურჩულება: „ამაოაო ყველაფერი, რასაც ეტრფი... ვერ აფრინდები მიწის ზევით, ვერ აფრინდები“.

რა ემართება ამაღამ მახარეს? რად ჩაღვრია სულში მოწყენის ნაღველი? დღეს მელანქოლიურ ლექსებს კითხულობდა. საშინელი დარდი შეიგრძნო, თითქო ჩასულ მზესთან ჩაესვენაო ყველაფერი სასიცოცხლო და დარჩა მხოლოდ მიწა ფეხქვეშ. და „დღეს იქნება თუ ხვალ, ზეგ თუ მაზეგ, სულერთია, მახარეც მიწად იქცევა“...

დარჩება მხოლოდ სულის ძახილი: „მეგობარო, ტკბილზე-ტკბილო, სანატრელო“...

. . . . .

უმთვარო ღამეა. გარინდებული დგანან მუხები.

დღეს დილიდანვე ბაღში საქველმოქმედო მიზნით სეირნობა იყო მოწყობილი. სეირნობის მომწყობ კომისიაში დია ეაშალომიძე ღებულობდა მონაწილეობას. შევახშმებისას ბაღში ხალხი შემცირდა და ახლა ცაში ავარდნილ ცეცხლის კუდიან მაშხალებს აივნებიდან უცქეროდნენ. იქ, მუხებს იქით, ბაღის მეორე კუნჭულში როტონდა ბრწყინავს გაჩირაღდნებული. როტონდაში მოცეკვავე ახალგაზრდობა შემოკრებილა. სასულე ორკესტრი უკრავს ვალსს, წყვილწყვილი მოცეკვავენი ტრიალებენ, სრიალებენ, წრეს უვლიან და მსუბუქად ირხევიან.

წყვილების ტრიალში გამოიქროლებს დია ღია ირისისფერი მსუბუქი კაბით. მხრებზე დაყრილი ოქროსფერი კულულები თეთრი ძვლის სავარცხელით აუბნევია ყურებთან. წელზე დიდი, თეთრი ბანტი შეუკრავს გრძელი ჩაშვებული ბოლოებით. ლერწამივით იხრება დიას წელი. გულმკერდი ოდნავ ამობურცული; მაღალ შუბლზე შვენის წურბელივით წარბები — თმებზე უფრო მუქი. იისფერდაკრულ მოცისფრო თვალებს გარს ევლებიან ხშირი წამწამები.

ახალგაზრდა კადეტი მიაფრენს დიას. მარჯვენა ხელით შორს დაუჭერია დიას წელი და გეგონებათ მიაცურებსო. მათ გვერდით მოქრიან გიმნაზიელი ქალიშვილები და ვაჟები. მერე სტუდენტები, მწვანეკანტიანი ლურჯი კიტელებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ ვაჟები და ქალიშვილები...

რა სწრაფად შესცვლია ფერი გურიის დედაქალაქს. გამქრალან დიდგვართა შთამომავალნი და წამოზრდილან მდაბიო ხალხის ნაშიერნი. ზაფხულის არდადეგებია. მოსწავლე ახალგაზრდობას მოუყრია თავი ოზურგეთში. თბილისის პანსიონიდან ჩამოსულან ყმაწვილები. ქუთაისიდან—სემინარიელები. პეტერბურგიდან კადეტები, კიევისა და ხარკოვის უნივერსიტეტიდან — სტუდენტები.

სიღარიბეში და სიღატაკეში გამოზრდილი ახალგაზრდები სხვა აზრით და შეგნებით დაბრუნებულან სამშობლოში: ხალხს უნდა ემსახურონ. ქვეყანას სინათლე მოჰფინონ. დღეს ყველას საქველმოქმედო საქმე დაუსახავს მიზნად. მათ შორის ერთი პირველთაგანია დია.

დღეს სეირნობის დასასრულს სილამაზის ჯილდო დიას არგუნა ხალხმა. ახლა არ ასვენებენ დიას მოცეკვავე გიმნაზიელები. ხან ერთი იწვევს საცეკვაოდ, ხან მეორე, ხან მესამე...

დია ყველასთან ერთნაირი ხალისით ცეკვავს.

გამოჩნდება დია და მახარეს თვალებში გაიელვებს მისი ირისისფერი კაბა და თეთრი სპეტაკი სახის პროფილი.

. . . . . .

მახარეს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა დიასთან შეხვედრა, ინტიმურ გრძნობებზე საუბარი უფრო შეუძლებლად მიაჩნდა. მახარემ გაიგო: დია უკვე წევრი გამხდარიყო გურიის ორგანიზაციისა. იმ დღეებში კომიტეტის კრება იყო მოწვეული. მახარეს მოხსენება უნდა გაეკეთებია. ბათუმის ორგანიზაციიდან ჰქონდა დავალებული. უთხრეს, კრებას დიაც დაესწრებოდა. ეს შეხვედრა სამუდამოდ ჩააქრობდა დიას გულში მახარესადმი სიყვარულის იმ პაწია ნაპერწკალს, რომელიც ბავშვობიდანვე აკრთობდა დიას. ბათუმის ორგანიზაცია ტერორის ქვეშ აყენებდა გურიელის ჯაშუშებს. მათ შორის დიას მამასაც. ეს ამბავი ზარდამცემი იქნებოდა დიასთვის. მახარე სწუხდა: სასტიკი განაჩენი უნდა გამოეტანა როსტომ ვაშალომიძისათვის. სხვანაირად არ შეეძლო. ყველამ იცოდა, როსტომი გურიელის ოფიციალური ჯაშუში იყო. ის ფიქრები, რომლითაც წინათ სუნთქავდა მახარე: ვითომ დია უარყოფდა მამას და საერთო საქმეს უფრო მაღლა დააყენებდა, ახლა ზღაპრად ეჩვენებოდა. „დია ვერ დასთმობს მამას... ვერ უღალატებს... მაშ როგორ მოიქცევა?..“ მთელი ღამე გასტეხა ამ ფიქრში მახარემ, მაგრამ მაინც ღიად დარჩა მის თავში ეს საკითხი.

„სულო, შბამი ჩადგა ჩვენს სიყვარულში“... დაღონდა ვაჟკაცი: აწ დიას სახელი ვეღარ გაუნათებს სავალ გზას...

მახარეს ცრემლი მოერია. ეგონა უეცრად ჩამოინგრა ის საფეხურები, რომელზედაც მახარე ადიოდა, და ზევით დარჩა ოცნება ისევ ლამაზი და მიუწვდომელი.

„ახ, რა ყოფილა ეგ ცხოვრება, ზღვის გულივით დაუნდობელი: ეძებ ბედნიერებას და შორს მიიწევს იგი“.

(ვაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვილებო ჩემო, ლენინგრადელნო!

შვილებო ჩემო, ლენინგრადელნო,
მოხუცი მგოსნის სიამაყენო!
მე ტრამალების წყალთა ჩუხჩუხი
მაგონებს ნევის ზვირთების ქუხილს.
როცა შორიდან მზერას ჭალარას
გავტყორცნი გასწვრივ თოვლიან მთისა:
თქვენი ხიდების ვხედავ კამარას,
და ელვარებას ბალტიის ცისას.
საღამოს ბინდში ბრწყინავს ფანრები
და მოოქრული სახურავები...
შვილებო ჩემო, ლენინგრადელნო,
მოხუცი მგოსნის სიამაყენო!

მისთვის ვიყავი ქვეყნად დღეგრძელი
რომ ბრბო მეხილა მე ყაჩაღური?
მისთვის ვიყავი ხალხის მსახური,
რომ ლენინგრადი — ბაღი ზღაპრული
გახდეს ქვემძრომთა სამკვიდრებელი?
განა ამისთვის ჯამბულს ხიბლავდა
თქვენი ცა ლურჯი, მომჯადოები!
არა! ამ ქვეყნად მე მიზიდავდა
სიცოცხლე მისთვის, რომ მტრის ბრბოები
უკან ცოცხალი ვერ გაიპაროს,
თქვენს ბჭესთან დალპეს ფაშისტთა ძვლები,
მათი სამარეც მანდ გაითხაროს!.
აი დღეს თქვენკენ რისთვის ჩქარობენ
სამხრეთის გზების ლიანდაგები,
აი დღეს ნევას რად დარაჯობენ
სანაპირონი რკინით ნაგები.
შვილებო ჩემო, ლენინგრადელნო,
მოხუცი მგოსნის სიამაყენო!

აქამდე ცოცხლობს ხსოვნა ჩემს გულში
თქვენი შორეულ წინაპრებისა,
მათ ასახლებდნენ ჩვენთან, აულში,
მახსოვს ხმა მათი ბორკილებისა.
მე ოთხი მეფის ჯოჯოხეთური
მახსოვს მეფობა, რკინის ბორკილი,

* ა/წ ივლისში შესრულდა ასი წელი ჯამბულის დაბადებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მინატრია მე პეტერბურგის
ტახტი მენახა ძირს დამხობილი!

უკვე ჭალარა ვმღეროდი ჰანგებს,
თქვენს ყურს აღწევდა დომბრის ქუხილი,
მე ვუმღეროდი ბალტიის ტალღებს,
სადაც გრგვინავდა ხალხის წუხილი.
ყველაზე ადრე, გასაკვირველი —
ვით ღამის ბინდში შუქი მთვარისა —
თქვენში გაბრწყინდა სიტყვა პირველი
ლენინის — სიბრძნით მოუბარისა,
თქვენვე ისმინეთ მტრის შემრისხველი
მისი საბრძოლო ხმა ნაღარისა.
შემთხვევით კი არ ჩამოგვიტანა
თქვენი დაზგები კიროვმა ძღვნადა,
ძმადნაფიცივით მხარდამხარ დგანან
დღეს ლენინგრადი და ალმა-ათა.
თქვენს ჭალაჭიდან ბალტიის ფლოტის —
ვის გმირობაზეც მღერიან ჩვენში —,
ყოველ წელს განა შემთხვევით მოდის
დელეგაცია ჩემს ყაზახეთში!
აი თუ რატომ იგზავნებოდა
ლენინგრადს კაზახ ბავშვთა კრებული,
და, ბოლოს, თქვენგან გვიბრუნდებოდა
ჭკუით, გონებით მომწიფებული.

ვაგლახ! რას ისმენს ახლა ჯამბული?
თქვენს კარს აწყდება დღეს გახელებით,
თითქოს შიშმილით გამგელებული
და დანაკლისით გაგიჟებული
გულშხამიანი ხროვა გველების.

სულს განუტევებს საცაა კრული!
ტყავგადამძვრალი შავი ურჩხული —
დაიწყებს სისინს ტანმოკრუნჩხული...
კვლავ ამღერდება ბაღში ბულბული,
კვლავ გაიხარებს ოჯახი ძმური...
შვილებო ჩემო, ლენინგრადელნო,
მოხუცი მგოსნის სიამაყენო!

როგორც დედოფალს მეფურ ღირსებით,
მიწას ვუმღერდი მუდამ დიდებით.
დღეს კი მასზე ჩანს სიკვდილის კვალი,
იწვება იგი ხანძრების ალით,
დაუზოგავად ხრავს ბარაქიანს
მღრღნელი ქვემძრომი კაციჭამია.
მაგრამ წამებაც მალე დაცხრება
და გაგვიღიმებს ჩვენ გამარჯვება!
მთელი ქვეყანა ფეხზე დგას ახლა,

ომში ხმალი არ დაგვიჩლუნგდება,
ვერ გადათქერავს ფაშისტის წალა
ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას!
მტერი თქვენს ქუჩებს ვეროდეს ნახავს,
ვერც მისი ხელი გააჩანაგებს
ნევის ნაპირებს, გრანიტით ნაგებს!
შენ არა ერთი გახსოვს დროება,
გამარჯვებანი ლენინგრადული,
როცა სამარეს აქვე ჰპოებდა
მტერი, კუნძულზე შემოპარული.
სამოქალაქო ომში ილტვოდა
თქვენკენ მეფის ყმა ტახტის მძებნელი,
მაგრამ მან ნევა ვეღარ იხილა,
თქვენ მოსპეთ მისი სახსენებელი!
ასე გმირული, მტკიცე, მაგარი
ლენინგრადს ძველად არ ახსოვს წლები,
მტრის შესამუსრად იგი მზად არის!
ვერ შესძრას მტერმა ოქროს თაღები,
ვერც გადათქეროს მისი ბაღები!

ლენინგრადისკენ მატარებლები
მოჰქრიან სავსე მებრძოლებითა,
მოისწრაფიან თქვენკენ მხედრები
ქალაქებიდან და სოფლებიდან.
ჰა, ქვეყნის სახე რისხვით ელვარებს,
უკვე მზადაა სამშობლო მხარე —
რომ საზიზღარი ალაგმოს მტრები...
ნავთი, სიმდიდრე კაზახთა მიწის,
ლენინგრადისკენ ჩუხჩუხით მიჰქრის.
ჩემი სამშობლოს სხვა მადნეულიც:
ნახშირი, რკინა, ოქრო რჩეული
და ტყვია — ვერაგ მტრის გამკვეთელი —
მოჰქრის, ვით ტალღა განუწყვეტელი.
ხორბლის მარცვალი შინდის ოდენა
ძალით ყუმბარას გაუტოლდება.
ცხენის ნამატი, ჯოგებად შლილი,
ვაშლების გორა, თაფლივით ტკბილი —
ეს ყველაფერი დაგეხმარებათ
საზიზღარი მტრის დასამარცხებლად.
ვერა, ვერ გაგვტეხს ვერაგი წელში
და ჩვენს სიმდიდრეს ვერ იგდებს ხელში!

შვილებო ჩემო, ლენინგრადელნო,
მოხუც ჯამბულის სიამაყენო!
მწვანე საძოვრებს სირ-დარიისა
ესმით ღმუილი მტრის დაჭრილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა მიწას რომ მივაპყრა სმენა,
ოდნავ მის წიაღს შევახო ყური —
თვით დედამიწაც აიდგამს ენას,
გააპობს მის გულს ცეცხლის ხმაური,
რომ თავგანწირვით იბრძვის ბამული.
ეს ხმა გუგუნით მოედო ველთა,
უხმობს ჟდანოვი საომრად მტერთან,
უხმობს საბრძოლოდ ხალხს დაზგებიდან,
ვეებერთელა ამწეებიდან,
უხმობს სასწავლო მაგიდებიდან.
ვოროშილოვს კი მიჰყავს ბრძოლებით
მთების, ჭალების გამოყოლებით,
რკინის პოლკები მტრის სისხლისმღვრელი:
ნევის თაობა — ახალიც, ძველიც.

მტკიცედ სდეგ! ნულარ დაიდარდები.
„ლენინგრადისკენ!“ — ბელადი იტყვის,
და დაიძრება გმირი რაზმები
შესასრულებლად ბელადის სიტყვის.

წინ გველოდება დიდი ომები,
მტერს დაუნდობლად შევებრძოლებით...
მეც ლამეები უნდა ვათენო.
დეე, სიმღერა ჩემი ჩანგისა
წამოგეშველოთ განთიადისას...
შვილებო ჩემო, ლენინგრადელნო,
მოხუცი მგოსნის სიამაყენო!

1941. IX.

თარგმანი **ვასო გოგრგაძისა**

ალექსანდრე ფადეევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა გვარდია*

რომანი

თავი მეხუთე

გზატკეცილის გვერდულების გაყოლებით მოძრავ მანქანებსა და ლტოლვილთა შორის, სადაც შემოიჭრა ბრიჩკა და ფორანი, მიძვრებოდა მაღარო № 1-ბს საბარგო მანქანა, რომლითაც მაღაროს სამმართველოს მუშაკებსა და ქონებასთან ერთად მიემგზავრებოდნენ მაღაროს დირექტორი ვალკო და გრიგორი ილიჩ შევცოვი, რომელსაც სულ რამდენიმე საათის წინ დაემშვიდობა ულია მისი სახლის ჭიშკართან.

იქვე ფეხით მიდიოდა სამამულო ომის მონაწილეთა ობლების საბავშვო სახლი, რომელიც თავის დროზე მოთავსებული იყო ვოსმიდომიკში, ესენი იყვნენ: ბიჭები და გოგონები—ხუთიდან რვა წლის ასაკამდე, ორი მომვლელი ქალიშვილისა და საბავშვო სახლის გამგის, ხნიერი აღმზრდელი ქალის თანხლებით. ეს ქალი გამსჭვალავი, უხედველი თვალებით გამოიყურებოდა, მთიბავ ქალსავით თავზე წითელი ხილაბანდი წაეკრა და უფეხსაცმელოდ, მარტო წინდებზე დამტვერილი რეზინის ბოტები ჩაეცვა.

გზატკეცილი ისე იყო გაჭედილი, რომ კოლონა კი არ მოძრაობდა, უფრო გაჩერებული იყო. საბავშვო სახლს თან ახლდა სახლის ქონებით დატვირთული რამდენიმე საზიდარი, რომლებზედაც რიგრიგობით სვამდნენ სიარულში მოქანცულ ბავშვებს.

იმ წუთიდან, რაც მაღარო № 1-ბს საბარგო ავტომობილი წამოეწია ამ საბავშვო სახლს, საბარგო მანქანის მგზავრები, — ვალკო, გრიგორი ილიჩი და სხვები, — გადმოხტნენ მანქანიდან და ზედ ბავშვები შესვეს. გრიგორი ილიჩს ისე მოეწონა ქერათმიანი, ცისფერთვალებიანი, მშვიდი სახისა და მსუქანი, ან როგორც თვითონ იგი ეძახოდა — „ფუნთუშალოყებიანი“ გოგონა, რომ თითქმის მთელს გზაზე ხელზე აყვანილი მოჰყავდა, ჰკოცნიდა, თვითონაც ისეთი ქერათმიანი და ცისფერთვალებიანი, როგორიც ის ბავშვი იყო.

საბავშვო სახლის საზიდრების უკან, რომელთაც ახლა შეუერთდა ბრიჩკა და ფორანი, გზატკეცილზე მიემართებოდა ძალზე გაჭიმული სამხედრო ნაწილი თავისი სამზარეულოებით, ტყვიამფრქვევებითა და ზარბაზნებით; რაღაც ჩატეტკილი ჟანგისფერი მტვერი ჩაკვდომოდა მებრძოლებისა და მეთაურების ჩექმებს. ეს ნაწილი უკვე რამდენიმე დღე და ღამე იყო ლაშქრობაში.

როცა ამ საზიდრების მოძრაობა შენელდებოდა ხოლმე, კოლონის თავში, პირდაპირ საზიდრების კვალდაკვალ, ზედ მიძალებით მიდიოდა მეავტომა-

---

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ — № 5 — 6.

ტეთა ასეული. მებრძოლებს გავარვარებული და ცეცხლგამძლე აგურისფერი სახე ჰქონდათ, ზოგ მათგანს მოღლილი, მობუქული, ზოგს კიდევ ჭრილობის შემდეგ შეხვეული ცალი ხელი მაგრად ჩაეჭიდა ავტომატისათვის და ჩვილ ყრმასავით მკერდზე მიეხუტებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზიდარი, რომლითაც მიემგზავრებოდა ულია, რომელიც დიდი განკარგულების გარეშე, თითქოს უცბად გადაიქცა მეავტომატეთა მეურნეობის საკუთრებად, თვით ასეულის ნაწილად. ლაშქრობასა და თვით შესვენებების დროსაც კი საზიდარი ასეულის შუაგულში მოექცეოდა, და საითაც არ უნდა გაეხედნა ულიას, ყოველთვის ხვდებოდა ამ დამტვერილ ჩექმებიან და პილოტკებიან, ხშირად კი ოფლში გაწუწულ, ისევ გამომშრალ, მაგრამ კვლავ გაოფლილ, ნესტიან მიწაზე, ქვიშაზე, ჭაობში, წიწვში, მლაშობაში ნაგდებ, ნიაღვრებსა და პაპანაქება სიცხეში გამოვლილ ჯარისკაცის ხალათებიან ახალგაზრდა მებრძოლების ქურდულს, ხშირად კი პირდაპირ მისკენ მიპყრობილ თვალებს.

უკან დახევის მიუხედავად, ქალიშვილების იქ ყოფნის გამო, მებრძოლები მათთვის ჩვეულ მკვირცხლ, თამამ და საოხუნჯო განწყობილებაზე იყვნენ, და როგორც ყოველ ასეულში—ლაშქრობასა და დასვენების დროს, მეავტომატეთა ასეულშიაც აღმოჩნდა საკუთარი საყვარელი ლაზღანდარა:

— საით, საით ბრძანების გარეშე? — უყვიროდა ვიქტორის მამას, როცა იგი იხელთებდა თუ არა ოდნავ მოხერხებულ შემთხვევას წინ წაწევისათვის, მაშინვე დაუჩქარებდა ცხენებს. — ა-ა-რა, კეთილო მეგობარო, ახლა თქვენ უჩვენოთ ვეღარ გაჰქანდებით. თქვენ უკვე სამუდამოდ მიწერილი ხართ ჩვენს ასეულზე, სპილენძის ქვაბსავით უნდა ემსახუროთ მას, ჩაგრიცხეთ კმაყოფაზე, მისაკერზე, მისარეცხზე, მისახარშზე, — ხოლო ქალიშვილს კი, ღმერთო და მართლმადიდებელთა ეკლესიავ, შენ დაიფარე მისი სილამაზე, — ყოველ დილით ყავას დავალეინებთ, ტკბილეულსაც ვაჭმევთ...

— სწორია, კაიუტკინო, არ შეარცხვინო ასეული! — იცინოდნენ მეავტომატეები და მხიარულად შეჰყურებდნენ ულიას.

— არა თუ? ახლავე შევამოწმებთ ამას! ამხანაგო ზემდეგო! ფედია! სძინავს თუ? ყმაწვილებო, ერთი შეხედეთ სიარულში სძინავს... ზემდეგო! ლანჩები დაგეკარგა, ლანჩები...

— შენ კი თავი არ დაჰკარგე?

— ერთი დავკარგე, და აი, შემთხვევით, შენს მხრებზე აღმოჩნდა, შეხედე, მე ისინი მისამაგრებლები მაქვს, აბა შეხედე...

კაიუტკინმა მომცრო თავზე კოხტად იტაცა ხელები — ერთი ნიკაპზე წაივლო, მეორე კეფაზე — ცალ წარბზე ულაზათოდ ჩამოფხატულ პილოტკის ქვემოდ, — თვალები გადმოკარკლა და ისე დაატრიალა თავი, თითქოს ხრახნიდან უნდა მოხსნასო. მოჩვენება იმისა, რომ თითქოს თავი მართლა შორდებოდა ტანს, იყო იმდენად სრულყოფილი, რომ მთელს ასეულს და ყველა იმათ, ვინც კი ახლო-მახლო იყო, სიცილი წასკდათ. ვეღარ მოითმინა და, ულიამაც გაიცინა—კისკისით, ბავშვურად, და დაიბნა. მეავტომატეებმა მხიარულად შეხედეს ულიას, დანამდვილებით იცოდნენ, რომ კაიუტკინი ამას ულიასთვის აკეთებდა.

ეს ლაზღანდარა კაიუტკინი ფიზიკურად პატარა, მაგრამ მოძრაობაში არაჩვეულებრივად სწრაფი იყო. სახე ერთიანად წვრილი ნაოჭებით ჰქონდა დაფარული, მაგრამ ისეთი მკვირცხლი, რომ ვერასგზით ვერ გამოარკვევ-

დით, თუ რამდენი წლისა უნდა ყოფილიყო, — შეიძლებოდა მიგეცათ ოცდაათზე მეტი და იმავე დროს არა უმეტესი ოცისა, ხოლო აგებულობითა და შეხედულებით სრულიად პატარა ბიჭსა ჰგავდა. დიდრონი, ნაოჭების წვრილ ბადეში მოქცეული ლურჯი თვალები ჰქონდა და როცა გაჩუმდებოდა ხოლმე, ამ თვალებში შენიშნავდით სიღრმიდან უცვლელ, [illegible] ბებრულ დაღლილობას, მაგრამ მას არ უნდოდა ადამიანებს [illegible] დაღლილობა და თითქმის არასოდეს არა ჩერდებოდა.

— თქვენ საიდან იქნებით, ჭაბუკებო? — მიუბრუნდა იგი ულიას ამხანაგებს. — აი, ხომ ხედავთ! კრასნოდონიდან ხართ! — კმაყოფილებითი წარმოსთქვა კაიუტკინმა,—ეს ქალიშვილი კი, ვსთქვათ, იქნებ რომელიმე თქვენთაგანის და არის? ან, მაპატიეთ, ძია კაცო, იქნებ თქვენი ქალიშვილი?.. ხომ ხედავთ, — ქალიშვილი სავსებით თავისუფალია, არც შვილია, არც და, არც ქმრიანი ცოლი. ეჭვი არ არის, რომ მას კამენსკში მობილიზაციას გაუკეთებენ. მობილიზაციას გაუკეთებენ და ქუჩაზე მომწესრიგებლად დაყენებენ, ამ მთლიან ქუჩურ მოძრაობაში.—კაიუტკინმა რაღაც განუმეორებელი მოძრაობით მიუთითა იმაზე, რაც ახლა სწარმოებდა გზატკეცილსა და ტრამალზე.—სჯობს, ისევ ჩვენთან, მეავტომატეთა ასეულში შემოვიდეს!.. ღმერთმანი, ყმაწვილებო, თქვენ ჩქარა მოხვდებით რუსეთში... იქ თავზე საყარად არიან ქალიშვილები, აქ კი — ჩვენთან, ერთიც არ არის. — ჩვენ კი ასეთი ქალიშვილი ძალიან გვჭირდება ნამდვილი საუბრის ჩვევისა და ყოფაქცევის კეთილშობილებისათვის...

— ეს კი მისი საქმეა, როგორც თვითონ მოისურვებს, — სიცილით მიუგებდა ანატოლი, თან დარცხვენით გადახედავდა ხოლმე ულიას, რომელიც, თუმცა ძალიან ცდილობდა არ გაცინებოდა, მაგრამ მაინც სიცილით იცქირებოდა განზე, რათა არ შეფეთებოდა კაიუტკინის თვალებს.

— უ-ჰ, ჩვენ დავიყოლიებთ მას! — წამოიძახა კაიუტკინმა, — ასეულიდან წამოვაყენებთ ისეთ ყმაწვილებს, რანაირიც არ უნდა იყოს ქალიშვილი, სულერთია, მაინც დაიყოლიებენ.

„მართლაც და, რა უშავს, რომ ახლავე ჩამოვხტე ფორანიდან და წავიდე?“ — უცებ გულის ფანცქალით გაიფიქრა ულიამ.

ოლეგ კოშევოი, რომელიც ახლა სულ ფორანს მოჰყვებოდა გვერდით, მოჯადოებულივით თვალს ვერ აშორებდა კაიუტკინს. იგი შეყვარებული იყო და უნდოდა, რომ ყველანი ასე შეყვარებული ყოფილიყვნენ მასზე. საკმარისი იყო კაიუტკინს პირი დაეღო, ოლეგი უკვე იცინოდა, თავს მაღლა სწევდა და ყველა კბილს ერთბაშად აჩენდა. კმაყოფილების გამო თითის წვერებსაც კი ისრესდა, ისე მოსწონდა კაიუტკინი, მაგრამ კაიუტკინი თითქოს არც კი გრძნობდა ამას, ერთხელაც კი არ შეუხედნია მისთვის, ისე როგორც ულიასთვის, და არც სხვა ადამიანებისათვის, რომელთაც იგი არ თობდა.

უზარმაზარი სიმაღლის, ტაფასავით დიდრონი შავი ხელებიანი ქვეითი მებრძოლი აქოშინებით გამოვარდა კოლონის უკანა რიგებიდან, მას ხელში ეჭირა გაზეთილ ჩვრებში გამოხვეული რაღაც მძიმე საგნები.

— ამხანაგებო, სად არის, აქ სადღაც მაღაროს მანქანა მიდისო, მითხრეს? — იკითხა მან.

— აი ის, ოღონდ დგას! — ოიხუნჯა კაიუტკინმა თან ბავშვებით სავსე საბარგო მანქანაზე მიუთითა.

— უკაცრავად, ამხანაგებო, — წარმოსთქვა მებრძოლმა მიუახლოვდა თუ არა ვალკოსა და გრიგორი ილიჩს, რომელმაც ფრთხილად ძირს ჩამოსვა ქერათმიანი გოგონა, — მინდა ხელსაწყო გადმოგცეთ, თქვენ გამოგადგებათ, ჩემთვის კი ზედმეტი ბარგია ამ ლაშქრობაში.—სთქვა ესა და გაზეთილი ჩვრების შეხსნა დაიწყო მათ წინ.

ვალკო და გრიგორი ილიჩი გადმოიხარნენ და ხელებში მიაჩერდნენ.

— ხედავთ?—აღტაცებით წარმოსთქვა მებრძოლმა, როცა მათ უჩვენა თავის დიდრონ ხელებში გაშლილი, გაზეთილ ჩვრებში გამოხვეული სრულიად ახალი საზეინკლო ხელსაწყოები.

— ვერ გავიგე — ჰყიდი თუ? — შეეკითხა ვალკო და უგულოდ მიაპყრო მებრძოლს ერთიმეორეზე შეზრდილი წარბების ქვემოდან გამომზირალი ბოშური თვალები.

მებრძოლს აგურისფერი მოწითალო სახე კიდევ უფრო აელეწა ისე, რომ სულ ოფლის წინწკლებით დაიფარა.

— ენა როგორ-ღა გიბრუნდება პირში? — წარმოსთქვა მან. — მე ის ტრამალზე ვიპოვნე! მივდივარ, ვნახოთ, ჩვრებში გახვეული გდია,—ალბათ ვიღაცას ჩამოუვარდა.

— იქნებ გადააგდო, რომ უფრო იოლად მოუსვას! — ჩაიცინა ვალკომ.

— ხელოსანი კაცი ხელსაწყოს არ გადააგდებს! ალბათ, ჩამოუვარდა!— ცივად წარმოსთქვა მებრძოლმა. ამ სიტყვებით იგი ახლა მხოლოდ გრიგორი ილიჩს მიმართავდა.

— მადლობელი, მადლობელი მეგობარო... — მიუგო გრიგორი ილიჩმა და უმალვე ჰიეშველა მებრძოლს ხელსაწყოს შეხვევაში.

— კარგია რომ აიღე, თორემ დასანანია, კარგი ხელსაწყოებია! თქვენ აგერ მანქანა გყავთ, მე კი ამ ლაშქრობაში ისე დატვირთული ვარ, აბა სად-ღა ვათრიო! — ამბობდა გამხიარულებული მებრძოლი. — ბედნიერად იყავით. — მებრძოლმა მხოლოდ გრიგორი ილიჩს ჩამოართვა მაგრად ხელი, უკანვე გაბრუნდა სირბილით და ჩქარა შეერია კოლონაში.

ვალკო ერთხანს მდუმარედ შეჰყურებდა გაქცეულ მებრძოლს და ვაჟკაცური მოწონების გრძნობა ეხატებოდა სახეზე.

— ადამიანი... დიაღ...—ჩახლეჩილი ხმით წარმოსთქვა ვალკომ და გრიგორი ილიჩი, რომელსაც ცალ ხელში ეჭირა ხელსაწყოები, ხოლო მეორეს თავზე უსვამდა და ეფერებოდა ქერათმიან გოგონას, მიხვდა, რომ მისი დირექტორი უნდობლად შეხვდა მებრძოლს, არა იმისთვის, რომ იგი უგულო კაცი იყო, არამედ იმის გამო, რომ ადამიანები ზოგჯერ ატყუებდნენ მას, ხელმძღვანელს იმ წარმოებისას, სადაც მუშაობდა ათასობით ადამიანი და, რომელიც დღე და ღამეში იძლეოდა ათასობით ტონა ნახშირს. ეს წარმოება ახლა აფეთქებული იყო მისი დირექტორის საკუთარი ხელით, ადამიანები კი ნაწილობრივ გამოიყვანეს, ზოგი გაიფანტა, ზოგი კი იქ დარჩა დასაღუპავად განწირული. და გრიგორი ილიჩმა ახლა პირველად გაიფიქრა იმაზე, თუ რა დარდიც ტრიალებდა დირექტორის გულში.

ბევრი კი სტკეპნეს ტრამალი მანქანებმა, ცხენებმა, ადამიანებმა და ნახირმა, მაგრამ ღამით მაინც აგრილდა და მტვერი დაჯდა, უკვე საგრძნობი შეიქნა თივისა და ბალახის სურნელება. ახალი მთვარე ჯერ კიდევ არა სჩანდა, მაღლა გადაშლილიყო ვარსკვლავებით მოჭედილი მუქი ცა.

ჯერ კიდევ საღამოსაც მოისმოდა წინა მხარეზე ზარბაზნების სროლა.

ღამით უფრო მოახლოვდა ის, თვით ტყვიამფრქვევების გაბმულ კაკანსაც კი მოჰკრავდა კაცი ყურს. იქ, კამენსკის რაიონში, მთელი ღამის განმავლობაში მოსჩანდა აელვებანი, ზოგჯერ ისე ძლიერიც კი, რომ მთელ კოლონას ანათებდა. ხანძრების ალი აქა-იქ ღვინისფრად ღებავდა ცის კიდეს, მძიმედ და მეწამულად იშლებოდა მუქ ტრამალზე აღმარფულ-ყორეებების მწვერვალთა შორის.

— საძმო საფლავებია! — წარმოსთქვა საზიდარზე ჩუმად მჯდომმა ვიქტორის მამამ, რომლის მსუქან სახეს ხანგამოშვებით სიბნელიდან გამოანათებდა ხოლმე თამბაქოს პატარა ცეცხლი. — ეს დიდი ხნის წინანდელი საფლავები როდია, ჩვენიანების საფლავებია,—ყრუდ დაატანა მან. — ჩვენ გზას მივიკვლევდით აქ პარხომენკოსა და ვოროშილოვთან ერთად, აქვე დავასაფლავეთ ჩვენები...

ანატოლი, ვიქტორი და ულია უსიტყვოდ გასცქეროდნენ ცეცხლის შუქშეფრქვეულ ყორღანებს.

— რამდენი ნაწარმოები შეგვითხზავს სკოლაში იმ ომზე, ვოცნებობდით, გვეხარბებოდა ჩვენი მამებისა, და აი ეს ომიც მოვიდა, კარზე მოგვადგა, თითქოს განგებ, თითქოს იმისათვის, რომ გაიგოს, თუ რანი ვართ, როგორი სიმტკიცისანი ვართ. ჩვენ კი — გავრბივართ...—წარმოსთქვა ოლეგმა და ღრმად ამოიოხრა.

ღამით კოლონის მოძრაობაში ცვლილებები მოხდა. ახლა დაწესებულებათა და კერძო პირთა მანქანები და ფორანები, აგრეთვე ლტოლვილები სრულიად არ მიიწევდნენ წინ,—ამბობდნენ,—წინ სამხედრო ნაწილებმა უნდა გაიარონო.

მეავტომატეთა ჯერიც დადგა, ისინი იარაღის ნელი ჟღარუნით დაფაცურდნენ სიბნელეში. მათს უკან მთელი ნაწილი ამოძრავდა. გზას უთმობდნენ რა მათ, მოტორების თუხთუხით ირეოდნენ და ჯაჯგურობდნენ მანქანები. სიბნელეში ისე გამოკრთოდა ხელით ნაკეთები პაპიროსების ცეცხლი, თითქოს ცაზე მიმსხდარი ვარსკვლავებიაო.

ვიღაცამ იდაყვზე გაჰკრა ულიას. იგი შემოტრიალდა. საზიდრის მხრით იდგა კაიუტკინი, სწორეთ იმ მხარის პირდაპირ, სადაც ვიქტორის მამა იჯდა და ყმაწვილები იდგნენ.

— ერთი წუთით,—წარმოსთქვა მან ძლივს გასაგონი ჩურჩულით.

რაღაც ისეთი კილო მოისმა მის ხმაში, რომ ულია უმალვე ჩამოვიდა საზიდრიდან. ორივენი განზე მიდგნენ.

— ბოდიში, რომ შეგაწუხეთ!—ნელა წარმოსთქვა კაიუტკინმა,—შეუძლებელია თქვენი წასვლა კამენსკში, მას საცაა აიღებს გერმანელი, ხოლო დონეცის იმ მხარეზედაც კი გერმანელი ძალიან შორს წავიდა. არავის უთხრათ, რომ მე გიამბეთ ეს, ამის უფლება არა მაქვს, მაგრამ მახლობელი ადამიანები ხართ, დასანანია, რომ ტყუილუბრალოდ დაიკარგოთ. თქვენ უნდა გაუხვიოთ შორს, სამხრეთით, ისიც ღმერთმა ჰქნას რომ გააღწიოთ.

კაიუტკინი ისე სათუთად ესაუბრებოდა ულიას, თითქოს ნაკვერცხალი უდევსო ხელისგულზე, სიბნელეში მკრთალად მოსჩანდა მისი სახე, მაგრამ დინჯი და ნაზი იყო, არც თვალებში ემჩნეოდა დაღლილობა, — ისინი ბრწყინავდნენ სიბნელეში.

ულიაზე იმოქმედა არა კაიუტკინის ნათქვამმა სიტყვებმა, არამედ მისი საუბრის კილომ. ულია უსიტყვოდ შესცქეროდა მას.

— რა გქვია სახელი?—ნელა შეეკითხა კაიუტკინი.

— ულიანა გრომოვა.

— შენი სურათი ხომ გაქვს?

— არა.

— არა... — დამწუხრებით გაიმეორა კაიუტკინმა.

მის მიმართ სიბრალულისა, და იმავე დროს, რაღაც თვითნებობის გრძნობამ უცებ შეიპყრო ულია,—მერე სულ ახლოს მიიწია, კაიუტკინის სახისკენ გადაიხარა.

— სურათი არა მაქვს,—წარმოსთქვა ჩურჩულით,—მაგრამ თუ კარგად, ძალიან კარგად დამაკვირდები,—ულია გაჩუმდა და ერთხანს პირდაპირ მიაჩერდა შავი თვალებით,—არ დაგავიწყდები...

კაიუტკინი გაშეშდა, მხოლოდ მისი დიდრონი თვალები ერთხანს ნაღვლიანად ციმციმებდნენ სიბნელეში.

— დიაღ, არ დამავიწყდები... იმიტომ, რომ შეუძლებელია შენი დავიწყება! — ოდნავ გასაგონად წაჩურჩულა მან. — მშვიდობით...

და ჯარისკაცის მძიმე ჩექმების ბრახუნით შეუერთდა ნაწილს, რომელიც სულ უფრო შორს მიდიოდა სიბნელეში, თავისი პატარა სიგარებით, მიდიოდა დაუსრულებლივ, შორს, შორს, როგორც ირმის ნახტომი...

ულია სულ ფიქრობდა, ეთქვა თუ არა ვინმესთვის, რაც კაიუტკინმა უამბო, მაგრამ ეტყობოდა ეს ამბავი იცოდა არა მარტო მან, მთელს კოლონას მოსდებოდა ის.

როცა ულია მივიდა ფორანთან, უთვალავი მანქანები და საზიდრები უხვევდნენ ტრამალისკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთით. იმავე მიმართულებით მწყობრად მიჰყვნენ ლტოლვილებიც.

— ლიხაიასკენ მოგვიხდება წასვლა!—მოისმა ვალკოს ჩახლეჩილი ხმა.

ვიქტორის მამამ რაღაც ჰკითხა მას.

— რატომ დავშორდეთ ერთმანეთს, ვიაროთ ერთად, რაკი ბედმა დაგვაკავშირა,—მიუგო ვალკომ.

განთიადმა უგზო ტრამალზე მოუსწრო მათ.

წარმტაცი იყო ეს განთიადი ამ გაშლილ ტრამალზე,—შუქშეფრქვეული ცის კიდე, პურის ყანების უსაზღვროდ გადაჭიმულ სივრცეზე, რომელიც ამ თითქმის ხელშეუხები იყო, ხევების ფსკერზე ღია-მწვანე ფერის ბალახი მოვერცხლილი ცვარით, რომლის წვეთებში ცისარტყელასებრ გამოკრთოდა ხევების გასწვრივ დაქანებული, პირდაპირ ადამიანების თავზე წამომდგარი მზის ნაზი შუქი. მაგრამ ამ ადრიან დილის შუქზე მით უფრო დამწუხრებით გამოიყურებოდნენ ბავშვების გამოტანჯული, ძილმორეული, გამოყლანწული და, მოზრდილთა მოღუშული, დაღვრემილი, მღელვარებით სავსე სახეები.

ულიამ დაინახა საბავშვო სახლის გამგე, მარტო წინდებზე ჩაცმული, მტვერით გაგლესილი და ჩატეტკილი რეზინის ბოტებიანი ქალი. გამგეს სახე სულ გაშავებოდა. მთელი გზა ფეხით მოდიოდა, მხოლოდ ღამით შემოჯდა ერთ-ერთ საზიდარზე. დონეცის მზეს თითქოს სულ გამოეშრო და გაშოეწვა იგი, ფერფლად ექცია; ეტყობოდა ამ ღამითაც არა სძინებია და, სულ გაჩუმებული იყო, ყველაფერს მაშინალურად აკეთებდა, მისი უხედველი, გამსჭვალავი თვალები გამოიყურებოდნენ იმქვეყნიური და არა საქაო გამომეტყველებით.

დილიდანვე ჰაერში განუწყვეტლივ იდგა მოტორების გუგუნი. თვითმფრინავები არა ჩანდნენ, მაგრამ წინა მხარეზე, მხარმარცხნით, გამუდმებით

მოისმოდა ბომბების დარტყმის მოგუგუნე ხმა, რომელიც არყევდა ჰაერს, ხანგამოშვებით კი სადღაც ცის კიდეზე კაკანებდნენ ტყვიამფრქვეველები.

იქ, დონეცისა და კამენსკის მაღლა, მწვავდებოდა საჰაერო ბრძოლები, რომელთა არა დანახვა, მხოლოდ მოსმენა შეიძლებოდა აქიდან, მათ მხოლოდ ერთხელ შენიშნეს წინა მხარეზე ძირს დაქანებული მოპირე ფვინ-მფრინავი, რომელსაც უკვე მოეთავებინა დაბომბვა.

ოლეგი უცებ გადმოხტა ბრიჩკიდან და შეჩერდა, ვიდრე ფორანი გაუთანაბრდებოდა.

— წარმოიდგინეთ, არა, ერთი წარმოიდგინეთ,—ამბობდა იგი, თან გვერდით მიჰყვებოდა ფორანს, ხელი წაევლო მის კიდეზე და თავისი დიდრონი თვალებით შესცქეროდა ამხანაგებს, — თუ კი გერმანელები დონეცის გაღმა არიან, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ჩვენთან ერთად მოდიოდა შეაკავებს მათ კამენსკთან, წინ ვეღარ წავლენ: ვერც ის მეავტომატეები, ვერც ის შესანიშნავი ჭაბუკი, რომელიც ყველას აგრე ამხიარულებდა, ყველა ესენი ხომ ვეღარ წავლენ! მათ, რა თქმა უნდა იცოდნენ ეს, როცა აქეთ მოდიოდნენ, მათ იცოდნენ ეს! — ამბობდა ოლეგი.

ფიქრი იმაზე, რომ კაიუტკინი გამოეთხოვა მას სიკვდილის წინ, გულს უსიებდა ულიას, და სირცხვილის გამო სულ აენთო, როცა მოაგონდა კაიუტკინისათვის ნათქვამი სიტყვები. მაგრამ შინაგანი სუფთა ხმა ეუბნებოდა, რომ მას ისეთი არაფერი უთქვამს, რისი გახსენებაც აუტანელი იქნებოდა კაიუტკინისათვის სიკვდილთან პირისპირ შეხვედრის დროს.

თავი მეექვსე

ლტოლვილები უკვე ორი დღე და ღამის განმავლობაში მიდიოდნენ კრასნოდონზე გავლით, ქალაქის თავზე გამუდმებით იდგა მტვერის ღრუბელი, რომელიც მოშავო-მოწითალო ტალახის ფენად ედებოდა ადამიანთა ტანისამოსს, ყვავილებს, დუმფარისა და გოგრის ფოთლებს.

მაგრამ სწორეთ იმ დროს, როცა ქალაქის გარეუბნებში ჯერ კიდევ ყველაფერი გაქცევისა და გამოთხოვების მღელვარებით იყო მოცული, ქალაქის ცენტრში, პარკთან მომიჯნავე ქუჩებზე, უკვე სრული სიწყნარე ჩამოვარდა, აქ ჩვეულებრივზე უფრო მეტი სიწყნარე დამკვიდრდა.

პარკის გადაღმა, ლიანდაგზე წინდაუკან გრუხუნით დადიოდა რკინიგზის უკანასკნელი შემადგენლობა, მიტოვებულ მაღაროებიდან აგროვებდა მოწყობილობებს, რომელთა გაზიდვა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. ისმოდა ორთქმავლის ქშენა, საყვირის ხმა, მეისრის ბუკის პიპინი. იქიდან, გადასასვლიდან მოისმოდა ადამიანთა აღგზნებული ხმები, უთვალავი ფეხის შრაშუნი მტვერში, მანქანების ფსტვინვა და არტილერიის თვლების გრუხუნი ბოგირებზე, — სამხედრო ნაწილები განაგრძობდნენ უკან დახევას. ბორცვების იქით კი—ხან ერთი, ხან კიდევ მეორე მიმართულებით, დროგამოშვებით, ისმოდა საარტილერიო ზალპის შორეული მკვეთრი გუგუნი, თითქოს იქ, ამ ბორცვების იქით, ტრამალის უკიდეგანო სივრცეზე ერთიდან მეორე ადგილზე მიაგორებდნენ გვერდებით ცამდემწვდენ უზარმაზარ ცარიელ კასრებს.

განიერ ქუჩაზე, რომელიც პარკის ჭიშკარს ებჯინებოდა, ტრესტ „კრასნოდონუგოლის“ ორსართულიან ქვის შენობის გვერდით ჯერ კიდევ იდგა ტონანახევრიანი საბარგო მანქანა, და ადამიანებს—ქალებსა და მამაკაცებს,

ფართოდ გაღებულ მთავარ კარიდან გამოჰქონდათ ტრესტის ქონების დარჩენილი ნაწილები და მანქანაზე აწყობდნენ.

ადამიანები მუშაობდნენ მშვიდად, ჩუმად, ხელმარჯვედ. შეჭირვების გამო მოღუშული სახეები და სიმძიმის თრევისაგან მობუქული ხელები გაოფლილი და ჭუჭყიანი ჰქონდათ. ცოტა მოშორებით, ტრესტის ფანჯრების ქვეშ იდგნენ ქალიშვილი და ჭაბუკი, ისინი ისე გატაცებითა და ერთგულად საუბრობდნენ, ეტყობოდათ — არც ეს საბარგო მანქანა, არც გაოფლილი ადამიანები, და არც სხვა ყველაფერი ის, რაც ირგვლივ ხდებოდა, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მათთვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაზეც ახლა საუბრობდნენ ისინი.

ქალიშვილს ეცვა ვარდისფერი კოფთა და ყვითელი ტყავის ფეხსაცმელი, იყო ახოვანი, მსუქანი, ბობრი, ჰქონდა ნუშისებური, მჭრქალად მოციმციმე, ოდნავ ელამი და მომუქო თვალები. იმის გამო, რომ იგი ცერად გამოიყურებოდა, თეთრ ატლასისფერ ყელზე ოდნავ გვერდზე მიექცია ზეაწეული ჩამოქანდაკებული თავი და ცერად შესცქეროდა ჭაბუკს.

ჭაბუკი იყო მაღალი, ულაზათო, მხრებში მოკუზული, ეცვა მისთვის მეტად გრძელსახელოიანი ახლად გარეცხილი და დაუთოებული, გვერდზე შესაბნევი ლურჯი ხალათი, წელზე ერტყა ვიწრო ქამარი, ეცვა ყავისფერზოლებიანი ნაცრისფერი მოკლე შარვალი და შიშველი ფეხები ჩუსტებში ჰქონდა წაყოფილი. მუქი სწორი თმა არ ემორჩილებოდა, ლაპარაკის დროს ეფინებოდა შუბლზე, ყურებზე და წამდაუწუმ თავის სწრაფი მაღლა აქნევით უკან იყრიდა. მისი სახე მიეკუთვნებოდა იმ ტიპს ფერმკრთალ სახეებისას, რომელთაც თითქმის არ ეკიდებათ მზე. მასთან ერთად ჭაბუკი აშკარად მორცხვიც იყო. მაგრამ მისი სახის გამომეტყველებაში იყო იმდენი ბუნებრივი იუმორი, და იმავე დროს უკვე გამოსავლინებლად გამზადებული შთაგონება, რომ ეს აღელვებდა ქალიშვილს. ჭაბუკი თვალმოუშორებლივ შესცქეროდა მას.

ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ, ხალხი ხედავდა, თუ უსმენდა მათ საუბარს. მაგრამ თვალყურს კი ადევნებდნენ.

ცოტა ქეშად, ქუჩის გადაღმა, სტანდარტული სახლის ჭიშკრის მახლობლად, სადაც გასული წლის შემოდგომიდან მოთავსებული იყო ბოლშევიკური პარტიის ვოროშილოვგრადის საოლქო კომიტეტი, იდგა ძალზე დაზიანებული, ალაგ-ალაგ შეყვითლებული, ალაგ-ალაგ კიდევ ხეხვისაგან თუნუქსავით გაპრიალებული, თითქოს საღმთო წერილის აქლემივით ნემსის ყუნწში გაძრომისას გვერდებგადაღლეტილი, ძველი კონსტრუქციის, თვლებზე შემდგარი მსუბუქი შავი მანქანა. ეს იყო საბჭოთა საავტომობილო მანქანათმშენებლობის პირმშო, რომელიც უკვე ყველგან გამოსულიყო მწყობრიდან და, რომელსაც მდაბიურად „გაზიკს“ ეძახოდნენ.

დიაღ, ეს იყო გაზიკი, — ერთერთი იმ გაზიკთაგანი, რომლებმაც ათასი კილომეტრები გაიარეს დონისა და ყაზახისტანის ტრამალებზე, აგრეთვე ჩრდილოეთის ტუნდრებში; რომლებიც თხის ბილიკების მაგვარი გზებით მიჰქროდნენ კავკასიისა და პამირის მთებისაკენ; რომლებმაც შეაღწიეს ალტაისა და სიხოტე-ალინის უდაბურობაში; მომსახურება გაუწიეს დნეპრის კაშხალის, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისა და მაგნიტოსტროის მშენებლობებს; რომლებმაც ჩუხნოვსკი და მისი ამხანაგები მიიყვანეს ჩრდილოეთის აეროდრომზე ნობილეს ექსპედიციის გადასარჩენად გაფრენის წინ; რომლებიც ქარიშხალსა და ამურის ქარყინვიან გზებზე ყინულის

ხერგილებში მიძვრებოდნენ კომსომოლსკის პირველ მშენებელთა მასაშვ-ლებლად, — ერთის სიტყვით ეს იყო ერთერთი იმ „გაზიკთაგანი“, რომ-ლებმაც ძალღონის დაძაბვით, ზურგით გაიტანეს მთელი პირველი ხუთ-წლედი, გაიტანეს, მოძველდნენ და თავიანთი ადგილი დაუთმეს უფრო სრულყოფილ მანქანებს, პირმშოებს სწორეთ იმ ქარხნებისას, — რომლებიც მათ გაიტანეს.

სტანდარტული სახლის მახლობლად მდგარი „გაზიკი“ იყო დახურული „გაზიკ-ლიმუზინი“. მის შიგნით, უკანა დასაჯდომზე, პირდაპირ ფეხებ-ქვეშ იდო გრძელი, მძიმე ყუთი. ვვერდით, დასაჯდომსა და ყუთებზე გარდი-გარდმო ერთიმეორეზე ეწყო ორი ჩემოდანი. მათს ზემოთ, მანქანის სახუ-რავის ქვეშ იდო ორი მაგრად გატენილი რიუკზაგი. მათზე მიყუდებული იყო ორი ავტომატი ППШ — ზედ წამოცმული დისკოთი, გვერდით კიდევ ეწყო დისკოები. თავისუფლად დარჩენილ ჩამოსაჯდომზე კი იჯდა ქერა-თმიანი, მზედაკრული, ასე ოცდაათიოდე წლის მკაცრი სახის გამომეტყველ-ების ქალი, მას ეცვა სამოგზაურო სქელი კაბა, რომელსაც მზესა და წვიმაში ხშირად ტარების გამო გამოურკვეველი ფერი დასდებოდა. ქალს არ ყო-ფნიდა ადგილი ფეხების თავისუფლად ჩამოსადგამად, ამიტომ ერთიმეორე-ზე გადმოეწყო და ძლივს მოეთავსებინა ყუთსა და მანქანის კარს შუა.

იგი მოუსვენრად გასცქეროდა ლიმუზინის პატარა კარის არეში, — კარებ-ში მინები დიდი ხნის წინად ჩაემტვრიათ, — ქალი შესცქეროდა ხან სტან-დარტულ სახლის აივანს, ხან კიდევ ტრესტის წინ მდგარ მანქანას, რომე-ლიც ახლა იტვირთებოდა. ეტყობოდა, ეს ქალი ელოდებოდა ვიღაცას, ელო-დებოდა საკმაოდ დიდხანს, და არ სიამოვნობდა, რომ ადამიანებს, რომლე-ბიც ტვირთავდნენ მანქანას, შეეძლოთ დაენახათ ეს საოლქო კომიტეტის მახლობლად განმარტოებით მდგარი ლიმუზინი და, თვითონ იგი, ამ ლიმუ-ზინში მჯდომი ქალიც. მოუსვენრობა ჩრდილივით გადარბოდა მის მკაცრ სახეზე, მერე ისევ ზურგით მიეყრდნო ჩამოსაჯდომზე და პატარა კარის არეში თვალმოუშორებლივ და ჩაფიქრებული მიაცქერდა ტრესტის ფან-ჯრების ქვეშ მოსაუბრე ჭაბუკსა და ქალიშვილს. სახის მოყვანილობა თან-დათან უმშვიდდებოდა, და მისთვის სრულიად შეუმჩნევლად, ცისფერ თვა-ლებსა და მკვეთრად გამოკვეთილ მაგარ ტუჩებზე კეთილი და ნაღვლიანი ღიმილის გამონაკრთომი ესახებოდა.

ქალი ოცდაათი წლისა იყო, და არც კი იცოდა, რომ გულკეთილი თანა-გრძნობისა და ურვის გამოსახულება, რომელიც წარმოიშვა მის სახეზე, მა-შინ როცა იგი შესცქეროდა ჭაბუკსა და ქალიშვილს, გამოხატავდა იმას, რომ თვითონ იგი უკვე ოცდაათი წლისა იყო, და აღარ შეეძლო ყოფილი-ყო ისეთი, როგორიც იყვნენ ეს ჭაბუკი და ქალიშვილი.

მიუხედავად ყველაფრისა, რაც ირგვლივ ხდებოდა და, რაც საერთოდ ხდებოდა ამქვეყნად, ჭაბუკი და ქალიშვილი სიყვარულს უხსნიდნენ ერთ-მანეთს. არც შეეძლოთ არ აეხსნათ, ვინაიდან უნდა განშორებოდნენ ერთ-მანეთს. ისინი ისე უხსნიდნენ ერთმანეთს სიყვარულს, როგორც ახალგაზრ-დობისას უხსნიან ხოლმე, ესე-იგი ლაპარაკობდნენ თითქმის ყველაფერზე, გარდა სიყვარულისა.

— ისე მიხარია, ვანეჩკა, რომ მოხვედი, თითქოს მძიმე ტვირთი მომეხსნა გულიდან, — ეუბნებოდა ქალიშვილი, თან შესცქეროდა მოციმციმე, მოელვა-რე თვალებით, ოდნავ განზე მიექცია თავი, თავი, რომელზე უფრო სასურ-

ველი არა იყო რა ამქვეყნად ჭაბუკისათვის,—ვფიქრობდი ალბათ ისე წავალ, ველარ ვნახავ-მეთქი...

— გესმის, რატომ არ მოვდიოდი ამ დღეებში? — ეკითხებოდა ჭაბუკი ყრუ, ბოხი ხმით, თან თავით ფეხებამდე ათვალიერებდა მასწავლებელი — ბეცი თვალებით, რომლებშიაც ნაცარმიყრილ ნაკვერცხალსავით ბინადარ ყოფილიყო ასაფეთქებლად გამზადილი თბილი შთაგონებანი. — ვიცი, რომ შენ ყველაფერი ეს გესმის... ჯერ კიდევ სამი დღის წინად უნდა წავსულიყავი. უკვე სრულიად მოვემზადე, შევლამაზდი კიდეც შენთან გამოსამშვიდობებლად შემოვლის წინ. ამ დროს, უცებ, კომკავშირის რაიკომში გამომიძახეს. სწორედ ის ბრძანება მოვიდა,—ევაკუაციის შესახებ, და ყველაფერი ყირაზე დადგა. მწყინს, რომ ჩემი კურსები წავიდა, ყმაწვილებიც დახმარებასა მსთხოვენ, სჭირდებათ კიდევაც ეს დახმარება... გუშინ ოლეგმა შემომთავაზა ადგილი ბრიჩკაში, კამენსკში წასასვლელად... ხომ იცი როგორ ვმეგობრობთ ჩვენ, მაგრამ უხერხულად ჩავთვალე წასვლა...

— იცი, თითქოს მძიმე ტვირთი მომეხსნა გულიდან, — წარმოსთქვა ქალიშვილმა, თან დაყინებით შესცქეროდა მკრქალად მოციმციმე თვალებით.

— გამოგიტყდები, მეც კი მიხაროდა გულში, კიდევ ბევრჯერ, ბევრჯერ ვნახავ-მეთქი. თურმე ნუ იტყვი!—ამბობდა იგი ბოხი ხმით, და აღარ შეეძლო მოშორებოდა მის თვალებს, რადგან მთლიანად დატყვევებული იყო იმ ცხელი, სათუთი სითბოთი, რომელიც მომდინარეობდა ქალიშვილის ოდნავ ალეწილი სახისა, მსუქანი კისრისა და ვარდისფერ კოფთის ქვეშ აგრე საგრძნობი მთელი მისი ტანიდან. — არა, წარმოდგენილი გაქვს? ვოროშილოვის სახელობის სკოლა, გორკის სახელობის სკოლა, ლენინის კლუბი... ბავშვთა საავადმყოფოც კი. ყველა მე დამაწვა! კიდევ კარგი, რომ თანაშემწე კარგი შემხვდა—ჟორა არუთინიანცი. გახსოვს იგი? ჩვენი სკოლიდან არის. აი, ასეთი ყმაწვილია! თვითონ იკისრა. არც კი მახსოვს, თუ გვეძინა, დღე და ღამე სულ ფეხზე ვართ: საზიდრები, მანქანები, დატვირთვა, საკვები, იქ შინა გასკდა საეშმაკოდ, იქ ბრიჩკა უნდა მიიყვანო სამჭედლოში. ერთი სიტყვით თავგზა დამებნა!... მაგრამ, რა თქმა უნდა ვიცოდი, რომ წასული არ იყავი. მამისგან ვიცოდი,—დარცხვენილი ღიმილით წარმოსთქვა მან. — წუხელ თქვენი სახლის ახლოს გავიარე, გული მომწყდა! რა იქნება ერთი დავაკაკუნო-მეთქი? — ჭაბუკმა გაიცინა. — მერე უცებ გადავიფიქრე, — არა, ვანია, აჯობებს — მოითმინე, თავი შეიკავე-მეთქი.

— გესმის, თითქოს სიმძიმე... — უნდა წამოეწყო ქალიშვილს, მაგრამ გატაცებულმა ჭაბუკმა ბოლომდე თქმის საშუალება არ მისცა.

— მართალია, გუშინ უკვე გადავსწყვიტე მიმეფურთხებინა ყველაფერისათვის. წავა-მეთქი, ვიფიქრე! ხომ სულერთია, ვერ ვნახავ-მეთქი! რას ვიფიქრებდი? თურმე საბავშვო სახლი, — სწორეთ ის, რომელიც ზამთარში ობლებისათვის ჩამოყალიბდა ვოსმიდომიკში, — ჯერ კიდევ არ იყო ევაკუირებული. მისი გამგე ქალი, — იგი ჩვენს გვერდით ცხოვრობს, — პირდაპირ მე მომვარდა, კინაღამ ატირდა: — „ამხანაგო ზემნუხოვ, გვიხსენი! კომკავშირის კომიტეტის საშუალებით მაინც გვიშოვნე ტრანსპორტიო!“ — მე ვეუბნები: „ — კომკავშირის კომიტეტი უკვე წავიდა, მიმართეთ სახალხო განათლების განყოფილებას-მეთქი!“—„მეო,—სთქვა,—მთელი ამ დღეების განმავლობაში დაკავშირებული ვიყავი, შემპირდნენ — ჩქარა გაგიყვანთო, დღეს დილით მივირბინე და რა გამოირკვა,—თურმე თავიანთთვისაც კი არა

ჰყოლიათ ტრანსპორტი. ვიდრე იქით-აქეთ ვეცი, სახალხო განათლების განყოფილებაც კი ალარ დარჩენილიყო...“ — „სადღა წავიდა, თუ კი ტრანსპორტი არა ჰყავდა-მეთქი?“—ვეუბნები. — „არ ვიცი, როგორღაც გაჰქრაო!“ მომიგო. — სახალხო განათლების განყოფილება გაჰქრა! — ვანია ზემნუხოვმა უცებ ისე გულიანად გადაიხარხარა, რომ გრძელი, უხეში [illegible] შუბლსა და ყურებზე გადმოეშალა, მაგრამ იმავე წუთს უკან გადაიყარა თავის სწრაფი აქნევით. — აი ბრიყვები! ახლა კი წახდა შენი საქმე, ვანიამეთქი, გავიფიქრე, ისე ვერ ნახავ კლავას, როგორც საკუთარ ყურებსმეთქი! და წარმოგიდგენია, ამ საქმეს ხელი მოვკიდეთ მე და ჟორა არუთინიანცმა, ხუთი საზიდარი ვიშოვნეთ. მერე იცი ვისთან? სამხედროებთან! გამგე ქალმა, გამოთხოვებისას, თავით ფეხებამდე დაგვასველა ცრემლით. ფიქრობ, ესაა ყველაფერი? დღეს ჟორას ვეუბნები:—„გაიქე, ბარგი ჩაილაგე ტომარაში, ვიდრე მე ჩემსას ჩავალაგებ-მეთქი!“ მერე სიტყვა გადავუკარი, მივახვედრე — ერთ ადგილას მინდა წასვლა, შენ კი ჩემთან შემოიარე, თუ რამე იყოს, ცოტა ხანს შემიცადე-მეთქი, ერთის სიტყვით მივუკიბმოვუკიბე... ის იყო ტომარაში ჩავალაგე თუ არა ყველაფერი, ჩემთან შემოვარდა... იცი ვინა? აი, ის—ტოლია ორლოვი. მეტსახელად—„მეხი გუგუნებს“ რომ ეძახიან...

— პირდაპირ მძიმე ტვირთი მომეხსნა გულიდან, — თითქოს შეანგრიაო ჭაბუკის ნიაღვარივით მომსკდარი სიტყვები, საშინლად ხმადაწევითა და თვალების ვნებიანი პრიალით ჩაურთო კლავამ. — ისე ვშიშობდი არ შემოივლის-მეთქი, მე ხომ არ შემეძლო შენთან შემოვლა? — ამბობდა იგი ნელა, ხავერდოვანი დაბალი ხმით.

— რატომაც არა? — შეეკითხა ჭაბუკი, რომელსაც უცებ გაუკვირდა ამ აზრის მოსმენა.

— ნუ თუ არ გესმის? — დაიბნა კლავა, — რა უნდა მეთქვა მამისთვის?—ეს იყო, თითქმის ყველაზე უფრო დიდი, რისი თქმაც კი შეეძლო ქალიშვილს ამ საუბარში: ბოლოსდაბოლოს უნდა ეგრძნობინებინა მისთვის, რომ მათი დამოკიდებულება როდი იყო უბრალო დამოკიდებულება, რომ ამ დამოკიდებულებაში რაღაც საიდუმლოებაც იყო. ბოლოსდაბოლოს ქალიშვილს უნდა მოეგონებინა მისთვის ეს, რაკი თვითონ ჭაბუკს არ უნდოდა ამაზე ლაპარაკი.

ჭაბუკი გაჩუმდა და ისე შეხედა ქალიშვილს, რომ უცებ მთელი მისი მსუქანი სახე და თეთრი, სქელი კისერი მკერდამოჭრილ ვარდისფერ კოფთას საკინძებამდე ისეთი ფერისა გახდა, როგორც ეს კოფთა იყო.

— არა, ნუ ფიქრობ, თითქოს ცუდათ გეჭცეოდეს იგი, — სწრაფად ალაპარაკდა კლავა, თან აპრიალებდა თავის ნუშისებურ, ოდნავ ელამ თვალებს, — რამდენჯერ უთქვამს: — „ჭკვიანი ყმაწვილია, ეს ზემნუხოვიო“. — შენც კი იცი,—ქალიშვილი ისევ გადავიდა ენით გამოუთქმელ ხავერდოვან კილოზე, — რომ გინდოდეს, შეგეძლო ჩვენთან ერთად წამოსულიყავი.

საყვარელ ქალიშვილთან ერთად წასვლის ეს უეცრად წამოჭრილი შესაძლებლობა, რომელიც სრულიად არ მოჰგონებია მას, ისეთი წარმტაცი იყო, რომ დაიბნა, შეხედა მას, უხერხულად გაუღიმა, უცებ სახე დაუდინჯდა, ცა არეულად გაიხედა ქუჩის გასწვრივ. იგი პარკისაკენ ზურგშექცევით იდგა, მის წინ გადაიშალა სამხრეთისაკენ მიმავალი ქუჩის მთელი პერსპექტივა, სავსე მზის ალმურით, რომელიც სახეში სცემდა მას. ქუჩა თითქოს წყდე-

ბოდა შორს, იქ დალმართი იყო, — მეორე გადასავალისაკენ. შორს, ძალიან შორს კი, ტრამალზე, მოსჩანდა ბორცვები, რომლის იქით დგებოდა შორეული ხანძრების ბოლი, მაგრამ იგი ვერ ხედავდა ამას, რადგან მეტად ახლომხედველი იყო. ჭაბუკმა გაიგონა მხოლოდ საარტილერიო სროლის გუგუნი, ორთქლმავლის კივილი პარკის გადაღმა და, ტრამალის ცისქვეშ მეისრის ბუკის პიპინი, აგრე მშვიდობიანი, ბავშვობიდანვე ნაცნობი და რაღაც მახლობელი.

— კლავა, მე ბარგიც კი არა მაქვს თან, — წარმოსთქვა მან ნაღვლიანად და დაბნეულად, თან ხელები აიქნია, თითქოს უჩვენებსო — შიშველ თავს, ძირს ჩამოვარდნილ გრძელ მომუქო-ქერა თმას, და მოკლესახელოებიან ახლად გარეცხილ სატინის ხალათს, ყავისფერ ზოლებიან ნახმარ მოკლე შარვალს და შიშველ ფეხებზე ჩაცმულ ჩუსტებს. — მე სათვალეებიც არ წამომიღია, შენც კი ვერა გხედავ რიგიანად, — ნაღვლიანად ოხუნჯა მან.

— მამას ვსთხოვოთ და ბარგისათვის შევიაროთ, — ნელა, აღგზნებით ლაპარაკობდა ქალიშვილი, თან ცერად შესცქეროდა ჭაბუკს. ისე შეჰქანდა თითქოს ხელიც კი უნდა წაეტანებინა, მაგრამ ვეღარ გაბედა.

თითქოს განგებ, გამოჩნდა კლავას მამა, — კეპით, ნახმარი ფიჯაკითა და ჩექმებით, მას მოჰქონდა ორი ჩემოდანი, ოფლში იყო გაწუწული. იგი მანქანის უკანა მხრიდან გამოვიდა და ახლა ჩემოდნების დასაწყობ ადგილს ათვალიერებდა. მანქანა პირთამდე დატვირთული იყო.

— მოიტა, ამხანაგო ,ოვალიოვ, ჩემთან მოგათავსებ, — ეუბნებოდა მას ბოხჩებსა და ყუთებს შუა ჩამდგარი ტრესტის ერთ-ერთი მუშაკი, იგი ცალ მუხლზე დაეშვა, ხელით დაებჯინა საბარგო მანქანის კიდეს და რიგრიგობით გამოართვა ჩემოდნები.

ამ დროს ასევე, საბარგო მანქანაზე გარემოვლით, მოვიდა ვანიას მამაც, რომელსაც წინ გამოშვერილი გამხდარი, ძარღვებიანი მზედაკრული ხელებით მოჰქონდა შეკვრა, რომელიც სამრეცხაოს ბოხჩას უფრო ჰგავდა, — ეტყობოდა მასში თეთრეული უნდა ყოფილიყო. ძალიან ემძიმებოდა ამ ბოხჩის ზიდვა, მოჰქონდა ის წინ გამოშვერილი ხელებით, და ბორძიკით და ლასლასით მომავალი, მიწაზე ძლივს აკარებდა გრძელი ფეხების ტერფებს. მისი წინ წამოწეული, ნაოჭებით დასერილი, მზედაკრული გაოფლილი სახე გაფითრებულიც კი იყო, და ამ გამხდარსა და გასავათებულ სახეზე საშინლად გამოიყოფოდა ძალზე გამოთეთრებული, არაჯანსაღად მბრწყინავი, ტკივილის შეგრძნობამდე მკაცრად გამომზირალი თვალები.

ვანიას მამა — ალექსანდრე ზემნუხოვი ტრესტში მუშაობდა დარაჯად, ხოლო კოვალიოვი — კლავას მამა, სამმართველოს მეურნეობის გამგე, — მისი პირდაპირი უფროსი იყო.

კოვალიოვი იყო ერთერთი იმ მრავალრიცხოვანი მნეთაგანი, რომლებიც ჩვეულებრივ დროს დამშვიდებით ეწევიან ადამიანთა უკმაყოფილების, დაცინვისა და სიძულვილის მძიმე ჭაპანს, რაიც წილად ხვდება ხოლმე ყოველ მნეს, საზღაურად იმ ბოროტებათა, რომლებსაც კაცობრიობის მიმართ სჩადიან ზოგიერთი მათი თანამოძმენი, — იგი იყო ერთერთი იმ მნეთაგანი, რომლებიც ცხოვრების უმძიმეს წუთებში გამოამჟღავნებენ ხოლმე იმას, თუ რას წარმოადგენს ამქვეყნად ნამდვილი მნე.

მთელი უკანასკნელი დღეების განმავლობაში, იმ წუთიდან, რაც დირექტორისაგან მიიღო ბრძანება, ტრესტის ქონების ევაკუაციის შესახებ, მიუხე-

დავად თანამშრომელთა მუდარისა და ჩივილისა, მიუხედავად მის მიმართ მეგობრული გრძნობების პირფერულად და მლიქვნელურად გამომჟღავნებისა ზოგიერთ იმ უფროსების მხრით, რომლებიც ჩვეულებრივ დროს ისე ამჩნევდნენ მას, როგორც ტალანში დადგმულ ჰოლანდიურ ფუმელთან აყუდებულ იატაკის საწმენდ ჯაგრულას, ყოველივე ამის მიუხედავად, ისევ გულდამშვიდებით, აუჩქარებლად, დინჯად და ხელმარჯვედ, როგორც ყოველთვის, შეფუთა, დატვირთა და გადაგზავნა ყველაფერი ის, რასაც თუნდაც რაიმე ოდნავ მნიშვნელოვანი ღირებულება კი ჰქონდა. ამ დილით, განთიადისას, მან მიიღო ტრესტის ევაკუაციის საქმის რწმუნებულის ბრძანება: არც ერთი წუთით არ დაბანდებულიყო აქ, მოესპო საბუთები, რომელთა გაზიდვა შეუძლებელი იყო და დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო აღმოსავლეთით.

მაგრამ მიიღო თუ არა ეს ბრძანება, კოვალიოვმა ასევე დინჯად და სწრაფად გაგზავნა თვითონ რწმუნებული თავისი ქონებიანად, თუმცა გაუგებარი იყო საიდან და როგორ შოულობდა ყველა სახის ტრანსპორტს, მაინც განაგრძობდა ტრესტის დარჩენილი ქონების გაგზავნას, ვინაიდან სხვაგვარად მოქცევის უფლებას სინდისი არ აძლევდა მას. უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ეშინოდა, როგორც ყოველთვის, ამ ტრაგიკულ დღესაც ბრალს დამსდებენ:— ყველაზე ადრე თავის პირად საქმეებს აგვარებსო, — ამიტომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ცოლშვილიანად წასულიყო უკანასკნელი მანქანით, რომელიც მაინც შემოინახა ამ შემთხვევისათვის.

ტრესტის მოხუცი დარაჯი — ალექსანდრე ზემნუხოვი კი მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო საერთოდ არ აპირებდა და, მას არც შეეძლო წასულიყო. რამდენიმე დღის წინად, ისე როგორც სხვა დანარჩენმა თანამშრომლებმა, რომელთაც არ შეეძლოთ წასვლა, მანაც მიიღო საბოლოო ანგარიში, ორი კვირის გამოსასვლელი ხელფასით. ამრიგად მისი საქმეები ტრესტთან უკვე მოთავებული იყო, მაგრამ მთელი ამ დღეებისა და ღამეების განმავლობაში, ისევე როგორც წინად, ძლივს დაათრევდა ქარებისაგან დახუთულ ფეხებს, ბორძიკითა და ტერფების ათრევით, ეხმარებოდა კოვალიოვს ტრესტის ქონების შეფუთვაში, დატვირთვასა და გადაგზავნაში, ვინაიდან ბერიკაცი უკვე შეეჩვია ტრესტის ქონებას მოპყრობოდა ისე, როგორც პირად ქონებას.

ალექსანდრე ზემნუხოვი იყო ძველი მაღაროელი, საუკეთესო დურგალი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო, როცა იგი ჩამოვიდა ტამბოვის გუბერნიიდან და მაღაროებში, დღიურ ქირაზე დაიწყო მუშაობა. დონეცის მიწის ღრმა წიაღში, ყველაზე უფრო საშიშ ფლატეებსა და საძრომებში ცოტა როდი შეუყენა საბჯენები მისმა პატარა ცულმა, რომელიც თამაშობდა, მღეროდა და ოქროს მამალსავით ჰკენკავდა მის ხელებში. ჭაბუკობიდანვე გამუდმებულ ნესტში მუშაობის გამო ალექსანდრე ზემნუხოვი მწვავე ქარებით დაავადმყოფდა, პენსიაზე გავიდა და დარაჯად დადგა ტრესტში, მუშაობდა დარაჯად ისე, თითქოს წინანდებურად ახლაც დურგალი ყოფილიყოს.

— კლავკა, მოემზადე, დედას მიეშველე!—წამოიყვირა კოვალიოვმა, თან მობუქული, დასვრილი ხელის ზურგით მოიწმინდა ოფლი შუბლზე, მაღლა აწეული კეპის წინაფრის ქვემოდ.—ა, ვანია!—უხალისოდ წარმოსთქვა მან როცა ზემნუხოვი შენიშნა. — ნახე, რა ხდება? — ნაწყენად გაიქნია თავი,

მაგრამ იქვე დაავლო ხელები ბოხჩას, რომელიც მოჰქონდა ალექსანდრე ზემნუხოვს, მიეშველა, რომ მანქანაზე შეეგდო.—მართლაც, ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ მოვესწარით!—განაგრძობდა იგი ქოშინით.—ახ, გაიძვერავ! — სახე დაეღმიჭა იმ საშინელი კასრის განსაკუთრებული მკვეთრი გრუხუნის გაგონებაზე, რომელიც კიდით კიდემდე ეფინებოდა ბორბლების გაყოლებაზე. — შენ რა, არ მიდიხარ თუ? ალექსანდრ ფეოდოროვიჩ, რას აპირობს იგი, ა?

ალექსანდრემ არც უპასუხა, არც შვილს შეხედა, სხვა ბოხჩის მოსატანად წავიდა: მას ეშინოდა კიდეც შვილის გამო, თან უკმაყოფილოც იყო იმისათვის, რომ შვილი ჯერ კიდევ რამდენიმე დღის უკან არ წავიდა სარატოვში, არ წამოეწია ვოროშილოვგრადის იურიდიულ კურსებს, სადაც იგი სწავლობდა ამ ზაფხულში.

გაიგონა თუ არა კლავამ მამის ხმა, თვალით საიდუმლო ნიშანი მისცა ვანიას, ხელითაც კი შეეხო მის სახელოს და დააპირა რაღაც ეთქვა, მაგრამ ჭაბუკმა დაასწრო.

— არა,—წარმოსთქვა მან,—არ შემიძლია ახლა წასვლა. ჯერ საზიდარი უნდა ვიშოვნო ვალოდია ოსმუხინისათვის, იგი წევს ბრმანაწლავის ოპერაციის შემდეგ.

კლავას მამამ დაუსტვინა.

— იშოვნი, როგორ არა! — წარმოსთქვა მან, ერთსა და იმავე დროს, დაცინვითა და ტრაგიკულად.

— გარდა ამისა, მე მარტო არა ვარ! — თვალი აარიდა რა კლავას გამოხედვას, გადაფითრებული ტუჩებით წარმოსთქვა ვანიამ.—ამხანაგიც მყავს, — ჟორა არუთინიანცი, ჩვენ ერთად ვტრიალებთ აქ, და დავთქვით, — წავიდეთ მაშინ, როცა ყველაფერს მოვრჩებით.

ახლა უკან დახევისათვის გზა მოჭრილი იყო, და ვანიამ გადახედა კლავას, რომლის მუქ თვალებს ბინდი გადაკვროდა.

— აი, საქმე რაში ყოფილა!—წარმოსთქვა კოვალიოვმა ვანიასა და ჟორა არუთინიანცის მიერ დათქმული პირობისადმი სრულიად გულგრილი დამოკიდებულებით. — მაშასადამე, ჯერჯერობით მშვიდობით!—კოვალიოვმა ნაბიჯი გადადგა ვანიასკენ, თან უცებ შეტოკდა ზარბაზნის ზალპის გამო, და ჭაბუკს გაუწოდა გაოფლილი განიერი ხელისგული.

— თქვენ კამენსკში წახვალთ, თუ ლიხაიასკენ? — შეეკითხა მას ვანია ბოხი ხმით.

— კამენსკში... საცაა გერმანელები აიღებენ კამენსკს!—წამოიყვირა კოვალიოვმა.—ლიხაიასკენ, მხოლოდ ლიხაიასკენ! ბელოკალიტვენსკაიასკენ, დონზე გადავლით და, მერე გვსდიონ...

— გზები ისე გაჭედილია... იმედი მაქვს, ჩვენ კიდევ წამოგეწევით დონეცის გადასასვლელზე! — წარმოსთქვა ვანიამ კლავას გასაგონად და, მტკიცედ, ვაჟკაცურად თავის მაღლა აქნევით უკან გადაიყარა ჩამოშლილი თმა.

— ღმერთმა ნუ ჰქნას... — წარმოსთქვა კოვალიოვმა.

მისი სიტყვები შეეხებოდნენ, რა თქმა უნდა იმას, რომ გზა გაჭედილი იყო, და არა იმას, რომ ჟორა არუთინიანცი და ვანია არ წამოწეოდნენ მათ.

რაღაცამ ნელა გაიტკაცუნა და დარეკა მათ ზემოდ, მაღლიდან ნაგავი გადმოცვივნდა.

თავი მაღლა ასწიეს და დაინახეს: მეორე სართულზე, სადაც მოთავსე-

ბული იყო ტრესტის საგეგმო განყოფილება, ფანჯარა გაიღო. ფანჯარაში ვიღაცამ გამოჰყო მსხვილი, მელოტი, ჟოლოსფერი თავი, რომლის სახისა და კისრიდან პირდაპირ ნაკადად იღვრებოდა ოფლი, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა თითქოს ის თავზე უნდა გადმოღვროდა ფანჯრის ქვეშ მდგომთ...

— თქვენ განა არ წასულხართ, ამხანაგო სტეცენკო! — გაიკვირვა კოვალიოვმა, როცა ამ თავში განყოფილების უფროსი შეიცნო.

— არა, ქალალდებს ვარჩევ, რომ გერმანელებს ხელში არ ჩაუვარდეთ რაიმე მნიშვნელოვანი საბუთები,—ძალიან ნელა, და როგორც ყოველთვის, თავაზიანად მიუგო სტეცენკომ გულიდან მოხეთქილი დაბალი ხმით.

— რას ბრძანებთ, თქმა არ უნდა თავშესაქცევი საქმე კი გამოგჩენიათ!— გაიკვირვა კოვალიოვმა. — ჩვენ ხომ ათიოდე წუთში წავიდოდით!

— თქვენ წადით, მე მოვახერხებ გაძვრომას!—მოკრძალებით მიუგო სტეცენკომ. — კოვალიოვ, ვისია თუ იცი ის მანქანა, საოლქო კომიტეტის მახლობლად რომ დგას?

კოვალიოვმა, მისმა ქალიშვილმა, ვანია ზემნუხოვმა და მანქანაზე მყოფმა ტრესტის მუშაკმა თავი იბრუნეს საოლქო კომიტეტის გვერდით მდგომ „გაზიკისაკენ“.

„გაზიკში“ მჯდომმა ქალმა უმალვე შეიცვალა მდგომარეობა, ოდნავ წინ შეჰქანდა, რომ პატარა კარის არეში არ გამოჩენილიყო.

— არა, ისინი არ წაგიყვანენ, ამხანაგო სტეცენკო, თავიანთი ბარგიბარხანაც ეყოფათ! — წამოიძახა კოვალიოვმა.

— არც მჭირდება მათი მოწყალება,—წარმოსთქვა სტეცენკომ და კოვალიოვს გადახედა ძველთა-ძველი ლოთი კაცის აწითლებული, წვრილი თვალებით.

კოვალიოვი უცებ დაიბნა და სწრაფად, ცერად გახედა მანქანაზე მყოფ მუშაკს,—სტეცენკოს ნათქვამი რაიმე ცუდი მნიშვნელობით ხომ არ გაიგო ამ კაცმაო.

— სინდისის წინაშე რომ ვსთქვა, ვვარაუდობდი, ესენი უკვე დიდიხანია წავიდნენ-მეთქი, ვხედავ — მანქანა აგერ არა დგას! და აი გავიფიქრე: რა მანქანაა ეს მეთქი? — გულკეთილი ღიმილით სთქვა სტეცენკომ.

ერთხანს კიდევ შესცქეროდენ მანქანას.

— გამოდის რომ ყველა არ წასულა! — მოღუშულად წარმოსთქვა კოვალიოვმა.

— ახ, კოვალიოვ, კოვალიოვ!—ნაღვლიანი ხმით მიუგო მას სტეცენკომ, — არ შეიძლება იყო რომის პაპზე უფრო მართლმორწმუნე,—თავისებურად გადაასხვაფერა ანდაზა, რომელიც კოვალიოვს სულაც არ გაეგონა.

— ამხანაგო სტეცენკო, მე პატარა კაცი ვარ,—ხმაჩახლეჩით წარმოსთქვა კოვალიოვმა, თან გასწორდა და შეხედა არა მაღლა, ფანჯარას, არამედ მანქანაზე მყოფ მუშაკს, — მე პატარა კაცი ვარ და, თქვენი ქარაგმისა არაფერი გამეგება...

— მე რას მიწყრები? ისეთი არაფერი მითქვამს შენთვის... კეთილი მგზავრობა, კოვალიოვ! საეჭვოა რომ თვით სარატოვამდე შევხვდეთ ერთმანეთს,—წარმოსთქვა სტეცენკომ და ფანჯარა მოიხურა მაღლა.

კოვალიოვმა თავისი უხედველი თვალებითა და ვანიამ რამდენადმე გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. კოვალიოვი სქლად აილეწა სახეზე, თითქოს აწყენინესო.

— კლავკა, მოემზადე!—წამოიყვირა მან და მანქანაზე გარეშოვლით წავიდა ტრესტის შენობაში.

კოვალიოვი მართლა ნაწყენი იყო, და არა თავის გამო იყო ნაწყენი. მას სწყინდა, რომ არა ისეთი უბრალო, რიგითი კაცი, როგორიც თვითონ — კოვალიოვი იყო, რომელსაც საქმის მდგომარეობის უცოდინრობის გამო უფლება ჰქონდა ბუზღუნისა და ჩივილისა, არამედ სტეცენკოს მსგავსი კაცი, ესე-იგი კაცი, დაახლოებული ხელისუფლებასთან, რომლის წარმომადგენელებთან ცოტა როდი მიუღია პურმარილი და, რომელთათვის კარგ დროს ბევრი პირფერული და მლიქვნელური სიტყვა უთქვამს, სძრახავდა იმ ხალხს, მაშინ როცა მათ უკვე აღარ შეეძლოთ თავდაცვა.

კლავა, რომელსაც სრულიად არაფერი ესმოდა და არც არაფერს ამჩნევდა იმიდან, რაც ახლა ირგვლივ ხდებოდა, ადგილიდან არ დაძრულა და მისი ნუშისებური თვალები, მაგნიტით შემობრუნებულსავით მიაჩერდნენ ზემნუხოვს.

— აი, ნამდვილი არწივია მამაშენი! — დამცინავად და იმავე დროს სახის მხიარული გამომეტყველებით წარმოსთქვა ვანიამ, თითქოს ყველაფერი გაეგოს, რაც კი ახლა კოვალიოვის გულში ხდებოდა, თან ისე შეატრიალა თავი, რომ მისი გრძელი თმა ირგვლივ მარაოსავით გაიშალა.

„გაზიკში“ მჯდომმა ქალმა პოლოს უხერხულად იგრძნო თავი, რაკი ყურადღება მიიქცია, სახე აელეწა და გაბრაზებით მიაცქერდა საოლქო კომიტეტში შესასვლელ ღია კარს.

თავი მეშვიდე

საოლქო კომიტეტის ერთერთ ოთახში, რომლის კარები და ფანჯრები ფართოდ გაეღოთ, რათა ორპირ ქარს გაერეკა თამბაქოსა და დამწვარი საბუთების ბოლი, — არა მაგიდასთან, არამედ ერთიმეორის პირდაპირ სკამზე იჯდა ორი კაცი; ისინი მშვიდად და ტკბილად საუბრობდნენ.

ერთი მათგანი იყო საოლქო კომიტეტის მუშაკი—ივანე პროცენკო, პარტიზანთა რაზმის ერთერთ ხელმძღვანელად დატოვებული ოლქში, მეორე კი — მატვეი შულგა, კრასნოდონელი ძველი მაღაროელი — 1918 — 1919 წლებში იატაკქვეშ ნამუშევარი და პარტიზანად ნამყოფი, — ისიც დატოვებული იყო კრასნოდონში ერთერთი არალეგალური ჯგუფის ხელმძღვანელად.

ივანე პროცენკო იყო პატარა, ჯმუხა და მკვრივად ჩამოსხმული ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცი. მას ჰქონდა უკან გადავარცხნილი, შეთხელებული თმა და საფეთქლებთან გამელოტებული იყო. პროცენკო გამოიყურებოდა ჭკვიანი, მწითური სახით; წინად ყოველთვის სუფთა და მოპარსული იყო, ახლა კი არა ჯაგარისებური, მაგრამ საკმაოდ მოზრდილი წვერი ჰქონდა; პროცენკომ წვერი მოუშვა ამ ორიოდე კვირის წინ, როცა გაიგო არალეგალური მუშაობისათვის მისი აქ დატოვების ამბავი. პროცენკოს ჰქონდა ლურჯი, ნათელი, მოეშმაკო თვალები, რომელთაგან ხან ერთში, ხან მეორეში ყოველთვის რაღაც უბრწყინავდა, თითქოს რაღაც მოუსვენარი ნაპერწკალი დახტოდა ყოველთვის მის ერთიდან მეორე თვალში.

მატვეი შულგა, ან როგორც მას ხშირად ეძახოდნენ ხოლმე — კოსტიევიჩი, რაც უბრალოდ, უკრაინულად ნიშნავდა მისი მამის სახელს — კონს-

ტანტინეს-ძეს, იყო ორმოცდახუთი წლის კაცი, ჩასკვნილი, შემრგვალებული მხრებიანი, მაგარი, მკვრივად ჩამოსხმული, მზედაკრულ სახეზე ექაიქ მუქი წინწკლები აჩნდა. ეს იყო მისი პროფესიის ნიშანი. ეს წინწკლები სამუდამოდ რჩებათ სახეზე იმ ადამიანებს, რომელთაც დიდხანს უმუშავნიათ მაღაროელად, ან მდნობელად. კოსტიევიჩს ეხურა უკანასკნელ ... დაწეული კეპი, თავი დაბალზე ჰქონდა გადაკრეჭილი, კეპის ქვემოდან მაღლა ამობურთოდა ძვლის მაგარი კინკრიხო, რომელიც იშვიათად უჩნდება ადამიანს; იგი ბუღასებური თვალებით გამოიყურებოდა.

მთელს კრასნოდონში არ იყვნენ ამ ორზე უფრო მშვიდად და იმავე დროს მხიარულად განწყობილი ადამიანები. ასე მშვიდად იმიტომ იყვნენ, რომ ახლა მათს ქცევასა და სინდისს შორის სრული თანხმობა სუფევდა.

პირადად მათთვის და ერთი საათის უკან აღმოსავლეთში გამგზავრებული მათი ამხანაგებისათვის ომის მიმდინარეობის მთელი დრო, მისი დაწყების პირველი დღიდან დღევანდლამდე, იყო ისეთი არაადამიანური დაძაბულობით სავსე განუწყვეტელი შრომის ერთი მთლიანი დღე, რომლის ატანა შეეძლოთ მხოლოდ გამობრძმედილსა და გოლიათური ბუნების ადამიანებს.

ყველაფერი ის, რაც უფრო ჯანსაღი, ძლიერი და ახალგაზრდული იყო ადამიანთა შორის, მათ შესწირეს ფრონტს; იმავე დროს ამუშავებდნენ ნახშირს, ლითონს, პურს, მანქანებს—ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ომამდე. იმავე დროს აღმოსავლეთში გადაჰქონდათ მტრის ხელში ჩავარდნის, ან დანგრევის საფრთხის წინაშე დამდგარი უფრო მსხვილი წარმოებები—ათასობით დაზგა, გადაჰყავდათ ათეულ ათასი მუშა, ასეულ ათასი ოჯახი; ადგილობრივად დაეძებდნენ ახალ მოწყობილობებსა და ახალ მუშებს დაცარიელებულს კორპუსებში, რათა ხელახლა სიცოცხლე შთაებერათ მათთვის; მთელი წარმოებები და ადამიანები მზადყოფნის მდგომარეობაში ჰყავდათ იმ ვარაუდით, რომ საჭიროების დროს ადვილად შესძლებოდათ ყოველივე ამისი მოხსნა, გადაზიდვა და გადაყვანა; ეწეოდნენ ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამომგონებლობას წარმოებებში, შემოჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი, უფრო ინტენსიური ჯიშები, აწარმოებდნენ იმ პროდუქტებისა და ნედლეულების შემცვლელთა ძიებას, რომლებიც არა გვყოფნიდა, აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც აკეთებდნენ ომამდე და ურომლისოდ წარმოუდგენელია ადამიანთა ცხოვრება სახელმწიფოში, განსაკუთრებით ომის დღეებში, — ამარაგებდნენ ადამიანებს, ჰკვებავდნენ მათ, აცმევდნენ, ასწავლიდნენ ბავშვებს, მკურნალობდნენ ავადმყოფებს, უშვებდნენ ახალ ინჟინრებს, მასწავლებლებს, ექიმებს, აგრონომებს, ინახავდნენ მილიციას, კლუბებს, თეატრებს, სასადილოებს, აბანოებს, სამრეცხაოებს, სადალაქოებს, სასპორტო დარბაზებსა და სტადიონებს, ობლებისათვის აყალიბებდნენ საბავშვო სახლებს, და რაც მთავარია—ხელს უწყობდნენ ყოველ კაცში ზეადამიანური ფიზიკური და სულიერი ძალის დაძაბულობის შენარჩუნებას, რათა გადაეტანათ ყოველივე ის, რაც ომმა დააკისრა მათ.

თითქოს ერთი დღე ყოფილიყოს, ისე აკეთებდნენ ისინი ყოველივე ამას ომის ყველა დღეების განმავლობაში. და როცა ისინი ერთიმეორეზე ჰკარგავდნენ დონბასის ნაწილებს — უფრო მეტის დაძაბულობითა და სიძნელეებით უხდებოდათ ყოველივე ამის კეთება დანარჩენ ნაწილებში. უსაზღვრო დაძაბულობით აკეთებდნენ ამას დონბასის დარჩენილ უკანასკნელ ნაწილში, იმიტომ, რომ ეს იყო უკანასკნელი ნაწილი. ისე გატაცებით, ისე

თავდადებით აკეთებდნენ ამას, ავიწყდებოდათ, რომ მათაც ჰქონდათ საკუთარი სიცოცხლე და მათი ოჯახები აღმოსავლეთში იყო გადახიზნული. ცხოვრობდნენ, სჭამდნენ, ეძინათ არა ბინებში, არამედ წარმოებებსა და დაწესებულებებში, ასე რომ დღე და ღამის ყოველ საათში შეიძლებოდა დაგხვედროდნენ თავიანთ ადგილებზე, და თუ უკვე მეტი რამის გამოდენა შეუძლებელი იყო სხვა ადამიანების ჯანღონისა და ენერგიისაგან, ისევ და ისევ თავიანთ ფიზიკურ და სულიერ ძალას სწურავდნენ და მაინც აკეთებდნენ იმას, რაც კი საჭირო იყო.

დადგა წუთი, როცა მათ უნდა დაეტოვებინათ დონბასის ეს ნაწილიც; მაშინ რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ თვლებზე შეაყენეს ასობით წარმოება-დაწესებულება, — ათასობით დაზგა, ათეულ ათასი ადამიანი, ასეულ ათასი ტონა მატერიალური ღირებულებანი; და თუ რისიმე პოვნა შეიძლებოდა, ყველაფერი გაიღეს უკან დახეული ფრონტის არმიების ლაშქრობისას მათი მოძრაობისა, მომარაგებისა და დაბინავებისათვის; გერმანელებთან არალეგალური მუშაობის გასაჩაღებლად თავიანთ შორის გამოჰყვეს ადამიანები და მათი ხელმძღვანელები; დაბოლოს დადგა ის უკანასკნელი, გადამწყვეტი წუთი, როცა მათი უმრავლესობისათვის შეუძლებელი იყო აქ დარჩენა, ვინაიდან უკვე წუთები სწყვეტდნენ საკითხს, თვითონაც კი მოასწრებდნენ თუ არა თავის გაღწევას სულ უფრო შევიწროებულ გერმანელთა გარემოცვიდან.

მაშინ აქვე, საოლქო კომიტეტის ოთახში შესდგა აქ დამრჩენ და წამსვლელ ამხანაგების უკანასკნელი გამოთხოვება. თავისი შინაგანი ძლიერებით ეს იყო სცენა, რომელიც ჩრდილავს ძველის-ძველ უდიდეს ტრაგედიებს, მაგრამ ის ვერ ააღელვებდა უძველესი ტრაგედიების მაყურებელს: ისეთი უბრალო რამ იყო ეს, რომ არც კი ჰგავდა ტრაგედიას. გამოთხოვებისას ისინი ოხუნჯობდნენ, მასხრობდნენ, ტრიალებდნენ ერთმანეთის გარშემო, მზრებს ჰკრავდნენ ერთმანეთს. წამსვლელები მძიმე სულიერ განწყობილებაზე იყვნენ, ისე უმძიმდათ განშორება, ისე აფორიაქებული ჰქონდათ გული, თითქოს ყორანი ჰკორტნიდა მათ სულს. ხოლო იმათ კი ვინც აქ რჩებოდა, უცებ დაუბრუნდა ეს სულიერი სიმშვიდე.

გაქცევის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის თვით უმაღლესსა და ნათელ გაგებასაც კი არ შეუძლია ადამიანი გაათავისუფლოს მისი პიროვნების დამამცირებელი მდგომარეობის შეგნებისაგან, თუ იგი გარბის. ივანე პროცენკო და კოსტიევიჩი რჩებოდნენ სწორეთ იმ ადგილზე, სადაც ისინი დღემდე ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, რჩებოდნენ იმ ადამიანებთან, რომლებსაც დღემდე ხელმძღვანელობდნენ. შეგნება იმისა, რომ ეს პატივი წილად ხვდა მათ, აღფრთოვანებულ განწყობილებას იწვევდა მათში.

მათი ამხანაგები უკვე გაემგზავრნენ. ორპირმა ქარმა თამბაქოს ბოლთან ერთად ოთახიდან გარეკა ყოველგვარი ხმაურობა და ფუსფუსი, ახლა იქ სიჩუმე და სიგრილე იდგა.

ივანე პროცენკო და მატვეი შულგა ერთიმეორეს უზიარებდნენ მომავალი მუშაობის გეგმებსა და თავიანთ მოსაზრებებს გამოცხადების ადგილის შესახებ.

მუშაობის დროს საერთოდ მიღებული ჩვეულების მიხედვით დონბასის ქვანახშირის რაიონებში კრებები და მიწერ-მოწერა რუსულ ენაზე სწარმოებდა; ისინი ახლაც რუსულად ლაპარაკობდნენ, ხშირად ჩაურთავდნენ ხოლმე მშობლიურ უკრაინულსაც. ამგვარად მათი სასაუბრო ენა შერეული

იყო და მის მწარე იუმორს, — რაკი ისინი მწარე ამბებზე ლაპარაკობდნენ ახლა, — მხოლოდ ხაზს უსვამდნენ ამ ენის თავისებურობით.

— კოსტიევიჩ, ერთი ეს მითხარი, იმათგან ვინც დამისახელე, ერთ ადამიანს მაინც თუ იცნობ, მოკლედ რომ ვსთქვათ, შენ პირადად თუ იცნობ იმ ხალხს, როგორი ოჯახები აქვთ, რა გარემოცვაში იმყოფებიან? — ეკითხებოდა პროცენკო.

— გითხრა, რომ ჩემი კარგი ნაცნობები არიან-მეთქი, ტყუილი იქნება, ყოველმხრივად არ ვიცნობ, — ნელა ლაპარაკობდა შულგა და ბუღასებური თვალებით შესცქეროდა პროცენკოს. — აი მისამართი, — ძველებურად იმ მხარეს გოლუბიატნიკს ვუწოდებდით, — ის კონდრატოვიჩი, ან უბრალოდ, როგორც მას ეძახიან ხოლმე — ივანე გნატენკო, თვრამეტ წელს კარგი პარტიზანი იყო, მაგრამ თხუთმეტიოდე წელია არა ვყოფილვარ მასთან, ამ ხნის განმავლობაში მისი ვაჟები დაიზარდნენ — დაქორწინდნენ, ქალიშვილები — დაუთხოვდნენ; ეშმაკმა იცის, რა გარემოცვაშია ახლა. მაგრამ მათ შესახებ ცუდი არაფერი მსმენია. მეორეს მისამართი შანჰაიშია, — კოსტიევიჩმა თავისი მოკლე, მუქი თმით შეფიფქული თითით ანიშნა იმ ნაკუწ ქაღალდზე, რომელიც პროცენკოს ეჭირა ხელში, — ეს არის იგნატ ფომინი, მე პირადად მას არ ვიცნობ, რადგან თვითონაც ახალი კაცია კრასნოდონში, მაგრამ ალბათ თქვენც გაგეგონებათ, რომ იგი ერთად-ერთი სტახანოველია № 4 მაღაროში, ამბობენ ჩვენი კაცია, თანხმობა მოგვცაო. მოსახერხებელიც ის არის, რომ იგი უპარტიოა, თუმცა წარჩინებული კი არის, მაგრამ არავითარ საზოგადოებრივ მუშაობას არ ეწეოდა, არც კრებებზე გამოდიოდა, ისე უბრალო, შეუმჩნეველი კაცია. დანარჩენები — ახლები არიან, პირადად არც ერთს არ ვიცნობ.

— შენ ვის იცნობ? — ეკითხებოდა ივანე ფეოდოროვიჩი რამდენადმე შეჭირვებით, რაც უცბათ გამოისახა მის მკვირცხლსა, მხიარულებითა და ჭკუით მოციმციმე თვალებში.

— მე ვიცნობ ზოგიერთ ჩვენს კომუნისტებს, რომლებიც არალეგალური მუშაობისთვის არიან აქ დატოვებულნი, — ვიცნობ მოხუც ლიუტიკოვს, ვდოვენკოს — ის კარგი ქალია, ვიცნობ აგრეთვე იმ კომუნისტ ქალსაც — ფოსტაში რომ მუშაობს, მაგრამ მისამართებს ვერ მოგცემ: იქნებ თვითონაც იმალებიან.

— ბინებში, იმათთან ვინც მომეცი, შენ თვითონ თუ ყოფილხარ? — ჩაციებით ეკითხებოდა პროცენკო.

— კონდრატოვიჩთან, ესე იგი — ივანე გნატენკოსთან უკანასკნელად ვიყავი თხუთმეტიოდე წლის წინად, სხვებთან არასოდეს არა ვყოფილვარ, ან როდის-ღა უნდა ვყოფილიყავი, ივან ფეოდოროვიჩ, როცა თვითონაც კარგად იცი, რომ მხოლოდ გუშინ ჩამოვედი და გუშინვე მითხრეს — აქ უნდა დარჩეო. ისინი კი ხალხმა შეარჩია, ვფიქრობ, ალბათ კარგად იცნობენ მათ? — პასუხის მიცემის, თუ პირიქით შეკითხვის კილოზე ეუბნებოდა თვითონაც დაეჭვებული მატვეი კოსტიევიჩი.

— ეს რა თქმა უნდა ასეა, მაგრამ მაინც არ არის კარგი საქმე, — წარმოსთქვა პროცენკომ, — აბა, რასა ჰგავს, როცა ერთნი აყალიბებენ იატაკქვეშ მუშაობას, ხოლო მეორენი კი რჩებიან ამ იატაკქვეშ. — პროცენკო ახლა თვითონაც ვერ ამჩნევდა, თუ როგორ შეეპარა ხმაში მისთვის ჩვეული დარიგებისა თუ შულგას მიმართ საყვედურის კილო, თუმცა შულგა ყველაზე ნაკლებად იყო დამნაშავე იმაში, რომ ასე მოხდა ეს. — აი, როგორ

მოაწყვეს იატაკქვეშ მუშაობა! — ნიშნის მოგებით ამბობდა პროცენკო და უმალვე მკვესავმა ნაპერწკალმა დაუწყო ხტომა, ერთიდან მეორე, ლურჯად გამომზირალ თვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ხომ არ მომიწყვია, ივანე ფეოდოროვიჩ?

— მეც იმას ვამბობ, რომ შენ არ მოგიწყვია! — წარმოსთქვა პროცენკომ, მხიარულად თვალი ჩაუკრა შულგას და თავი დაუქნია.

— ისინი უკვე შორს არიან. ალბათ ნოვოჩერკასთანაც კი არიან მისულნი. — წარმოსთქვა კოსტიევიჩმა და მუქწინწკლებიან ფართო სახეზე ნელი ღიმილი აუთამაშდა.

ორივემ ერთგვარი იუმორითა და მეგობრული სიყვარულით ერთბაშად გადახედეს ერთმანეთს.

ივანე ფეოდოროვიჩმა და კოსტიევიჩმა ყველაზე უფრო კარგად იცოდნენ, რომ მათი ამხანაგები სულ ახლახან გაემგზავრნენ, და გაემგზავრნეს მხოლოდ იმიტომ, რომ აუცილებლივ უნდა გამგზავრებულიყვნენ. ამისთვის შეუძლებელი იყო მათი გამტყუნება, მით უფრო, რომ შეიძლებოდა საქმე სულ სხვაგვარად დატრიალებულიყო; ვსთქვათ, გამგზავრებულიყვნენ ივანე პროცენკო და მატვეი შულგა, ხოლო მათ ნაცვლად კი აქ დარჩენილიყვნენ უკვე გამგზავრებული ამხანაგები. შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო. მაგრამ ახლა პროცენკოსა და შულგას მაინც ერთგვარ ფარულ სიამოვნებას ჰგვრიდა ის გარემოება, რომ მათი ამხანაგები უკვე წავიდნენ, ხოლო ესენი კი აქ დარჩნენ.

— ეს არაფერია, განა ამისთანები მომხდარა! საქმეს მოვაგვარებთ, ხომ მართალია, კოსტიევიჩ?

— რა თქმა უნდა, ცხადია რომ მოვაგვარებთ! — წარმოსთქვა მატვეი კოსტიევიჩმა და უცებ გაუბრწყინდა სახე იმ საქმიანი ენერგიის გამოვლინებით, რომელიც, მიუხედავად მისი ბუღასებური თვალებისა, მოძრაობაში მოსაჩვენარი სიზანტისა და რაღაც მოუქნელი, უძრავი ძალ-ღონისა მრგვალს ბეჭებში, წარმოადგენდა მთელი მისი ბუნების მთავარ საფუძველს. — ივან ფეოდოროვიჩ, თქვენ კი იცნობთ იმ ხალხს, რომელთა მისამართებიც მომეცით? — ფრთხილად და თავაზიანად შეეკითხა იგი.

ის იყო პროცენკოს სახეს გულგრილი და დინჯი გამომეტყველება უნდა მიეღო, ის იყო საცაა მრავალმნიშვნელოვნად უნდა დაექნია თავი, მაგრამ უცებ ცალ თვალში მოუსვენარი ნაპერწკალი აუთამაშდა, ნაპერწკალმა გაჰკვესა, გაიკიაფა, წამით შეჩერდა, თითქოს დაფიქრდაო, მერე ისე მკვირცხლად დაიწყო ხტომა ერთიდან მეორე თვალში, რომ ორივე თვალი სიცილის ჩქერად გადმოიფრქვა. პროცენკომ ორივე ხელი გაიქნია, ერთ მათგანში ქაღალდის ის ნახევი ეჭირა, რომელზეც მისამართები ეწერა, მერე უბრალოდ და მხიარულად თვალებში ჩააცქერდა კოსტიევიჩს და მიუგო:

— არც ერთ კაცს, მათი სულიც არ იყოს...

თუმცა იმ საქმეს, რაზეც ისინი საუბრობდნენ მრავალგვარი საფრთხე მოსდევდა, როგორც თვით მუშაობის, ისე პირადად მათთვისაც, მაგრამ ორივემ ერთბაშად ძალიან გულახდილად და მხიარულად გაიცინეს.

ცხოვრების ყველაზე უფრო მძიმე პირობებში გამოვლილი ადამიანები იყვნენ ისინი: წუწუნი და დაბნეულად ხელების ქნევა იმაზე, რაც უკვე მოხდა და რისი გამოსწორებაც შეუძლებელი იყო, არ ეგუებოდა მათს ბუნებას. გაეცინათ კი იმიტომ, რომ ორივემ, როგორც აპარატის გამოცდილმა მუშაკებმა იცოდნენ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს, და მდგომარეობის

სრული სერიოზულობის მიუხედავად, იცინოდნენ იმაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში თვითონ მათ შეეძლოთ ამ მდგომარეობამდე მიეყვანათ საქმე.

ყველაფერში უდარდელობა იყო დამნაშავე.

პარტიზანთა შტაბი, გამოყოფილი ოკუპაციის საფრთხის წარმოშობისთანავე, ჯერ კიდევ 1941 წ. შემოდგომაზე, დაუყოვნებლივ შეუდგა იატაკქვეშელ და პარტიზანთა ჯგუფების ჩამოყალიბებას.

მაშინ ვოროშილოვგრადიდან ჯერ კიდევ შორს იყო მტერი, ხოლო ის ადამიანები, რომელთაგანაც შესდგებოდა შტაბი, გადატვირთულნი იყვნენ თავიანთი ჩვეულებრივი, სამსახურებრივი მუშაობით, ამიტომ ამ ჯგუფების მომზადება მიანდვეს სხვებს, თავიანთ ხელქვეითებს, შემოწმებულ და დავალებათა პირნათლად ამსრულებელ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთ მხრით გამონახეს სხვები, თავიანთი ხელქვეითები. რა თქმა უნდა, ესენიც შემოწმებული და დავალებათა ამსრულებელი ადამიანები იყვნენ. ასე დაამუშავეს და მოამზადეს თავმოყრის ადგილების, არალეგალური ბინების, პარტიზანთა ბაზების, არალეგალური ჯგუფებისა და პარტიზანთა რაზმების ქსელი.

მაგრამ ოკუპაციის საშიშროება სულ უკან იწევდა, წითელი არმიის ზამთრის კამპანიის წარმატებებმა გააძლიერეს იმედები, — ფიქრობდნენ, საერთოდ არავითარი ოკუპაცია არ მოხდებაო. ყველაფერი იმავე მდგომარეობაში რჩებოდა, რა მდგომარეობაც მანამდე იყო. ბევრი მათგანი ვინც კი მიჩნეული ჰყავდათ არალეგალური მუშაობისათვის, აგრეთვე თვით შტაბელებიც, ამ ერთი წლის განმავლობაში ჯარში გაიწვიეს. ზოგი ახალ სამუშაოზე გადაისროლეს, ზოგი ევაკუაციაში წავიდა, ზოგიერთებს კი სულაც გადაავიწყდათ თუ ოდესმე გამოყოფილი იყვნენ ამ სამუშაოსთვის.

ეს ამბავი მოაგონდათ მხოლოდ ახლა, როცა ისევ წარმოიშვა ოკუპაციის საფრთხე, მაგრამ ამჯერად ისე უცებ წარმოიშვა ის, რომ უკვე დროც არა რჩებოდათ ამ საქმის ხელახლა წამოწყებისათვის. ამ დროისათვის უკვე დაგროვდა გერმანელების მიერ ადრე ოკუპირებულ ოლქებში იატაკქვეშ მუშაობისა და პარტიზანული ბრძოლების დიდი გამოცდილება და ახლა საჭირო იყო მისი გამოყენება საკუთარ ოლქში.

პარტიზანთა შტაბმა ნაჩქარევად წამოაყენა ახალი ადამიანები იმათ ნაცვლად, ვინც უკვე წავიდა, ან ჩამოშორდა ამ საქმეს ახალ გამოცდილებათა შედეგად ნაკარნახევ მოსაზრებათა გამო.

პროცენკო თვალსაჩინო მუშაკი იყო ქალაქში, ამიტომ მისი დატოვება არ შეიძლებოდა ვოროშილოვგრადში, სადაც აუცილებლივ ჩავარდებოდა. ამიტომ იგი დასტოვეს სტანიცა მიტიაკინსკაიას რაიონის დიდ პარტიზანულ რაზმში. შულგა კი თუმცა წარმოშობით კრასნოდონელი იყო, მაგრამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მუშაობდა დონბასის სხვადასხვა რაიონში. ხოლო გერმანელთა მიერ მათი ოკუპაციის შემდეგ—ვოროშილოვგრადის ოლქის ერთ-ერთ ჩრდილო-დასავლეთ რაიონში. ამიტომ სულ ბოლო წუთებში მიხვდნენ, რომ მისთვის უმჯობესი იქნებოდა დარჩენილიყო იატაკქვეშ მომუშავეთა ერთერთ ხელმძღვანელად კრასნოდონში.

ამრიგად მოხდა ისე, რომ იატაკქვეშ მუშაობისა და პარტიზანული ბრძოლის ორგანიზატორებად გამოყოფილი იყვნენ ერთნი, ხოლო მისი ფაქტიურად ჩამტარებლებად რჩებოდნენ სხვები.

როგორც კი გამოარკვიეს ეს მდგომარეობა, პროცენკომ და შულგამ ორი საშიოდე ამგვარი გამამხნევებელი რეპლიკა ესროლეს ერთმანეთს: „ამაში

ისეთი სახიფათო არაფერია". „ყველგან საბჭოთა ადამიანები არიან". „ორიოდე კვირაც კი არ გაივლის და ყველგან ღრმად გავიდგამთ ფესვებსო".— ამის შემდეგ პროცენკომ სთქვა:

— კარგი, აგრე იყოს, კოსტიევიჩ... — და წამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, მისი წასვლის დრო უკვე იყო.

— კარგი, ივანე ფეოდოროვიჩ, — მიუგო შულგამ და ისიც წამოდგა.

აქ ორთავემ ერთბაშად იგრძნო, რომ გულით არ უნდოდათ ერთმანეთთან განშორება.

ორიოდე საათიც კი არ იყო გასული მათი ამხანაგების გამგზავრების შემდეგ, მას შემდეგ რაც ისინი მშობლიური მიწით გაეშურნენ თავისიანებთან. ესენი კი — შულგა და პროცენკო, ორნი დარჩნენ აქ. და მას შემდეგ, რაც მთელი ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში აგრე თავისუფლად დადიოდნენ მშობლიურ მიწა-წყალზე, ისევ შესდგეს ფეხი ახალს, უცნობსა და ასეთ უცნაურ ცხოვრებაში. ისინი სულ ახლახან ხედავდნენ აქ თავიანთ ამხანაგებს, ეს ამხანაგები უკვე წავიდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ისე ახლო მანძილზე იყვნენ, რომ ადვილად შეიძლებოდა ფიზიკურად წამოწეოდნენ, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამო შეუძლებელი იყო ეს. ესენი კი ამ ორიოდე საათში ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს; გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ყველაზე უფრო ახლო ნათესავები. ამიტომ იყო, რომ ასე უძნელდებოდათ ერთმანეთთან განშორება.

დიდხანს იდგნენ ერთად და მკლავებში ჩაფრენილნი მაგრად ანჯღრევდნენ ერთმანეთს.

— ვნახოთ, რა ხალხია ეს გერმანელები, როგორ წარმართავენ ქვეყანას,—ამბობდა პროცენკო.

— თავს გაუფრთხილდი, ივან ფეოდოროვიჩ...

— მე ბალახსავით გამძლე ვარ! შენ თვითონ გაუფრთხილდი თავს, კოსტიევიჩ...

— მე კი უკვდავი ვარ! — გაიღიმა შულგამ.

გული აუჩუყდათ, რაღაც ძალიან კარგი რამ უნდოდათ ეთქვათ ერთიმეორისათვის, მაგრამ საიმისო ვერაფერი სთქვეს, მერე მოეხვივნენ, გადაჰკოცნეს ერთმანეთი, ამოიოხრეს, ცდილობდნენ თვალებში არ ჩაეხედნათ ერთიმეორისათვის და მანქანებისკენ წავიდნენ.

შუადღის მხურვალე მზე სახეზე მოხვდათ, უმალვე თვალები მოჭუტეს.

— კატია, ბევრი გალოდინეთ? ისინი უკვე წავიდნენ, — დამნაშავესავით გაღიმებით წარმოსთქვა ივანე ფეოდოროვიჩმა, გამოალო შოფერის კაბინის კარი და ხელი წაავლო მანქანის დასაქოქ რკინას. — გაიცანი, კოსტიევიჩ, ჩემი მეუღლეა, მასწავლებელი,—დაატანა მან მოულოდნელი თვითკმაყოფილებით.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, — გულკეთილად გაუღიმა შულგამ და ხელი მაგრად მოუჭირა მანქანის კარის პატარა არეში გამოყოფილ ქალის მსუქანსა და ენერგიულ ხელს.

— სად არის თქვენი მეუღლე? — ღიმილით იკითხა პროცენკოს ცოლმა.

— ჩემები უკვე... — უნდა წამოეწყო შულგას.

— ახ, ბოდიში... მაპატიეთ, — უცებ წარმოსთქვა პროცენკოს ცოლმა და უმალვე ხელისგუგლი მიიფარა სახეზე, მაგრამ თითებს შუა და ხელისგულის ქვემოდან მაინც აშკარად გამოჩნდა მისი ალეწილი სახე.

შულგას მთელი ოჯახი გერმანელების მიერ დაპყრობილ რაიონში დარ-

ჩა. შულგას ოჯახმა ვერ მოასწრო გამოსვლა, ვინაიდან გერმანელები ძალიან მოულოდნელად შემოიჭრნენ, ოჯახი კი თავის კოსტიევიჩს მოელოდა, ხოლო კოსტიევიჩი ამ დროს შორეულ სტანიცაში იყო: აღმოსავლეთში გადასაგზავნად თავს უყრიდა საქონელს. ამიტომ ვეღარ მოასწრო ოჯახის დროზე გამოყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შულგას ოჯახიც ისე უბრალო ჰქონდა, როგორიც თვითონ იყო. როცა სხვა მუშაკთა ოჯახები აღმოსავლეთით ევაკუაციაში წავიდნენ, მატვეი კოსტიევიჩის ოჯახმა — მეუღლემ და ორმა ყმაწვილმა: მოსწავლე გოგონამ და შვიდი წლის ბიჭმა — არ მოისურვეს წასვლა, არც მატვეი კოსტიევიჩს დაუტანებია ძალა, რომ წასულიყვნენ. როცა მატვეი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო და პარტიზანად დადიოდა ამ მხარეში, ახალგაზრდა ცოლიც თან ახლდა, მათი პირველი ვაჟი, ამჟამად წითელი არმიის მეთაური, სწორედ იმ ხანებში დაიბადა. ძველი წესის მიხედვით ასე ფიქრობდნენ — ცხოვრების მძიმე პირობებში ცოლქმარი კი არ უნდა დაშორდნენ ერთმანეთს, არაშედ მთელი ჭაპანი ერთად უნდა ზიდონო, — ასევე ჩააგონეს ბავშვებსაც, ისინიც ამგვარად აღზარდეს. ახლა მატვეი შულგა თავს დამნაშავედ გრძნობდა იმაში, რომ მისი ოჯახი გერმანელების ხელში დარჩა.

— უკაცრავად, — ხელახლა წარმოსთქვა პროცენკოს ცოლმა, სახეს ხელი მოაშორა და თანაგრძნობითა და დამნაშავესავით შეხედა კოსტიევიჩს.

პროცენკო დიდხანს და ენერგიულად ატრიალებდა მანქანის დასაქოქ რკინის სახელურს, „გაზიკი“ ძიგძიგებდა, თრთოდა, მაგრამ მოტორი მაინც არ მუშაობდა.

— კოსტიევიჩ, მანქანაში შედი და გაზი მომეცი, — დარცხვენით სთქვა პროცენკომ.

შულგამ „გაზი მისცა“. მანქანა ამუშავდა.

— ო, შე წყეულო! — პროცენკომ შუბლიდან ხელის ზურგით მოიწმინდა ოფლი და რკინის სახელური შოფერის ჩასაჯდომ კაბინაში შეაგდო.

ისევ გადაეხვივნენ, მაგრად გადაჰკოცნეს და გამოეთხოვენ ერთმანეთს...

— მშვიდობით! — წარმოსთქვა პროცენკოს ცოლმაც, მას არ გაუცინია, ეს სიტყვა წარმოსთქვა რაღაც აღფრთოვანებული განწყობილებით და თვალებიდან ცრემლი გადმოუგორდა.

— ბედნიერად! — ნაღვლიანად წარმოსთქვა შულგამ.

„გაზიკი“ ურა ცხენივით შეხტა, საბოლქვი მილიდან გადმოახველა, მომწვანო ჭუჭყიანი ბოლი გამოუშვა, გასდია ქუჩას და მერე ჩვეულებრივი სვლით გაექანა. მანქანის პატარა კარის არეში, ნიშნად დამშვიდობებისა, პროცენკომ ერთხელ კიდევ გამოჰყო ხელი და ჰაერში შეათამაშა.

ელვარე მზეში დამდგარი შულგა მარტო დარჩა ქუჩაზე.

პირდაპირ, ქუჩის გადაღმა მან შენიშნა დატვირთული მანქანა, მაღლა შემჯდარი ერთერთი მუშაკი და ქალ-ვაჟი, რომლებიც ამ მანქანის მახლობლად ეთხოვებოდნენ ერთმანეთს. შულგა ერთხანს დაბნეულად შესცქეროდა მათ.

— გესმის, რა მოხდა? შემოდის ეს ტოლია ორლოვი, — ხომ იცნობ მას? — ყრუ, ბოხი ხმით ამბობდა ვანია ზემნუხოვი.

— არ ვიცნობ, ალბათ ვოროშილოვის სკოლიდან თუ არის. — უხმოდ მიუგო კლავამ.

— ერთის სიტყვით მომვარდა და მეუბნება: „ამხანაგო ზემნუხოვ, აქვე, თქვენგან რამდენიმე სახლის იქით, ცხოვრობს ვალოდია ოსმუხინი, ძალიან

აქტიური კომკავშირელი, ამას წინად ბრმანაწლავის ოპერაცია გადაიტანა, ადრე მოიყვანეს შინ, ნაკერი გაეხსნა, დაუჩირქდა, ხომ არ შეგიძლიათ მისთვის საზიდარი იშოვნოთო". წარმოდგენილი გაქვს რა მდგომარეობაში ჩავვარდი? მე იმ ვალოდია ოსმუხინს ძალიან კარგად ვიცნობ, — ოქრო-ყმაწვილია. გესმის ჩემი მდგომარეობა? — „კარგი, — ეუბნებიან, — შენ ვალოდიასთან წადი, მე ერთ ადგილას უნდა შევიარო, აქვე, სულ ახლოს, ვეცდები რამე ვიშოვნო, მერე თქვენთანაც მოვალ-მეთქი". — მე კი ავდექი და შენთან გამოვიქეცი. ახლა ხომ გესმის, რატომ არ შემიძლია თქვენთან წამოსვლა? — დამნაშავესავით ამბობდა იგი, თან ცდილობდა ჩაეხედნა კლავას თვალებში, რომლებიც სულ უფრო ივსებოდნენ ცრემლით.—მაგრამ მე ჟორა არუთინიანცთან ერთად... — ხელახლა წამოიწყო მან.

— ვანია, — წარმოსთქვა ქალმა, უცებ ზედ მის სახესთან მიიწია და თბილი რძის სურნელება შეაორთქლა... — ვანია, მე ვამაყობ შენით, ისე ვამაყობ შენით, მე ისე... — აღმოხდა კვნესა, მაგრამ სრულიად არა ქალიშვილური, არამედ რაღაც ჩუმი, დედაკაცური, და ამ კვნესასთან ერთად გადაავიწყდა რა ყველაფერი ამქვეყნად, — თავისუფალი, ისიც არა ქალიშვილური, არამედ დედაკაცური მოძრაობით კისერზე მოჰხვია თავისი დიდრონი, მსუქანი, გრძელი, გრილი ხელები და ვნებიანად მიეკრა ტუჩებზე.

„დახეთ ამ ეშმაკებს!"—გაოცებით, თუ სიხარბით გაიფიქრა ქუჩის მეორე მხარეზე მატვეი შულგამ, რომელიც მხოლოდ ახლა გაერკვა იმაში, რაც მის თვალწინ ხდებოდა.

ქალიშვილი მოსწყდა ვანიას და სირბილით შევარდა ჭიშკარში. ვანია ცოტახანს შეჩერდა, მერე შებრუნდა, მზეს შეუშვირა სახე და გაწეწილი თმა, რომელსაც ახლა უკვე აღარ ისწორებდა, ხელების ქნევითა და ჩქარი ნაბიჯით მიჰყვა ქუჩას, პარკისაკენ.

ის აღმაფრენა, რომელიც ნაცარში მიმალული ნაკვერცხალსავით თბილად ღვივოდა მის სულში, ახლა ცეცხლის ალივით ანათებდა მის არაჩვეულებრივ სახეს, მაგრამ არც კლავა, არც სხვა ვინმე ადამიანი ვერ ხედავდა მის სახეს ახლა, როცა იგი გამხდარიყო ასეთი მშვენიერი, იმიტომ რომ ვანია მარტო მიდიოდა ქუჩაზე, ხელების ქნევით. სადღაც, რაიონში ისევ აფეთქებდნენ მაღაროებს, სადღაც კვლავ გარბოდნენ ადამიანები, სტიროდნენ, იგინებოდნენ, მიდიოდნენ უკან დახეული ჯარები, ისმოდა ზარბაზნების ზალპების გრიალი, ცაში მრისხანედ გუგუნებდნენ მოტორები, ჰაერში ირეოდა ბოლი და მტვერი, მზეც მწარედ იკბინებოდა, მაგრამ ვანია ზემნუხოვისათვის სხვა არაფერი არსებობდა, გარდა მის კისერზე შემოხვეული მსუქანი, ოდნავ გრილი, სათუთი ხელებისა და ვნებიანი, ცრემლნარევი კოცნისა.

ყველაფერი ის, რაც ახლა ირგვლივ ხდებოდა, აღარ აშინებდა ვანიას, ვინაიდან უკვე არაფერი იყო მისთვის შეუძლებელი. მას შეეძლო არა მარტო ვალოდია ოსმუხინის, არამედ მთელი ქალაქის, — ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ევაკუაციის მოწყობა მთელი მათი ქონებიანად.

„მე ვამაყობ შენით, მე ისე ვამაყობ შენით", — ეუბნებოდა ქალი დაბალი, ხავერდოვანი ხმით, ვანიას კი სხვა არაფერზე შეეძლო ფიქრი. იგი ცხრამეტი წლისა იყო.

არავის შეეძლო ეთქვა, თუ როგორ მოეწყობოდა ცხოვრება გერმანელებთან. ყოველ შემთხვევაში ცხოვრებისათვის საჭირო იყო ოფიციალურ მდგომარეობაში ყოფნა. პროცენკომ მატვეი შულგას ჯერ კიდევ გულში ჩასცა პასპორტი და შრომის წიგნაკი ვოროშილოვგრადის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის მუშის—ევდოკიმ ოსტაპჩუკის სახელზე. მოხუცმა ლიუტიკოვმა, ტრესტ „კრასნოდონუგოლის“ მექანიზირებული საამქროს გამგემ, იატაკქვეშური მუშაობისათვის აქ დატოვებულმა ევდოკიმ ოსტაპჩუკი გუშინ ღამითვე უკანა რიცხვით გაატარა მექანიზირებული საამქროს ზეინკლად. ამრიგად, საქმე სრულიად ბუნებრივად მოეწყო: ოსტაპჩუკი მუშაობდა ვოროშილოვგრადის ქარხანაში, როცა ბრძოლები დაიწყო, გადმოვიდა კრასნოდონში და აქ მოეწყო მექანიზირებულ საამქროში.

ერთი სიტყვით, მისთვის ახლა საჭირო იყო მოკრძალებით დამალვა ერთ-ერთ მითითებულ ბინაში, — ამისთვის კი ყველაზე უფრო მოსახერხებელი იყო ივანე გნატენკოს, ან როგორც უბრალოდ ეძახოდნენ კონდრატოვიჩის, ამ ძველი პარტიზანისა და მისი ამხანაგის ბინა. მაგრამ შულგას მთელი ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში არ ენახა კონდრატოვიჩი, ამიტომ ერთგვარ უხერხულობას გრძნობდა და მაინცდამაინც დიდი სურვილი არა ჰქონდა სწორეთ ახლა მისულიყო მასთან.

ახლა მას სჭირდებოდა ძალიან მახლობელი ადამიანი. კოსტიევიჩი შეუდგა მოგონებას, თუ ვინ იყო ახლა კრასნოდონში იმათგან, ვისთანაც განსაკუთრებით ახლოს იდგა ძველად, იატაკქვეშ მუშაობის დროს—1918—1919 წლებში.

მისთვის ასეთი ყველაზე უფრო მახლობელი ადამიანი იყო აქაური მკვიდრი, 1917 წლიდან ბოლშევიკი — ლეონიდ რიბალოვი. გერმანელებისა და თეთრების დროს ისინი ერთად მუშაობდნენ იატაკქვეშ, ერთად აყალიბებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. იმ დროს მატვეი შულგა რიგითი კაცი იყო, ხოლო რიბალოვის სახელი მთელს ოლქში გაისმოდა. მერე სხვა დრო დადგა, მეურნეობა ფართოდ გაიშალა. რიბალოვს უფრო „მოწინააღმდეგეთა განადგურება“ ეხერხებოდა, წარმოსთქვამდა ხოლმე სიტყვებს. ცხოვრებამ უკან ჩამოაყენა იგი, შულგამ კი გაუსწრო მას, იგი აღმავალი გზით წავიდა. როგორღაც მოხდა ისე, რომ მათი მეგობრობა თავისთავად შეწყდა, მერე ლეონიდ რიბალოვი სულ გადაისროლეს დონბასიდან ინვალიდთა კოოპერაციაში სამუშაოდ.

მატვეი კოსტიევიჩს ახლა მოაგონდა ლეონიდ რიბალოვის და—ლიზა, და ნახშირის წინწკლებით დახრულს სახეზე რაღაც ბავშვური ღიმილი გადაეფინა. მოაგონდა ლიზა რიბალოვა, ისეთი როგორიც იმ ხანებში იყო იგი—ახოვანი, თვალადი, ქერათმიანი, უშიშარი, მიხვრამოხვრაში მარდი, მკვირცხლი თვალებიანი. ისიც მოიგონა, საჭმელი რომ მოჰქონდა სენიაკში მასსა და მის ძმასთან — ლეონიდთან, მოიგონა, როგორ იცინოდა თეთრი კბილების კრიალით, როცა შულგა გაეხუმრებოდა ხოლმე, — ვწუხვარ, ცოლი მყავს, თორემ შენ წაგიყვანდიო. ლიზა კარგად იცნობდა მის ცოლს.

ათი-თორმეტი წლის წინათ შულგა როგორღაც ქუჩაში შეხვდა მას, ერთხელ კიდევ რომელიღაც ქალთა კრებაზე ნახა. მაშინ ლიზა უკვე გათხოვილი იყო. სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე მისთხოვდა ვიღაც ოსმუხინს. ეს ოსმუხინი მერე ტრესტში მუშაობდა. თვითონ შულგა საბინაო კო-

მისიაში იყო მაშინ, როცა მათ ბინა მისცეს სტანდარტულ სახლში, სადღაც № 5 მაღაროსაკენ მიმავალ რომელიღაც ქუჩაზე.

შულგას სულ აგონდებოდა ლიზა, ახლაც თვალწინ ედგა, ისეთი, როგორიც ახალგაზრდობის წლებიდან ახსოვდა, და ისეთის სიძლიერით მოაწვა მოგონებანი ახალგაზრდობის იმ დღეებისა, რომ კვლავ ჭაბუკად [illegible] თავი; და ყველაფერი ის, რის მოლოდინშიაც იყო ახლა, უცებ ახალგაზრდობის შუქით გაბრწყინებულად წარმოუდგა თვალწინ. „ვერ გამოიცვლებოდა იგი, — გაიფიქრა შულგამ, — მისი ქმარიც, ოსმუხინი, თითქოს მახლობელი კაცი ჩანდა... რაც იქნება, ის იქნება, მივაფურთხებ ეშმაკს და ისევ ლიზა რიბალოვასთან შევივლი! იქნებ არ წასულან. იქნებ თვითონ ბედს მივყევარ მათთან, იქნებ სულ მარტოც კი ცხოვრობს?..“ მღელვარებით ფიქრობდა და რკინიგზის გადასასვლელისკენ ეშვებოდა დაღმართით.

ამ ათი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც აქ არ ყოფილა, მთელი ეს რაიონი ქვის სახლებით მოფენილა, ამიტომ ძნელი გასარკვევია, რომელ სახლში შეიძლება ცხოვრობდნენ ახლა ოსმუხინები. დიდხანს იარა მყუდროებით მოცულ ქუჩებში, დახურულ დარაბებიან სახლებს შორის, ვერ გადაეწყვიტა სადმე შესულიყო და ეკითხა; ბოლოს მიხვდა, ორიენტაცია უნდა აიღოს შორს ტრამალზე ამართულ მაღარო № 5-ის ურნალზე; როცა მიჰყვა ქუჩას, რომელიც პირდაპირ ამ ურნალს გაჰყურებდა, ჩქარა იპოვნა ოსმუხინების სახლი.

ფანჯარა, რომლის რაფაზე ყვავილები ეწყო, ღია იყო. ოთახებიდან თითქოს ახალგაზრდების ხმა შემოესმა; როცა კარზე დააკაკუნა, გული ისე აუტოკდა, როგორც ჭაბუკობისას ემართებოდა ხოლმე. პასუხი არ ისმოდა, ალბათ ვერ გაიგონეს, ხელმეორედ დააკაკუნა. კარების შიგნით რბილი ფეხსაცმელებიანი ფეხის ხმა მოისმა.

ახლა მის წინ იდგა ლიზა რიბალოვა, — ელიზავეტა ალექსეევნა; — მას ეცვა საშინაო ფეხსაცმელები, ბრაზმორეული და დამწუხრებული სახე ჰქონდა, თვალები ცრემლისაგან აწითლებული, ჩამოსიებული. — „ჰმ, როგორ გამოუტანჯავს ცხოვრებას!“ — უცებ გაუელვა შულგას.

მაინც უმალვე იცნო იგი. ლიზას ახალგაზრდობაშიაც ასეთი უკმეხი გამომეტყველება ჰქონდა; ხდებოდა ეს სიბრაზისა თუ გაღიზიანების გამო, მაგრამ მატვეი შულგამ კარგად იცოდა, ნამდვილად როგორი გულკეთილი ადამიანი იყო იგი. ლიზა წინანდებურად ახლაც ახოვანი იყო, ქერა თმაში თეთრი არ ერია, მაგრამ სახეზე მკვეთრად აჩნდა სწორი ნაოჭები, ეს იყო მძიმე განცდებისა და შრომის ნაოჭები. ლიზას მეტად დაუდევრად, ხელმიშვებულად ეცვა, — წინათ კი არასოდეს არ იზამდა ამას.

ქალი უგულოდ, გაოცებით შეაცქერდა მისი სახლის პარმაღზე მდგომ უცნობ კაცს. მაგრამ უცებ გაკვირვებისა და, თითქოს სადღაც თვალებში ჩამდგარ ცრემლის უკან წარმოშობილი მხიარული გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე.

— მატვეი კონსტანტინოვიჩ... ამხანაგო შულგა! — წამოიძახა მან და კარის რაზაზე ჩაჭიდებული ხელი უღონოდ ძირს ჩამოუვარდა. — რა ქარმა გადმოგისროლათ, ასეთ დროს?

— დაიკო, მაპატიე... ლიზა თუ ელიზავეტა ალექსეევნა, არ ვიცი როგორ მიბრძანებთ დაგიძახოთ?.. აღმოსავლეთით, ევაკუაციაში მივდივარ, სანახავად შემოვიარე...

— მიტომაც, რომ აღმოსავლეთით მიდიხართ! ჩვენ რაღა ვქნათ? ჩვენმა ბავშვებმა რაღა ჰქნან? — უცებ აღგზნებული ხმით დაილაპარაკა მან და აკანკალებული ხელით შეისწორა თმა, თან გაბრაზებული და ძალზე გამოტანჯული თვალებით მიაჩერდა, — თქვენ აღმოსავლეთში მიდიხართ, ამხანაგო შულგა, ჩემი ვაჟი კი ოპერაციის შემდეგ წევს! — ისე იმეორებდა ქალი, თითქოს მატვეი კოსტიევიჩი არაერთხელ ყოფილიყოს მისგან გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ ასე მოხდებაო, და აი მართალიც გამოდგა, თითქოს მატვეი ყოფილიყოს ამაში დამნაშავე.

— მაპატიეთ, ნუ მიჯავრდებით! — უთხრა მატვეი კოსტიევიჩმა მეტად მშვიდად და დაყვავებით, თუმცა რაღაც წვრილმა სიმმა მოულოდნელი მწუხარებით გაჰკრა გულში.—„აი, როგორი ყოფილხარ შენ, ლიზა რიბალოვა, — გამოსცა ხმა ამ წვრილმა სიმმა,—აი, როგორი დამიხვდი შენ, ჩემო კეთილო ლიზა!“

მაგრამ მატვეის ბევრი რამ განეცადა ცხოვრებაში და თავის შეკავებაც იცოდა.

— გარკვევით მიამბეთ, რა შეგემთხვათ ისეთი?

ახლა შულგაც „თქვენობით“ მიმართავდა ქალს.

— თქვენც მაპატიეთ, — უპასუხა ქალმა ჩვეული მკვახე ხმით. კეთილი დამოკიდებულების დიდი ხნის წინანდელმა აჩრდილმა ისევ გადაურბინა სახეზე. — მობრძანდით... მხოლოდ, ჩვენთან ისეთი ამბავია, რომ! — ხელი ჩაიქნია და შეწითლებულ, ჩამოსიებულ თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა.

ქალმა დაიხია, სთხოვა შესულიყო. მატვეი შულგა ნახევრად ბნელ წინაოთახში შემოჰყვა. ფეხი შესდგა თუ არა ღია კარებში, მხარმარჯვნით, მზის შუქით განათებულ ოთახში უმალვე შენიშნა სამი თუ ოთხი ჭაბუკი და ერთი ქალიშვილი. ისინი საწოლთან იდგნენ, სადაც ბალიშზე ნახევრად წამოწოლილიყო წელსზემოდ ზეწარგადაფარებული, როგორც ეტყობოდა, ოდესღაც ძალზე მზედაკრული, ახლა კი სახეგადაფითრებული, თვალჩამუქებული ყმაწვილი; მას გადაკეცილი საყელოიანი მაისური ეცვა.

ერთერთ კეპიან და მხარზე ჩანთაგადაკიდებულ ბიჭში, მისი ტანისამოსისა და მეხსიერებაში ჩარჩენილი მიხვრამოხვრის მიხედვით, შულგამ შეიცნო სწორეთ ის ბიჭი, რომელიც ქალიშვილს ჰკოცნიდა მანქანის მახლობლად.

— გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ ჩემს ვაჟთან! აქეთ მობრძანდით,— წარმოსთქვა ელიზავეტა ალექსეევნამ და მოპირდაპირე ოთახისაკენ მიუთითა.

ოთახი სახლის ჩრდილოვან მხარეზე იყო, მასში ოდნავ ბნელოდა, თანაც სიგრილე იდგა.

— უწინარეს ყოვლისა, გამარჯობათ!—წარმოსთქვა მატვეი კოსტიევიჩმა, ქუდი მოიხადა, მანქანით გადაკრეჭილი, აქა-იქ შევერცხლილი თავი გამოაჩინა და ხელი გაუწოდა ქალს, — არ ვიცი, როგორ დაგიძახოთ, ლიზა თუ ელიზავეტა ალექსეევნა?

— დამიძახეთ, როგორც მოგიხერხდებათ, სიდარბაისლეს არ მივსდევ, არც განდიდებას მოვითხოვ, თუმცა რაღა დროს ლიზა ვარ უკვე! ვიყავი ლიზა, ახლა კი... — ხელი ჩაიქნია, მერე გამოტანჯულად, დამნაშავესავით, იმავე დროს ძალზე ქალურად მიაჩერდა მატვეი კოსტიევიჩს ცისფერი თვალებით.

— ჩემთვის შენ ყოველთვის ლიზა იქნები, ვინაიდან მე თვითონ მოხუცებული ვარ! — გაიცინა შულგამ და სკამზე დაეშვა.

ქალი პირდაპირ დაჯდა.

— რაკი მოხუცებული ვარ, მაპატიეთ და პირდაპირ შენ-შენობით დავიწყებ,—სიცილითვე, მაგრამ სერიოზულად დაიწყო შულგამ. — იმის გამო, რომ მე მივდივარ აღმოსავლეთში, იმის გამო, რომ სხვა ჩვენი ადამიანები მიდიან აღმოსავლეთში, — არ უნდა გაჯავრდე. დროზე არ გაგვიშვა წყეულმა გერმანელმა. ოდესღაც, თითქოს ჩემი მახლობელის ცოლიც კი იყავი, მაშასადამე შემიძლია გითხრა, რომ მან, ამ წყეულმა გერმანელმა მილეროვოდან მოროზოვსკაიას დაარტყა — ცხადია სტალინგრადისაკენ მიიწევს, ეს იმას ნიშნავს, რომ ღრმა ზურგიდან ლამობს შემოვლას...

— მერე ჩვენ რაღა შეგვიმსუბუქდა ამით? — ნაღვლიანად წარმოსთქვა ქალმა, — თქვენ მიდიხართ, ჩვენ კი აქ ვრჩებით...

— ვინ არის ამაში დამნაშავე? — სთქვა შულგამ და მოიღუშა. — ისეთი ოჯახები, როგორც თქვენია, — დაატანა მან, მოაგონდა რა თავისი ცოლშვილი.—იმის დაწყებიდან დღემდე, აღმოსავლეთში გადაგვყავდა, ვაძლევდით დახმარებას, ტრანსპორტსაც. ოჯახები კი არა — ათასობითა და ათიათასობით მუშა გადავიყვანეთ ურალსა და ციმბირში. რატომ დროზე არ გაემგზავრეთ?—შეეკითხა მატვეი კოსტიევიჩი და თანდათან სულ უფრო უღვივდებოდა მწარე გრძნობები.

ქალი სდუმდა, და იმავე მდგომარეობაში, როგორც იჯდა, გაუნძრევლად, დერეფნიდან თითქოს ყურს უგდებდა იმას, რაც ახლა ხდებოდა მეორე ოთახში; იგრძნობოდა, რომ ქალი უგულოდ უსმენდა მატვეის. თვით მატვეიმაც უნებლიედ ოთახისკენ მიაპყრო ყური.

იქიდან მხოლოდ ხანგამოშვებით მოისმოდა ნელი ხმა, შეუძლებელი იყო გარკვევა იმისა, თუ რა ხდებოდა იქ.

ვანია ზემნუხოვმა, მიუხედავად მთელი თავისი შეუპოვრობისა და სიდინჯისა, რომლის შესახებ მისი ამხანაგები ანდაზებსაც კი ჰქმნიდნენ ხოლმე, ვერც ფორანი იშოვნა და ვერც მანქანა ვალოდია ოსმუხინისათვის, ხელცარიელი დაბრუნდა შინ, სადაც დაუხვდა მოლოდინის გამო არაქათგამოცლილი ჟორა არუთინიანცი. მამაც შინ იყო, ამით ვანია მიხვდა, რომ კოვალიოვები უკვე წასული იყვნენ.

ჟორა არუთინიანცი ძალზე მაღალი იყო, მაგრამ ზემნუხოვთან შედარებით მაინც საგრძნობლად დაბალი. ბუნებით მეტად შავი, იმავე დროს მაგრად მზედაკრული, ლამაზი, შეხუჭუჭებული წამწამებიანი, სომხური შავთვალებიანი და მსხვილტუჩებიანი, ჩვიდმეტიოდე წლის ჭაბუკი იყო იგი, ზანგს წააგავდა.

მიუხედავად განსხვავებისა წლოვანებაში, ისინი ამ რამდენიმე დღის განმავლობაში დამეგობრდნენ: ორივე წიგნის გატაცებული მკითხველები იყვნენ.

ვანია ზემნუხოვს პროფესორსაც კი ეძახოდნენ სკოლაში; მას ჰქონდა მხოლოდ ერთი ყავისფერზოლებიანი, ნაცრისფერი კოსტუმი, რომელსაც იცვამდა საზეიმო შემთხვევებში, და რომელიც, ისე როგორც სხვა ყველაფერი, რასაც კი იცვამდა ვანია, პატარა და მოკლე იყო არუთინიანცისათვის. შაგრამ როცა ფიჯაკის ქვეშ ჩაიცვამდა გადმოსაკეც საყელოიან პერანგს, შეინასკვავდა ყავისფერ ჰალსტუკს, გაიკეთებდა შავი რქის ჩარჩოებიან

სათვალეს და გამოჩნდებოდა სკოლის დერეფანში გაზეთებით ჯიბეგამოტენილი, ხელში წიგნით, რომელსაც რაღაც დაბნეულად ირტყამდა მხარზე, და ასე მიალაჯებდა, მუდამ დინჯი, მშვიდი, მდუმარე, დამძიმებული ფიქრული შთაგონებით, რომელიც აგრე ერთგვარად ნათელ შუქად გიზგიზებდა მის სულში, და რომელიც მის გადაფითრებულ სახეზე ჰფენდა რაღაც — ... ლი სხივის გამონაკრთომს, — ყოველი ამხანაგი, განსაკუთრებით კი დაბალი კლასის მოსწავლეები, მის მიერ გამოზრდილი პიონერები, უნებლიე თაყვანებით გზას უთმობდნენ მას, თითქოს მართლაც პროფესორი ყოფილიყოს იგი.

ეორა არუთინიანცს სპეციალური ხაზიანი რვეულიც კი ჰქონდა შემოღებული, სადაც შეჰქონდა ავტორთა გვარები, სახელწოდება ყოველი წაკითხული წიგნისა და მისი მოკლე შინაარსი, მაგალითად:

„ნ. ოსტროვსკი. როგორ იწრთობოდა ფოლადი. შესანიშნავია.

ა. ბლოკი. ლექსები მშვენიერ ქალზე. ბევრი ბუნდოვანი სიტყვაა.

ლ. ტოლსტოი. ხაჯი-მურატი. კარგად არის ნაჩვენები მთიელთა გამათავისუფლებელი ბრძოლა.

ს. გოლუბევი. ჯარისკაცის დიდება. არა საკმაოდ არის ნაჩვენები მთიელთა გამათავისუფლებელი ბრძოლა.

ბაირონი. ჩაილდ-ჰაროლდი. გაუგებარია, რატომ აღელვებდა ადამიანთა გონებას ეს ნაწარმოები, როცა იგი ასე მოსაწყენი საკითხავია.

ვ. მაიაკოვსკი. კარგია. (არავითარი შეფასება არა აქვს).

ა. ტოლსტოი. პეტრე პირველი. მშვენიერია. ნაჩვენებია, რომ პეტრე პროგრესიული კაცი იყო“.

ბევრი სხვა რამის წაკითხვა შეიძლება მის ხაზიან რვეულში. ეორა არუთინიანცი საერთოდ მეტად კოხტა, სუფთა, თავის რწმენაში მტკიცედ დაჯერებული ჭაბუკი იყო და ყველაფერში უყვარდა წესრიგისა და დისციპლინის დაცვა.

მთელი ამ დღე და ღამეების განმავლობაში, როცა ისინი გართული იყვნენ სკოლების, კლუბების, საბავშვო სახლების ევაკუაციით, წუთითაც კი არა ჩერდებოდნენ, გატაცებით ლაპარაკობდნენ მეორე ფრონტზე, ლექსზე — „დამელოდე“, ჩრდილოეთის საზღვაო გზაზე, კინო სურათზე „დიდი სიცოცხლე“, აკადემიკოს ლისენკოს მუშაობაზე, ნაკლოვანებებზე პიონერთა მოძრაობაში, სიკორსკის მთავრობის სპოცარ მოქმედებაზე ლონდონში, რუზველტზე, ჩერჩილზე და მხოლოდ ერთ საკითხში ვერ შეთანხმდნენ: — ეორა არუთინიანცი ფიქრობდა, წიგნებისა და გაზეთების კითხვა გაცილებით სჯობია ქალიშვილების დევნასო, ვანია ზემნუხოვმა სთქვა: ასე ბეცი რომ არ ვიყო, მე პირადად, სიამოვნებით ვსდევდიო.

ვიდრე ვანია გამოეთხოვებოდა ატირებულ დედას, უფროს დას და გაგულისებით მოსრუტუნე, გულამომჯდარ მამას, რომელიც ცდილობდა არ შეეხედნა შვილისათვის, მაგრამ უკანასკნელ წუთში მაინც პირჯვარი გადასახა მას, უცებ გამომშრალი ცხელი ტუჩებით ემთხვია შუბლზე, ეორა არწმუნებდა ვანიას, რაკი საზიდარი ვერ იშოვნე, არავითარი აზრი არა აქვს ოსმუხინებთან შესვლასო, მაგრამ ვანიამ მიუგო, — სიტყვა მივეცი ტოლია ორლოვს, აუცილებლად უნდა შევიარო და ყველაფერი უნდა აუხსნაო.

მხრებზე აიკიდეს სამგზავრო ტომრები, ვანიამ უკანასკნელად გადახედა თავის საყვარელ კუთხეს საწოლის სასთუმალთან, სადაც ეკიდა მხატვარ კა-

რპოვის მიერ შესრულებული და უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ხარკოვში გამოცემული პუშკინის ლითოგრაფიული პორტრეტი, აქვე იდგა თაროები სავსე წიგნებით, რომელთა შორის მთავარი ადგილი ეჭირა პუშკინის თხზულებებსა და ლენინგრადის „საბჭოთა მწერლის“ მიერ გამოცემულ პუშკინისდროინდელი პოეტების პატარა ტომებს. — ვალოდიამ გადახედა ყოველივე ამას, გადაჭარბებული მკვეთრი მოძრაობით თვალებზე ჩამოიფხატა კეპი და ვალოდია ოსმუხინთან წავიდნენ.

წელამდე ზეწარგადაფარებული, თეთრ მაისურში გამოწყობილი ვალოდია ნახევრად წამოწოლილიყო საწოლზე. იქვე იდო გადახსნილი წიგნი — „რელეური დაცვა“, რომელსაც ალბათ იგი დილით კითხულობდა.

ოთახის მილაგებაში რომ ხელი არ შეშლოდათ, კუთხეში, ფანჯარასთან, საწოლს იქით, მიყრილი იყო ყოველგვარი ხელსაწყო: მავთულის შულები, შინნაკეთი კინოაპარატი, რადიო-მიმღების ნაწილები, — ვალოდია ოსმუხინი გატაცებული იყო გამომგონებლობით და ოცნებობდა გამხდარიყო ინჟინერ-ავიაკონსტრუქტორი.

ტოლია ორლოვი, მეტსახელად „მეხი გუგუნებს“, ვალოდიას საუკეთესო მეგობარი, და დედ-მამით ობოლი, სკამზე იჯდა, საწოლის ახლოს. „მეხი გუგუნებს“ შეარქვეს იმისათვის, რომ ყოველთვის, ზამთარსა და ზაფხულში სულ გაციებული იყო, და ყრუდ ახველებდა, ისეთ ხმას უშვებდა, თითქოს კასრში ახველებსო; ტოლია ახლა მოკუნტულად იჯდა და მსხვილი მუხლები განიერად გაეშალნა. მისი ყოველი სახსარი და შენაწევრი—იდაყვებზე, ხელებზე, მუხლებზე, წვივებსა და ტერფზე მსხვილძვალა და არაბუნებრივად განვითარებული იყო. სქელი რუხი თმა ბრუზად ჩამოშლოდა უზარმაზარ თავის გარშემო. თვალების გამომეტყველება მწუხარე და ნაღვლიანი ჰქონდა.

— მაშ აგრე, სიარული სულ არ შეგიძლია? — ეკითხებოდა ზემნუხოვი ვალოდიას.

— რა დროს სიარულია, ექიმმა მითხრა — ნაკერი გაგეხევა, ნაწლავები გარეთ გამოგივარდებაო, — მოწყენით სთქვა ვალოდიამ.

მოწყენილი იყო არა მარტო იმიტომ, რომ იძულებული იყო თვითონ დარჩენილიყო, არამედ იმიტომაც რომ მის გამო რჩებოდნენ აქ მისი და და დედა.

— აბა მიჩვენე განაკერი! — მიუბრუნდა მას ყოველთვის თადარიგიანი ქორა არუთინიანცი.

— რას ამბობ, შეხვეული აქვს! — შეეშინდა ვალოდიას დას, ლიუდმილას თუ ლუსიას, რომელიც მის ფეხებთან იდგა, საწოლის თავზე დაყრდნობილი.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერი რიგზე იქნება, — ზრდილობიანი ღიმილითა და მომეტებულად სომხურ კილოზე, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა მის სიტყვებს, წარმოსთქვა ქორამ. — პირველი დახმარების მთელი კურსი უკვე გავლილი მაქვს, შესანიშნავად ვხსნი და ვახვევ...

— ეს არაგიგიენურია! — თავისას არ იშლიდა ლუსია.

— ახალმა სამხედრო მედიცინამ, რომელსაც აუტანელ საველე პირობებში უხდება მუშაობა, დაამტკიცა, რომ ეს შეხედულება ყალბია.—შეუვალად განაცხადა ქორამ.

— გეტყობათ, ეს სხვა რამეზე გაქვთ ამოკითხული საღღაც, — ამაყად წარმოსთქვა ლუსიამ, თან უმალვე ერთგვარი ინტერესით მიაჩერდა ამ შავს, ზანგისებურ ბიჭს:

— თავი დაანებე, ლუსია! მესმის, დედა რომ იყოს, კიდევ ეს, — ბერვიული ადამიანია, შენ კი რას ეჩრები ისეთ რამეში, რაც შენი საქმე არ არის! წადი, წადი აქედან! — გაბრაზებით ეუბნებოდა ვალოდია დას, თან ზეწარი გადაიგდო, გამოაჩინა იმდენად მზედაკრული და კუნთებიანი გამხდარი ფეხები, რომ არავითარ ავადმყოფობასა და საავადმყოფოში წოლას არ შეეძლო გაექარვებინა ეს მზედაკრულობა და განვითარებული კუნთები.

ლუსიამ ზურგი შეაქცია.

ტოლია ორლოვმა და ვანიამ ხელი მოჰკიდეს ვალოდიას, ჟორამ ჩამოუწია მწვანე ტრუსები და შეხვეული შეხსნა. ნაკერი ჩირქდებოდა და საზიზღარ მდგომარეობაში იყო, ვალოდია ძალზე გაფითრდა, მაგრამ თავს იკავებდა, ცდილობდა არ შემჩნეოდა.

— ცუდადაა საქმე, არა? — დაღრეჯით სთქვა ჟორამ.

— საქმე არც თუ ისე კარგად არის! — დაეთანხმა ვანია.

ისე ჩუმად შეუხვიეს, რომ ცდილობდნენ არ შეეხედნათ ვალოდიასთვის, რომლის წაბლისფერი ყოველთვის მკვირცხლად და ეშმაკურად გამომზირალი წვრილი თვალები ახლა უკვე ნაღვლიანად და ჩაციებით იჭერდნენ ამხანაგების ყოველ გამოხედვას...

ახლა ყველაზე უფრო ძნელი ამოცანის წინ იდგნენ: უნდა დაეტოვებინათ ამხანაგი; ეს მაშინ, როცა უკვე იცოდნენ თუ რა საფრთხე მოელოდა მას.

— სად არის შენი მამაკაცი, ლიზა? — შეეკითხა ამ დროს მატვეი კოსტიევიჩი, რათა საუბარი სხვაზე გადაეტანა.

— გარდაიცვალა, — მკაცრად წარმოსთქვა ელიზავეტა ალექსეევნამ. — შარშან, სწორეთ ომის დაწყების წინ გარდაიცვალა, სულ ავადმყოფობდა, და გარდაიცვალა. — როგორც ეს შულგას მოეჩვენა გაბრაზებითა და საყვედურით რამდენიმეჯერ გაიმეორა ქალმა. — ახ, მატვეი კოსტიევიჩ! — ნაღვლიანად დაატანა მან, — ახლა თქვენც გახდით ხელისუფლების კაცი, რომ იცოდეთ, როგორ გვიჭირს ჩვენ — უბრალო ადამიანებს. თქვენ ხომ ჩვენი ხელისუფლება ხართ, უბრალო ადამიანებისა, მე ხომ მახსოვს, როგორი უბრალო ადამიანებიდან ხართ თქვენ გამოსული, — ისეთებიდან, როგორიც ჩვენ ვართ. მახსოვს, როგორ იბრძოდით თქვენ და ჩემი ძმა ჩვენი სიცოცხლისათვის, მე არაფერში არ გამტყუნებთ, ვიცი, არ შეიძლება ისეთი ადამიანები, როგორიც თქვენა ხართ, დასაღუპავად დარჩნენ აქ, მაგრამ ნუ თუ ვერა ხედავთ იმას, რომ ყველაფერზე ხელი აიღო და თქვენთან ერთად გარბის ყოველი ნაძირალა, თან მიაქვთ დგამები, ავეჯეულობა, საბარგო მანქანებით მიეზიდებიან ბარგი-ბარხანას, მათ არა ესაქმებათ რა ჩვენთან, უბრალო ადამიანებთან, ობივატელებთან, როგორც ამას გაიძახიან ისინი, მაგრამ ჩვენ, ამ პატარა ადამიანებმა, ხომ ჩვენი ხელებით შევქმენით ყოველივე ეს! ახ, მატვეი კოსტიევიჩ! ნუ თუ ვერა ხედავთ, მაპატიეთ ამ სიტყვისათვის და, ამ ვიგინდარებისათვის, რომ ნივთები უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩვენ — ეს უბრალო ადამიანები? — წამოიძახა მან ტანჯვისაგან დაღმეჯილი ტუჩებით. — მერე კი თქვენ გიკვირთ, როცა ჩვენ შორის, უბრალო ადამიანთა შორის, გულნატკენი თუ აღმოჩნდება ვინმე. მე კი მიკვირს, რამდენად მომთმენი ვართ ჩვენ, — უბრალო ადამიანები, რადგან საკმარი-

სია ცხოვრებაში ერთხელ გამოსცადო ასეთი რამ, რომ ყოველგვარი რწმენა დაჰკარგო.

შემდეგში მტანჯველი მღელვარებითა და მწუხარებით ერთ-ერთხელ მოიგონებდა შულგა მათი საუბრის ამ წუთებს. ყოვლად გამოუსწორებელი იყო ეს გარემოება, მაგრამ შულგა სულის სიღრმეში გრძნობდა, თუ რა გულცდით იყო შეპყრობილი ეს ქალი; შულგას ძლიერსა და მდიდარ სულში ახლა მზად ჰქონდა ამ ქალისთვის სათქმელი ჭეშმარიტი სიტყვები, მაგრამ იმ წუთში, როცა ქალი ლაპარაკობდა ასე გულამომჯდარი, ტანჯვით შეპყრობილი, და როგორც ეს შულგას ეჩვენებოდა, ღვარძლიანად, ამ ქალის სიტყვები და მთელი მისი გარეგნობა, ისე ეწინააღმდეგებოდა შულგას წარმოდგენას იმ ლიზაზე, რომელსაც იგი ახალგაზრდობისას იცნობდა, რომ გააოცა შეუფერებლობამ იმასთან შედარებით, რასაც იგი მოელოდა. შულგას უცებ შეურაცყოფადაც კი მოეჩვენა ის გარემოება, რომ მაშინ, როცა თვითონ იგი რჩებოდა აქ, ხოლო მთელი მისი ოჯახი გერმანელებთან იყო ჩარჩენილი და, შეიძლება დაღუპულიც კი, ეს ქალი ლაპარაკობდა მხოლოდ თავის თავზე, არც კი კითხულობდა შულგას ოჯახს, მის ცოლს, რომელსაც იგი ემეგობრებოდა ახალგაზრდობისას. და უცებ შულგას ტუჩებსაც მოსწყდა ისეთი უკმეხი სიტყვები, რომლებსაც მერე სინანულით მოიგონებდა.

— შორს შეიჭერით თქვენ, ელიზავეტა ალექსეევნა, თქვენს მოსაზრებაში! — ცივად წარმოსთქვა შულგამ, — ძალიან შორს! რა თქმა უნდა, უფრო ხელსაყრელია საკუთარი ხელისუფლების მიმართ რწმენის დაკარგვა, მაშინ როცა, გერმანელთა ხელისუფლება კარზე მოგვადგა! გესმით? — წარმოსთქვა შულგამ და მრისხანედ მაღლა ასწია მოკლე თმით შეფიფქული თითებიანი ხელი; სწორეთ ამ დროს ზარბაზნების შორეული გუგუნი შემოიჭრა ოთახში. — გიფიქრიათ კი იმაზე, ჩვენი ხალხის რაოდენი რჩეული მშვენება, რომელიც გამოსულა უბრალო ადამიანებიდან და, რომელსაც— თქვენი არ ვიცი, და მე კი გეტყვით, მიუღწევია ხელისუფლებამდე, იღუპება ახლა იქ, ესენი ის ადამიანები არიან, რომლებმაც მიაღწიეს იმ შეგნებამდე, რომ ხალხის სიამაყენი — არიან კომუნისტები! მე ის მწყინს, რომ თქვენ დაჰკარგეთ რწმენა ასეთი ადამიანების მიმართ, ისიც ისეთ დროს, როცა ჩვენ ფეხქვეშ გვთელავს გერმანელი. მწყინს, თან მებრალებით, მებრალებით,—მრისხანედ გაიმეორა მან, და ბავშვურად აუთრთოლდა ტუჩები.

— აბა, რას ამბობთ?.. რასა ჰგავს ეს?.. თქვენ... თქვენ გინდათ ბრალი დამდოთ იმაში, თითქოს გერმანელებს ველოდები? — ბრაზმორევითა და უფრო გაშმაგებით იმის გამო, რომ შულგამ ასე გაუგო მას, მკვახედ წამოიყვირა ელიზავეტა ალექსეევნამ. — ახ, თქვე... ჩემი ვაჟი?.. მე დედა ვარ!.. თქვენ კი...

— ელიზავეტა ალექსეევნა, განა დაგავიწყდათ, როგორც თქვენ ამბობთ, როცა ჩვენ ორივე უბრალო ადამიანები ვიყავით, და გერმანელებისა და თეთრებისაგან მოგვადგებოდა საფრთხე, განა მაშინ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს საკუთარ თავზე ვფიქრობდით? — არც კი უსმენდა მას, ისე ლაპარაკობდა მწარე განცდით შეპყრობილი მატვეი კოსტიევიჩი. — არა, თავდაპირველად საკუთარ თავზე კი არა, ჩვენს საუკეთესო ადამიანებზე, მეთაურებზე ვფიქრობდით! აი ვიზე ვფიქრობდით ჩვენ მაშინ! აბა, მოიგონეთ თქვენი ძმა! აი, როგორ ფიქრობდნენ და იქცეოდნენ ყოველთვის მუშა ადამიანები. დაემალნათ, გადაერჩინათ ჩვენი მეთაურები, საუკეთესო ადამია-

ნები, ჩვენი მშვენებანი, სიამაყენი, ხოლო თვითონ კი მათ ნაცვლად მკერდი მიეშვირათ მტრისთვის, — აი როგორ ფიქრობდა ყოველთვის, და ეხლაც როგორ ფიქრობს მუშა კაცი, სხვაგვარად ფიქრი სასირცხვილოდ მიაჩნია მას. ნუთუ მას შემდეგ აგრე გამოიცვალეთ, ელიზავეტა ალექსეევნა?

— მოიცათ! — უცებ წამოიძახა ქალმა, მთლად გასწორდა, თან ცქიტყურა, რა ხდებაო მეორე ოთახში, დერეფნის იქით.

შულგამაც მიაყურა.

იმ ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, ამ სიჩუმემ კი უკარნახა დედას: იქ რაღაცა ხდებაო. უცებ დაავიწყდა მატვეი კოსტიევიჩი, მოწყვეტით გაიჭრა კარისკენ, და შვილთან მივიდა. მატვეი კოსტიევიჩი უკმაყოფილო საკუთარი თავისა, მუქი თმით შეფიფქულ თითებში მოწყენით სრესდა ქუდს, წამოღგა და დერეფანში გამოვიდა.

ელიზავეტა ალექსეევნას შვილი — საწოლზე ნახევრად წამოწოლილი, ეთხოვებოდა ამხანაგებს; დიდხანს, უსიტყვოდ მაგრად ართმევდა მათ ხელს, აღელვებითა და ნერვიულად ატოკებდა კისერსა და მანქანით გადაკრეჭილ, მაგრამ საკმაოდ მოზრდილი თმით დაფარულ თავს. თუმცა მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისაგან საკვირველი იყო, მაგრამ სახეზე რაღაც სასიხარულო აღგზნება ეხატებოდა და ციმციმებდნენ მისი წვრილი, მუქი თვალები. მისი საწოლის სასთუმალთან იდგა ერთერთი ახმახი, უზარმაზარი, მსხვილძარღვიანი ამხანაგი; იგი ისე იყო შებრუნებული, რომ საჯ მხოლოდ პროფილში მოუჩანდა, რაღაც ნათელი, მხიარული გამომეტყველება ჰქონდა და ფართოდ დაღებული თვალებით გასცქეროდა მზის შუქით სავსე ღია ფანჯარაში.

ქალიშვილი კი წინანდებურად ავადმყოფის ფეხებთან იდგა და იღიმებოდა. როცა ამ ქალიშვილში მატვეი კოსტიევიჩმა შეიცნო წინანდელი ელიზავეტა ალექსეევნა, უცებ გული ეტკინა. დიაღ, ეს სწორეთ ჰგავდა იმ ლიზას, რომელსაც იგი იცნობდა ამ ოციოდე წლის წინათ, მხოლოდ ეს ოდნავ უფრო ნაზი იყო, ვიდრე ის ლიზა—მუშა ქალი, ცოტა უფრო მოდიდო ხელებიანი და მიხვრა-მოხვრაში უფრო მკვირცხლი, სწორეთ იგი, რომელსაც ის იცნობდა და უყვარდა.

„დიაღ, დროა წასვლისა“, — ნაღვლიანად გაიფიქრა მან, თითებით მოსრისა ქუდი, თან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ხის მოჭრიალე იატაკზე.

— მიდიხართ? — ხმამაღლა შეეკითხა ელიზავეტა ალექსეევნა და მისკენ გაექანა.

— როგორც ხედავ, რა ვქნა, დროა გამგზავრებისა. ნუ მიწყენთ.—წარმოსთქვა და კეპი დაიხურა.

— უკვე? — გაიმეორა ქალმა. რაღაც მწარე გრძნობა, თუ სინანული მოისმა ქალის ამ შეკითხვასა და გაოცებაში, ან იქნებ მხოლოდ შულგას მოეჩვენა ასე! — ნუ გეწყინებათ... ღმერთმა, რაკი იგი არსებობს, მშვიდობით გატაროთ, არ დაგვივიწყოთ, — წარმოსთქვა ქალმა და უღონოდ ძირს ჩამოეშვა ხელები. რაღაც ისეთი კეთილი, დედობრივი რამ მოისმოდა მის ხმაში, რომ მატვეის თითქოს რაღაც გაეჩხირაო ყელში.

— მშვიდობით! — ნაღვლიანად წარმოსთქვა მატვეი კოსტიევიჩმა და ქუჩაში გავიდა.

ახ, სულ ტყუილუბრალოდ, სულ ტყუილუბრალოდ წახვედი შენ, ამხანაგო შულგა! სულ ტყუილუბრალოდ დასტოვე ელიზავეტა ალექსეევნა და ეს ქალიშვილი, რომელიც აგრე ჰგავდა წინანდელ ლიზა რიბალოვას, ტყუილ-

უბრალოდ ვერ ჩაუფიქრდი, ვერ ჩასწვდი იმას, რაც შენს თვალწინ მოხდა ამ ყმაწვილთა შორის, არც კი დაინტერესდი, თუ ვინ არიან ესენი, ეს ყმაწვილები!

მატვეი კოსტიევიჩს ასე რომ არ ექნა, იქნებ მთელი მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარმართულიყო, მაგრამ მაშინ მას არა თუ შეეძლო ამისი გაგება, რაღაცაზე ნაწყენიც კი იყო. მას უკვე არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ წასულიყო შორეულ რაიონში, რომელსაც ძველ დროში გოლუბიატნიკებს ეძახდნენ, რათა მოენახა იქ სახლი თავისი პარტიზანობის დროინდელი ამხანაგის, ივანე გნატენკოს, ან როგორც მას უბრალოდ უწოდებდნენ — კონდრატოვიჩისა, რომელთანაც იგი მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში არ ყოფილა. განა შეეძლო ამ წუთში ეფიქრნა, რომ შედგა სწორეთ იმ გზაზე, რამაც იგი დაღუპვამდე მიიყვანა?

აი რა მოხდა უკანასკნელ წუთში, ვიდრე იგი ელიზავეტა ალექსეევნას ფეხდაფეხ გამოჰყვა წინაოთახში, — აი რა მოხდა იმ ოთახში, სადაც ელიზავეტა ალექსეევნას ვაჟი იწვა.

იქ გულისშემღონებელი სიჩუმე იდგა. მაშინ სკამიდან წამოდგა ტოლია ორლოვი, სწორეთ ის ტოლია ორლოვი, რომელიც ყოველთვის თრთოდა ხოლმე ყრუ ხველებისაგან, ვინაიდან ყოველთვის ცუდად იყო ჩაცმული და გაციება ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი; ამის გამო შეარქვეს მას „მეხი გუგუნებს“, იგი სკამიდან წამოდგა და სთქვა — თუ კი ჩემს ერთად-ერთ მეგობარს ვალოდიას წასვლა არ შეუძლია, მაშინ მე—ტოლია ორლოვი, მასთან ერთად ვრჩებიო.

პირველ წუთში ყველა დაიბნა, მერე ვალოდია ატირდა და კოცნა დაუწყო ტოლიას, სიხარულის მგზნებარე განცდა ბოჭავდა ყველას. ლუსია კისერზე შემოეხვია ტოლიას, დაუწყო კოცნა: ლოყებზე, თვალებზე, ცხვირზე, — ტოლიას არ ახსოვდა ამაზე უფრო მეტად ბედნიერი წუთები. მერე ლუსიამ გაბრაზებით გადახედა ჟორა არუთინიანცს. ძალიან უნდოდა, რომ ეს კოხტა ზანგი ყმაწვილიც დარჩენილიყო.

— აი, მესმის! ამხანაგიც ამას ჰქვია! ყოჩაღ! — კმაყოფილი ყრუ ბოხი ხმით ამბობდა ვანია ზემნუხოვი. — ვამაყობ შენით.—უცებ წარმოსთქვა მან.—მე და ჟორა არუთინიანცი ვამაყობთ შენით,—გამოასწორა მან.

მაგრად ჩამოართვა ტოლიას ხელი, ჟორამაც ჩამოართვა.

— განა ასე უბრალოდ ვიცხოვრებთ? — გაბრწყინებული თვალებით ლაპარაკობდა ვალოდია.—ჩვენ ვიბრძოლებთ, ხომ მართალია, ტოლია? შეუძლებელია არავინ დასტოვონ აქ პარტიის რაიკომიდან, იატაკქვეშ სამუშაოდ. ჩვენ მათ მოვნახავთ! განა ჩვენ არაფერში არ გამოვდგებით!

თარგმანი **პოლიო აბრამიასი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უოშინგტონ ირვინგი *

საქმროს აჩრდილი

მოგზაურის ნაამბობი

ოდენვალდის ერთ-ერთ მწვერვალზე ზემო გერმანიის უდაბურ და რომანტიკულ კუთხეში, რომელიც მაინის და რაინის შესართავიდან შორს არ მდებარეობს, დიდი, დიდი ხნის წინათ იდგა ბარონ ფონ ლანდსჰორტის ციხე-დარბაზი. ეს ციხე-დარბაზი ახლა სულ დანგრეულია და თითქმის ჩამალულა წიფლებსა და ნაძვებში, მაგრამ მათ კენწეროებს ზემოთ ჯერ კიდევ მოსჩანს ძველი საგუშაგო კოშკი, რომელიც ცდილობს მისი ყოფილი პატრონივით ამაყად ეჭიროს თავი და მაღლობიდან გადმოჰყურებდეს სანახებს.

ბარონი იყო კატცენელენბოგენთა სახელოვანი გვარის გამხმარი შტო და მემკვიდრეობით მიიღო წინაპართა ქონების ნაწილი და მათი მთელი ამპარტავნობა. მის წინამორბედთა მეომარი ბუნების წყალობით თუმცა ერთობ დაზიანდა საგვარეულო სამფლობელო, მაგრამ ბარონი კვლავ იღწვოდა ძველი მდგომარეობის ერთგვარი იერის შენარჩუნებისათვის. მშვიდობიანი დრო იდგა და საერთოდ, გერმანელმა თავადაზნაურობამ მიატოვა თავისი უხერხული ძველი ციხე-დარბაზები, რომელნიც არწივის ბუდეებივით მიჰკროდნენ მთებს და ააგო უფრო მოხერხებული სასახლეები ხეობებში; ბარონი კი მაინც ამაყად ჩაკეტილი დარჩა თავის პატარა ციხეში, რადგან შთამომავლობით თანდაყოლილი სიჯიუტით კვლავ განაგრძობდა ძველ საგვარეულო შუღლსა და საჩივრებს, ასე რომ ცუდ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ზოგ თავის უახლოეს მეზობელთან, მათს მამაპაპათა შორის ოდესღაც მომხდარი დავის გამო.

ბარონს ერთადერთი ასული ჰყავდა, მაგრამ ბუნება მხოლოდ ერთ შვილს რომ უწყალობებს კაცს, სამაგიეროდ ყოველთვის იმით დააჯილდოვებს, რომ საკვირველს გაუჩენს. ასევე იყო ბარონის ასულიც; ყველა გადია, ჭორიკანა

---

* უოშინგტონ ირვინგი (1783—1859) სახელგანთქმული ამერიკელი მწერალია, რომელმაც ამერიკის მწერლობას პირველმა მოუპოვა მსოფლიო სახელი. დაიბადა ნიუ-იორკში, ბევრი იმოგზაურა თავის სამშობლოსა და ევროპის ქვეყნებში: ინგლისში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში... შეისწავლა იურისპრუდენცია, მაგრამ შემდეგ დიპლომატიურ საქმიანობას უფრო მიჰყო ხელი, თუმცა პოლიტიკა ნაკლებ აინტერესებდა. 1829 — 1832 წლებში ამერიკის საელჩოს მდივანი იყო ლონდონში; 1842 — 1846 წლებში — ამერიკის ელჩი მადრიდში.

პირველად სახელი გაუთქვა ჯერ „ნიუ-იორკის ისტორიამ", რომელიც დიდრიხ ნიკერბოკერის სახელით გამოაქვეყნა, შემდეგ კი — „ჯეფრი კრეიონის მოთხრობათა წიგნმა". მისი წიგნები „მოგზაურის მოთხრობები", „ალჰამრა" და ისტორიული თხზულებები: „კოლუმბის ცხოვრება და მოგზაურობა", „ჰოლდსმითის ცხოვრება" და სხვა მრავალი, დიდად საყვარელი წიგნებია. გრძნობის სიფაქიზე, გულკეთილი ჰუმორი და წერის სინატიფე, სამართლიანად ანიჭებს უოშინგტონ ირვინგს მაღალ ადგილს არა მარტო ამერიკის, არამედ ინგლისისა და მსოფლიო მწერლობაშიაც.

და სოფლელი ნათესავი არწმუნებდა მამაძისს, სილამაზით ტოლი არ მოეპოვება მთელ გერმანიაშიო, და განა ვის ეცოდინებოდა უკეთესად? გარდა ამისა, ის დიდი მზრუნველობით აღიზარდა ორი შინაბერა მამიდის ზედამხედველობით, რომელნიც ახალგაზრდობაში რამდენიმე წელს ყოფილიყვნენ რომელიღაც გერმანელ პატარა მთავრის კარს და გაეცნობილიყვნენ წარჩინებული ბანოვანის აღზრდისათვის საჭირო ცოდნის ყველა დარგში. მათი დარიგებით განათლების სასწაულად გადაიქცა ის. თვრამეტი წლისას მომხიბლავად შეეძლო ქარგვა და წმიდანთა მთელი ცხოვრება ამოქარგული ჰქონდა მათი გამომეტყველების ასახვის ისეთი ძლიერებით, რომ ისინი სალხინებელის სულებივით გამოიყურებოდნენ. ძალიან არ უჭირდა კითხვა და ჩამარცვლული ჰქონდა ბევრი სასულიერო თქმულება და „გმირთა წიგნის“ [1] თითქმის ყველა სარაინდო საოცრება. მან, წერაშიაც კი შესამჩნევი უნარი გამოიჩინა: შეეძლო ასოს გამოურჩენლად ხელისმოწერა და თან ისე მკაფიოდ, რომ მამიდები უსათვალეებოდ ახერხებდნენ მის წაკითხვას. დასძლია ყველანაირი პატარა, ლამაზი, დიაცური, არაფრის მაქნისი წვრილმანის კეთების ხელოვნება. იცოდა იმ დროის ყველაზე უცნაური ცეკვა, ქნარსა და გიტარაზე უკრავდა რამდენიმე ჰანგს და გაზეპირებული ჰქონდა მოხეტიალე მომღერალთა ყველა სიმღერა.

ამასთან მისი მამიდები, რომელნიც ყმაწვილობაში დიდი მოარშიყენი და მოკეკლუცენი იყვნენ, საოცრად სწორად შეერჩიათ ფხიზელ დარაჯებად და ძმისწულის ყოფაქცევის მტკიცე ზედამხედველებად, რადგან ქვეყანაზე არ მოიპოვება ისე სასტიკი, ფრთხილი და წესრიგიანობის მკაცრი დამცველი აღმზრდელი, როგორც ხანდაზმული მოკეკლუცე ქალია. ისინი იშვიათად სტოვებდნენ მას მარტო; და თუ არა კარგი ამალის, ან უკეთ, კარგი მეთვალყურეების თანხლებით, აროდეს უშვებდნენ ციხე-დარბაზს გარეთ. განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდნენ ზრდილობის მკაცრ კანონებს და სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას. ხოლო, რაც შეეხება მამაკაცებს, — აჰ! — დარიგებული იყო, ისე შორს დაეჭირა მათგან თავი და ისე სრული უნდობლობით მოპყრობოდა მათ, რომ თუ განსაკუთრებით არ დართავდნენ ნებას, ქვეყანაზე უმშვენიერეს მოტრფიალესაც კი არას დიდებით შეავლებდა თვალს, თვით მის ფეხთა წინაშე სულთაბრძოლის ყოფაშიაც რომ ყოფილიყო იგი.

აღზრდის ამ წესის კეთილი ნაყოფი საოცრად აშკარა იყო. ყმაწვილი მანდილოსანი მორჩილებისა და წესიერების ნიმუში ბრძანდებოდა. მაშინ, რო-

---

დიდად უყვარდათ და აფასებდნენ ირვინგს ისე დიდი მწერლები, როგორიცაა უოლტერ სკოტი, ბაირონი, დიკენსი, პუშკინი... დიკენსი, ტკბილი ბარათის პასუხად სწერს მას: „ცოცხალ მწერალთაგან არავინ არის და გარდაცვლილთა შორისაც ერთობ ცოტა მოიძებნება ისეთი, რომლის ქებითაც ასე ვიამაყებდიო“. თვით დიკენსმა „პიკვიგის კლუბის“ საშობაო სცენებში განიცადა ირვინგის „მოთხრობათა წიგნის“ გავლენა, ხოლო პუშკინმა თავისი „მეფის მძინარე ასული“ „ალჰამრადან“ ამოღებულ სიუჟეტის მიხედვით შესთხზა. ბევრი სხვა მწერალიც დიდად არის დავალებული ირვინგისაგან.

წინამდებარე მოთხრობა ამოღებულია „მოთხრობათა წიგნიდან“ და ერთერთ საუკეთესო მოთხრობად ითვლება არა მარტო ამერიკულ, არამედ საერთოდ ინგლისურ ლიტერატურაშიაც. იშვიათია ინგლისური ქრესტომათია ან პატარა მოთხრობათა კრებული, რომ ეს მოთხრობაც შიგ არ იყოს შეტანილი. თხრობის სისადავე და ძალდაუტანებლობა, მარად განუყრელი მსუბუქი ჰუმორი და ორიოდე შტრიხით გმირის ხასიათის გამოკვეთის უნარი, ფრიად საყურადღებოდ ხდის მას.

მთარგმნელი.

---

[1] „გმირთა წიგნი“ — შუასაუკუნეთა გმირებზე გერმანული რომანების კრებული.

ცა სხვები თავიანთ მშვენიერებას ამქვეყნიურ ბრწყინვალებაში ფლანგავდნენ და მოსაგლეჯად და გადასაგდებად ყველა ხელისათვის მისაწვდომნი იყვნენ, ის მშვიდად ყვაოდა ნორჩ და ტურფა ქალწულობაში ამ უმწიკვლო შინაბერათა მფარველობის ქვეშ, როგორც მცველ ეკალთა შორის გაფურჩქვნილი ვარდის კოკორი. მამიდები სიამაყით და ზეიმით შეჰყურებდნენ [illegible] და ტრაბახობდნენ, მთელი ქვეყნის ყმაწვილი ქალები რომ შესცდნენ, მაღლობა უფალს, კატცენელენბოგენთა მემკვიდრეს ამგვარი არაფერი დაემართებაო.

მაგრამ რა ცოტა შვილებიც არ უნდა ჰყოლოდა ბარონ ფონ ლანდსჰორტს, მისი ჯალაბი მაინც არ იყო მცირერიცხოვანი, რადგან განგებას უხვად დაეჯილდოვებინა იგი ღარიბი ნათესავებით. ყველა ისინი ერთობ მოყვარული ბუნებისა იყვნენ, როგორც საწყალ ნათესავებსა სჩვევიათ; საოცრად უყვარდათ ბარონი და ყველა ხელსაყრელი საბაბით სარგებლობდნენ, რათა გუნდ-გუნდად სტუმრებოდნენ და ციხე-დარბაზი გამოეცოცხლებინათ. ყოველ საგვარეულო დღესასწაულს ბარონის ხარჯით იხდიდა ეს კეთილი ხალხი და როცა შექეიფიანდებოდნენ, აღიარებდნენ, დედამიწის ზურგზე ამ ნათესაური ლხინისა და ამ გულითადი ზეიმის მსგავსი არაფერიაო.

ბარონი თუმცა ტანად ჩია კაცი იყო, სული დიდი ჰქონდა და ნეტარებისგან თავბრუ ესხმოდა, როცა ხედავდა, თუ რა უდიდესი კაცი იყო იგი თავის პატარა სამყაროში. უყვარდა იმ განსვენებულ ძველ მეომართა გრძელი ამბების მოყოლა, რომელთა სურათებიც პირქუშად გადმოიყურებოდნენ გარშემო კედლებიდან და ისეთ უებრო მსმენელთაც ვერსად პოულობდა, როგორც მისი თანამოინახენი იყვნენ. ძლიერ სწამდა სასწაულები და მტკიცედ სჯეროდა ყველა ზებუნებრივი ამბავი, რომლითაც სავსეა გერმანიის ყველა მთა და ხეობა. მისი სტუმრების რწმენა კი თვით მის რწმენასაც აღემატებოდა. ისინი თვალებდაჭყეტილი და პირდაღებული უგდებდნენ ყურს. ყოველ საოცარ ამბავს და აროდეს ავიწყდებოდათ განცვიფრება, მეასეჯერაც რომ მოესმინათ. ასე ცხოვრობდა ბარონ ფონ ლანდსჰორტი, თავის სუფრის წინასწარმეტყველი, პატარა სამფლობელოს თვითმპყრობელი ხელმწიფე და ყოველივე სხვას გარდა, ბედნიერი იმით, რომ დარწმუნებული იყო, ამდროის უბრძნესი კაცი ვარო.

იმ დროს, რომელსაც ეხება ჩემი მოთხრობა, ნათესავთა დიდი თავყრილობა იყო ციხე-დარბაზში უდიდესი მნიშვნელობის საქმისათვის, — ეს საქმე იყო ბარონის ასულის დანიშნულის დახვედრა. ბარონმა და ერთმა მოხუცმა ბავარელმა აზნაურმა მოილაპარაკეს, რომ შვილების დაქორწინებით შეეერთებინათ თავიანთ გვართა ღირსებანი. წინასწარი მოსამზადებელი საქმეები შესაფერი გულმოდგინებით აღასრულეს, ყმაწვილი ქალ-ვაჟი ერთმანეთის უნახავად დანიშნეს და დროც დასთქვეს ქორწილისათვის. ახალგაზრდა გრაფი ფონ ალტენბურგი ამ განზრახვით ლაშქრიდან გამოიწვიეს და ახლა ბარონის ციხე-დარბაზისაკენ მოემართებოდა პატარძლის წასაყვანად. ბარათიც კი მიიღეს ვიურცბურგიდან, სადაც ის შემთხვევით შეყოვნებულიყო, იტყობინებოდა მოსვლის დღესა და საათს.

ციხე-დარბაზში მზადების აურზაური იდგა სასიძოს ღირსეულად შესახვედრად. მშვენიერი სასძლო უჩვეულო მზრუნველობით მოჰკაზმეს. მამიდები დასტრიალებდნენ თავს მორთვის დროს და მთელ დილას დავობდნენ მისი ჩაცმულობის ყოველი ნაწილისათვის. ყმაწვილმა ქალმა ისარგებლა

მათი უთანხმოებით და მიენდო საკუთარ გემოვნებას, რომელიც, საბედნიეროდ, კარგიც ჰქონდა. იგი ისე ტურფად გამოიყურებოდა, რომ ჭაბუკი სასიძო უკეთესს ვერ ინატრებდა. ლოდინის მღელვარებამ კიდევ უფრო განადიდა მისი სილამაზის ბრწყინვალება.

პირისახისა და ყელის შეფაკლება, მკერდის მსუბუქი რხევა, წამდაუწუმ თვალთა ოცნებით დაბინდვა, — ყველაფერი ამჟღავნებდა მისი პატარა გულის ნაზ ღელვას. მამიდები განუწყვეტლივ დაჰფარფატებდნენ თავს, რადგან გაუთხოვარ მამიდებს, ერთობ უყვართ ასეთს საქმეში მონაწილეობა. ისინი ურიცხვ საჭირო რჩევას აძლევდნენ, თუ როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა და რანაირად მიეღო მომავალი რჩეული.

ბარონიც არანაკლებ იყო გართული მზადებაში. მას ნამდვილად არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, მაგრამ ბუნებით ფიცხი და მოუსვენარი კაცი იყო და არ შეეძლო უმოქმედოდ დარჩენა, როცა ყველა ფაციფუცში იყო. უზომოდ აღელვებული დარბოდა ციხე-დარბაზის ყოველ კუთხეში, წამდაუწუმ აცდენდა მსახურთ მუშაობას, რათა შეეგონებინა მათთვის გულმოდგინეობა და დაბზუოდა ყოველ დარბაზსა და პალატში, როგორც უსაქმო, მოუსვენარი და აბეზარი ბუზი დაფრინავს გაზაფხულის თბილ დღეს.

ამასობაში გასუქებული ხბო დაჰკლეს. ტყე გუგუნებდა მონადირეთა ღრიანცელით. სამზარეულო სავსე იყო ჩინებული სასმელ-საჭმელით; სარდაფებში ზღვასავით მიედინებოდა რაინისა და ფერნეს ღვინო; და თვით დიდ ჰაიდელბერგულ კასრსაც[1] კი დასაქმეს. ყველაფერი მზად იყო რჩეული სტუმრის მისაღებად, mit Saus und Braus-ით,[2] როგორც გერმანული სტუმარმასპინძლობის ჭეშმარიტ სულს შეეფერება, — ოღონდ სტუმარი აყოვნებდა გამოჩენას. საათი საათს მისდევდა. მზე აქამდე რომ შვეულად აფრქვევდა სხივებს ოდენვალდის ხშირ ტყეებს, ახლა მხოლოდ ბეუტავდა მთის მწვერვალების გასწვრივ. ბარონი ასულიყო ყველაზე მაღალ კოშკზე და დაიმედებული აცეცებდა თვალს, ეგებ შორს სადმე მოვკრა თვალი გრაფსა და მის ამალასაო. ერთხელ ეგონა, კიდეც დავინახეო; ხეობიდან მოისმა ბუკის ხმა, მთების გამოძახილებით გაგრძელებული.

შორს ქვევით გზაზე გამოჩნდა ნელა მომავალი რამდენიმე ცხენოსანი, მაგრამ თითქმის მთის ძირად რომ მივიდნენ, ანაზდად სხვა მხარეს გადაუხვიეს. მზის უკანასკნელი სხივი მისწყდა; ღამურებმაც ფრენა დაიწყეს ბინდბუნდში; გზა ნელ-ნელა უჩინარდებოდა თვალისათვის. არაფერი იძროდა გზაში, ოღონდ ხანდახან თუ გამოჩნდებოდა ყანიდან შინმიმავალი შემოგვიანებული გლეხი.

ლანდსჰორტის ძველი ციხე-დარბაზი რომ ამ ალიაქოთში იყო, ერთობ საყურადღებო ამბავი ხდებოდა ოდენვალდის სხვა მხარეს.

ახალგაზრდა გრაფ ფონ ალტენბურგი არხეინად განაგრძობდა გზას იმ აუჩქარებელი, წყნარი ჩორთით, რომლითაც საქორწილოდ მიემგზავრებიან როცა მოკეთეებმა თავიდან ააცილეს მიჯნურობის ყოველი ტანჯვა და გაურკვევლობა და საპატარძლო ისევე უეჭველად ელოდა, როგორც მგზავრობის შემდეგ სადილი. ვიურცბურგში ის გადაეყარა ერთ თავის ჭაბუკ

---

[1] ჰაიდელბერგული დიდი კასრი — გასაოცრად დიდი კასრი, რომელში 200.000-ზე მეტი ლიტრა ჩადის, ინახება ჰაიდელბერგის ციხე-დარბაზის სარდაფში.

[2] mit Saus und Braus-ით—ხმაურით და გრგვინვით, ე. ი. ბრწყინვალედ, დიდებულად, მხიარულად.

თანამოლაშქრეს ჰერმან ფონ შტარკენფაუსტს[1], რომელთანაც ერთხანს საზღვარზე ემსახურნა. ეს რაინდი, გერმანიის რაინდობის ერთერთი ყველაზე გამოჩენილი ვაჟკაცი და გრაფის გულითადი მეგობარი, ახლა ლაშქრიდან ბრუნდებოდა. მამამისის ციხე-დარბაზი ლანდსჰორტის ძველი ციხიდან შორს არ იყო, თუმცა შთამომავლობითმა შუღლმა ეს ოჯახები მტრებად დაერიცა მანეთისადმი უცხოებად აქცია.

გულთბილი გამოცნაურების დროს ყმაწვილმა მეგობრებმა ერთმანეთს უამბეს ყველა თავისი წარსული თავგადასავალი და ბედ-იღბალი, და გრაფი მოუყვა თავისი მომავალი ქორწილის მთელ ამბავს ნორჩ ქალწულთან, რომელიც აროდეს ენახა, მაგრამ რომლის სიტურფის მეტად მომაჯადოვებელი აღწერილობა მოესმინა.

რადგან მეგობრებს ერთი გზა ჰქონდათ, გადასწყვიტეს, დარჩენილი მანძილი ერთად გაევლოთ. და რათა უფრო ნებიერად ემგზავრნათ, ვიურცბურგიდან დილაადრიან გავიდნენ, მხლებელთ კი გრაფმა უბრძანა — შემდეგ დაგვწიენითო.

მათ გზა შეიმოკლეს საომარი საქმეებისა და თავგადასავლის მოგონებით, მაგრამ გრაფმა, ცოტა არ იყოს, თავი შეაწყინა თანამგზავრს საცოლის სახელგანთქმული სიმშვენიერისა და იმ ბედნიერების წამდაუწუმ ხსენებით, რომელიც ელოდა.

ამ ყოფით შევიდნენ ოდენვალდის მთებში და მიუყვებოდნენ გზას, ერთერთ ყველაზე უდაბურ და ტყით დაბურულ ხეობაში. კარგად ცნობილია, რომ გერმანიის ტყეები ყოველთვის ისევე სავსე იყო ავაზაკებით, როგორც გერმანიის ციხე-დარბაზები — ავი სულებით. ამ დროს კი, პირველნი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყვნენ, ჯარიდან განთავისუფლებულ მოხეტიალე ჯარისკაცთა ბრბოების წყალობით. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ტევრში რაინდებს თავს დაესხა ამ მაწანწალათა გუნდი. მამაცად იცავდნენ თავს, მაგრამ ის-ის იყო იძლიენ, როცა გრაფის მხლებლებმა მოუსწრეს საშველად. მათ დანახვაზე ავაზაკები გაიქცნენ, მაგრამ ვიდრე გაიქცეოდნენ, მაინც მოასწრეს გრაფის სასიკვდილოდ დაჭრა. ის ნელა და ფრთხილად გადაასვენეს უკან ქალაქ ვიურცბურგს და ახლო მონასტრიდან მოიწვიეს ბერი, რომელიც სახელგანთქმული იყო სულისა და ხორცის განკურნების ხელოვნებით. მაგრამ მისი ხელოვნების ერთი ნახევარი უკვე ამაო აღმოჩნდა, — საბრალო გრაფის წუთები დათვლილი იყო.

სულთმობრძავი შეევედრა მეგობარს, დაუყოვნებლივ გაეშურე ლანდსჰორტის ციხე-დარბაზს და აუხსენი ჩემ საცოლეს, დანიშნულ დროს მიუსვლელობის საბედისწერო მიზეზი. თუმცა გრაფი დიდად გულფიცხი მიჯნური არ ყოფილა, მაგრამ ერთ-ერთი უბეჯითესი კაცი კი იყო და ძლიერ გულმხურვალედ ევედრებოდა მისი დავალება ხანდაუზმელად და ზრდილობიანად აღსრულებულიყო. „ვიდრე ეს არ შესრულდება“, სთქვა მან, „ვერ მოვისვენებ მშვიდად ჩემ სამარეში“. ეს უკანასკნელი სიტყვები განსაკუთრებით საზეიმო კილოთი წარმოსთქვა. ასეთ მძიმე დროს წარმოთქმულ მუდარაას უარი არ ეთქმოდა. შტარკენფაუსტმა სცადა მისი დამშვიდება; შეჰპირდა, შენს სურვილს ერთგულად შევასრულებო და საზეიმო აღთქმის ნიშნად ხელი ჩამოართვა. მომაკვდავმა მადლობით მოუჭირა ხელს, მაგრამ მალე თავ-

[1] შტარკენფაუსტი — გერმანულად მაგარ მუშტს ნიშნავს.

დავიწყებაში ჩავარდა და ბოდვა დაიწყო. ახსენებდა საცოლეს, ნიშნობას, აღთქმული სიტყვის დარღვევას. ბრძანა, ცხენი მომგვარეთ, ლანდაბორტის ციხე-დარბაზისაკენ უნდა გავემგზავროო, და სული განუტევა სწორედ იმ წარმოდგენით, თითქოს ცხენზე ვჯდებიო.

შტარკენფაუსტმა ამოიოხრა და ამხანაგის უდროოდ დალუპვისათვის თვალთაგან მხედრული ცრემლი მოიწურა; მერმე კი ღრმად ჩაუფიქრდა ნაკისრ საჩოთირო მინდობილობას. გული დამძიმებული ჰქონდა და გონება ამღვრეული, რადგან დაუპატიჟებელ სტუმრად უნდა მისულიყო მტრებში და ჩაეშალა ზეიმი, მათი იმედებისათვის საბედისწერო ამბის მიტანით. გარდა ამისა, ცნობისმოყვარეობა ჩასჩურჩულებდა, ენახნა კატცენელენბოგენთა სახელგანთქმული მზეთუნახავი, რომელსაც ასე გულმოდგინედ იცავდნენ გარეშე თვალისაგან; რადგან თავათ, მშვენიერი სქესის დიდი თაყვანისმცემელი იყო და ბუნების ახირებულობა და გამბედაობაც ხელს უწყობდა, ყველა უცნაური თავგადასავლისადმი მის სიყვარულს.

გამგზავრებამდე, მეგობრის დაკრძალვის წესრიგისათვის საჭირო ყველა საქმე ვაარიგა მონასტრის წმიდა ძმობასთან, რადგან გრაფი ვიურცბურგის საკათედრო ტაძარში უნდა დაესაფლავებინათ ზოგ მის ბრწყინვალე ნათესავის გვერდით. მერე გრაფის მგლოვიარე მხლებლებმა თავს იდეს მისი ნეშტისათვის ზრუნვა.

დროა დავუბრუნდეთ კატცენელენბოგენთა ძველ ოჯახს, რომელიც მოუთმენლად ელოდა სტუმარს და კიდევ უფრო მოუთმენლად — ნადიმს და ძველ პატარა ბარონს, საგუშაგოზე მყოფი რომ დავტოვეთ.

ჩამოღამდა, სტუმარი კი არსად სჩანდა. იმედდაკარგული ბარონი კოშკიდან ჩამოვიდა. საათობით გადადებული პურისჭამის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ხორცეული უკვე დაიწვა. მზარეული სასოწარკვეთილი იყო და მთელი ჯალაბობა შიმშილისაგან იძულებით დანებებულ მეციხოვნე ჯარსა ჰგავდა. ბარონი იძულებული გახდა, უხალისოდ ებრძანებინა, რომ უსტუმროდ დამსხდარიყვნენ. ყველა სუფრას უჯდა და სწორედ სმა-ჭამისათვის ხელის მიყოფას ეპირებოდნენ, რომ ციხის კარიბჭის იქით ბუკის ხმა გაისმა და ამით უცხოს მოსვლა აუწყა. ბუკის მეორე გაგრძელებულმა ხმამ გამოძახილებით აავსო ციხე-დარბაზის ძველი ეზოები და გალავნიდან ებგურიც გამოეპასუხა. ბარონი გაეშურა სასიძოს შესახვედრად.

ასაწევი ხიდი დაეშვათ და ალაყაფის წინ იდგა უცნობი. ის იყო მაღალი, შავ ტაიჭზე ამხედრებული, მოხდენილი რაინდი. სახე გაფერმკრთალებოდა, მაგრამ სხივოსანი, მიმზიდველი თვალები ჰქონდა და მის გარეგნობას ღრმა კაეშანი ეჩნდა. ბარონი ცოტა შეწუხდა, სასიძო ასე უბრალოდ მარტო რომ მოვიდა. მან ერთ წუთს შეურაცყოფილადაც იგრძნო თავი და მზად იყო მიეჩნია, რომ სასიძო სათანადო ყურადღებით არ ეპყრობოდა ამ ღირსშესანიშნავ საქმეს და ღირსეულ ოჯახს, რომელთანაც დანათესავებას ეპირებოდა. მაგრამ გული დაიმშვიდა ვარაუდით, ალბათ ჭაბუკურმა მოუთმენლობამ თუ აიძულა, რომ გამოესწრო თავის მხლებლებისათვისაო.

„ვწუხვარ“, სთქვა უცნობმა, „რომ ასეთ უდროო დროს შემოგეჭერით...“

აქ ბარონმა შეაწყვეტინა ათასი ქათინაურითა და სალამით, რადგან, მართალი მოგახსენოთ, მას თავი მოჰქონდა თავაზიანობითა და მჭერმეტყველობით. უცნობმა ერთი-ორჯერ სცადა შეეკავებინა სიტყვების ნიაღვარი, მაგრამ ამაოდ; ამიტომ მოიდრიკა ქედი და ხელი აღარ შეუშლია მისი მდინა-

რებისათვის. ბარონმა რომ შეისვენა, უკვე ციხე-დარბაზის შიგნითა ეზოს მიაღწიეს. უცნობმა კვლავ დააპირა ხმის ამოღება, მაგრამ იძულებული გახდა ერთხელ კიდევ შეჩერებულიყო, რადგან გამოჩნდა ოჯახის დედათა აქესი, რომელსაც შემკრთალი და ალეწილი საპატარძლო მოჰყავდა. რაინდი ერთხანს მოჯადოებულივით უცქეროდა ქალწულს, თითქოს [illegible] სული მის გამოხედვაში ჩაქსოვილიყო და ისვენებდა ამ ტურფა ნაკვთებზე. ერთმა შინაბერა მამიდამ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ქალმა სცადა ხმის ამოღება; ჟუჟუნა ცისფერი თვალები რიდით მიაპყრო უცნობს, მორცხვად შეავლო ცნობისმოყვარეობით და კვლავ ძირს დახარა. სიტყვა პირს შეაკვდა, მაგრამ ბაგეზე კი ტკბილი ღიმილი აუთამაშდა და ღაწვებზე ნაზი ღრმულები გაუჩნდა; ჩანდა, თვალის შევლებით უკმაყოფილო არ დარჩა. შეუძლებელიც იყო, რომ ტრფობისა და ქორწინების ფრიად მოსურნე თვრამეტი წლის ასაკსრულ ქალწულს არ მოსწონებოდა ასე მოხდენილი ვაჟკაცი.

სტუმრის მოსვლის გვიანი ჟამი დროს აღარ სტოვებდა ლაპარაკისათვის. ბარონმა მტკიცედ ბრძანა, ყოველგვარი ახსნა-განმარტება დილამდე გადაედოთ და ხელუხლებელ სუფრისაკენ გაუძღვა.

სუფრა ციხის დიდ დარბაზში იყო გაშლილი. კედლებზე ეკიდა კატცენელენბოგენთა სახლის გმირთა ულაზათო სურათები და ნადავლი, რომელიც მათ ბრძოლის ველზე და ნადირობაში მოეპოვებინათ. დაჩეხილი სამკერდულები, დამსხვრეული საასპარეზო შუბები და დაფლეთილი დროშები არეული იყო ნანადირევში. მგლის ყბები და ტახის ეშვები შემაძრწუნებლად ელჭინებოდა მშვილდებსა და საომარ ნაჯახებს შორის და ირმის ერთ წყვილ ვეება რქას სწორედ ჭაბუკ ნეფის თავზე გაეშალა ტოტები.

რაინდი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მონადიმეებსა და ნადიმს. თითქმის პირიც არ დაუკარებია საჭმლისათვის; ეტყობოდა თავის დედოფლის აღფრთოვანებული ჭვრეტით იყო გატაცებული, ხმადაბლა ლაპარაკობდა, რომ ყური არავის მოეკრა, რადგან სიყვარულის ენა მარად ხმადაბალია, მაგრამ განა მოიპოვება დიაცის ისეთი ყური, სატრფოს უმსუბუქესი ჩურჩულიც რომ ვერ გაიგონოს? მის ქცევაში არეული იყო სინაზე და პირქუშობა, რომელიც ჩანდა, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ქალწულზე. ქალი ღრმა გულისყურით უსმენდა და ფერი მისდი-მოსდიოდა. სახეალეწილი ქალწული ხანდახან რამესაც უპასუხებდა და როცა კი რაინდი სხვა მხარეს მიაბრუნებდა თავს, გვერდიდან პარვით შეავლებდა თვალს მის მოხდენილ აღნაგობას და ბედნიერებისაგან დამტკბარი წყნარად ამოიოხრებდა. აშკარა იყო, ახალგაზრდები მთლად მოხიბლულნი იყვნენ ერთმანეთით. მამიდებმა, რომელთაც გულის საიდუმლოებანი კარგად იცოდნენ, განაცხადეს: პირველ შეხედვაზე შეუყვარდათ ერთმანეთი.

ლხინი გრძელდებოდა მხიარულად, ან ხმაურით მაინც, რადგან ყველა სტუმარი დაჯილდოვებული იყო იმ ჩინებული მადით, რომელიც თან ახლავს მსუბუქ ქისასა და მთის ჰაერს. ბარონი ამბობდა თავის საუკეთესო ყველაზე გრძელ ამბებს და აროდეს უამბნია ისე კარგად, ან ოდესმე ასე დიდი შთაბეჭდილება რომ მოეხდინოს. თუ რაიმე საოცარი იყო, მსმენელნი სრულიად გაოგნდებოდნენ, და თუ რაიმე სახუმარო იყო, ბეჯითად, სწორედ თავის დროზე გაიცინებდნენ. მართალია, ბარონი, როგორც ყველა დიდი კაცი, ერთობ გამოჩენილი ვინმე ბრძანდებოდა იმისათვის, რომ მისი პირი-

დან უკბილო ხუმრობის გარდა სხვა რამ ამოსულიყო, მაგრამ ამას ყოველთვის ზურგს უმაგრებდა მშვენიერ ჰონჰაიმურით პირთამდე აღვსილი თასი. და საკუთარ სუფრაზე ნათქვამი თვით უკბილო ხუმრობაც უებრო, თუ ფუცხუნა, ძველი ღვინოც თან ახლავს. ბევრი კარგი რამ ითქვა უფრო ლატაკ და უფრო მახვილგონიერთაგან, რომელთა განმეორება მხოლოდ მსგავსსავე შემთხვევაში თუ შეიძლება. ბევრი ქათინაური ჩასჩურჩულეს ყურში მანდილოსნებს და შეკავებული სიცილის გამო თითქმის კრუნჩხვები დამართეს მათ. ერთი-ორი სიმღერაც დაიღრიალა ბარონის ღარიბმა, მაგრამ მხიარულმა, ფართესახიანმა ნათესავმა და ამით შინაბერა მამიდები პირდაპირ აიძულა, მარაოები აეფარებინათ სახეზე.

ამ ლხინში უცხო სტუმარი ერთობ უცნაურ და ამ დროისთვის შეუფერებელ მჭმუნვარებას ინარჩუნებდა. რაც უფრო ღამდებოდა, მის სახეს მით უფრო და უფრო დაეტყო სევდა. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ თვით ბარონის ოხუნჯობაც კი თითქოს მხოლოდ აღრმავებდა მის კაეშანს. ხან ფიქრში იყო წასული, ხან კი შეშფოთებული და ამღვრეული თვალს აცეცებდა აქეთ-იქით და ამით სულის ბორგვას ამჟღავნებდა. მისი ბაასი სადედოფლოსთან უფრო და უფრო დინჯი და უცნაური გახდა. ჭმუნვის ღრუბელი შეეპარა ქალის ტურფა, მშვიდ შუბლს და მისი ნაზი სხეული ათრთოლდა.

ყველა ეს არ შეიძლება გამოჰპარვოდა მონადიმეთა ყურადღებას. მათი მხიარულება დაჩრდილა სასიძოს გაუგებარმა დაღვრემილობამ. ეს მათაც გადაედოთ. ატყდა ჩურჩული და გადახედვ-გადმოხედვა, თან მხრებს იჩეჩავდნენ და ეჭვით აქნევდნენ თავს. მღერა და სიცილი უფრო და უფრო შემცირდა. ბაასში გაჩნდა მოსაწყენი პაუზები, რომელიც ბოლოს ზღაპრულმა ამბებმა და ზებუნებრივმა თქმულებებმა დასძლია. ერთმა დამაღონებელმა ამბავმა მეორე—კიდევ უფრო დამაღონებელი, გამოიწვია; და ბარონმა შიშისაგან კინაღამ გულს შემოჰყარა ზოგ მანდილოსანს იმ ამბით, ცხენოსანმა ავმა სულმა მშვენიერი ლენორა რომ მოიტაცა; — შემაძრწუნებელი, მაგრამ ჭეშმარიტი ამბავი, რომელიც შემდეგ ჩინებულ ლექსად გამოსთქვეს და მთელი ქვეყანა კითხულობს და სჯერა[1].

სასიძო დიდი გულმოდგინეობით უგდებდა ყურს ამ მოთხრობას. თვალები გაშტერებით მიეპყრო ბარონისათვის, და როცა მოთხრობა დასასრულს მიუახლოვდა, ნელნელა წამოიწია სკამიდან და ამაღლდა და ამაღლდა, ვიდრე ბარონის მოჯადოებულ თვალს თითქმის ბუმბერაზად არ ეჩვენა. როგორც კი თხრობა დამთავრდა, ღრმად ამოიხვნეშა და საზეიმოდ გამოესალმა იქ მყოფთ. ყველა განცვიფრდა. ბარონი სწორედ მეხნაკრავივით შეიქმნა.

„როგორ! წასვლა ციხე-დარბაზიდან ამ შუაღამეს? რატომ, ყველაფერი ხომ მზად იყო მის გასამასპინძლებლად, პალატი მზად იყო, თუ მოსვენება ნებავდა“.

უცნობმა ნაღვლიანად და უცნაურად გაიქნია თავი: „მე სხვაგვარ პალატში უნდა დავივანო ამაღამ!“

რაღაც იყო ამ პასუხსა და მისი გამოთქმის კილოში ისეთი, რაც ბარონის

---

[1] ლაპარაკია გერმანელი პოეტის ბურგერის ცნობილ ბალადა „ლენორაზე“.

გულმა ავისმომასწავებლად შეიცნო; მაგრამ მოიკრიბა ძალღონე და განიშეორა თავისი სტუმართმოყვარული თხოვნა.

უცნობი მდუმარედ, მაგრამ ბეჯითად იქნევდა თავს ყოველ შეთავაზებაზე. გამოესალმა იქ მყოფთ და ნელი, ამაყი ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან. შინაბერა მამიდები სრულიად გაქვავდნენ; სადედოფლომ თავი [illegible] ძალაუნებურად თვალს ცრემლი მოადგა.

ბარონი გაჰყვა უცნობს ციხე-დარბაზის დიდ ეზოში, სადაც შავი ტაიჭი ტორსა სცემდა მიწას და მოუთმენლად ფრთქვინავდა. როცა მიაღწიეს კარიბჭეს, რომლის ღრმა თაღიან გასასვლელს ბუნდად ანათებდა სანათი, უცნობი შესდგა და მიმართა ბარონს ყრუ ხმით, რომელიც თაღიანმა სახურავმა კიდევ უფრო სამარისებურად გამოსცა.

„მარტო რომ დავრჩით“, უთხრა მან, „ახლა მოგახსენებთ ჩემი წასვლის მიზეზს. საზეიმო და აუცილებლად აღსასრულებელი პირობა მაქვს“...

„მერე რა“, შესძახა ბარონმა, „ნუთუ არ შეგიძლიათ თქვენ მაგიერ სხვა ვინმე გაჰგზავნოთ!“

„სხვის გაგზავნა შეუძლებელია... პირადად მე უნდა ვიყო... მე უნდა წავიდე ვიურცბურგს, კათედრალში“.

„დიაღ“, მოიკრიბა გამბედაობა ბარონმა, „მაგრამ არა ხვალამდე... ხვალ იქ თქვენს დედოფალსაც წაიყვანთ“.

„არა! არა!“ მიუგო უცნობმა გაათკეცებული საზეიმო კილოთი, „ჩემი პირობა სადედოფლოსთან არ არის... ჩემი პირობა მატლებთანაა! მატლები მელოდებიან! მე მკვდარი კაცი ვარ... ავაზაკებმა მომკლეს... ჩემი სხეული ვიურცბურგს არის... შუაღამისას უნდა დამკრძალონ... მე სამარე მელის... პირობა უნდა შევასრულო!“

მოახტა შავ ტაიჭს, გაიქროლა ასაწევ ხიდზე და მისი ცხენის თქარათქური ღამეული ქარის სტვენაში შთაინთქა.

ბარონი თავზარდაცემული მობრუნდა დარბაზში და ყველას უამბო, რაც მოხდა. ორ მანდილოსანს მაშინვე გულს შემოეყარა; სხვებმა ცუდად იგრძვნეს თავი იმის გაფიქრებით, რომ აჩრდილთან ერთად ინადიმეს. ზოგის აზრით ეს, შესაძლოა, გერმანული თქმულების სახელგანთქმული ველური მხედარი იყო. ზოგი ახსენებდა მთის სულებს, ალებს და სხვა ზებუნებრივ ქმნილებებს, რომლითაც უხსოვარ დროიდან ასე შეღონებული იყო გერმანელი კეთილი ხალხი.

ერთმა ღარიბმა ნათესავმა სცადა შთაეგონებინა მსმენელთათვის: შესაძლოა, ეს ყმაწვილი რაინდის რაიმე ოინია და სწორედ განზრახვის სიბნელეც შეესაბამება ასეთ პირქუშ კაცსაო. მაინც მთელი კრებულის გულისწყრომა გამოიწვია, განსაკუთრებით კი აღშფოთდა ბარონი, რომელმაც ისე შეხედა მას, თითქოს ურჯულო ყოფილიყოს, ასე, რომ მთქმელი მზად იყო, რაც კი შეეძლო, სწრაფად აღმოეფხვრა თავის მწვალებლობა და ჭეშმარიტ მორწმუნეთა რწმენა მიეღო.

მაგრამ ყოველ დარჩენილ ეჭვს სრულიად მოუღო ბოლო მეორე დღეს მოსულმა ნამდვილმა ამბავმა, რომელიც ადასტურებდა ახალგაზრდა გრაფის სიკვდილს და მის დაკრძალვას ვიურცბურგის კათედრალში.

ადვილი წარმოსადგენია ციხე-დარბაზის შეძრწუნება და მწუხარება. ბარონი ოთახში ჩაიკეტა. სტუმრებს, რომელნიც მის მოსალხენად მოვიდნენ, არც კი შეეძლოთ ეფიქრნათ გასაჭირში მისი მარტოდ დატოვება. ისინი

მიდი-მოდიოდნენ ეზოებში, ან დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილნი აქნევდნენ თავს და იჩეჩდნენ მხრებს, ასე კარგ კაცს რომ ასეთი მწუხარება ხვდა წილად; და ჩვეულებრივზე უფრო მეტ ხანს ისხდნენ სუფრაზე და სჭამდნენ და სვამდნენ · უფრო გულიანად, რათა მხნეობა [illegible]ათ. მაგრამ დაქვრივებული სასძლოს მდგომარეობა ყველაზე [illegible] ... კარგა ქმარი, ვიდრე მის გულში ჩაკვრას მოასწრებდა... და როგორი ქმარი! თუ მხოლოდ აჩრდილი ასე მოხდენილი და კეთილშობილი იყო, რაღა იქნებოდა ცოცხალი? და ქალი ბწარედ ჰგოდებდა.

დაქვრივების მეორე ღამეს, ქალი თავის ოთახში წავიდა ერთ-ერთი მამიდის თანხლებით, რომელმაც მასთან დაწოლა დაიჟინა. ეს მამიდა, აჩრდილთა ამბების ერთ-ერთ საუკეთესო მთხრობლად ითვლებოდა მთელს გერმანიაში, ახლა ერთ თავის ყველაზე გრძელ ამბავს უამბობდა და სწორედ მოთხრობის შუაადგილას ჩაეძინა. ოთახი მოშორებით იყო და პატარა ბაღს გადაჰყურებდა. ძმისწული იწვა და ჩაფიქრებული უყურებდა ამომავალ მთვარის შუქს, სარკმლის წინ ვერხვის ფოთლებზე რომ თრთოდა. ციხე-დარბაზის საათმა სწორედ შუაღამისა დარეკა, რომ ბაღიდან მუსიკის მსუბუქი ჰანგი შემოიპარა. ქალი სასწრაფოდ წამოიჭრა საწოლიდან და ფეხაკრეფით მივიდა სარკმელთან. ხეების ჩრდილში მაღალი კაცი იდგა. როცა თავი ასწია, მთვარის შუქი დაეცა სახეს. და... ო, სასწაულო! ქალმა იცნო საქმროს აჩრდილი! ამ დროს ხმამაღალი კივილი გაისმა მის ყურთან და მამიდამისი, რომელიც ქნარის ხმას გაეღვიძებინა და ჩუმად მოჰყოლოდა ძმისწულს სარკმელამდე, ხელებში ჩაუვარდა. კვლავ რომ გაიხედა, აჩრდილი გამქრალიყო.

ორი მანდილოსნისაგან, ახლა მამიდა უფრო მოითხოვდა ნუგეშისცემას, რადგან შიშით სრულიად გაოგნდა. რაც შეეხება ყმაწვილ ქალს, თვით სატრფოს აჩრდილშიც კი ისეთი რამ იყო მისთვის, რაც ძვირფასად ეჩვენებოდა. ვაჟკაცური მშვენების იერი კიდევ შერჩენოდა და თუმცა კაცის აჩრდილი ნაკლებად არის გათვალისწინებული ტრფობით სნეული ქალწულის გრძნობათა დასაკმაყოფილებლად, მაინც, ხორცშესხმული არსება რომ არსად არის, თვით ესეც მანუგეშებელია. მამიდამ განაცხადა, ამ ოთახში აღარ დავწვებიო; ძმისწულმა ერთხელ გამოიჩინა სიჯიუტე და ასევე მტკიცედ განაცხადა, ციხე-დარბაზის არც ერთ სხვა ოთახში არ დავწვებიო. ამის შედეგი ის იყო, რომ ძმისწული მარტო უნდა დარჩენილიყო, ოღონდ მამიდას პირობა ჩამოართვა, არავის უთხრა აჩრდილის ამბავი, თორემ წამერთმევა ამ ქვეყნად ჩემთვის დარჩენილი ერთადერთი სევდიანი სიამოვნება—ვიცხოვრო იმ ოთახში, რომელსაც ღამღამობით ჩემი სატრფოს მცველი აჩრდილი დასტრიალებს თავსაო.

რამდენ ხანს დაიცავდა ამ პირობას კეთილი მოხუცი, ძნელი სათქმელია, რადგან ერთობ უყვარდა საოცრებათა მოყოლა და ხომ დიდებით შეიმოსება ის, ვინც პირველი იტყვის შემაძრწუნებელ ამბავს! მიუხედავად ამისა, იმ არემარეში ჯერ კიდევ იგონებენ, როგორც დიაცისაგან საიდუმლოების დაცვის ღირსსახსოვარ მაგალითს, რომ მთელი ერთი კვირა ინახავდა იმ საიდუმლოს. მაგრამ ყოველი შემდგომი თავშეკავებისაგან ანაზდად იხსნა იგი ერთ დილას საუზმის დროს მოტანილმა ამბავმა, ყმაწვილი ქალი არა სჩანსო. მისი ოთახი ცარიელი იყო... ლოგინს არ ეტყობოდა ნაწოლი... სარკმელი ღია იყო და ჩიტიც გაფრენილიყო.

განცვიფრება და ალიაქოთი, რითაც ეს ცნობა მიიღეს, მხოლოდ იმას შეუძლია წარმოიდგინოს, ვინც მოწმე ყოფილა იმ აღელვებისა, დიდი კაცის უბედურება რომ გამოიწვევს მის მოკეთეებში. თვით ლატაკმა ნათესავებმაც კი ცოტა ხნით შესწყვიტეს სუფრაზე დაუღალავი შრომა, მამიდამ, რომელსაც პირველად ენა ჩაუვარდა, ხელი ხელს შემოჰკრა და შეჰკივლა: „ავი სული! ავი სული! ავმა სულმა მოიტაცა!“

რამდენიმე სიტყვით უამბო ბაღის შემაძრწუნებელი სანახაობა და დაასკვნა, აჩრდილი წაიყვანდა თავის საცოლესაო. ორმა მსახურმა დაადასტურა ეს აზრი, რადგან შუაღამისას ყური მოეკრათ თავდაღმართში ცხენის თქარათქურისათვის და ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს იყო შავტაიჭოსანი აჩრდილი, რომელიც სამარისაკენ მიაქროლებდა ქალს. ყველა იქ მყოფს თავზარი დასცა ამის შემაძრწუნებელმა მოსალოდნელობამ, რადგან, როგორც მრავალი ჭეშმარიტად სარწმუნო ამბავი გვიდასტურებს, ამგვარი რამ ერთობ ხშირია გერმანიაში.

რა სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა საბრალო ბარონი! რა გულის გამგმირავი არჩევანი იყო მოსიყვარულე მამისა და კატცენელენბოგენთა დიდებულა გვარის წევრისათვის! მისი ერთადერთი ასული ან სამარეში იმყოფებოდა, ან სიძედ უნდა ჰყოლოდა ტყის რომელიმე ავი სული და ეგებ ჭინკა შვილიშვილების მთელი ლაშქარი. ბარონი ჩვეულებისამებრ სრულიად გაოგნებული იყო და აურზაური იდგა მთელ ციხე-დარბაზში. კაცებს უბრძანეს, ცხენები შეჰკაზმეთ და ოდენვალდის ყველა გზა, ბილიკი და ხევი დაათვალიერეთო. თვით ბარონმა ის-ის იყო ჩაიცვა ჩექმები, შემოირტყა ხმალი და დააპირა მერანზე შეჯდომა და სახიფათო ძიებისათვის წასვლა, რომ ახალი მოჩვენების გამოჩენამ შეაჩერა. ციხე-დარბაზს უახლოვდებოდა რაინდის თანხლებით, ცხენზე ამხედრებული მანდილოსანი. ქალმა მოაჭენა ცხენი ალაყაფთან, ჩამოხდა, ჩაუვარდა ბარონს ფეხებში და მუხლებზე მოეხვია. ეს იყო მისი დაკარგული ასული და მისი თანამგზავრი კი — სასიძოს აჩრდილი. ბარონი სახტად დარჩა. შეხედა თავის ქალს, მერე აჩრდილს და თითქმის საეჭვოდ ეჩვენა თავის გრძნობათა სისწორე. აჩრდილიც, სულეთის მონახულების შემდეგ, საოცრად დამშვენებულიყო გარეგნობით. ბრწყინვალე იყო მისი ტანსაცმელი და კარგად აჩენდა ვაჟკაცური ნაკვთების კეთილშობილ აღნაგობას. აღარ იყო ფერმკრთალი და მჭმუნვარე. მისი მშვენიერი სახე აყირმიზებულიყო ჭაბუკური ცეცხლით და სიხარული კიაფობდა მის დიდრონ შავ თვალებში.

საიდუმლოება მყისვე გამომჟღავნდა. რაინდი (რადგან ნამდვილად, როგორც თქვენ თვითონაც მიხვდებოდით, ეს არ იყო ბოროტი სული) გაეცნო მათ, როგორც ბატონი ჰერმან ფონ შტარკენფაუსტი. მან უამბო გრაფთან ერთად გადახდილი თავგადასავალი. უთხრა თუ როგორ მოისწრაფოდა ციხე-დარბაზისაკენ არასასიამოვნო ამბის გადმოსაცემად, მაგრამ ბარონის მჭერმეტყველებამ როგორ შეუშალა ხელი ხმის ამოღების ყოველ ცდას. საპატარძლოს ნახვამ როგორ დაატყვევა და რომ მასთან რამდენიმე საათის გატარებისათვის გადასწყვიტა, შეცდომა არ გამოესწორებინა. რა მძიმედ იყო შეჭირვებული, საკადრისად როგორ დავიძვრინო თავიო, ვიდრე ბარონის ამბები ჩააგონებდა მას თავის უცნაურ გამოსავალს. საგვარეულო შუღლის შიშით, პაემანზე ყმაწვილი ქალის სარკმელ ქვეშ ბაღში როგორ მოდიოდა ფარუ-

ლად... ეტრფოდა... მოიგო მისი გული... წაიყვანა ზეიმით და ერთი სიტყვით, კიდეც შეირთო მზეთუნახავი.

სხვა დროს ბარონი შეუდრეკელი იქნებოდა, რადგან მამის უფლების შეუპოვარი დამცველი იყო და ყველა საგვარეულო მტრობის თავგადადებული და უჯიათო მომხრე. უყვარდა თავის ასული, გამოიტანა ძნ. როგორც დაღუპული, გაიხარა, კვლავ ცოცხალი რომ იხილა, და თუმცა მისი ქმარი მტრული გვარისა იყო, მადლობა უფალს, ავი სული ხომ არ ყოფილა! უნდა აღვიაროთ, იყო ისეთი რამ რაინდის ოინში, იმან თავი გარდაცვლილ კაცად რომ შეატყუა, რაც ზედმიწევნით სწორედ არ შეესაბამებოდა ბარონის სასტიკი მართებულების აზრებს, მაგრამ იქ დამსწრე რამდენიმე ძველმა მეგობარმა, რომელნიც ომებში ნაცადნი იყვნენ, დაარწმუნა ის, რომ მიჯნურობაში ყველა სამხედრო ოინი მიეტევებოდა და რომ რაინდს განსაკუთრებული შეღავათი ენიჭებოდა, რადგან ახლახან დაბრუნდა ლაშქრობიდან.

ამგვარად საქმე ბედნიერად დამთავრდა. ბარონმა მაშინვე აპატია ყმაწვილ ცოლ-ქმარს. ქეიფი განახლდა ციხე-დარბაზში. ღარიბმა ნათესავებმა ალერსით კინაღამ დააღრჩვეს ოჯახის ეს ახალი წევრი. მამიდებს, მართალია, ცოტა არ იყოს საქციელი წაუხდათ, მკაცრად ჩაკეტვისა და სიტყვაშეუბრუნებელი მორჩილების მათი აღზრდის წესები ასე უგვანი მაგალითით რომ დადასტურდა, მაგრამ ეს ყველაფერი თავიანთ წინდაუხედაობას მიაწერეს, — სარკმლები შეურკინავი გვქონდაო. მეტადრე ერთი მათგანი განსაკუთრებით იყო გულნატკენი, სასწაულებრივი ამბავი რომ ასე წაუხდა და მისდღეში ნახული ერთადერთი აჩრდილიც ყალბი რომ გამოდგა. ძმისწული კი ფრიად ბედნიერი სჩანდა, ეს აჩრდილი ნამდვილ სისხლ-ხორციანი რომ აღმოჩნდა... და ამბავიც ასე ბოლოვდება.

თარგმანი ინგლისურიდან **ალ. გამყრელიძისა**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ „ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ [1]

დღიური, როგორც განსაკუთრებული ლიტერატურული ფორმა, უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის. უკვე მე-18 ს. დამდეგს სულხან-საბა ორბელიანი „ევროპაში მოგზაურობით“ ამის კლასიკურ ნიმუშს იძლევა, ხოლო შემდგომ ავტობიოგრაფიული ელემენტი, საერთოდ, მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, იქნება ეს ლექსისა თუ პროზის სახით (საკმარისია გავიხსენოთ დ. გურამიშვილი, იესე ოსეს შვილი და სხვ.). ე. წ. „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაშიც გრძელდება ეს ტრადიცია ისეთი ძეგლების სახით, როგორიცაა გრიგოლ ბატონიშვილის „მოგზაურობა ბეტერბურგიდან ვილნომდე“, რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“, გიორგი ავალიშვილის „მგზავრობაᲐ თბილისით იერუსალიმისადმი“, გაბრიელ რატიშვილის „მცირე რამ მოთხრობა რუსიისა“ და სხვ. ამ მხრივ XIX ს. ლიტერატურაც ამბობს თავის სიტყვას. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარსულ საუკუნეში მაინც არავის დაუტოვებია ისეთი ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტალური პროზის ნიმუში, როგორიცაა გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“. [2]

გრ. ორბელიანის დღიურის ეს ნაწილი თავისი მნიშვნელობით ვერ შეედრება მისსავე „მგზავრობას“, მაგრამ მაინც გარკვეული ღირსებანი გააჩნია და ყურადღებასა და განხილვას იმსახურებს.

დღიურის ეს ნაწილი დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში (H — 2768). ეს არის ავტოგრაფული ხელნაწერი. წარმოადგენს თეთრ სქელ ქაღალდისაგან შეკინძულ პატარა ზომის რვეულს (20 × 12). შესდგება 16 ფურცლისაგან (რამდენიმე გვერდი ცარიელია). პაგინაცია თვით პოეტის მიერ არის შესრულებული, რომელიც მოდის მე-15 გვერდამდე. ტექსტი შესრულებულია ნაირი მელნით, ხოლო ერთ შემთხვევაში ფანქრით, რაც მოწმობს, რომ პოეტი გზადაგზა, როგორც მოუხერხდებოდა, ისე აწარმოებდა დღიურს. ეს არის დღიურის შავი, რომლის შესწორება და გადათეთრება გრ. ორბელიანს ალარ უცდია (შეიძლება იმიტომაც, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უდიდესი ნაწილი თავისი დღიურებისა პოეტს დაეკარგა). დღიური წარმოებულია 1836 წ. 5 ივლისიდან 14 დეკემბრამდე, ხან სისტემატურად, ხან რამდენიმე დღიან გამოშვებით (ერთ შემთხვევაში მთელი თვის გამოშვებითაც). ხელი საკ-

[1] წაკითხულია მოხსენებად, უფრო ვრცელი სახით, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტ. ისტორიის ინსტიტუტში 1945 წ. 28 სექტემბერს.

[2] ლიტერატურულად დამუშავებული „მგზავრობის“ სრული ტექსტი იხ. ᲐᲐ. ინგოროყვას პუბლიკაციით, „მნათობი“, 1940 წ., № 2.

მაოდ გაურკვეველია, ხოლო ნაწერი ადგილ-ადგილ გადასული, რაც ტექსტის გარკვევას ძალზე აძნელებს.

აქვე, ამ ყდაში ჩადებულია დიდი ფორმატის ორი ფურცელი, რომელიც აგრეთვე შეიცავს პოეტის დღიურის ნაწყვეტს, მაგრამ უკვე სხვა პერიოდს ეხება. კერძოთ, აღწერილია რამდენიმე ეპიზოდი დაღესტნის ბრძოლებიდან. შეიცავს დღეებს 24 მარტიდან 21 მაისამდე. მოხსენებულია ადგილები გიუნუქი, ნუხა, ყარამულახი, ინჩა და სხვ. (დღიურის ამ ფრაგმენტს არ ვეხებით).

ყდას, რომელიც მოგვიანო ხანისაა, ს. გორგაძის ხელით გაკეთებული აქვს წარწერა: „გრ. ორბელიანის დღიური".

დღიურის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტს პატარა ისტორია აქვს: მას პირველად იონა მეუნარგიამ მიაკვლია. იგი სწერს: „ერთი პატარა დღიური პოეტისა, რომელიც ჩვენ ვიპოვნეთ მის ქაღალდებში და რომელიც ეკუთვნის იმ დროებას, ნათლად წარმოგვიდგენს ორბელიანის მაშინდელ ყოფა-ცხოვრებას".[1]

რამდენიმე ფრაგმენტი ამ დღიურიდან ი. მეუნარგიამ კიდეც გამოიყენა თავის წიგნში.[2]

ხელნაწერი შემდეგ ს. გორგაძის ხელში მოხვედრილა და მის მიერვეა შეტანილი კათალოგში. კათალოგის აშიაზე მინაწერიდან ირკვევა, რომ ს. გორგაძეს იგი უპოვნია ექვ. თაყაიშვილის ქაღალდებში.

გრ. ორბელიანი საკუთარი განცდილისა და ნააზრევის ფიქსირებას ქაღალდზე, საერთოდ, დიდ ყურადღებას აქცევდა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მისი წერილი ილია ორბელიანისადმი 1835 წ. თარიღით:

„გააკეთე პახოდნის ჟურნალი, რომელშიაც ჩაწერე ყოველდღე ცხოვრება შენი; როგორ გაატარე დღე იგი, რა ილაპარაკე, რა გააკეთე, რა გაიგონე, в отношении военными. სად იდგა თქუენი პოლკი ანუ ოტრიადი, და, როგორის წესით, და აღწერე იგი ადგილი с описанием обычая, нрава жителей тамошних, сколько дозволяет твой [...] события (?)... ესე შენთვის დიახ სასარგებლო და სასიამოვნო იქნება შემდეგ, პირველად რომ გონება შენი უმეტეს და უმეტეს განიხსნება და შეეჩვევა განმსჯელობასა, და მეორედ რომ რამდენსამე წელს უკან შენი წარსული დღეები ცხადად წინ წარმოგიდგება და მით ჰსცნობ, თუ რაოდენნი დღენი უბრალოდ, ფუჭად განგიტარებია".[3]

ამიტომ, ბუნებრივია, რომ თავათ პოეტიც გულმოდგინედ აწარმოებდა დღიურს. დღიური მისთვის, ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანსა და მძიმე წუთებში, მისი უახლოესი მესაიდუმლე იყო. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ პოეტის „მგზავრობა", მისი 1831 წ. მოსკოვისა და პეტერბურგისეული დღიურები[4] და სხვ. რათა ცხადი გახდეს, თუ როგორი რუდუნებით ეკიდებოდა იგი ამ საქმეს.

---

[1] იხ. ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, 1905. გვ. 31.

[2] იქვე, გვ. 31 — 33.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხელნაწერის ზოგიერთ ფურცელს გვერდზე ფანქრით ჩამოსმული აქვს ხაზები. ეს ი. მეუნარგიას მიერ უნდა იყოს გაკეთებული: სწორედ ეს ხაზ-ჩამოსმული ადგილები, ორიოდეს გამოკლებით, გამოაქვეყნა მან თავის წიგნში.

[3] იხ. წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 36, აკ. გაწერელიას რედაქციით

[4] რამდენიმე ნაწყვეტი გამოქვეყნებული აქვს აკ. გაწერელიას (იხ. წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 218 — 220).

მაგრამ, ყოველმხრივ ბედისაგან რჩეულს, ამ საქმეში თითქოს განგებ უცარებოდა ხელი. ი. მეუნარგიასთან ერთერთ საუბრის დროს პოეტს განუცხადებია: „სამჯერ დამეღუპა ჩემი დღიურები. ერთხელ დონში ჩავცვინდით და კინალამ მეც დავიხრჩვი; მეორეჯერ, როცა ავარიის ხანძარი ვიყავი შამილის დროს, უცებ წინანდალში შემხვდა გამოქცევა [illegible] ბი და წიგნები იქ დამეკარგა. მესამეჯერ, გამჩხრიკეს, როცა პოლიტიკური ორგულობა შემწამეს და სხვა წიგნებთან ერთად ჩემი მესამე და უკანასკნელი დღიურებიც დამეკარგა. შემდეგ ბევრი ვიხვეწე, ბევრი ვიმუდარე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია და დღესაც დაკარგულად ვთვლი იმ წიგნებსა და დღიურებს“.[1]

ასეთსავე ცნობას, დონზე მომხდარი შემთხვევის შესახებ, ვპოულობთ ი. მეუნარგიას წიგნშიც.[2]

ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ დღიურის ის ნაწილი, რომელსაც ამჟამად ვეხებით, დონზე დაკარგული დღიურების გაგრძელების ნაწილს წარმოადგენს. მარცხს, რომელიც პოეტს დონზე შეემთხვა და რომლის შესახებაც თავათ მოგვითხრობს, ადგილი ჰქონდა 1834 წელს, ხოლო ტექსტი, რომელიც ხელთა გვაქვს, წარმოებულია 1836 წელს.[3]

გრიგოლ ორბელიანის პროზაული დანატოვარი, ისევე, როგორც მისი თანამედროვე რომანტიკოსებისა, არ არის დიდი. ამიტომ გასაგებია, რომ ამ მხრივ ყოველ ახალ ტექსტს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება. ხოლო დღიური სხვაგვარადაც იქცევს ყურადღებას: იგი ინტიმურ დოკუმენტს წარმოადგენს და მხატვრული შემოქმედებისათვის ერთგვარ ფონად გვევლინება.

---

[1] იხ. „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 1—2, 1940 წ., გვ. 385, ს. ცაიშვილის პუბლიკაციით.

— შენიშვნა: აქ მცირე შეცდომა მოსდის პოეტს: ქრონოლოგიის მიხედვით „პოლიტიკური ორგულობის“ დროს ჩამორთმეული დღიური პირველი იქნება და არა უკანასკნელი.

[2] იხ. „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა“, 1905, გვ. 30.

შეად. თვით პოეტის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი 1834 წ. 2 აპრილის თარიღით (იხ. წერილები, ტ. I, გვ. 11).

[3] უნდა შევნიშნოთ, რომ დოც. ს. ხუციშვილს დღიურის ეს ნაწყვეტი, როგორც სჩანს, შეაჩნია გრ. ორბელიანის „მგზავრობის“ ნაწილად შენიშვნების სახით (იხ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1945 წ., № 21), რაც სიმართლეს არ შეეფერება: „მგზავრობა“ დაწერილია 1831 წ., ხოლო „დღიური“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, — 1836 წ. ისინი პოეტის ცხოვრების სავსებით სხვადასხვა პერიოდს ასახავენ და შინაარსობრივად არავითარი კავშირი არ აქვთ ერთმანეთთან.

ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა აქვე აღვნიშნოთ: ამავე წერილში პატივცემული ავტორი გვსაყვედურობს, რომ ჩვენ საქ. მუზეუმში დაცული გრ. ორბელიანის ნაწერები შეცდომით უცნობად გამოვაცხადეთ. სინამდვილეში ჩვენს წერილში (იხ. „ლიტ. და ხელ.“, 1945, № 14) უცნობად გამოვაცხადეთ არა ყველა, არამედ გარკვეული ჯგუფი გრ. ორბელიანის ნაწერებისა. პატივცემულ მკვლევარს, სავსებით სამართლიანად, შეეძლო ესაყვედურებია, რომ ჩვენ გამოგვრჩა და არ აღვნიშნეთ ამ ნაწერებიდან მის მიერ ერთი ფრაგმენტის პუბლიკაცია, მაგრამ რაც შეეხება თვით ტექსტს, რომელიც გამოვაქვეყნეთ, იგი უცნობი იყო იმდენად, რამდენადაც მის შესახებ არც წერილობითი და არც ზეპირი განცხადება არსად ყოფილა გაკეთებული.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ გრ. ორბელიანის „ლექსების“ 1928 წ. გამოცემაში, ამ დღიურიდან მოტანილი ერთი ნაწყვეტი შეცდომით დათარიღებულია 1834 წლით, რადგან რედაქტორი ი. მეუნარგიას ზემოდდასახელებულ წიგნს ეყრდნობა, ხოლო ი. მეუნარგიას თარიღი არ აქვს აღნიშნული.

პოეტის მოგზაურობა იწყება სოფელ კლაუსცუციდან და მთავრდება დინაბურგში მისვლით, სადაც იგი ჰოსპიტალში წვება (შემდეგ, რამდენიმე ფურცლის გამოშვებით, მოსდევს ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც გრ. ორბელიანი ისევ მანევრებში იღებს მონაწილეობას). დღიურიდან სჩანს, რომ გრ. ორბელიანი ამ ხანებში კოვნოსა და ვიტებსკის გუბერნიებში იმყოფება, ან უფრო სწორად, ვილნოსა და ვიტებსკის, რადგან კოვნო ჯერ კიდევ არ ითვლებოდა საგუბერნიო ქალაქად.

ამ განუწყვეტელი მგზავრობის მიზანი ხან მანევრებია, ხან, როგორც თვით პოეტი გვაუწყებს, მათი ბატალიონი პოლონეთიდან მოსულ ახალწვეულებს (რეკრუტებს) აცილებს დინაბურგისაკენ.[1]

ამ მოგზაურობის დროს გრ. ორბელიანის დაკვირვებულ თვალს არაფერი ეპარება და მისთვის საინტერესოსა და ღირსშესანიშნავს ინიშნავს დღიურში. ამ ჩანაწერების მიხედვით ჩვენს თვალწინ ცოცხლდება პოეტის ფიგურა მის ბუნებრივ პოზაში.

უნდა ითქვას, რომ ის მეამბოხე სული, რომლითაც გამსჭვალულია 1832 წლის შეთქმულების წინახანებში დაწერილი მისივე „მგზავრობა“, დღიურის ამ ნაწილში უკვე აღარ სჩანს. „მგზავრობისათვის“ დამახასიათებელი პოლიტიკური რადიკალიზმი აქ შეცვლილია პოლიტიკური ოპორტუნიზმით. აქ იგი უკვე „პოლიტიკურად ორგულის“ როლს აღარ თამაშობს. რწმენა „დიდსულოვანი ხელმწიფისადმი“ თითქოს მტკიცედ იკიდებს ფეხს მასში.

მაგრამ ეს არის გრ. ორბელიანის პოლიტიკური თვალსაზრისი, მართალია, არაპროგრესული, მაგრამ გარკვეული აუცილებელი პირობებით წარმოშობილი, რომელიც მას, როგორც ადამიანსა და მხატვარს, ცხადია, ვერ ამცირებს.[2]

სამაგიეროდ დღიურში არის ერთი მომენტი, შეიძლება ერთადერთი შემთხვევა მთელ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, როდესაც პირდაპირი მითითება გვაქვს მისი დემოკრატიული სიმპათიების შესახებ. აი, ეს ადგილი: „აქ მითხრეს, ვითომც ღრაფინა სტრა.... ესრეთ უყვარს ძაღლები, რომ მათთან სტოლზე ზის ერთად სადილათ და ინახავს უმრავლესთა ძაღლთა. Вот высокая черта образованной женщины: так, как она бездетна, то не только нежныя материнския ласки, но и подати собираемыя с крестьян и всегда почти омоченныя слезами и потом, расточать на собак. На что жалеть этот низкий и [ ] класс людей, собака лучше их!»

ამავე დღიურში გრ. ორბელიანი სასტიკად ილაშქრებს პროსტიტუციის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მასში პოეტი მაშინდელი სოციალური წყობილების დანაშაულს ვერ ხედავს, არამედ იგი ადამიანის პირადი უღირსობის გამოხატულებად მიაჩნია.

პოეტის ღრმა სულიერი ტკივილების მიზეზი არაიშვიათად საქართველოა და აქ მოსჩანს ის კეთილშობილი სიყვარული მშობლიური მიწისადმი, რომელიც ქართულ ლიტერატურას მუდამ ახასიათებდა. აი, ერთი ადგილი: „ერთის შეხედვით ემზგავსებოდა საქართველოსა; უნებლიეთ აღმოუტევე

---

[1]. შეად. წერილი ილია ორბელიანისადმი 1836 წ. 16 სექტ. თარიღით, იხ. წერილები, ტ. I, გვ. 41.

[2] შეიძლება ეს ერთგვარი საფარველიც იყოს: ცნობილია, რომ პოეტის პირად საქმეებს ხშირად ჩხრეკდნენ.

ოხვრა გულისაგან ჩემისა. ნუთუ მხოლოდ შემზგავსებით, და ანუ შედარებითა უნდა ვინუგეშო თავი ჩემი? ნუთუ არღა მეღირსების ყოფნა ძუნ, სადაცა მიისწრაფიან ყოველნი ფიქრნი და სურვანი ჩემნი? მაქვს სასოება და იმედი ღვთისა მიმართ: მფარველობა მისი ცხადად ვიგრძენ, რადგან ჯერმე და ამისათვის არა ვჰსწუხვარ, გინა სადა გარდამაგდო: [illegible] როტმან მხვედრმან ჩემმან“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღიურში არის რამდენიმე ადგილი, რომელიც პარალელს პოულობს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. ასეთია, მაგ., ადგილი, რომელიც იწყება: „ესრეთ ერთი კიბე აღიყვანს მეორისადმი, ერთი სურვილი ჰშობს მეორესა“... და რომელიც კარგად ეხმაურება ნ. ბარათაშვილის პოეზიას და განსაკუთრებით მის ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“. მაგრამ აქ პირდაპირ გავლენაზე კი არ ვლაპარაკობთ. აქ უფრო ერთიდაიმავე ლიტერატურული მიმართულების პოეტების მსოფლმხედველობათა და ერთიდაიმავე ეპოქით ნაკარნახევ განწყობილებათა დამთხვევას ვპოულობთ.[1]

ავტორი, საერთოდ, იჩენს კარგი ფსიქოლოგიური დაკვირვების უნარს. ასეთია, მაგ., მოხუცი ადამიანის მუდმივი უკმაყოფილების მიზეზის შესახებ მსჯელობა, შეყვარებული ჭაბუკის ხასიათის ანალიზი და სხვ., რაც ზედმეტად მოწმობს, რომ თუ ჩვენი რომანტიკოსთა პირველი თაობა მხატვრულ პროზას ვერ ანვითარებს, ამის მიზეზი მათი ტალანტის სიმცირე კი არ არის, არამედ ამაში შესაბამისი გარემოებანი უდევს საფუძვლად, რომელთა განხილვა ამჟამად ჩვენი მსჯელობის ფარგლებს სცილდება.

დღიურის სტილი, რამდენადაც ეს შავად ნაწერშია შესაძლებელი, საკმაოდ ლაპიდარულია, დახვეწილი და ფაქიზი. ენა შედარებით სადაა, ოღონდ სიწმინდე აკლია. რუსიციზმებისაგან არაა დაზღვეული. მაგრამ ეს დროის ხარკია. ავტორი მხატვრულ ძალას ინარჩუნებს, თუნდაც მეტად განყენებული საგნის შესახებ იყოს მსჯელობა, თუმცა პათოსი, რომელიც, საერთოდ, ახასიათებს გრ. ორბელიანს, აქ არაიშვიათად გადადის რიტორიულობაში, — აი, სტრიქონები შემცოდე და-ძმის შესახებ: „ამისა აღმშენებელნი არიან აქვე დამარხულნი. ჩაველ სარდაფში, ვნახე მათი კუბო, რომელთა შინა მხოლოდ ძვლები იყვნენ დამთომილნი. სად არს სიმშვენიერე ქალისა, რომელმანცა დაბრმავა გონება ძმისა? სად არს გრძნობა, და ძალი იგი სიყვარულისა, რომელთაცა დაავიწყეს და ძმასა? აწ მხოლოდ რაოდენიმე ძვლები და რამდენიმე ნაგლეჯი ტანისამოსისა მოუთხრობენ ამაოებასა ამა სოფლისასა! ნუთუ მართლად ამით დასრულდება ცხოვრება ჩვენი? ნუთუ იმედი, სინიდისი, ესე საიდუმლო ხმა განგებისა, ესე საიდუმლო მსაჯული ჩვენი, ნუთუ სიყვარული, და სურვილი კეთილისა საქმისა, მოცემულ არს ჩვენდა მხოლოდ მისთვის, რათამცა განჰქრნენ, დალპნენ ხორცთა თანა ჩვენთა? — არა! ჰმრწამს სიტყვა მღვთაებრივისა კაცისა „არა მოვჰკუდები, არამედ გარდავიქცევი სიკვდილისაგან ცხოვრებად“. — ღმერთო, მიუტევე ამათ შეცოდებანი მათნი, ვჰსთქვი, და გამოველ გარე დაფიქრებული“. მაგრამ XIX ს. მხატვრულ პროზაში ბევრს არ უწერია ასეთი ქართულით. დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ გრ. ორ-

---

[1]. ასეთი შეხვედრების შესახებ დაწვრილებით იხ. ს. ჭილაია, „გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული ურთიერთობისათვის“, „მნათობი“, 1944 წ., № 3.

ბელიანის ამ დღიურს, ისევე, როგორც მისსავე „მგზავრობას“, აქა-იქ სენტიმენტალიზმის ელფერი გადაკრავს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სენტიმენტალიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულების, არსებობას არ გულისხმობს. ეს არის სენტიმენტალური განწყობილებები, ხშირად არა გავლენის გარეშე გამოწვეული, რომელსაც ცნობიერი ხასიათი არა აქვს.

ასეთია ტექსტის საერთო ხასიათი, რომელიც „...ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად ჟამთა და წელთა“, როგორც იტყოდა ნინოს ცხოვრების ავტორი, პირველად იპოვა ი. მეუნარგიამ და, რომელიც დღეს პირველად წარმოსდგება ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშე.

ქვემორე ტექსტში სავსებით დავიცავით გრ. ორბელიანის მართლწერა, მხოლოდ არ გადმოგვიტანია დღევანდელ სალიტერატურო ქართულიდან ამოვარდნილი ასოები, თანაც ქარაგმები გავხსენით და გავასწორეთ ზოგიერთი ადგილი.

გრიგოლ ორბელიანი

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

სოფელი კლაუსცუცი, 5-სა ივლისსა, 1836 წელსა.[1]

დილით ადრე მივაჭენებდით კალასკას ბირჟისკენ გამოსასალმებლად მე და სტარი...[1] ურია მარკუზის ტრაქტირში უკვე იყვნენ შეკრებილნი აფიცრები ამავე საგნისათვის. სტოლზე იყო ლამაზი ზაკუსკა, მასზედა იდგნენ ამსებულნი ღვინით რუმკები, აქა-იქ ფანჯარაში დაფანტული თამბაქო, ჩიბუხის კუამლით სავსე იყო ოთახი. ოთახის კარებთან იდგა ურია სახლის პატრონი, და მოელოდა ბრძანებასა, ორი თუ სამი აფიცრები ეარშიყებოდნენ ურიის ქალსა, მეტად კარგს. კნიაზის სადღეგრძელო იყოს შეჰსძახა ერთმან მათგანმან, შეეედირა მათდა. ეი შამპანსკი, დავიძახე.—პროპკა ავარდა ჭერში, და შიშინით აივსო რუმკები. უფლებო, ვჰსთქვი მე, ღმერთმან ინებოს, რომ კეთილად დაბოლოვდეს ჩვენი ესე პახოდი, კარგათ დასრულდეს ლაგირი, და მოგვხედოს მოწყალებითა ყოვლად მოწყალემან ხელმწიფემან! ურა! შემდგომად ორის საათისა დავიშალენით... სადილს უკან მეხუთე საათზე წაველ როტაში, რომელიც იდგა დამზადებული წასასვლელად. ზდაროვო რებიატა, ზდრავი ჟელაემ თქვენო ბრწყინვალებავ! როგორ გამოესალმეთ თქვენს ხოზაიკებს უთხარ ერთს სალდათს. ჩვენი დრო წავიდა, ჭრქვა მოხუცებულმან სალდათმან, ჩვენთვის არღა ჰზრუნვენ ხოზაიკები, ახლა ყმაწვილის სალდათების დრონა,

---

[1] ხაზგასმა ყველგან ავტორისაა. ჯ. ჭ.

აგერ: ამ დროს შევხედე, ღობესთან იდგნენ ორნი ლამაზნი გოგონი ტირილით. მე გამეცინა, და უკამანდე პო ოტდელენიამ ნაპრავო მ ა რ შ. პესენნიკი ეპერედ. პირველვარი დაიწერეს Господи благослови — შემოსძახეს და წავედით. საშინელი წვიმა ჩაგვდიოდა კისერში, ერთი ძაფიცა არ შეგვრჩა მშრალი, მარამა მთელს გზას სალდათები მოიმღერიდენ — ათს ვერსტზედ შევდექით დასასვენებლად ურიის კარჩმაში, შემდგომად მცირის ხანისა, სხვანიცა როტები მოვიდნენ. დასველებულნი, დაღალულნი აფიცრები შევჰკრბით საძაგელსა, აყროლებულსა კარჩმას ოთახში. ათისა ვერსტის გამოვლამ მოგვამშია, მარამა არა იშოებოდა რა კარჩმაში არაყის მეტი. ვისაც რა ზაკუსკა ჰქონდა მოიტანეს, დიდის ღმეჭით და პრანჭვით დალიეს თითო რუმკა არაყი, ლაპარაკი განცხოველდა, დაიწყეს ოხუნჯობა, და დაგვავიწყდა წვიმაცა, და ტალახიცა. — მიყვარს ყოფნა ჭკვიანთ, ყმაწვილთ აფიცრებთანა, მათი უზრუნველობა, სიჭაბუკე, დაუდევნელობა, და მარადის მხიარულებისათვის მზად ყოფნა, დაავიწყებენ სევდასა, შეწუხებასა.

სამხედრო სამსახურში რას არა იხილავს კაცი, რას არა გამოჰსცდის! ვითარ ანაზდეული და ერთბაში ცვლილება არს და გარდასვლა სიმდიდრისაგან სიღარიბეში, კალასკიდამ საძაგელს ფურმანკად, მდიდრად შემკობილის ოთახითგან, ბალითგან, პახოდში და წვიმაში, და ყოველსავე ამას მოითმენენ ვითარიღათაც სულის სიმტკიცითა და თითქმის უსინანულოდაც, მხოლოდ უზრუნველობითითა ღიმილითა მოიხსენებენ ოდესმე ესრეთსა ცვლილებასა.

ღამე მეთორმეტეს საათზე მოვედით სოფელს მ ე ლ უ ნ ი ს, 20 ვერსი. როგორა ღირს ერთი სტაქანი ჩაი? — იტყვიან: ერთ ორ რუბლად!. არა ორიათასად და უფრო უმეტ. — ესე აწ ვჰსცან ამ ღამეში, მოვედითრა ამა სოფელში, და ჩვენმა ადუტანტმა ტუფიაევმა[2], მოგვაგება კარებთან ჩაი. — არ შემიძლიან თქმა იმა კმაყოფილებისა, იმა სიამოვნებისა, რომელიცა ვიგრძენ მე მაშინ.

6-სა ი ვ ლ ი ს ს ა. უბნობენ, ვითომც წვიმა მოასწავებს ბედნიერებას, ანუ კეთილად დასრულებასა პახოდისასა. ვნახოთ, მართალ არისა?.. მეტადრე ჩემთვის, დიახ საჭირო არს ბედის გამოცვლა.

43-მი ვერსტი გამოვლეთ მთელს ღამეს საშინელს წვიმაში და ქარში. გამოვიარეთ მესტ. ვობოლნიკი[3].

დაქანცულნი 7-სა ი ვ ლ ი ს ს ა მოვედით ქალაქს პ ო ნ ე ვ ე ჟ ს[4]. მარამა ვითარცა უბნობს ციციანოვი,[5] ნუგეშსა ვჰსცემ თავსა ჩემსა ჰაზრითა მით, რომელ ყოველსავე ამას მოითხოვს ჩემგან სამსახური ხელმწიფისა, რომელიცა არა დაჰკარგულ ჰყოფს არავისსა სამსახურსა უჯილდოდ. — პატარა ოთახში დავდეგით ერთად მე, ტ უ ფ. ს ა ლ მ ა ნ.[6] პონევეჟი არს პატარა ქალაქი ორის საყდრით, ერთის მეიდნით და სამის კანდიტერით.

8-სა გვქონდა დნევკა პონევეჟში. აქა შეიყრებიან სამნი გზანი: რიგისა,[7] ვილნისა,[8] კოვნოსი.[9]

9-სა ი ვ ლ ი ს ს ა, დილით მესამე საათზე გამოვედით პონევეჟით. რაოდენსა ვერსტსაც გამოვლიდით ეგდენ უმეტეს ლამაზდებოდა მდებარეობა ადგილისა და დასასრულ თორმეტს ანუ ცამეტს ვერსტზე გამოჩნდა მშვენიერი სახილველი: მრავალნი სოფელნი, განბნეულნი ვაკესა ადგილსა ზედა, შემკობილსა ლამაზის ჭალაკებით, და აქა იქ ლამაზის მ ი ზ ე ბ ი თ, ფრიად აამებდა თვალთა: ერთის შეხედვით ემზგავსებოდა საქართველოსა!

უნებლიეთ აღმოუტევე ოხრვა გულისაგან ჩემისა. ნუთუ მხოლოდ შემზგავსებით, ანუ შედარებითა უნდა ვინუგეშო თავი ჩემი? ნუთუ არღა მელირსების ყოფნა მუნ, სადაცა მიისწრაფიან ყოველნი ფიქრნი და სურვანი ჩემნი? მაქვს სასოება და იმედი ღვთისა მიმართ: მფარველობა მისი ცხადად ვიგრძენ რავდენჯერმე და ამისთვის არა ვჰსწუხვარ, [illegible] დამაგდოს მე ბოროტმან მხვედრმან ჩემმან.

დღესა ამას გამოვლეთ 15-ი ვერსტი და დავდექით პომეშჩიკის შვინიციკის სოფელში, რომელმანცა მოგვცა ურმები.

10-სა გამოვლეთ მესტეჩკო რემიღოლი.[10] 10-ი ვერსტი, და აქედამაც 19-ი და მოვედით შლიახტის სოფელში, გზაზე გამექცა ერთი სალდათი.

11 — გამოვლეთ შატი[11] მესტეჩკო — 8-ა ვერსტი, მესტეჩკო შევიმი[12]—14-ი და მოველით ერთს საძაგელს სოფელში, რომელის სახელი დამავიწყდა. —

საღამოზე წავედით მაიორ ღანზაღოსთან,[13] ჰაზრითა მით, რათა გაგვაცნოს ლამაზი მისი ხაზაიკა გვარად ბარონესა შულც. — აქ უნდა აღვსწერო, თუ ვითარ, ალექსეევი[14] ჰმალავდა არაყის სმას, რათამცა პოდდერჟატ სახელი არმიის აფიცრებთა[ნ] და შემდგომად იპოვნეს გოგოებმა ბუტილკა მის ქვეშაგებში... იფიქრეთ ჩვენი სიცილი და ალექსეევის გაცოფება. — ვისტი ვითამაშეთ.

12-სა გამოვლეთ 6-ი ვერსტი და მარჯვნივ წავედით 4-ი ვერსითა და დავდეგით სოფელსა პრაშაღოლკის. სახლის პატრონი იყო რუსი, რომლისაცა ორნი ქალები იყვნენ საკვირველი ლამაზები. — აქ აღვწერო [о староверах].

13-სა მეორეს დღეს მეშვიდეს საათზე შუადღით გამოვედით ამა სოფლით და თექვსმეტი ვერსი გამოვლე ჩემის როტით დაუსვენებლივ. ლამაზი მდებარეობა უმეტეს განამშვენიერებდა მშვენიერსა საღამოსა. გზა მიდის ხეობაში, მარჯვნივ მდინარისა ვილეიკისა,[15] რომელიცა კოვნოსთან შეერთდება მდინარეს ნემანსა[16]. — კარჩმასთან შევისვენე მეორეს დღის მეხუთე საათამდის.

14-სა მეთერთმეტეს საათზე შეიყარა მთლად პოლკი ტყეში კოვნოს სიახლოეს. აქ მომიტანეს მელიტონის[17] წერილი. პირველს საათზე გამოვედით ტყიდამ პოლკის კოლონნით და დავდეგით მინდორზე კორპუსნის კამანდირის ღეისმარნის[18] მოსალოდნელად, რომელიცა მოვიდარა გამოვლეთ ცერემონიით ზვოდებით და მოვედით ლაგირში, რომელიცა იყო დადგმული მარჯვნივ კოვნოსა ნემანის ნაპირზე. — მთელი კორპუსი იდგა ერთს ლინიაზე, ბატალიონებისა გატოვი ვკოლონუ. საღამოზე მოვიდა ჩემთან გ:ე:[19] ფრიად გვიამა ურთიერთისა ხილვა და დარჩა იმ ღამეს ჩემთან.

15 და 16 განვლეს დღეთა ამათ კარვებისა და ლინეიკების კეთებაში.

24-სა მოვიდა ვოენის მინისტრი ღრაფ ჩერნიშოვი.[20] საშინელი წვიმა იყო. მე ვიყავ დეჟურნი. გამოვიჭიმე მისწინ, მარამ არც კი მაღირსა შემოხედვა. ახ! ვითარ მცირედ მეჩვენა მაშინ თავი ჩემი.

10-სა აგვისტოს იყო დივიზიონნის ლინეინოე უჩენიე კადრითა არტილერიითა, კნიაზ გარჩეკოვი[21] ჰსინჯავდა.

11-სა იყო ცერემონიალნის მარში წინაშე კორპუსნის კამანდირისა და კნიაზ გარჩეკოვისა. პირველად ზვოდებით наружу дистанции, с отступом

на 2-а шага шеренгами, შემდეგ დივიზიონებით, მერმე ბატალიონის კოლონებით ვზვოდის დისტანციით. მერმე მთელის პოლკის კოლონნით, და დასასრულ развернутыми ბატალიონებით ნახევარ ბატალიონის დისტანციით. — არტილერია და კავალერია იყო ეგრეთვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24-სა აგვისტოს მოვიდა კნიაზ პასკევიჩი.[22]

25-ს იყო ცერემონიალნის მარში მრთელის კორპუსისა არტილერიით და კავალერიით. საღამოზე მოვიდა ლაგირის გასაშინჯავათ. ჯარი იდგა როტებით, ყოველი თავის ლინეიკაზე. ზარის დროს მთელის ზარბაზნებით ერთად დაცალეს.

26-სა მთელის კორპუსის ლინეინე უჩენიე.

დღესა ამასა ლაგირში იყო დადგმული კარავი, სადაცა იყო მიწვეული სადილათ მეხუთე საათზე კნიაზ ვარშავსკი.[23] კარებთან იყო ლამაზათ გაკეთებული თოფებით და ხმლებით პირამიდები ორსავე მხარესა. — მუზიკანტები ყოვლის პოლკითგან გარეშე კარვისა იდგნენ და უკვრიდნენ. პოლკები იდგნენ მუნდირით და ქუდით გარეშე კარვისა და იმღერიდენ პესენნიკებთ. — ზარბაზნები ისროლეს ხელმწიფის[24] სადღეგრძელოსათვის და კნიაზისა, იყვირეს ურა. სადილსუკან გამოვიდა კნიაზი და სიამით დაჰყურებდა სალდათებს, რომელნიცა თამაშობდნენ. — საღამოზე ჩირაღდანი იყო ლაგირში და პირდაპირ მაღლა მთაზე იყო ვენზილი კნიაზისა, თითქოს ცაში იწვოდა, ესრეთ იყო ლამაზი სანახავი. — ყველგან განქრა ჩირაღდანი, მარამა გორაზედ ისევ ენთო ახალ ვარსკვლავით. შევხედერა, უნებლიეთ ალმიჩნდა ჰაზრი: ორმოც სამოც წელს შემდეგ სახელნი ჩვენნი განჰქრებიან ამა ჩირაღდანსავით, მარამა სახელი ვარშავსკისა მომავალთ საუკუნეში აღენთების яркими [крылами (?)].

27-სა დღეს იყო მანევრი მთელის კორპუსისა, რომელიცა დასრულდა აღებითა ქალაქისა და ლაგირისა.

6-სა სექტემბერს წავედით მე, ორდანი,[25] და მაიდელი[26] კოვნოში, ვიყავით წირვაზე, სადილი ვჭამეთ ტრახტირში, და იქიდამ წავედით ღოშპიტლის სანახავად. აქ ვნახე ის ოთახი, სადაც საშინელისა ჭექისა და წვიმისაგან შეეფარა და დაჰყო ერთს ღამეს ნაპოლეონმა.[27] აქ იყო თვით იგივე კსენზი, რომელსაც ეხილვა ნაპოლეონი. მე ვჰკითხე: ისიც ჩვენსავით კაცი იყო მეთქი! — ჰო, მიპასუხა ჩვენსავით იყოო. Такой всё замышленный.

აქედამ წავედით ვამენდელის მონასტერში, რომელიცა არს ფრიად მდიდრად და მშვენივრად აღშენებული. მოკლე ისტორია ამა მონასტრისა... იყო პოლშელი თავადი გვარად პაც, მას ჰყვანდა და, რომელიცა შეუყვარდა ესრეთ ძლიერ, რომ დაავიწყდა ღვიძლი ნათესაობა და შთავარდნენ ორნივე ცოდვაში... ბოლოს შეინანეს და სინანულისა ნაყოფი არს მონასტერი ესე, სწორედ მას ადგილსა, სადაცა შეემთხვათ ცოდვა. შინაგანი მონასტერისა არს სხვადასხვაფერი მარმარილოსი. კედელნი არიან დახატულნი [ალადრესკისა]. შემდგომად უკანასკნელის პოლიაკთა ბუნტისა ამა მონასტერში დააყენეს რუსის ბერები. ერთს ოთახში არის დიახ ძვირფასი დიდი კარტინა, რომელიცა წარმოადგენს ყრმასა იესო ქრისტეს ტაძარსა შინა მქადაგებელსა. უბნობენ, ვითომც განსვენებულმან ალექსანდრემ იმპერატორმან[28] აძლია ხუთიათასი ოქრო, და უწინდელთ ბერებთა უპასუხეს ჩვენც შენი ვართო და ეს კარტინაცაო და ამით დაინარჩუნეს საუნჯე ესე.—ამი-

სა ალმშენებელნი არიან აქვე დამარხულნი. ჩაველ სარდაფში, ვნახე მათი კუბო, რომელთა შინა მხოლოდ ძვლები იყვნენ დამთომილნი. სად არს სიმშვენიერე ქალისა, რომელმანცა დააბრმავა გონება ძმისა? სადა არს გრძნობა, და ძალი იგი სიყვარულისა, რომელთაცა დააავიწყეს და ... ? — მხოლოდ რაოდენნიმე ძვლები და რამდენიმე ნაგლეჯი ტანისამოსისა მოეთხრობენ ამაოებასა ამა სოფლისასა! ნუთუ მართლად ამით დასრულდება ცხოვრება ჩვენი? ნუთუ იმედი, სინიდისი, ესე საიდუმლო ხმა განგებისა, ესე საიდუმლო მსაჯული ჩვენი, ნუთუ სიყვარული, და სურვილი კეთილისა საქმისა, მოცემულ არს ჩვენდა მხოლოდ მისთვის, რათამცა განჰქრნენ, დალპნენ ხორცთა თანა ჩვენთა? — არა! ჰმრწამს სიტყვა მღვთაებრივისა ქაცისა „არა მოვჰკუდები, არამედ გარდავიქცევი სიკვდილისაგან ცხოვრებად". — ღმერთო, მიუტევე ამათ შეცოდებანი მათნი, ვჰსთქვი, და გამოველ გარე დაფიქრებული.

დღეს ვჰსცანით, რომ ხელმწიფე[29] არ მობრძანდება ჩვენის კორპუსის განსახილველად, და ამ ამბავმა ფრიად შეგვაწუხა. მრავალნი მოველოდით მისგან ჯილდოსა, და ყოველთა ერთობრივ გვსურდა, გვწყუროდა ხილვა ესრეთ დიდებულისა ხელმწიფისა, რომელიცა ტანით, სახით, გონებით, სულისა შემძლებელობით, დიდსულოვნობით არის მართლად ხელმწიფე.

9-სა სეკდემბერს იყო კორპუსის ცერემონიალნის მარში, მაგრამ მე ვერ წაველ სიცივისა გამო.

იყო საშინელი წვიმა და ქარი. საღამოზე ჩაისა სვამდენ ჩემს კარავში ჩემნი მეგობრები. არ ვიცი რისთვის გაველ გარეთ, იმ დროს შემხვდა ერთი აფიცერი, როგორც ჩვენში იტყვიან სუფათი. თავაზიანობამ მოითხოვა, რომ მე მომეწვია კარავში იგი. კარავი გაელო ნელნელად და ნელნელად შევიდა, არავინ მოელოდა მის მოსვლას, და არავის იამა, ამისათვის ერთმა დაინახარა იგი, შეჰსძახა: ამისთანა ავდარში, ყოველთვის ამისთანა კაცები იპოებიანო. ერთბაშად განხდა სიცილი და ტაშის დაკვრა. საბრალო ასე შეკრთა, რომ დიდიხანი ვერა თქვარა, სულელურის ღიმის მეტი. —

13-სა ღამის 11-ს საათზედ მოვიდა კოვნოს ფელდმარშალი[30].

14-ს იყო ცერემონიის მარში, სადაცა ფელდმარშალთან იყვნენ გამოგზავნილნი ხელმწიფისგან ლენერალადუტანტი ლობანოვ-როსტოვსკი[31], კნიაზ ღარჩეკოვი[32], კნიაზ დოლღორუკი[33].

15-ს იყო მანევრა. ფელდმარშალმა მადლობა უთხრა კორპუსს.[34].

16-ს დილით ვიყავ ალექსანდროვთან[35], დიტრიხსთან,[36] მარამ ესე უკანასკნელი ვერა ვნახე, რომელსაცა დაუგდე წიგნი ილიკოსთან.[37] საღამოზე მოვიდა ჩემთა[ნ] გ: ე:[38] რომელთათანა განვატარე საღამო და გამოვესალმე ვინ იცის ეგებ საუკუნოდ. ვინ იცის ამ სოფელსა ხვალ რა მოაქვს.

17-ს მთელი დივიზია ჩვენი შეიყარა საყდართან პახოდნის ფორმით პარაკლისის სახდელად, რომლისაშემდეგ გამოვიარეთ დივიზიის ნაჩალნიკის წინ ცერემონიის მარშით ბატალიონის კოლონნებით და სადილს უკან წავიდნენ პოლკები სხვადასხვა გზაზედ თავიანთ კვარტირებში. ჩვენი ორი ბატალიონი მესამე და მეოთხე დარჩნენ გასაცილებლად დინაბურღისკენ რეკრუტებისა, რომელთაცა მოველოდით პოლშითგან.[39] მე ჩემის როტით მოვედ დღესა ამას სოფელს ლოპი, სადაცა დადგა ეგრეთვე მეშვიდე როტის ნაწილი და მისი კამანდირი ტროფიმოვსკი.[40]

20-ს მოგვეწია სტარიკოვმა, რომელიცა იდგა-სოფელს ანდრუშიშკის, სამს ვერსზე ჩვენგან. გულწრფელობით, ოხუნჯობით და სიცილით განვატარეთ საღამო. დასაძინებლად წაველ პ. სტეფანოვთან[41] სოფელს დრასეიკი.

21-ს გამექცა რეკრუტი [პალკაკი?]

24-ს მე, ტროფიმ. და სტარიკოვი წავედით კოვნოს. გზაზე ვნახეთ ღუსრების პოლკი ერთად შეყრილნი, პარაკლისის გადასახდელად. — კოვნოს ფორშტატის ერთს ურიის კარჩმაში შევედით ორაგულის საჭმელად, **რომელიც იყო ძალიან ცუდად და ჩირქიანათ,** როგორც შეეფერებათ ურიებს, გაკეთებული; მარამ ამის მაგიერ მოვისმინე დიდის სიამოვნებით სიმღერის ხმა მეორეს ოთახიდამ, სადაცა იმღერიდნენ ერთი ქალი, ღიტარის მკვრელი და მეორე კაცი, არ ვიცი მისი ქმარი, თუ ღუსარი. — საუცხოოდ იმღერიდნენ, დიდს ხანს უგდე ყური.

აქედამ თითქმის ძალად გაველ ქალაქში წასასვლელად. კოვნო უიმისოდ პატარა ქალაქი, აწ უფრო პატარად მეჩვენა, დაიშალარა ლაგირი და განვიდა აქედგან **კორპუსის** შტაბი.

ვოლკის ტრაქტირთან შეგხვდნენ ტუფიაევი და ღალკოვსკი[42]. ვნახეთ ბარონ ვრანგელი[43] და ლისენკო[44], რომელსაც შევჰსჩივლეთ პომეშჩიკს რატოვტზე[45], რომელიცა არ გვაძლევდა ურმებს **პროვიანტის** საზიდავად და უბრძანებდა თავის გლეხებს, რომ სალდათებს არა მისცენ რა საზრდო. — მოვედით ისევ ვოლკის ტრაქტირში სადილათ, ტუფიაევიცა და ღალკოვსკი იქ გველოდნენ. აქ სტარიკოვი ეარშიყებოდა ანულკას. სადილს უკან წავედით ბაზარში, მარამა, რაც გვსურდა, ვერა ვიშოვეთრა, ამა მიზეზის გამო ტუფ. გვირჩია სეირნობა. ლაპარაკით და სრულებით მოულოდნელად მიგვიყვანა ერთს დანგრეულს ხის სახლთან ნემანის ნაპირს, რომელსაცა შერჩომოდა როგორღაც ორი ოთახი, ძლივს მდგომარე მეორე ეტაჟაში. სიცილით გვითხრა: ახლა დაბრუნება არ შეიძლებაო, უთუოდ უნდა გაჩვენოთო; ჩვენც შევედით, დაგვხდა კიბე, დამპალი, დაფუტურებული, რომელსზედ შიშით და სიფრთხილით ავედით. აქ მხოლოდ ერთი ფიცარი იყო გასასვლელად ოთახისკენ, ორსავე მხარეს ჩაქცეულნი. ამ ბეწვის ხიდსაც გავედით. ერთბაშად სიცილი და კასკასი მოგვესმა ოთახიდან, **რომლის** კარები გაეღო **და** ვნახეთ **სამნი** დედაკაცნი, **ჯერ ისევ** ახალგაზდანი. რაღა ვჰსთქვა, რომ ესენი იყვნენ გარყვნილნი გოგონი, რომელნიც სიყვარულსა თვისსა ჰსყიდიან ხან ათშაურად და ხან უფრო უნაკლესად. ოთახში ყოველივე იყო უსაძაგელეს: კედელნიცა ჩამონგრეულნი, და გასვრილნი კარტინები დაფხრეწილნი, დაძველებული და ჩირქიანი ქვეშაგები, პოლი, კუთხეში და ფეჩზედ სავსე ძონძებითა და ნაგავითა, პატარა ნამწვი ქონის სანთლისა, ჩარჭმული ხისა ჩიბუხის თავში, მგონი [ ] სალდათს დარჩენოდა, ეგდო სტოლზე შანდლის მაგიერ.

აყროლებული სუნი იდგა ოთახში, ყოველთა ამათთანა მიუმატეთ დედაკაცთა სახენი, რომელსაზედა ცხადად გამოიხატებოდა უსინდისობა და ყოველგვარი გარყვნილობა, მაშინცა მცირედ გამოისახება ის კარტინა, რომელიცა ვიხილე მას ჟამსა.—სამწუხარო მან ფიქრმან შემიპყრა სრულებით, მოვისმინერა ლაპარაკი მათი, თვინიერ ყოვლისა სირცხვილისა, ვჰსცან რა, რომ სრულებით არა ჰგრძნობდენ უსაძაგელესსა მდგომარეობასა და ხელოსნობაცა თვისსა. აჰა ცხადი მაგალითი, თუ სადამდინ განირყვნებისა გული კაცისა.—

ჯერ ისევ არიან ახალგაზდანი, მაშასადამე იცხოვრებენ ერთს ანუ ორს წელსა კიდევ ესრეთ საძაგლად, მას უკან რას იქმნენ რა უდროოდ დაბერდებიან?, და ვჰკითხე ერთს ჩემს ამხანაგსა სვეშნიკოვს,[46] ეს ხელობა ხომ აღარ ევარგება მათთვის? რა უნდა ჰქმნან, მითხრა მან. თუ არ მოჰკლამს ესაძარლესი სნეულება საშინელის ტანჯვითა, შხამი და მდინარე არიან მათნი მეგობარნი, რომელნიცა შეჰსწყვეტენ საძაგელსა ცხოვრებასა მათსა. — ჩვენ ყოველთვის ვჰსწუხვართ და ვნანობთ მისთვის, რომელსაცა შეემთხვევის ანაზდეულად და უდროოდ სიკვდილი, მარამა განგება, რომელმანცა უწყის მომავალი, ჰხედავს მომავალსა ცხოვრებასა თვითოეულისასა და იქნება განგებ და აღრე უგზავნის სიკვდილსა, რათა ცხოვრება მისი შეჰსწყდეს ადრე, ვიდრემდის შემდეგ განატარო სიბოროტეში. აი მაგალითი ამათგან ერთის დედაკაცისა. მეშვიდე წლისა რა შეიქმნა გადმოვარდა მესამე ეტაჟიდამ, და რადგანაც ემსახურებოდა ერთს თავადის სახლში და იყო ობოლი, ამისათვის იყვნენ პირველნი გამოჩენილნი ექიმნი მის მკურნალად, რომელთაცა მოარჩინეს. მეცამეტე წელიწადში ჩავარდა წყალში და დაიღუპა, ასე რომ ვერავინ იხილა, მარამ მეთევზებმა, თევზის მაგიერ გამოათრიეს გოგო, და ძლივს მოაბრუნეს. — მეთექვსმეტე წელიწადს წავიდა სახლის გასათეთრებლად თეთრის მიწისათვის, რომლის გამოსატანად შევიდა ქვაბში. ერთბაშად მთელი გორა ჩამოიქცა და დაფლა თავის ქვეშ გოგო ესე, მარამა აქედამაც გამოიხსნეს კეთილმოქმედთა კაცთა. — რისათვის გამოიხსნეს კაცთა სამჯერ სიკვდილისაგან? რათამცა განატაროს ესრეთ განრყვნილად ცხოვრება თვისი და შემდეგ სხვანიცა გამოუცდელნი და ობოლნი გოგონი მიიზიდოს თავის მახეში გასარყვნელადა. — შეწუხებულის გულით გამოველ გარე. ვნახე ნიკოლ. სტეფანოვი,[47] რომელმანცა მიამბო არშიყობა თვისი ვრან.[48] საყვარელთან, თუ ვითარ განატარა მთელი დღე, და ან როგორ მოასწრო ერთად მჯდომთა სოფაზედ ვრან. — ახ! სიჭაბუკევ, სიჭაბუკევ! რა ძვირფასი ხარ, მარამა სილამაზესა შენსა ვჰსცნობდე, როდესაც განგვშორდები საუკუნოდ. — ყოველს მხარეს, ჭაბუკთა მოარშიყეთ აქვსთ ერთი თვისება, ვერა დაჰფარვენ სიყვარულსა თვისსა, განგებ ეძიებენ, რომ უანბოს ვისმე არშიყობა თვისი. ადუღებული, სავსე გული სიყვარულითა, მოჰკლავდა მას, თუ დაემარხა საიდუმლოდ. — საღამო იყო მშვენიერი, რა გამოვედით კოვნოთგან მეორე გზაზედ შოსეზედ. — ქალაქს გარეთ მრავალნი ქალნი შემოგვხდნენ მოსეირნენი. დაბნელდა, როდესაც მოვედით ფონზედ, სადაცა პარომით გამოველთ მდინარეს ვილეიკაზე და მოვედით პაველ სტეფანოვთან, რომელიც სრულებით არ მოგველოდა. თუმცა ჩვენს დაწყობილს პლანში უნდოდა მხოლოდ ხუთს მინუტს დავყოფჰდით, მარამა ვისი პლანი აღსრულებია ისრე როგორც ჰსურებია? დიახ იშვიადისა! ესრეთ ჩვენიცა: დაგვიჭირა, მინამ სამოვარი ადუღდებოდა. ჩაის დროს, მოვატანინე რომი კოვნოში ნასყიდი; ერთბაშად სენაში ჭიანურის ხმა განხდა, ვნახეთ რომ იმ სოფლის მეჭიანურენი კი იყვნენ; მერმე პესელნიკები გაჩნდნენ, მერმე ვახშამი; ვნახეთ საათი, მეორეკი იყო შუაღამისა; მე იქვე დავრჩი დასაძინებლად და ტროფ. წავიდა სტარიკოვთან.

25-სა დილა იყო ფრიად მშვენიერი. წამოვედით მე და პ. სტეფ. თავის ძმით იუნკერით და ღრენლუნდი[49] ქვეითად სტარიკოვთან, რომელიც იდგა ორს ვერსზე. გზაზედ ტყეში ვესროლეთ თოფები белке, მეცხრე

საათზედ მოვედით სტარ. რომელიცა ეგრეთვე სეირნობდა. ვჰსჭამეთ ზაკუსკა, ვნახეთ ასსამწლის კაცი, რომელიცა იყო ეგრეთ მხნედ, რომ სამოცწლის მეტი არ ეტყობოდა, აქებდა უწინდელს დროს, აძაგებდა აწინდელს დროს და ვჰცან ეს არის ჩვეულება ყოვლის მოხუცებულისა. ვიდრემდის სისხლი უდუღს, და გული უკრთის სიყვარულისათვის კაცი მხიარულობს და გარეშე მისსა ეჩვენების მხიარულებათვე. დაბერდების, ღონე წაერთმევა, გული თითქმის გაუქვავდება, გონება უბნელდება, მაშინ ჰგონია, რომ შეიცვალა ქვეყანა. და ვერ მიმხვდარა, რომ შეიცვალა მხოლოდ თვით იგი, რომელმანცა განვლო თვისი გზა ცხოვრებისა და შესვა რაოდენცა შეხვდა თვის წილად სიხარული. აწ ამა სოფელში მისთვის არღარა დაშთარა, ახლა მას გზაზედ მიდის სხვა ჭაბუკის გულითა და მოელის ნაწილსა თვისსა სიხარულისასა, და ქვეყანაცა ესე განიშლების მის წინ მშვენიერებითა, რომელსაცა უკვე ვერღა ჰხედავს მოხუცი ბნელისა თვალითა და გულითა. —

პირველს საათზე მოვედით მე და ტროფ. ჩვენს სოფელში ლოპს, საღამოზედ შემოვიდა ჩემი პატარა ბიჭი ნინიკა[50] მხიარულის სახითა, მომცა ბარათი იორდანისაგან მოწერილი, და მომილოცა შტაბსკაპიტნობა, რომელშიც ეწერა ესე. — რასაკვირველია, რომ გამეხარდა, მაგრამ ჩემნი ამხანაგებნი ეხლა მაიორად არიან. არა ჰმშურს მათთვის, და არცა ვჰსწყევლი ჩემსა ბედსა, თუმცა დავრჩი მათგან შორსა—რა უყოთ! ლოცვა და მოთმინება. არ დამაგდებს მეცა უნუგეშოდ ღმერთი, რომელმანცა დამიხსნა მე თვრამეტისა ძლიერის ომისაგან, საპყრობილესაგან, წყალში დაღუპისაგან, და სნეულებისაგან, რომელმანცა მიმიყვანა თითქმის სამარემდის. ივე მოახედვინებს ჩემზედ მოწყალის თვალით ჩვენსა ხელმწიფესა, მართლად დიდსა და დიდსულოვანსა.

26-ს დილით იყვნენ ჩემთან ა. [ ], ტროფ. და სვეშნიკო[ვი]. პატარა ხანს უკან მოვიდა პავლე სტეფანოვიცა. ზაკუსკაზედ ერთბაშად მოგვესმა ხმა გაჭენებულის ცხენისა. შევხედე ფანჯარაში და ვნახე ტუფიაევი, მოსული კოვნოთგან განგებ მახლობლად ჩემის [ ]. სადილათ მოვიდა სტარიკოვიცა, და დღე ესე განვატარეთ მხიარულებითა, საღამოზედ პესენნიკებიცა მოვიდნენ, და მათ საყურებლად შეიყარნენ [ ]. ვახშმის უკან სტარ. და სტეფანოვი წავიდნენ თავიანთ სოფელში და ტუფიაევი დაწვა ჩემთან დასაძინებლად.

27-ს მდინარეს ვილიას[51] გალმა ნაპირს იყო ერთი საყდრის დღეობა. რადგანაც პირობა შევჰკარით გუშინ იქ წასასვლელად, ამისათვის მეცხრე საათზედ მე და ტროფ. პოვოზკით, ტუფ. ცხენით წავედით პაველ სტეფ. რომელთანაც ვჰსჭამეთ საუზმე. აქ ვნახე მოულოდნელად ორნი ლამაზნი დანი, რომელთა სახლში ვიდექ ერთს დღესა, მოვდიოდით რა კოვნოს, ესენიც კერმიეში მისულიყვნენ. მეთერთმეტე საათზე გავედით პარომზე ვილიას და მივედით წირვაზე საყდარში, სადაც რამდენიმე აფიცრები ჩვენის პოლკისა იქ შეგვხდნენ. — სრულებით არა იყორა არცა სასყიდელი და არცა სანახავი. მხოლოდ რუსის გლეხის გოგოები ფაქიზათ ჩაცმულნი თავის ჩვეულებისამებრ ხელდაჭერით ერთად შეკრებილნი ქუჩაში დადიოდნენ და დამღერიდნენ ხმამაღლივ. — აქ ვიყიდე ოთხი ბეჭედი, რომელთაგან ორი ვაჩუქე ორთ დათ მოსულთა. — სადილათ მოვედით სტეფ. — საღამოზე ჩაიზე წავედით სტარ. რომლის ხაზაიკასთან იყვნენ ეგრეთვე შლიახტის ქალები, მოსულნი სტუმრათ. პირველად დაკეტილი კარები გაგვეყოფდა ჩვენ.

მაგრამ როდესაც სტეფ. მოვიდა პესენნიკებითა, მაშინ ქალები გამოცვივდნენ მათ საყურებლად და ჩვენცა გვქონდა შემთხვევა გაცნობისა და ლაპარაკისა. ოთახში დავიწყეთ აფიცართა ცელქობით ტანციობა უმუზიკოდ, იმ დროს დაკეტილი კარები გაეღო ნახევრად და დაგვიწყეს ყურება. მე პირველი შევედ მათთან, დავიწყე ლაპარაკი და ქალალდის თამაშობა და გაშლა, მერმე სხვანიცა და ორნი გაყოფილი საზოგადოობა შეერთდა ბოლოს. — სოფელში ორი საძაგელი მეჭიანურე იპოვნეს სადღაც. დააწიეს თავისი ჭიანურები, მაგრამ ჩვენ რა გვენაღვლებოდა, დავიწყეთ ქალებთან ვალცი, ეკოსესი, თუმცა ესე არის დიდი ხანი დავიწყებული დიდს საზოგადოობასში. — მასუკან პოდუშეჩკი, რომელიცა აქ ვნახე პირველად ეს ტანციობა, ვოცნებას (?) გავს მოგონებული. ბოლოს ასე მოკლედ გავიცანით, რომ როცა მოგვინდებოდა, ვჰკოცნიდით. —

პირველს საათს შვაღამისას წავედით მე, ტროფ. სვეშნიკოვი ქვეითად, და ტუფ. ცხენით, და მოვედით ჩვენს სოფელში, რომელიცა იქმნება სამს ანუ ოთხს ვერსზედ. — ტუფ. ჩემთან დარჩა. — რა დავწექ დასაძინებლად, შემოვიდა ფელდფებელი და ძრწოლის ხმით მითხრა, რომ სამნი რეკრუტნი პოლიაკები გაიქცნენო და ვერსად ვიპოვნეთო. გულში ელდა მეცა. არ განვლო ხუთმან დღემან რა გაიქცნენ ორნი და ეხლა კიდევ. ეს რა უბედურებაა ჩემი! ბევრი ვიჯავრე, ვიანჩხლე, მაგრამ არა გაეწყობოდა-რა. გავგზავნე ფონზედ აქეთ-იქით სალდათები საძიებლად, მაგრამ იმედი კი არა მაქვს პოვნისა. —

28-სა მთელი ღამე შფოთვამ და მოუსვენებლობამ არ დამაძინა. დღეს დილით ავდეგ უქეიფოდ და გაჯავრებული, მოვაყვანინე კაპრალნის უნტერაფიცარი და ის სალდათნი, რომელთაც ებარათ რეკრუტები. დაუწყე როზგით ცემა, მაგრამ გულში კი ძალიან, ძალიან მებრალებოდა. ერთი წელიწადია ვჰკამანდობ ამ როტას, და ამათთვის ცუდათ არცკი შემიხედავს; ასეთნი კარგნი სალდათნი არიან, და ეხლა კი ერთბაშად როზგს ქვეშ ჰსტიროდნენ; მაგრამ რა მექმნა! ეგებ ამ მაგალითმან სხვანი გააფრთხილონ.* — დანარჩენთ რეკრუტთ თავები დავაპარსვინე.**

... და ოდესმე ყეფა ძაღლისა გაღმა სოფლითა. — აქ დაბნელდა. მარამა აიხედეთ ზეით. სჩანს ვარსკვლავნი, თვალნი ზეცისანი, რომელთა ვერა მიჰსწვდების სიბნელე სოფლისა ჩვენისა, ჰბრწყინვენ და დამზერენ საქმეთა კაცისათა, მარამ ბოროტი ვერა აღიხედავს ღამე შეუძრწუნებლად. ვაი სულთა მისთა, იდუმალთა ბოროტთა საქმეთა, ყოველთა ბოროტთა განზრახვათა ჰყვანან მუნ მოწამენი.

ვჰსჭამეთ ვახშამი, მე, ვილბოამ,[52] პეტერსონმა,[53] ვირცანოვ[მა][54] და ლეკარმა.[55] ორნი ლამაზნი ნემცის გოგონი გვემსახურებოდნენ. ოხუნჯობას ბოლო არ ჰქონდა.

1-ს ოკდომბერს. მოვედით მესტეჩკოს იანოვოს,[56] სადაცა გამოვედით პარომზე მდინარესა ვილიას.

---

* დაწერილი ყოფილა „გააფრთხილოს“ და შემდეგ გადაუკეთებია.

** აქ, როგორც სჩანს, ფურცელი აკლია.

2-ს*—დნევკა. — აქ ვნახე ქორწილი ურიებისა სასაცილო გვარად: ტირილითა და მოთქმით ქალსა თმას უკრეჭდნენ და თვალები აუკრეს ხელსახოცით. უბეში კვერცხი ჩაუდეს შემწვარი, შემდეგ გამოიყვანეს მუზიკის კვრით, რომელსაცა შეადგენდა ჭიანური, სანთური და დაირასავით, სინაგოგის სიახლოეს იდგნენ შეყრილნი ურიანი, რომელთა იხილეს რა დასტა ქალთა, მომავალნი, მაშინვე კარავსავით გაშალეს (кавров), რომელსა ქვეშე იდგა მეფე და სხვანი კაცნი. დედოფალი შეიყვანეს რა ფარდას ქვეშ ერთმა მოხუცებულმა ურიამ დაიწყო სიმღერა ქუდმოხდით და მაშინ დედოფალი სამჯერ შემოატარეს გარეშე მეფისა, რომლისა შემდეგ სტაქნით პივო მიართვეს მეფეს და დედოფალს. შემდეგ მოვიდა ერთი ურია და წაუკითხა ხმამაღლივ, ყოველთა გასაგონებლად, თუ რა მზითევი მიჰყვა დედოფალს. მერმე ორთა სხვათ ურიათ დაუწყეს დალოცვა მათ და მით დასრულდა დაქორწინება.

3-სა გამოვლეთ 17-ი ვერსი და მოვედით სადაცა ერთის ქსენზის სახლში.

4-სა გამოვლეთ 17-ი ვერსი და მოვედით ქალაქს ვ ი ლ კ ო მ ი რ ს.[57] ვითარი ძალა აქვს მუზიკასა და მღერასა გრძნობათაზედა კაცისათა დღესა ვჰსცან ცხადი მაგალითი: შვაგზაზედ შევისვენეთ. ერთი ჩემის როტის სალდათმა დაუკრა კლარნეტი, ერთმა რეკრუტმა ჭიანური, ამ ხმაზედ მოგროვდნენ რეკრუტნი, დაივიწყეს დაღალულობა და დარდი თვისი და დაიწყეს ვალცი და მაზურკა, მათთან გაერივნენ დედაკაცნიცა, რეკრუტთა ცოლნი, და შეიქმნა ხელათ ლხინი (როგორც ჩვენში იტყვიან).

5-ს გვქონდა დნევკა ვილკომირს, რომელიც არის მცირე ქალაქი. აქ იყო გუშინ რედუტი ანუ კლუბი, მაგრამ მე კი ვერ წაველ, ყელი მტკიოდა, და ამასთანა რაღა დავმალო მეტად ლამაზი სახლის პატრონი მყვანდა, სახელად დ უ ნ ი ა, მიხაროდა რომ ჩემნი ამხანაგნი წავიდნენ რედუტში, დავრჩი მე მარტო სახლისპატრონთან; ბევრი ვეკურკურე; მაგრამ ვერა გავხდირა, ბოლოს წავეჩხუბე, გავებუტე და წაველ დასაძინებლად, რა უყო! ძალათ სიყვარული არ შეიძლება.

6-ს დღეს დილით დაუგდე ტროფიმოვსკის, რომელსაცა უჩვენეს ჩვენი კვარ[ტირა], ზაპისკა ესე: ნეჩეღო სკაზატ, კვარტირა ხოროშა, ა ხოზაიკა еще лучше; но пусть она провалится в преисподнюю, или лучше, пусть злая болезнь положит печать свою на ея лице, столь приманчивом! Злодейка! две ночи не спал, два дня упрашивал, умолял всем красноречием и всеми глупостями изступленной страсти; и чтож! я видел, я слышал как дверь ея комнаты мало по малу отворялась и как неслышными шагами входил к ней счастливый соперник! Пятьсот тысяч бомб и гранат! Я был в аду! Пятьдесят тысяч блох напали на меня. Вы поймете мою безсонницу, мои мучения. Не могу более писать, злость, досада берет. Прощайте! желаю более меня быть вам щастливым. საკურვლად დასუსტებული ავდეგ დღეს. გულის ტკივილის ნიშნებმა მომიარეს კიდევ. არ ვიცი როდის მივაღწევ დინაბურღს. ბედნიერება არს ჩემი, რომ კიდევ დარი არის კარგი.—დღეს გამოვლეთ 20-ი ვერსი და მოვედით მესტეჩკოს ს ტ ა შ კ უ ნ ი შ კ ი.[58]

ვილბოა ჯერ არ იყო მოსული ვილკომირიდამ, ამისთვის მე დავარიგე სარაიებში რეკრუტები და ასე დავიღალე, რომ ძლივს მივახწიე ჩემს კვარტირაში.

---

* ვილაცას ფანქრით მიუწერია „აგვისტო“, რაც, ცხადია, შეცდომაა.

გულმა უმეტესად დამიწყო ტკივილი. კსენზის სახლი, რომელშიცა ვიდეგ მე და სვეშნიკოვი იყო ცივი და ჩამონგრეული. გულზე შიფენდა ბოგსკის პლასტერის დასაკვრელად წაველ ძლივს რის ყოფით მეზობლის ბლუნის სახლში; რა გაველ გარეთ ოჰ რა მშვენიერი ჩვენება იყო ცაში. ღამე იყო მთვარიანი. ცა სრულებით მოწმენდილი. [illegible] მხარეს ერთბაშად აღსდგა ცეცხლისა სვეტი, რომლისა თავი ეშზგავსებოდა შეკრულს ძნას. სვეტი ესე ნელნელად განჰქრა და მის პირისპირ აღმოჩნდნენ ორნი სვეტნი სრულებით სპეტაკნი, ერთი მეორეზედ მოშორებით, და ამა ორა სვეტთა შეაერთებდა თეთრივე კამარა (дуга), ბოლოს კამარა ესე გაგრძელდა, დაიკლაკნა და შეიქმნა სწორედ გველი სპეტაკი. დასასრულ მრთელი ცა შეიქმნა ცეცხლისფრად. მე განკვირვებაში დამავიწყდა სნეულება ჩემი. დეწშიკი ჩემი პირსაჯვარს იწერდა მალმალ და ამბობდა შიშით: უფალო შემიწყალე — (Господи помилуй). ეს რა არის — მრთელის სოფლის გლეხები შეიკრიბნენ სახილველად ესრეთის მშვენიერისა და საკვირველისა სახილველისა და ოხრვით ამბობდნენ: ах! быть беде! быть опять войне! ჩვენება ესე იყო მერვე საათზე ბგონია.

7-ს დასუსტებული მოვდევდი უკან პოვოზკით კამანდას, როდესაც მოვიდა ჩემთან უნკერი ვისმენსკი[59] და მითხრა, რომ კნიაზ ღ ი ღ რ ო ი ც[60] გთხოვსთ, რომ ნება მისცეთ რეკრუტთა არაყის სმისაო; მეც შევაყენე კამანდა, ჩავაბარე სვეშნიკოვს და წაველ წინ მესტეჩკოს ს კ ა ვ ი ნ ს.[61] 18-ი ვერსი.

8-ს დნევკა. ახ! რა ძვირფას არს სიმრთელე კაცისათვის! უმისოდ სიმდიდრე, და თვით დიდებაც არა არს საამო, არა არს ბედნიერება! მარამ მაშინ ვჰსცნობთ ფასსა მისსა, გვეწვევისრა სენი, ოდესცა უძლურობა შეგვიპყრობს და დაგვცემს მკვნესარესა სარეცელსაზედა; მაშინ მოუწოდებს ხვეწნითა, ვედრებითა, ვითარცა შემომწყრალსა მეგობარსა ჟამსა უბედურებისასა. — და რაჲ არს ბედნიერება? მე აწ მგონია, რომ ბედნიერება მყოფობს სიმრთელეში. მარამ როცა ვიყავ მრთელ, მაშინ ვგონებდი შტაბს კაპიტნობაში: მომივიდა იგი. გამეხარდა, და კვალად ახალი სურვილი ბედნიერებისა აღჩნდა გულსა შინა ჩემსა. ესრეთ ერთი კიბე აღიყვანს მეორისადმი, ერთი სურვილი ჰშობს მეორესა. და არა აქვს დასასრული სიკვდილამდის სურვილსა ბედნიერებისათვის. — ნეტარ მას, ვინცა არს კმაყოფილ მით, რაჲცა მოუვლენია მის წილად ბედსა მისსა; ვინცა დამყუდროებული, დამშვიდებული სულითა მივალს გზასა ზედა ცხოვრებისასა; მაგრამ ახ! უნეტარეს არს იგი, ვინცა ცხოვრებითა თვისითა მოიპოვა გინა ერთი ფურცელი ისტორიასაშინა. — ვითარცა ბრწყინვალე ვარსკვლავი სჩანს საუკუნეთა შინა სახელი მისი, რომელსაცა შთამომავლობა შეჰმზერს კეთილმოწიწებითა და კურთხევითა.

აქ მითხრეს ვითომც ღრაფინა სტრა...[62] ესრეთ უყვარს ძაღლები, რომ მათთან სტოლზე ზის ერთად სადილათ და ინახავს უმრავლესთა ძაღლთა. Вот высокая черта образованной женщины: так, как она бездетна, то не только нежныя материнския ласки, но и подати собираемыя с крестьян и всегда почти омоченныя слезами и потом, расточать на собак. На что жалеть этот низкий и [ ] класс людей, собака лучше их!

9-ს რა მოვახლოვდით მესტეჩკოს უ ც ი ა ნ ი[63] ორს ვერსზე ტყეში ერთბაშად შეჰკივლეს რეკრუტთა ვივატ, ვივატ! და თვრამეტნი შეცვინდ-

ნენ ტყეში. პირველს წამს ასე გაოცდნენ სალდათნი, რომ გაშტერებით უყურებდნენ მიმრბენელთ, მერე მყისვე გაიძვრეს რანცები. ერთი ნაწილი შევგზავნეთ ტყეში, მეორე გარეშემოვავლეთ და სულყველანი დავიჭირეთ.—მესტეჩკოში როზგით გავლახეთ. — 20 ვერსი გამოვლეთ.

10-სა მოვედით მესტეჩკოში დ ო ვ ღ ე ლ ს[64]. 17 ვერსი, სადაც გვქონდა დნევკა 11-სა.

12-სა მოვედით მესტეჩკოს დ ე ღ უ ც ს.[65] 16 ვერსი.

13-ს ელიპტუნ.[66] 19 ვერსი.

14-ს გვქონდა დნევკა. ავათა ვარ გულისტკივილით.

15-ს მოვედით ქალაქს დ ი ნ ა ბ უ რ ღ ს.[67] დასუსტებული და ძალიან ავათმყოფი ვიწექ საძაგელს ურიის სახლში მარტო უწამლოდ, უნუგეშოდ; მხოლოდ პატარა ნინიკა ჩემი გულხელდაკრეფით დამყურებდა მწუხარედ დადუმებული. ფიქრი სიკუდილისა შორს ჩემთა ძმათა და მეგობართაგან, შორს ყოველთა მათგან, რომელნიცა სამარეს ზედა ჩემსა დაჰსცემდენ გინა ერთსა ცრემლსა, — მჭმუნვარე ფიქრი ესე აღჩნდა ჩემს გონებაში და უნებლიეთ ვჰსთქვი ოხრვითა: ახ! სადა ვარ, სადა ვჰკუდები! — ცრემლნი წყაროსებრ გარდმოედინნენ თვალთაგან პატარა ნინიკას; მხურვალებითა მომწვდა ხელსა ჩემსა და დამიწყო კოცნა ტირილითა. გული ამიდუღდა. და ორი ცრემლი მეცა გარდმომცვივდენ თვალთაგან, ვიხილე უანგარო, ჭეშმარიტი წმიდა ჩემდამი მისი სიყვარული მას წამსა, ოდესცა ვიყავ თითქმის ყოველთაგან ანუ დავიწყებულ, ანუ დატევებულ და ანუ განშორებულ. — წამი ესე არ დამავიწყდების, ვიდრე ვარ ცოცხალ.

16-ს ვერღა შევძელ როტასთან სიარული. გამოვესალმე ვილბოას, სვეშნიკოვს, ზალმანს[68] და ნელნელა დროშკით ვისმენსკიმ მომიყვანა დინაბურღის ღოშპიტალში; ოთახის სითბო, წმინდა ჰაერი ისე მიამა, რომ მაშინვე ვიგრძენ უკეთესობა. აქ გავიცან რეველსკის[69] პოლკისა პროპ. რ უ კ ტ ე შ ე ლ[70], პრინც ვილღელმისა[71] პოდპორ. პოპროცკი,[72] დიახ კარგნი აფიცრებნი.

17-ს — 18-ს — 19-სა — 20-სა დღითი დღედ უკეთა შევიქენ.

21-ს იყო პირველი თოვლი და 22-ს და 23-ს დილით ყინვა.

14-ს დ ე კ ე მ ბ ე რ ს* იყო ცივი დილა რა მივდიოდით ლ ი ნ კ ო ვ ო[73] პ ო ლ ე ზ ე, **на смотру**. ცივი ქარი მოგვბერდა და ხანდახან მოვიდოდა წვიმაცა. პოდ [ ] არტილერია, კავალერია უწესობითა აღირჩევდენ მოკლეს გზას ლინკოვისაკენ წასასვლელად. Сегодня последний день, последнее упование, последн[ий привал]! и кажется сама природа возстает противу нас, не быть хорошему церемон. маршу, досадно все наши труды пропали, ვეუბნებოდი ჩემს ამხანაგს სტეფანოვს. — Да, это досадно; что из этого, что наши [ ]; А до сегодняшнего дня всегда говорил: отлично [ ] доволен; если сегодня пред [фельдмар.] не поддержим славу. Впрочем надо [работать (?)]. Бог милостив!**

---

* დედანში სწერია „14 სეკდემბერს", მაგრამ აქ, უსათუოდ, შეცდომასთან გვაქვს საქმე: ეს თარიღი ადრე, შესაბამის ადგილზე არის მოცემული ტექსტში; ამ რიცხვით მოცემული გვაქვს ოქტომბრის თვეც. ხოლო 28 ნოემბერს, როგორც პოეტის მიწერმოწერიდან ვგებულობთ, იგი ისევ დინაბურგის გოსპიტალში წევს (იხ. წერილები, ტ. I, 1936 წ. გვ. 42), ასე რომ, აქ დეკემბრის თვე უნდა ვივარაუდოთ. ტექსტის შინაარსიც უფრო შეეფერება ამას.

** დანარჩენი 13 სტრიქონის აღდგენა არ მოხერხდა.

შენიშვნები *

1. ს ტ ა რ ი კ ო ვ ი—? ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად პოლკში (იხ. ტექსტი).

2. ტ უ ფ ი ა ე ვ ი—? ოფიცერი. როგორც სჩანს, მსახურობდა ადიუტანტად პოლკში (იხ. ტექსტი).

3. ვ ო ბ ო ლ ნ ი კ ი—დაბა კოვნოს გუბერნიაში, პონევეჟის მაზრაში, მდ. ვობოლზე, 39 ვერსზე ჩრდ.-აღმოსავლეთით პონევეჟიდან.

4. პ ო ნ ე ვ ე ჟ ი—სამაზრო ქალაქი კოვნოს გუბ. მდ. ნევიაჟზე, 130 ვერსზე ჩრდ.-აღმოსავლეთით კოვნოდან. რუსეთმა შეიერთა პოლონეთის მე-3 დანაწილების შემდეგ 1796 წ.

5. ც ი ც ი ა ნ ო ვ ი—უნდა იგულისხმებოდეს პავლე დიმიტრის-ძე ციციანოვი, კავკასიის მთავარმართებელი (1754 — 1806).

6. ს ა ლ მ ა ნ—? ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

7. რ ი გ ა—მდებარეობს დას. დვინის მარჯვენა ნაპირზე. დაარსებულია 1201 წ. შეუერთდა რუსეთს ჩრდილოეთის ომის შემდეგ.

8. ვ ი ლ ნ ო—ქალაქი ლიტვაში. მდებარეობს მდ. ვილეიკისა და მდ. ვილიას შესართავთან. დაარსებული უნდა იყოს X ს. საბოლოოდ შეიერთა რუსეთმა 1795 წ.

9. კ ო ვ ნ ო (ლიტვურად კაუნას)—ქალაქი ლიტვაში, მდებარეობს მდ. ნემანის მარჯვენა და მდ. ვილიას მარცხენა ნაპირზე. დაარსებული უნდა იყოს XI ს. დასაწყისში. საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს 1795 წ. გრ. ორბელიანის მგზავრობის დროს ჯერ კიდევ არ ითვლებოდა საგუბ. ქალაქად.

10. რ ე მ ი ღ ო ლ ი (რემიგოლა)—დაბა კოვნოს გუბ., პონევეჟის მაზრაში, 24 ვერსზე სამხრ.-დასავლეთით სამაზრო ქალაქიდან, მდ. უპიტზე.

11. შ ა ტ ი—დაბა კოვნოს გუბ., ვილკომირის მაზრაში, მდ. აბელზე, 35 ვერსზე სამაზრო ქალაქიდან.

12. შ ე ვ ი მ ი—?

13. ღ ო ნ ზ ა ღ ო—? ოფიცერი, მაიორის ხარისხით მსახურობდა ჯარში გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

14. ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი ჩ—? ოფიცერი (იხ. ტექსტი).

15. ვ ი ლ ე ი კ ა—მდინარე, მდ. ვილიას მარცხენა შენაკადი. იღებს სათავეს სოფ. მედნიკის ახლოს. მდ. ვილიას ერთვის ქ. ვილნოში. გადიოდა მაშინდელ ვილნოს გუბერნიაზე. როგორც სჩანს, გრ. ორბელიანს აქ შეცდომა მოსდის: ისინი მიჰყვებოდნენ არა მდ. ვილეიკას, არამედ მდ. ვილიას ნაპირს, რადგან კოვნოსთან ნემანს უერთდება მდ. ვილია.

16. ნ ე მ ა ნ ი—მდინარე. გადიოდა მინსკის, ვილნოს, გროდნოსა და კოვნოს ყოფილ გუბერნიებზე. ერთვის ბალტიის ზღვას.

17. მ ე ლ ი ტ ო ნ ი—უნდა იგულისხმებოდეს მელიტონ ბარათაშვილი, პოეტის ნიკ. ბარათაშვილის მამა.

18. ღ ე ი ს მ ა რ ნ ი—გეისმარი თედორე კლიმენტის-ძე (1783—1848), გენერალ-ადიუტანტი. თავი გამოიჩინა ნაპოლეონ I წინააღმდეგ წარმოებულ ომებში, ხოლო განსაკუთრებით 1828 წ. 12 სექტ. ბოელეშტთან. მონაწილეობა მიიღო 1831 წ. პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. შემდეგ იყო I ქვეითი კორპუსის უფროსად ვილნოში. (იხ. Военная энциклопедия, Петербург, 1912, т. VII, стр. 215).

19. უნდა იგულისხმებოდეს დრამატურგი გიორგი ერისთავი (1811—1864). გ. ერისთავი, ამ ხანებში სწორედ ამავე გუბერნიებში იმყოფებოდა. მათი წერილებიდან ირკვევა, რომ ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს 1835-36 წლებში, მაგ., გ. ერისთავი სწერს „თუ შეგეძლოს გამოდი“... (წერილი 1835 წ. თარიღით). „ვერ მოიცალე? გამოდი და ერთმანეთს შევჩივლოთ, ვიღონოთ ამ ჩვენს უკუღმა ძაღლურს ბედზედ“... (იმავე წლის თარიღით), ანდა ეკითხება, თუ სად იმყოფება: „არ ვიცი სადა ხარ, წიგნი მოგწერე“... (წერილი 1836 წ. თარიღით, იხ. გ. ერისთავი, თხზულებანი, 1936 წ., შ. რადიანის რედაქციით, გვ. 363—364).

20. ჩ ე რ ნ ი შ ო ვ ი—ალექსანდრე ივანეს-ძე (1785—1857), სამხედრო მინისტრი (1827 წლიდან), 1840 წ. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. დეკაბრისტთა საქმის საგამომძიებლო კომისიის მთავარი მოღვაწე.

---

* შენიშვნებში არ ვეხებით დღიურში დასახელებულ სოფლებს, იგულისხმება, რომ ისინი შედიან მოხსენებულ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების შემადგენლობაში. საფუძვლად აყვლგან აღებულია მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფა.

21. გ ა რ ჩ ე კ ო ვ ი—უნდა იგულისხმებოდეს მიხეილ დიმიტრის-ძე გორჩაკოვი I (1793—1861), გენ.-ადიუტანტი, მონაწ. იღებდა პირველ სამამულო ომში. 1831 წ. პოლონეთის აჯანყების დაწყების დროს დაინიშნა I ქვეითი კორპუსის შტაბის უფროსად. თავი გამოიჩინა ყირიმის ომში. 1855 წ. დაინიშნა ყირიმის არმიის მთავარსარდლად მენშიკოვის ნაცვლად, ხოლო 1856 წ. პასკევიჩის სიკვდილის შემდეგ—მეფისნაცვლად პოლონეთში (იხ. В. энц. 1912, т. VIII, стр. 418 — 419).

22. პ ა ს კ ე ვ ი ჩ ი—ივანე თეოდორეს-ძე (1782—1856), ცნობილი პირი რუსეთის სამხედრო ისტორიაში. კავკასიის მთავარმართებელი 1827—31 წ.წ. ადრიანოპოლის ზავის შემდეგ მიიღო გენ.-ფელდმარშლობა, ხოლო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დაინიშნა მეფისნაცვლად „პოლონეთის სამეფოში" და მიიღო ტიტული „светл. кн. Варшавский".

23. ვ ა რ შ ა ვ ს კ ი—(იხ. შენიშვ. 22).

24. იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1796—1855).

25. ი ო რ დ ა ნ ი—ოფიცერი ვილნოს I ქვეით კორპუსში (იხ. ტექსტი).

26. მ ა ი დ ე ლ ი—ოფიცერი ვილნოს I ქვეით კორპუსში (იხ. ტექსტი).

27. ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი—საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ I (1769—1821).

28. იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I (1777—1825).

29. —(იხ. შენიშ. 24).

30.—(იხ. შენიშ. 22).

31. ლ ო ბ ა ნ ო ვ-რ ო ს ტ ო ვ ს კ ი—უნდა იგულისხმებოდეს ალექსი ალექსანდრეს-ძე (1786—1848), სენატორი, 1821 წ. დაინიშნა რიაზანის სამოქალაქო გუბერნატორად, ხოლო 1835 წ. საარტილერიო და საინჟინერო ნაწილის საკონტროლო კომისიის მმართველად, 1837 წ. სამოქალაქო ანგარიშის დეპარტამენტის გენერალ-კონტროლიორად, 1840 წ. საიდუმლო მრჩეველი (იხ. Русский биографический словарь, С.-Петербург, 1914, стр. 518). ჩვენ გვგონია, ეს არ უნდა იყოს ივანე დიმ. ლობანოვ-როსტოვსკი (1758—1838), როგორც ფიქრობს აკ. გაწერელია (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, 1936 წ. ტ. I, გვ. 240), რადგან მან 1827 წ. სამსახურს თავი დაანება და გადადგა მოხუცებულობის გამო (იხ. Русский биогр. сл. 1914, стр. 522).

32.—(იხ. შენიშ. 21).

33. დ ო ლ ღ ო რ უ კ ი—ვასილი ანდრიას-ძე დოლგორუკი (1803 — 1868), გენ.-ადიუტანტი, მიიღო მონაწილეობა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში, 1835 წ. პოლკოვნიკი, 1852 წ-დან სამხედრო მინისტრი, 1856 წ-დან ეკავა ჟანდარმთა შეფის პოსტი (იხ. В. энц. 1912, т. IX, стр. 166—167).

34. (შეად. წერილი პოეტისა ილია ორბელიანისადმი 1836 წ. 16 სექტ. თარიღით. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, 1936 წ. აკ. გაწერელიას რედ. ტ. I, გვ. 42).

35. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ ი—შეიძლება ეს იყოს პავლე კონსტანტინეს-ძე ალექსანდროვი (1808—1857), უკანონო შვილი დიდი მთავრის კონსტ. პავლეს-ძისა, გენ.-ადიუტანტი. მონაწ. მიიღო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. 1836 წ. ირიცხებოდა ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკში და სწორედ იმ ადგილებში იმყოფებოდა, რომელსაც გრ. ორბელიანი ეხება. 1837 წ. პოლკოვნიკი (იხ. В. энц. 1911, т. I, стр. 259).

36. დ ი ტ რ ი ხ ს ი—უნდა იგულისხმებოდეს დიტერიხს მე-2, ეგორ ივანეს-ძე, გენ.-მაიორი. 1831 წ. მონაწილეობას იღებდა პოლონეთში წარმოებულ ბრძოლებში და ვარშავის აღებაში. 1834 წ. დაინიშნა ქართული ოლქის საარტილერიო გარნიზონების უფროსად. მანამდის იმყოფებოდა კომანდირად დინაბურგის არტილერიის გარნიზონში (იხ. Акты, 1888, Тифлис, т. VIII, стр. XII).

37. ილიკო—პოეტის ძმა ილია ორბელიანი (შეად. წერილი ილია ორბელიანისადმი 1836 წ. 16 სექტ. თარიღით, აგრეთვე ამავე წლის 28 ნოემბრის თარიღით, იხ. წერილები, ტ. I, გვ. 41—43).

38.—(იხ. შენიშ. 19).

39. —(შეად. წერილი ილ. ორბელიანისადმი 1836 წ. 16 სექტ. თარიღით, იხ. წერილები, ტ. I, გვ. 41).

40. ტ რ ო ფ ი მ ო ვ ს კ ი—? ოფიცერი, მე-7 როტის უფროსი ვილნოს I ქვეით კორპუსში (იხ. ტექსტი).

41. ს ტ ე ფ ა ნ ო ვ ი—? პავლე სტეფანოვი, ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

42. ღ ო ლ კ ო ვ ს კ ი—? ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

43. ვ რ ა ნ გ ე ლ ი—კარლ კარლის-ძე მე-2 (1800—1872), ბარონი, ინფანტერიის გენე-

რალი, სამხედრო საბჭოს წევრი. მონაწილეობა მიიღო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში, თავი გამოიჩინა ვარშავის აღების დროს. 1834 წ. პოლკოვნიკი (იხ. В. энц. 1912, т. VII, стр. 78, შეად. Акты, 1884, т. IX, стр. XVII).

44. ლ ი ს ე ნ კ ო—?

45. რ ა ტ ო ვ ტ ი—? ყოფილა ერთერთი მემამულე კოვნოს გუბ. (იხ. ტექსტი).

46. ს ვ ე შ ნ ი კ ო ვ ი—ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

47. ს ტ ე ფ ა ნ ო ვ ი—? ნიკოლოზ სტეფანოვი, ოფიცერი (იხ. ტექსტი).

48. —(იხ. შენიშ. 43).

49. ღ რ ე ხ ლ უ ნ დ ი—? ოფიცერი (იხ. ტექსტი).

50. ნ ი ნ ი კ ა—ნინიკა ბაქრაძე, გრ. ორბელიანის მოსამსახურე. ერთგულად ემსახურებოდა 40 წ. განმავლობაში. ახლდა რუსეთსა, დაღისტანსა და თბილისში. (დაწვრილებით იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, აკ. გაწერელიას რედ. და შენიშვნებით, გვ. 225).

51. ვ ი ლ ი ა—მდ., მარჯვენა შენაკადი მდ. ნემანისა. იღებს სათავეს დაბა შკლიანცის ახლოს, ერთვის ნემანს ქ. კოვნოსთან. გადიოდა მაშინდელ მინსკის, ვილნოსა და კოვნოს გუბერნიებზე.

52. ვ ი ლ ბ ო ა—? ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად პოლკში (იხ. ტექსტი).

53. პ ე ტ ე რ ს ო ნ ი—? ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

54. ვ ი რ ც ა ნ ო ვ ი—? ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ ტექსტი).

55. ლ ე კ ა რ ი—პოლკის ექიმი.

56. ი ა ნ ო ვ ო—დაბა იანოვი, კოვნოს გუბ., მდ. ვილიაზე, 31 ვერსზე ჩრდ.-აღმოსავლეთით კოვნოდან.

57. ვ ი ლ კ ო მ ი რ ი (ვილკომერეი)—სამაზრო ქალაქი კოვნოს გუბ., მდ. სვენტზე, 66 ვერსზე ჩრდ.-აღმ. კოვნოდან. პოლონური მატიანეების მიხედვით დაარს. უნდა იყოს 1025 წ. რუსეთმა შეიერთა 1796 წ. გრ. ორბელიანის მგზავრობის დროს შედიოდა ვილნოს გუბ. (1842 წლამდე).

58. ს ტ ა შ კ უ ნ ი შ კ ი—?

59. ვ ი ს მ ე ნ ს კ ი—? იუნკერი, როგორც სჩანს, ირიცხებოდა გრ. ორბელიანის როტაში (იხ. ტექსტი).

60. ღ ი დ რ ო ი—? ოფიცერი (იხ. ტექსტი).

61. ს კ ა ვ ი ნ ი, სწორად სკემიანი—დაბა კოვნოს გუბ., ვილკომირის მაზრაში, 39 ვერსზე სამაზრო ქალაქიდან.

62. გ რ ა ფ. ს ტ რ ა...—?

63. უ ც ი ა ნ ი—უციანა (უტენა)—დაბა კოვნოს გუბ., ვილკომირის მაზრაში, პატარა მდ. უციანკაზე და ტბა ვიეანაიტისზე, 60 ვერსზე სამაზრო ქალაქიდან. ოდესღაც წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს.

64. დ ო ვ ღ ე ლ ი (დავგელი)—დაბა კოვნოს გუბ., ნოვო-ალექსანდროვსკის მაზრაში, 30 ვერსზე სამხრ.-დას. სამაზრო ქალაქიდან.

65. დ ე ღ უ ც ი (დეგუცე) — დაბა კოვნოს გუბ., ნოვო-ალექსანდროვსკის მაზრაში, 15 ვერსზე სამხრ.-დას. სამაზრო ქალაქიდან.

66. ე ღ ი პ ტ უ ნ—?

67. დ ი ნ ა ბ უ რ გ ი—სამაზრო ქალაქი და პირველხარისხოვანი სიმაგრე ვიტებსკის გუბ., ტბა შჩუნასა და მდ. დას. დვინაზე, 276 ვერსზე ჩრდ.-დას. ვიტებსკიდან. თვით დინაბურგის სიმაგრე დაარს. 1582 წ. სტეფან ბატორის მიერ, ხოლო ძველი დინაბურგი, რომლიდანაც აღარაფერი დარჩენილა—1278 წ. ლივონელი რაინდების მიერ. საბოლოოდ შეიერთა რუსეთმა 1772 წ.

68. ზ ა ლ მ ა ნ ი—იგივე სალმანი (იხ. შენიშ. 6).

69. რ ე ვ ე ლ ი (ესტონურად Tallina)—საგუბერნიო ქალაქი ესტონეთში ფინეთის უბის სამხრეთ ნაპირზე. ქალაქის დაარს. თარიღად ითვლება 1219 ან 1223 წ., როდესაც დანიის მეფე ვოლდემარ II აქ ააგო ციხე-კოშკი. ჩრდილოეთის ომის შემდეგ იგი საბოლოოდ შეიერთა რუსეთმა.

70. რ უ კ ტ ე შ ე ლ ი—? ოფიცერი რეველის პოლკში (იხ. ტექსტი).

71. ვ ი ლ ღ ე ლ მ ი—ვილჰელმ I (ვილჰელმ-ფრიდრიხ-ლუდვიგი—1797—1888), პრუსიის მეფე და გაერთიანებული გერმანიის პირველი იმპერატორი.

72. პ ო პ რ ო ც კ ი—? ოფიცერი, როგორც სჩანს, შედიოდა ვილჰელმის ამალაში.

73. ლ ი ნ კ ო ვ ი—დაბა კოვნოს გუბ., პონევეჟის მაზრაში, მდ. კროზე, 57 ვერსზე ჩრდ.-დასავლეთით პონევეჟიდან.

სარგის კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1761 წელს დაწერილი ქართული სასცენო მინიატურა

ქვემოთდაბეჭდილი ქართული სასცენო მინიატურა წარმოადგენს მეტად საინტერესო ნიმუშს ქართული თეატრის ისტორიისათვის. ეს ნაწარმოები ეკუთვნის ერეკლე II-ის დროინდელ ცნობილ მოხელე-პირს იესე იესეს-ძე მიქაძეს (რომელსაც შემდეგ გვარად თავად ბარათაშვილობა ებოძა) და მოღწეულია ჩვენამდის თვით მისი ავტოგრაფიის სახით (საქ. მუზ. № 1330). რომ ეს მინიატურა დაწერილია პატარა, ასე ვთქვათ, შინაურ სცენისათვის, ამას ცხადჰყოფს მისი ფორმა და ხასიათი. შინაური სასცენო წარმოდგენები იმართებოდა საქართველოში (უფრო ტფილისში) მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიაც, მუდმივი ქართულ თეატრისათვის გიორგი ერისთავის დროს საფუძვლის ჩაყრამდის.

ჟურნალში „ტფილისის უწყებანი", 1832 წლის მე-2 ნომერში აღნიშნულია ასეთი ფაქტი: „წარსულ კვირას, — ვკითხულობთ ჟურნალში, — იყო თეატრი ერთს ჩინებულს სახლსა შინა და საკურველად წარმოადგინეს, უკეთესად არ შეიძლებოდა". აი ასეთი შინაური „თეატრისათვის" არის დაწერილი ჩვენი მინიატურაც.

ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მუდმივ და ევროპული ხასიათის თეატრს ტფილისში საფუძველი ჩაეყარა 1780 წელს ერეკლე II-ის ხელის შეწყობით და ტფილისში მაშინ მყოფ ქართულის მცოდნე გერმანელ იაკობ რეინეგსის და მისი თანამოახლე უნგრელ გრაფ კოჰარის აქტიური მონაწილეობით და დახმარებით (ამის შესახებ ცალკე წერილში გვექნება ლაპარაკი). როგორც გიორგი ერისთავის მუდმივი დასის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში „ჩინებულ სახლთა შინა" გამართული „თეატრები", ისე საფიქრებელია, რომ 1780 წელს ქართული თეატრისათვის საფუძვლის ჩაყრას წინამორბედად უნდა ჰქონოდა სხვადასხვა შინაური წარმოდგენები ცალკე ოჯახებში. იესეს მინიატურა დაწერილია სწორედ ასეთი შინაური სცენისათვის.

იესეს ეს მინიატურა (თავისი ხასიათით, შეიძლება ითქვას, ახლანდელი ეგრეთწოდებული სკეტჩი) ეხება იმდროინდელ სახელდახელო ამბებს და დაწერილია დიდის ჰუმორით. მომქმედ პირად იესეს გამოყვანილი ჰყავს ორი მღვდელი და თავისი თავი. სკეტჩის დათარიღებისათვის მნიშვნელობა აქვს მის ერთს ადგილს, სადაც მღვდელი ეუბნება იესეს: ე, მითხრეს შენს შესახებ, ეს დააშავე — ბატონმა (ე. ი. მეფემ) რომ (იესეს) მდივნობა უბოძა, (მან) სახლი მოაფენინა და მიმსვლელთ ყავა მიართვა და ყალიონი. მართლაც, იესე თავის მემუარებში დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ დანიშნეს ის 1760 წ. 9 ოქტომბერს მეფის მდივნად.

„ერთი კვირა რომ გავიდა, — სწერს იესე ამ თავგადასავალში, — და ვარ მდივნობის პატივსა და მოვლენ მეგობარნი ჩემნი და მოყვასნი და მომილოცავენ, ვითარ წეს არს მეფეთა მოწყალებასა ზედან, ნათლისმცემლის (ეკლესიის) სახლებში ვდგევარ, აივანში ვჯდომილვარ, მე ბატონისაკენ (მეფისაკენ) წავსულვარ და ის სახლი მოფენილი იყო (ნოხებით) და სტუმრებისათვის ყალიონი და ყავის ფიალები იდგა. ჩემის უბედურობით, ახახანუმ დედოფალს (რომელიც იესეს პირადად მტრობდა) საყდრებში ლოცვა და მოვლა დაუწყია, ნათლის-მცემელშიაც შემოსულა.

ეს სახლი უნახავს, უკითხავს, შეუტყვია, ღმერთმან შენს მტერს მისცეს, გაჯავრებულა. მიბრძანებულა სადგომს, გაუცხელებია, ქვეშაგებად მივარდნილა. უკითხავსთ — რა არის. ანასტასია (ბატონიშვილი) მისულა ბატონთან (ერეკლე II-სთან) — რაზედ მოჰკლავთ, მეფეს თეიმურაზს რაღას პასუხს აგულებთო (ანახანუმი იყო თეიმურაზ II-ის მეორე ცოლი, ერეკლე II-ის დედინაცვალი, თვით თეიმურაზ II ამ დროს რუსეთს იმყოფებოდა). თუ იესეს შვილს „მდივნობას მისცემთ, ეს კი მოკვდებაო".

ახახანუმ დედოფლის ასეთი დაჟინების გამო იესეს ჩამოართვეს მდივნობა. მან თავისი თავის აღდგენა ამ თანამდებობაზე შესძლო მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1762 წლის 9 დეკემბერს. სკეტჩი დაწერილია იმ დროს, როდესაც იესე ჯერ კიდევ უადგილოდ იყო, მაშასადამე, უფრო 1761 წელს.

სკეტჩი იხსენიებს რამდენიმე მაშინდელ პირს, რომელთაც სხვადასხვა ადგილი ეჭირათ ქართლ-კახეთის სახელმწიფო ცხოვრებაში. საყურადღებოა ვინმე „მარიამ პავლეულას“ (პავლეს ასულის) მოხსენიება. ეს პირი, რომელიც, ცხადია, რუსი უნდა ყოფილიყო, წინათ საქართველოში (ტფილისში) ცხოვრებულა, ამ დროს-კი რუსეთში იმყოფებოდა. მას საქართველოში ქართველ თავადიშვილებს შორის დაუტოვებია ბევრი „ერთგული მცველი“, რომელთაგან სკეტჩში დასახელებულნი არიან ნიკოლოზ აბაშიძე (შემდეგ ერეკლე II-ის სიძე), დავით ორბელიანი (ესეც შემდეგ ერეკლე II-ის სიძე გახდა), ივანე აბაშიძე, ქაიხოსრო მოურავიშვილი (თარხნიშვილი), ივანე მეითარი (მეითარი კარის მოხელის სახელწოდება იყო) და, როგორც სჩანს, ნინოწმიდის ეპისკოპოსიც.

საერთოდ სკეტჩი სავსეა საღი ჰუმორით მღვდლების სიხარბეზე, ტფილელ მიტროპოლიტზე და სხვ.

ტექსტი:

ი ე ს ე — ხუცესო, კორკოტი არსადა გაქვს ან შილაფლავი?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ვინ მომცა, ერთი წელიწადია არავინ მომკვდარა.

ი ე ს ე — ილოცე, მომსვრელი სენი გამოჩნდეს.

მ ღ ვ დ ე ლ ი — შემიტყობენ, ჩამქოლავენ.

ი ე ს ე — შენს სვინიდისში რომ ითხოვო რამე, ვინ რას შეგიტყობს?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ლოცვაში მაღალი ლაპარაკი ვიცი.

ი ე ს ე — სხვა რაღა იცი, ისიც მითხარი.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მეორე ეს ვიცი, თუ კაცმა მითხრა რამე, ვერ დავმალავ.
ვერც შიმშილს გავუსძლებ, ვერც უღვინობას,

ი ე ს ე — თუ აგრეა, რატომ ჩემსავით არა იქ?

მ ღ ვ დ ე ლ ი — შენ სხვა ბედი გქონდა.

ი ე ს ე — რატომ აღარ მითხარ, თუ ბედი გწამს?

მ ღ ვ დ ე ლ ი — შენს სიკეთეს მიმადლე, ნურავის ეტყვი.

ი ე ს ე — მე ბევრი მაგისთანა გამიგონია.

მ ღ ვ დ ე ლ ი — რად გეუბნებიან?

ი ე ს ე — კაი კაცს მეძახიან.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მაშ დედოფალი რად გაგიწყრა?

ი ე ს ე — იმის საკადრისი ყმა ვერ ვიყავ.

მ ღ ვ დ ე ლ ი — იმას როგორი ეკადრება?

ი ე ს ე — აგერ იარალი არ არის და ავთანდილი, იმისთანა უნდა.

მ ღ ვ დ ე ლ ი — იარალი ცოლს ირთავს, გავიგონე.

ი ე ს ე — მე ასე გავიგონე, ცოლი იარალის არ ირთავსო.

მ ღ ვ დ ე ლ ი — რატომაო?

ი ე ს ე — ამის მეტი ლაპარაკი არ ვიცი.

მ ღ ვ დ ე ლ ი — თქვი, რა გინდა წაგეკიდოს.

ი ე ს ე — თავი რათ ვაწამო?

მ ღ ვ დ ე ლ ი — თავის წამება არ არის, მაგდენს თავის მოყვარეობაში ხარ.

ი ე ს ე — ჩემი თავის მეტი აღარა შემრჩება, ყველა გამიდგა და ეს მიყვარს.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მღვდელი ვარ, დამიჯერე, თავი ნუ გიყვარს.

ი ე ს ე — ეგ კი არ იქნება.

მ ღ ვ დ ე ლ ი — ეგ მაგას გიჩივიან.

ი ე ს ე — აღსარებაში გეტყოდა ვინმე.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მითხრეს, ჩემს ცხოვრებამ.

ი ე ს ე — სხვა რაღა გითხრეს, თუ ღმერთი გწამს?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ესეც მითხრეს ძლიერ ძვირად მოიწონებს რამესო.

ი ე ს ე — სხვა რაღა გითხრეს?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ბატონმა რომ მდივნობა უბოძა, სახლი მოაფენინა და ძმასვ-ლელთ ყავა მიართვა და ყალიონიო.

ი ე ს ე — ეგ რა სიავკაცეა?

მ ღ ვ დ ე ლ ი — შენი ყველა ეწყინებათ.

ი ე ს ე — უფრო იამებათ, თურმე პატივის ღირსიაო, ჩვენს გარდა სხვებმაც პატივი სცაო.

მ ღ ვ დ ე ლ ი — თუ დამიჯერებ, მე უკეთ ვიცი.

ი ე ს ე — მაგას არ დაგიჯერებ.

მ ღ ვ დ ე ლ ი — ნუ დამიჯერებ, მდივნობა გამოგართვეს.

ი ე ს ე — ისევ იესეს იესე, ეს გული და პირი ჩემთან.

მ ღ ვ დ ე ლ ი — ახ, დიდად მოგწონს?

ი ე ს ე — ჩემთ სულმა, ყმად კარგი ვარ.

მ ღ ვ დ ე ლ ი — თურმე ბატონად ვისთვისმე კი არ ვარგიხარ.

ი ე ს ე — მღვდელო, მაგის მეტი მართალი არა გითქვამს-რა.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მე სიმართლე აგრე არ მიყვარს.

ი ე ს ე — მაშ რა გიყვარს?

მ ღ ვ დ ე ლ ი — თეთრი და ფრული.

ი ე ს ე — სხვა რაღა გიყვარს?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ძრახვა დიაღ კარგია და მიყვარს.

ი ე ს ე — ვინ გასწავა?

მ ღ ვ დ ე ლ ი — მაკარი მღვდელმან და ვასილი მღვდელმან-მოძღვარმან, ერთმა სიმდიდრე და მეორემ ლაპარაკი.

ი ე ს ე — აღსარებას ვერ მათქმევინებ, დიაღ მინდა.

მ ღ ვ დ ე ლ ი — შენ ჩემი არა გესმის-რა.

ი ე ს ე — რასაც მიბრძანებ, დავიჯერებ.

მ ღ ვ დ ე ლ ი — თუ დამიჯერებ, თავი მოიძულე.

ი ე ს ე — მაშ რა შევიყვარო?

მ ღ ვ დ ე ლ ი — თეთრი და ღვინო.

ი ე ს ე — ღვინო მაწყენს.

მ ღ ვ დ ე ლ ი — არაყს დალევდე.

ი ე ს ე — ჩემს ჟამში გემო არ ვიცი.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მაშ რას ეწყობი?

ი ე ს ე — კაის მოყვასთან ლაღობას, წმიდას ჭამას, სმას და საკადრისად ბა-ტონის ყმობასა.

მ ღ ვ დ ე ლ ი — არ კი მითხარ, რასაც მეტყვი დაგიჯერებო. შენ ისევ თავის მოყვარე ხარ, განგეშორე.

ი ე ს ე — აგრე ადვილად რად გახმეტევე?

მ ღ ვ დ ე ლ ი — მე თავის მოყვარეს ვერას ვეწყობი.

ი ე ს ე — მაშ რას ეწყობი?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ტფილელს ვეწყობი.

ი ე ს ე — კაცს რომ გეძახის, შენ ხარ?

მ ღ ვ დ ე ლ ი — მე ვარ სწორედ.

ი ე ს ე — რას ასტეხიხარ, თუ ღმერთი გწამს?

მ ღ ვ დ ე ლ ი — მიჯერებს, რასაც ვეტყვი.

ი ე ს ე — კ-ზედ რად ეხუმრებოდი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ღ ვ დ ე ლ ი — გავაცინე და ვაამე და ამისთვის.
ი ე ს ე — სასაცილო ანგელოსი ვის გაუგონია?
მ ღ ვ დ ე ლ ი — კაი აზნაურიშვილი იამება.
ი ე ს ე — რატომ არ ეტყვი, ცოლი შეირთოს?
მ ღ ვ დ ე ლ ი — ვაითუ არ დამიჯეროს ჯერ.
ი ე ს ე — თურმე მერმე იმედი გაქვს?
მ ღ ვ დ ე ლ ი — ჩემს ხელთ არის, როსც არის.
ი ე ს ე — სხვა კი არავინა გყავს იმგვარად?
მ ღ ვ დ ე ლ ი — ათი-თორმეტი მყვან ქართლში.
ი ე ს ე — მითხარ, ვინ არიან?
მ ღ ვ დ ე ლ ი — განა შენ არ იცი, ვინც არის?
ი ე ს ე — ჭეშმარიტად არ ვიცი.
მ ღ ვ დ ე ლ ი — ვინც შენ გტანჯავს უბრალოდ, ის არის.
ი ე ს ე — მე ჩემის უბედურობით არც მამისაგან მქონდა ბედი, არც დედისაგან და სხვისა ვისგან მექნებოდა.
მ ღ ვ დ ე ლ ი — ისინი რაღას გემართლებოდნენ?
ი ე ს ე — თუ ანგელოსი ხარ, გეცოდინება.
მ ღ ვ დ ე ლ ი — მე წინასწარს კი ვერას შევიტყობ და რაც ითქმის და იქნება, ის კი ვიცი.
ი ე ს ე — მაგას მეც შევიტყობ, რა ანგელოსობაა.
მ ღ ვ დ ე ლ ი — რომ დამიწუნე, რად აღმიარებ?
ი ე ს ე — ჯერ შენი ამბავი მიანბე, აღსარებისა მე ვიცი.
მ ღ ვ დ ე ლ ი — რა გიანბო წინასწარი არა ვიცი-რა და შენმა მშობლებმა რაც ქნეს, ის კი ვიცი: მამული წაგართვეს.
ი ე ს ე — მეფეს ერეკლეს მრავალი დღე ჰქონდეს და მამულს ის მომცემს.
მ ღ ვ დ ე ლ ი — მდივნობა გამოგართო, რას მამულს მოგცემს.
ი ე ს ე — დედოფალს სწყინდა და ღვთის მსახურია, დედის ალაგს მსახურებს.
მ ღ ვ დ ე ლ ი — თუ მეტყვი, წავალ, ურჩევ, დაგეხსნას და მეფესაც ურჩევ, გიბოძოს.
ი ე ს ე — მეფე ერეკლე შენისთანას კაცს ვერ ეწყობა და სხვისა შენ იცი.
მ ღ ვ დ ე ლ ი — ანგელოზს ვერ ეწყობა, მაშ რას ეწყობა.
ი ე ს ე — ქალაჩუნას ვერც ანგელოზს ეწყობა და ვერც კაცსა.
მ ღ ვ დ ე ლ ი — მოძღვარს რატომ მლანძღავ, ქალაჩუნა რატომა ვარ?
ი ე ს ე — შენ არ უფრო ბევრი სიავკაცე მითხარ.
მ ღ ვ დ ე ლ ი — ქალაჩუნას რატომ მეძახი?
ი ე ს ე — მაშ ქალაჩუნები რომ დაგიშინებია, რატომ მავნე ვერავინ იშოვე, თუ კაი კაცი ხარ?
მ ღ ვ დ ე ლ ი — შენ რა იცი, ვინ არიან?
ი ე ს ე — შენმა ანგელოსობამ, ყველა ვიცი შენი მონანი და მოსავნი.
მ ღ ვ დ ე ლ ი — თუ იცი, რომელს უფრო უყვარვარ? ეს კი ვიცი, ტფილელის კი ეშინიან.
ი ე ს ე — რად აშინებ, თუ კაი კაცი ხარ?
მ ღ ვ დ ე ლ ი — იმგვარი გული აქვს, თორემ სხვებს როდის ეშინიანთ. რასაც სიზმრად ვაჩვენებ, სასწაულად ირაცხავენ.
ი ე ს ე — კაი, დამაცალე, ჩემო კარგო.
მ ღ ვ დ ე ლ ი — რად დაგაცალო, შენ ხარ ცუდად, მდივნობა წაგართვეს, და მე ვარ ცუდად, და შევექცეთ.

ი ე ს ე — თუ ცუდად ხარ, წადი, ტარიელ თაზიშვილის ამბავი მომიტანე, რასა იქს.

მ ღ ვ დ ე ლ ი — სხვისი ვიღასი გინდა? ისიც დამაბარე. შევიტყობ და ამბავს მოგიტან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ე ს ე — თუ შენ კაი კაცი იყო, იქ ვერ წახვიდოდი.

მ ღ ვ დ ე ლ ი — თუ გინდ ქვეყნის ამბავს მოგიტან.

ი ე ს ე — პოპლიოზს დაგხვდება.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მე პოპლიოზს არ ვერიდები.

ი ე ს ე — მაშ წადი რუსეთს, მარიამ პავლენას ამბავი მომიტანე.

მ ღ ვ დ ე ლ ი — გოჭმა უკეთ იცის, იმას ჰკითხე.

ი ე ს ე — გოჭსა თავისთვის უნდა.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მე უკეთ ვიცი, ვისაც უნდა.

ი ე ს ე — ეგ მაშინაც მითხარ, ვის უნდა.

მ ღ ვ დ ე ლ ი — ნიკოლოზ აბაშიძეს უნდა.

ი ე ს ე — დავით სარდლის შვილსაც უნდა თუ არა?

მ ღ ვ დ ე ლ ი — არა, დავითს სხვა საქმე აქვს, იმისთვის არა სცალია.

ი ე ს ე — ივანე აბაშიძეს უნდა თუ არა?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ცრუ არის, ერთ წამს უნდა და ერთ წამს აღარა.

ი ე ს ე — ქაიხოსრო მოურავის-შვილს უნდა თუ არა?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ასე უნდა, რომ სიზმრადაც მოჩვენებია.

ი ე ს ე — ივანე მეითარს უნდა თუ არა?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ილაჯი აღარა მაქვს, როგორ არ უნდა?

ი ე ს ე — ქაიხოსრო აბაშიძეს უნდა თუ არა?

მ ღ ვ დ ე ლ ი — იმას არ აკლია, ყველა პავლენაა იმასთან.

ი ე ს ე — ნინაწმიდელს არ უნდა?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ნეტა ის ვის არ უნდა! ეს არის, რა თქვენ შეიქენით ...სოფი, თორემ ვის არ უნდა.

ი ე ს ე — მე გაჯავრებული ვარ.

მ ღ ვ დ ე ლ ი — დამშვიდდი, ჩემო ბატონო.

ი ე ს ე — ოცდაათ წლამდის დიაღ გერჩოდი.

მ ღ ვ დ ე ლ ი — ოცდაათს წელიწადს უკან ჭეშმარიტად არცა ვინ მყვარებია და არცა ვინ მიყვარს.

ი ე ს ე — მაშ გაგიცლები.

მ ღ ვ დ ე ლ ი — მიბრძანდით, ქრისტეს ძლიერებით შორსა ვარ და ვიყოაწ და უკუნისამდე, მარა ესეები რომ მიამბე, კარგი მიყავ.

ი ე ს ე — რად გიამა, თუ კაი კაცი ხარ?

მ ღ ვ დ ე ლ ი — ამისათვის მიამა, ყვედრებას დაუწყებ.

ი ე ს ე — ვის გაუგონია, კაცს ცოდვა აყვედრო.

მ ღ ვ დ ე ლ ი — შეხუმრებაში რა იქნები?

ი ე ს ე — თუ ხუმრობას ეწყობი, ბატონს მოახსენე. იმისთანას სამართალს ნუ გამძლავრებს ხოლმე.

მ ღ ვ დ ე ლ ი — დავითს უთხარ, სხვა ფიქრი ნახეთ.

ი ე ს ე — აბაშიძეს უთხარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ა. ჯავახიშვილი

ქალთა პირველ საერთაშორისო დემოკრატიულ ანტიფაშისტურ კონგრესზე პარიზში

1945 წლის 23 ნოემბერს ჩავედით ქ. პარიზში. თვითმფრინავი დაეშვა თუ არა ჰაეროდრომზე, მაშინვე გაიღო კარი და 10-საათიანი უმოძრაობის შემდეგ ყველანი მიწაზე გადმოვედით. ჩვენი წარმომადგენლობა ამ დღეს არ გველოდა და ჰაეროდრომზე არავინ დაგვხვდა. ჩვენი ხელმძღვანელი ზ. გაგრინა მფრინავთან ერთად გაემართა ტელეფონით დასარეკად. რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩვენს გარშემო დაიწყეს სიარული უცხოელებმა, რომლებიც ჯერ შორიდან გვიყურებდნენ, შემდეგ კი თანდათანობით მოგვიახლოვდნენ და სრულიად მოურიდებლად დაგვიწყეს თვალიერება.

დაახლოებით ნახევარსაათის ცდის შემდეგ ჰაეროდრომზე მოვიდა ავტობუსი და ჩვენი საელჩოს რამდენიმე თანამშრომელი, მოგვესალმნენ, გაგვეცვნენ და გავემართეთ პარიზისაკენ.

ჰაეროდრომის შენობა ნახევრად დანგრეული იყო და მის შეკეთებაზე რამდენიმე კაცი მუშაობდა.

მანამ პარიზის განაპირა უბნებში ვიყავით, დანგრეული შენობები შედარებით ხშირად გვხვდებოდა. ნანგრევები მიტოვებულია და ეტყობა მათ ალაგებას არავინ ფიქრობს, აქა-იქ ბოსტნები და ბალჩებიცა სჩანს.

პირველი ნახევარი საათის განმავლობაში, როცა უკვე ქუჩები და შენობები დაიწყო, გაკვირვებული ვიყავით—„ნუ თუ ამას ჰქვიან პარიზი?! ნუ თუ ეს არის მსოფლიოს ულამაზესი ქალაქი?!“ არაფერი ღირსშესანიშნავი არა სჩანდა. უკვე გვწყინდებოდა ფანჯარაში ყურება. ბინდდებოდა. სინათლე არ ენთებოდა, ქუჩები ბუნდოვნად სჩანდა, არაჩვეულებრივს-კი ჯერ ვერაფერს ვხედავდით. მოულოდნელად, რაც პარიზისათვის ძალიან დამახასიათებელია, როგორც ეს შემდეგში შევამჩნიეთ, ჩვენს თვალწინ მართლაც უჩვეულო სანახაობა გადაიშალა: ვარსკვლავის მოედანი, ტრიუმფის კარიბჭით, უცნობი ჯარისკაცის საფლავი ამ კარიბჭის ქვეშ, გვირგვინებით მორთული და ჩაუქრობელი ლამპარით. ვარსკვლავის მოედანზე 12 ქუჩა გამოდის, ერთერთ ულამაზეს ქუჩას ელისეს მინდვრები ეწოდება. მეორე ბოლოზე ტრიუმფის კარიბჭის სწორხაზოვნად ტულერის სასახლე და ლუვრის მუზეუმია მოთავსებული.

ჩვენ მოპირდაპირე მხარეს გაუხვიეთ, ფოშის გამზირზე, პარიზის ყველაზე არისტოკრატიულ უბნისაკენ, მშვენიერი შენობებით, არაჩვეულებრივი

სილამაზის თუჯის ჩუქურთმებით, უხვი გამწვანებით. ვუახლოვდებოდით ბულონის ტყეს, ტყის წინ ერთერთ მშვიდ ქუჩაზე შევუხვიეთ და ეს იყო ჩვენი იმდღეინდელი მოგზაურობის საბოლოო მიზანი.

ისევ ჩვენს „ტერიტორიაზე“ აღმოვჩნდით: საბჭოთა სავაჭრო და საბჭოთა წარმომადგენლობაში. გულთბილად შეგვხვდნენ ჩვენი თანამშრომლები, ჩამოგვართვეს ნივთები, თითონ ამოგვიტანეს წინასწარ ჩვენთვის გამზადებულ ოთახებში და მაშინვე შეუდგნენ ვახშმის სამზადისს.

მცირე ხნის დასვენების შემდეგ, გამოგვეცხადა მორიგი ოფიცერი, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა ჩვენი მასპინძლობა და შეგვთავაზა ქალაქში გასეირნება, რასაც ყველა სიამოვნებით გამოეხმაურა.

23 ნოემბერა პარიზი 25 წლის გაუთხოვარ ქალიშვილების დღეს უქმობს, ამავე დღეს გამოცხადებულია ქალების ქუდების კონკურსი. ისე, რომ ჩვენ პირველ დღესვე შეგვეძლო გავცნობოდით ცოტად თუ ბევრად პარიზის ჩვევებს. პარიზის ყველაზე უფრო დემოკრატიულ, მრავალსანახაობიან და მრავალხალხიან უბანში გავემართეთ, უბანში, რომელშიც კაფეების, კინო-თეატრებისა და სხვადასხვა ატრაქციონების ყველაზე დიდი რაოდენობაა თავმოყრილი, საღაც საღამოს 9 საათის შემდეგ იმდენი ხალხია ქუჩაში, რომ გავლა ძნელდება.

ეს არის მოხელეების, მოსამსახურე ხალხის პარიზის გული—კლიში.

25 ნოემბერს ახალგაზრდა ქალები (სხვადასხვა კანტორებისა და მაღაზიების მოსამსახურეები) ხელიხელ ჩაკიდებულნი დასეირნობდნენ ქუჩებში სიმღერით, მათ მსგავსად ყმაწვილებიც ქმნიდნენ ჯგუფებს, მაგრამ უფრო მცირერიცხოვანს.

„საკვირველი ხალხია პარიზის მცხოვრებლები,—გვეუბნებოდა ჩვენი გამყოლი,—გუშინ რომ ჩამოსულიყავით, ქუჩაში ვერ გაივლიდით, ყველგან პოლიციელები იდგნენ, მიმოსვლა შეჩერებული იყო, გზები—გადაღობილი, მნიშვნელოვან შენობებს და დაწესებულებებს შეიარაღებული ჯარი ყარაულობდა, განაპირა უბნები და ზოგიერთი ცენტრალური ქუჩაც დემონსტრანტებით იყო სავსე. ქალაქი დაძაბულ მდგომარეობაში იყო არჩევნებთან დაკავშირებით. გუშინ აირჩიეს საფრანგეთის მთავრობა, მოხდა შეთანხმება სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს შორის. მოსახლეობა გულისხმიერად განიცდიდა ამ პოლიტიკურ კრიზისს. დღეს კი, ქუდებისა და ქალიშვილების უქმეა“.

რა რჯულის, რა ფასონის, რა ფერის და რა სეზონის ტანისამოსს არ დაინახავთ პარიზის ქუჩებში! განსაკუთრებით საღამოთი—კლიშიზე ან პიგალზე. გაჭირვებული მოხელე ქალები, ზოგიერთი ოჯახის დიასახლისებიც კი, მცირე ხელფასის გამო იძულებული არიან ქუჩაში გამოვიდნენ, დაიმსახურონ მამაკაცების ყურადღება და მით გაადიდონ თავიანთი დღიური შემოსავალი.

ეს ხელობაც არსებობასთან ბრძოლის ერთერთი საშუალებაა პარიზში და თანაც ფრიად გავრცელებული.

პირველ დღეს ვერაფრით ვერ გავერკვიეთ: რა მოდაა პარიზში? რა აცვია ხალხს? განსაკუთრებით ჭრელია სურათი კინო-თეატრების სალაროების წინ, საღაც წყვილები დგანან ბილეთებისათვის.

ერთერთი ქალის ჩაცმულობა ასეთი იყო: როგორც წესი—ხის ფეხსაცმელები, უწინდებოდ, ფეხები მუქ ყავისფრად შეღებილი, თეთრი ჭურჭის მანტო (იმიტირებული ბეწვის), მწვანე, თხელი ხელოვნური აბრეშუმის კა-

ბა, თანამედროვე მოდის მიხედვით რამდენიმე-სართულად დახვეული თმები, თავზე თხელი ოქროსფერი ძუის ქუდი, არაჩვეულებრივი სიმალლისა, წითელი ფრთებით შემკული, სახეზე ბრინჯაოსფერი გრიმი, წითლად შეღებილი ლოყები და ტუჩები.

ყველაფერი ეს, სადაც არ უნდა ნახოთ, დედამიწის რომელ კუთხეშიაც არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ მასკარადით შეიძლება იყოს ახსნილი, გარდა პარიზისა. პარიზში ამნაირი მორთულობით თავისუფლად შეიძლება სიარული, არავინ არ მოგაქცევთ ყურადღებას, რადგან სხვას კიდევ უფრო ჭრელად აცვია. ყველა ცდილობს ყურადღების მიპყრობას, ყველა თავისებურად სცვლის მოდას, ყველა თავისი გემოვნების მიხედვით სცვლის მრავალრიცხოვან მოდებს და იყენებს იმ მცირე შესაძლებლობას, რომელსაც მას ხელმოკლეობა აძლევს.

ერთი რჩება მხოლოდ საერთო: შიშველი ფეხები, ხის ფეხსაცმელები, ბრინჯაოს ფერი სახე; ერთფეროვანი გამომეტყველება, რომელიც იმდენად ამსგავსებს მათ ერთმანეთს, რომ მიუხედავად მრავალფეროვანი და მრავალგვარი მოდებისა, მათი ერთმანეთში გარჩევაც კი შეუძლებელია.

ასეთნი არიან საშუალო ფენის პარიზელი ქალები ღამით.

სრულიად სხვანი არიან პარიზელი არისტოკრატი ქალები, რომლებიც კვირა დღეს ბულონის ტყეში სეირნობენ ცხენებით. მათზე ვერც იმიტაციას დაინახავთ, არც მჭახე ფერის ჩაცმულობას, არც მყვირალა ნივთებს.

მჭახე ფერებს, მყვირალა ჩაცმულობას ფრანგული ინტელიგენციაც ერიდება, იმ განსხვავებით, რომ მათი ტანისამოსი განსაკუთრებით ღარიბულია, განსაკუთრებით უბრალოა და, რასაკვირველია, მხოლოდ იმიტირებულია მასალისაა.

ჩამოსვლის მეორე დღეს ქალთა საერთაშორისო კონგრესის მომწყობ კომიტეტში მოვიხდა მისვლა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელებთან ერთად საქმეების გასაცნობად და ნათარგმნების შესამოწმებლად, რადგან კონგრესის თარგიმანთა მთელი შტატი ემიგრანტებისაგან შესდგებოდა (უმთავრესად თეთრგვარდიელების წრიდან). აქ გავიცანი სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების ხელმძღვანელი ქალები, კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი კოტინი (ფრანგი), დოლორეს იბარური, ცოლა დრაგოიჩევა და სხვები. კომიტეტში და საერთოდ უცხოელები დიდი ყურადღებითა და თავაზიანობით გვექცეოდენ.

დიდი მონდომებით დავიწყეთ მუშაობა და სამუშაოც ბევრი გვქონდა, მაგრამ მუშაობა დიდხანს არ მოგვიხდა, შეუმჩნეველად 12 საათი მოახლოვდა და ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვესვენა.

ერთი რამ სჭირთ პარიზელებს „კარგი“: დიდხანს არ იწუხებენ თავს მუშაობით და არც თქვენ მოგცემენ ნებას დაიღალოთ.

პარიზში მუშაობა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე გრძელდება, 12-2-მდე შესვენებაა სადილისათვის. ეს იმდენად წმიდათა-წმიდაა პარიზელებისათვის, რომ 12 საათზე ყველაფერი სწყდება, ყველა დაწესებულება იხურება, ყველა მაღაზია იკეტება, ყველაფერი შეჩერებულია, მთელი პარიზი სადილობს. პოლიციელებიც-კი სტოვებენ თავიანთ საგუშაგოებს და მიდიან სასადილოდ. 2 საათიდან იწყება სამუშაო დღის მეორე ნახევარი. მუშაობა საათის 5-6-მდე გრძელდება. შაბათობით 12 საათის შემდეგ არავინ არ მუშაობს, კვირა, თავისთავად ცხადია, მთლიანად დასვენების დღეა, ორშაბათს-კი დღის პირველ ნახევარში საერთოდ არავინ არ მუშაობს, ხო-

ლო თუ კაცი ძალიან შრომისმოყვარეა, 2 საათის შემდეგ გააღებს მაღაზიას და ნელნელა შეუდგება ყოველდღიურ საქმიანობას.

აღნიშნული ჩვეულება იმდენად გამჯდარი აქვთ პარიზელებს სისხლსა და ხორცში, რომ კონგრესზედაც-კი, რა საკითხიც არ უნდა ყოფილიყო კამათის საგნად, რომელი ორატორიც არ უნდა ყოფილიყო ტრიბუნაზე, ოთახშიც არ უნდა ელაპარაკნა, დღის 12 საათზე იწყებოდა ჩოჩქოლი და, მით უმეტეს, თუ თავმჯდომარეც ფრანგი იყო, სხდომა მაშინვე სწყდებოდა.

პარიზის მცხოვრებლების ქცევა ქუჩაში და საზოგადო დაწესებულებაში, როგორიცაა თეატრი, კინო, კაფე და სხვა სახის გასართობები, უჩვეულო თავისუფლებითა და მოურიდებლობით ხასიათდება. იმდენად უჩვეულო და წარმოუდგენელია ეს ჩვენთვის, რომ პირველ ხანებში უხერხულადაც-კი ვგრძნობდი თავს, როცა მეტროს რონოდაში ჩემს თვალწინ ახალგაზრდა წყვილი ისე იქცეოდა, თითქოს არავის არ ამჩნევდა. მივიხედ-მოვიხედე და როცა დავინახე, რომ მათ ყურადღებას არავინ არ აქცევდა და ეს წყვილი გამონაკლისი არ არის, მივხვდი: ეს ყოფილა სწორედ „დასავლეთის კულტურა“.

პარიზის ქუჩებში ავტომობილების მოძრაობა ფრიად ორიგინალურია. ავტომიმოსვლის წესები თუმცა არსებობს, მაგრამ მათ არავინ ყურადღებას არ აქცევს, განსაკუთრებით—ამერიკელები. თუმცა საგუშაგოებზე პოლიციელები დგანან, მაგრამ მათ არავინ არ ემორჩილება, ეს უკანასკნელებიც მშვენივრად გრძნობენ თავიანთი მისიის უაზრობას და თუ ამინდი ცუდია, სრულიადაც არ გამოდიან პოსტზე.

პარიზში ავტომანქანები გზის მარჯვენა მხარეზედაც დადის და მარცხენაზედაც. მეორე მანქანას მარჯვნიდანაც გაასწრებს და მარცხნიდანაც, სადაც უნდა, მოუხვევს, სადაც მოესურვება, მიტრიალდება, შოფერს, როგორც უნდა ისე შეუძლიან იაროს. ქალაქის ოდენობასთან შედარებით მანქანების რიცხვი არც ისე დიდია, და ისიც უმთავრესად უცხოური, ფრანგული ფირმების მანქანებს ძნელად თუ შეხვდებით. უწესრიგო მგზავრობის გამო მოძრაობის მსხვერპლი ძალიან დიდია, განსაკუთრებით—მოხუცებისა და ბავშვების მხრივ.

8-9 წლის ბავშვები პარიზში თავისუფლად დადიან ქუჩაში მარტონი. კინო-თეატრებში ღამის 11-12 საათზე, ხშირად შეხვდებით პატარა ბიჭების ჯგუფს, რომლებიც თან ცელქობენ და თან ყოველგვარი შინაარსის სურათებს უყურებენ როგორც ეკრანზე, ისე მაყურებელთა დარბაზში.

მე ერთ ფრანგ პროფესორს შევეკითხე, რომელიც პედაგოგიკის საკითხებით იყო დაინტერესებული, თუ რატომ უშვებენ ბავშვებს მარტო ქუჩაში, კინოებში, განსაკუთრებით ღამის სეანსებზე; მან ნაღვლიანად მომიგო: „ეს არის თავისუფლება ჩვენის გაგებითო“. მართლაც საკმარისად თავისუფალია მოქალაქე პარიზში, მხოლოდ საზოგადოებრივი მორალის კანონებისაგან.

პარიზის ჩვეულები, წესები, მოდები სრულიად არ გამოხატავენ და არ ასახავენ საფრანგეთის ხალხის ზნე-ჩვეულებებს. ფრანგი ხალხისათვის შრომისმოყვარე, დარბაისელი, გონებადამჯდარი ტიპებია დამახასიათებელი და დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ პარიზის ქუჩის შთაბეჭდილებებით მთელ საფრანგეთზე გველაპარაკნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგების შრომისმოყვარეობა, გულმოდგინეობა სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესში. პარიზის მიღამოებში მშვენივრად შემუშავებულ მინდვრებს, ბაღჩებსა და ბოსტნებს შეხვდებით; ყოველი ვვალი გამარგლული და შემუ-

შავებულია, ნათესები და ნარგავები მათემატიკური სიზუსტით არის განაწილებული მთელ მოედანზე, ჭადრაკული წესით, გზები კარგ მდგომარეობაშია. ამას ყველაფერს ფრანგი ხალხი აკეთებს. პარიზი-კი დამოუკიდებელი ერთეულია კოსმოპოლიტიკური შინაარსითა და ჩვენებით, ფრიად განსხვავებული საფრანგეთის ყველა დანარჩენი ნაწილისაგან.

ფრანგული ოჯახი ძალიან მტკიცეა, პატრიარქალური ჩვენების მატარებელი და გარკვეულ ფარგლებში კონსერვატიულიც-კი.

ასეთი ხანმოკლე ნაცნობობის საფუძველზე და განსაკუთრებით დღევანდელი მდგომარეობის სურათის მიხედვით შეუძლებელია სრული და სწორი წარმოდგენის მიღება პარიზსა და მისი მცხოვრებლების ყოფაცხოვრებაზე. ახლა საფრანგეთი და კერძოდ პარიზი საშინელ გაჭირვებას განიცდის. სურსათის ნორმები არაჩვეულებრივ მცირეა, სათბობი არ არის. პარიზის არც ერთი დაწესებულება არა თბება, არცერთ თეატრში ზედატანსაცმელს არ იხდიან სიცივის გამო. ელექტროენერგია მცირეა, დაწესებულებებშიაც-კი ხშირად ქრება, ქუჩებში ბნელა, განათებულია მხოლოდ მთავარი ქუჩები, ისიც გაზით, ღამით ქუჩაში სიარული საფიფათოა.

ყველაფერი ეს, პირველი შეხედვით, სრულიად გაუგებარია, რადგან არც პარიზს, არც მით უმეტეს საფრანგეთის ქვანახშირის საბადოებს ომის კვალი არ აჩნია, საფრანგეთის ზოგიერთ პროვინციებში სურსათი საკმარისი რაოდენობითაა და თანაც ბევრად უფრო იაფია, ვიდრე პარიზში.

უნებურად იბადება კითხვა, ნუ თუ ასე ძნელია კეთილმოწყობილი წარმოების, მაღაროს ამუშავება? ნუ თუ ძნელია ცხიმის, კარაქის მიწოდება პარიზში რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილიდან? რასაკვირველია არა, მაგრამ ყველაფერი ეს იმ 200 შეძლებული ოჯახის ინტერესებს ეწინააღმდეგება, რომლებიც საფრანგეთის მსხვილ კაპიტალისტებს შეადგენენ და რომლებიც ამგვარ პროტესტებს მიმართავენ, რათა გაუძნელონ სახელმწიფოს მართვა და კეთილმოწყობა საფრანგეთის თანამედროვე მთავრობას, რომელიც მათთვის არასასურველია თავის მემარცხენე შემადგენლობის გამო.

საფრანგეთში, ისევე როგორც ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ყველა სახის საწარმოო დაწესებულებები კერძო პირების ხელშია. რკინიგზა, მეტროპოლიტენი, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტრო-ენერგია, ქვანახშირის და ყველა სხვა სახის საბადოები, საფრანგეთის ბანკიც-კი, რომლის ნაციონალიზაციას ახლა აპირებენ, ისიც საფეხურეობრივი წესით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. მსხვილი მესაკუთრე-კაპიტალისტი ფაქტიურად ქვეყნის ბატონ-პატრონია. თუ სურს, მისცემს ქალაქს სათბობს, წყალს, ელექტრო-ენერგიას, ან არა! ეს მისი ნება და კეთილი სურვილია!

პარიზში ყოველ დილას სახლის წინ გამოიტანენ ნაგავს და სტოვებენ ქუჩაში, მანამ ნაგვის წამღები მანქანები გამოივლიდნენ. ასევე იქცეოდნენ ჩვენი დაწესებულებების თანამშრომლებიც; და ჩვენ არაერთხელ ვიყავით მოწმე იმისა, თუ რა გაშმაგებით ეძებდნენ ჩვენს ყუთებში დაუწვავი ქვანახშირისა და სანოვაგის ნაჭრებს საკმარისად კარგადჩაცმული პარიზელი ქალები.

პარიზის დღევანდელი მოსახლეობა მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს ქალაქ პარიზის საერთო სტილთან. თვით ქალაქი ულამაზესი არქიტექტურის მაგალითია, ფრიად დამახასიათებელი და თავისებური სტილით, შესაშნავია, რომ ეს სტილი ყველაფერში, ყველა შენობაში სჩანს და, მიუხედავად

ამისა, პარიზის თვითეული არქიტექტორული შედევრი, საკუთარ, ორიგინალურ ქმნილებას წარმოადგენს.

ზოგიერთი, გერმანელების მიერ წაღებული, ქანდაკებების გარდა (მილიერი, ვ. ჰიუგო, დანტე და სხვები) პარიზს გარეგნულად ომის კვალი არ აჩნია. მართალია, მუზეუმები მნიშვნელოვნად გაღარიბებულია (ძალიერად, ლუვრის მუზეუმის ფერწერის განყოფილება 3 საშუალო ოდენობის დარბაზშია თავმოყრილი), მაგრამ ამის მიზეზი ექსპონატების დროული გადაძალვაა. ფრანგებისვე თქმით, ჯერ კიდევ გერმანელების ოკუპაციამდე ხელისუფლებას გადაუმალავს ყველა მნიშვნელოვანი მხატვრული ქმნილებანი და დღესაც არ ჩქარობენ მათ დაბრუნებას.

საკვირველია, რომ კლასიკურ მუზეუმებშიაც-კი გამოფენილი ექსპონატები, რაღაც უცნაური წესითაა განაწილებული. არც ეპოქა, არც სკოლა, არც სტილი, არც მხატვარი არ არის მიღებული მხედველობაში.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მილოსელმა ვენერამ მოახდინა.

ჩაბნელებული, მუქი წითელი ფერის მარმარილოს დერეფნის ბოლოში მოსჩანს განათებული ადგილი. ამ ნათელ წრეში ბუნდოვნად სჩანს ვენერას სილუეტი. გაივლით მთელ გრძელ კორიდორს, რომელიც ოქროსვარაყიანი შავი მარმარილოს სვეტებითაა შემკული და თანდათანობით უახლოვდებით ქანდაკებას. მანძილი საკმარისად დიდია და, რაც უფრო ახლო მიდიხართ, მით უფრო მკაფიოდ ხედავთ ვენერას. სულ ახლო მიხვალთ, ხელით შეეხებით, ხედავთ დროისა და საუკუნოების კვალს, რომელიც მხოლოდ ამშვენებს მას და რაღაც საიდუმლო სიცოცხლეს და შინაარსს მატებს. იმდენად სრულყოფილია ეს სიყვარულის ქალღმერთი, რომ არაფრის მომატება აღარ შეიძლება. ხელები რომ ჰქონოდა ქანდაკებას, ისიც-კი დისონანსს შეიტანდა ამ უჩვეულო სანახაობაში.

სრულიად სხვაა მთელი თავისი გამოხატულებით გამარჯვების ემბლემა ე. წ. ნიკე, რომელიც ლუვრის მთავარი შესავლის ჯვარედინზე, მარმარილოს კიბის ზემო სართულზე სდგას თავისი ნახევრად-დამსხვრეული ხომალდის წვერზე. მედიდური, ფრთებგაშლილი, აღტაცებული, ეს მარმარილოს უშველებელი ლოდი სიცოცხლით აღსავსე ჰაეროვან შთაბეჭდილებას სტოვებს, კიბის ქვემო საფეხურებიდან მზერის დროს ხანდახან გეჩვენებათ, რომ ეს გაშლილი ფრთები შეირხევა და გამარჯვებით თავბრუდასხმული ცადაზიდული ფიგურა მოსწყდება თავის პედესტალს.

უჩვეულო სინაზითა და კაეშნითაა მოსილი ლეონარდო და ვინჩის ჯიოკონდა. პირველი შთაბეჭდილება ძალიან გაურკვეველია, თითქოს მეტს ელოდი, აკვირდები, არ მოგწონს, არაფერი უჩვეულო არ აქვს; ათვალიერებ სხვა ნახატებს და ძალაუნებურად ისევ ჯიოკონდას უბრუნდები, ისევ არაფერი არ არის, სჩანს, უჩვეულო, გაცრუებული იმედით მიდიხარ დარბაზის სიღრმეში, მაგრამ რაღაც საკვირველი მიზიდულება გაიძულებს რამდენჯერმე მობრუნდე უკან და ბოლოს გრძნობ, რომ შედევრის უჩვეულობა მის მიმზიდველობაშია, რომელიც მის მშვიდ და ამავე დროს არაჩვეულებრივ რეალურ-ცოცხალ გამომეტყველებაში მდგომარეობს. ეს ოდნავ შესამჩნევი ღიმილი, ცოცხალი თვალების სინათლე, რომელშიც ცხოვრების მთელი სიბრძნეა ჩასახლებული, ავიც იცის და კარგიც, ბევრს რასმეს გეუბნებათ და ბევრის დაკვირვებას გასწავლით. ეს პატარა ტილო—მართლაც უჩვეულოა—იგი ცოცხალია!

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ფრანგებმა კარგად

�იან თავიანთი ძეგლების დემონსტრაცია და გამოფენა, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ეს შემოსავლის წყაროდაა გადაქცეული.

ჩემ სპეციალობასთან დაკავშირებით პარიზში მომიხდა ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულებების დათვალიერება. მოკლედ მინდა შევეხო პასტერის ინსტიტუტზე. ეს მსოფლიოში ცნობილი დაწესებულება [illegible] ერთ დემოკრატიულ უბანშია მოთავსებული და ორი კორპუსისაგან შესდგება. ინსტიტუტი სამეურნეო ანგარიშით არსებობს, ე. ი. იმ შემოსავლით, რომელსაც პაციენტების ჰონორარი იძლევა და სახელმწიფო მას არავითარ დახმარებას არ უწევს.

უდიდესი სიყვარულითა და მზრუნველობითაა გაფორმებული პასტერის საფლავი და მუზეუმი.

პასტერის საფლავი ინსტიტუტის პირველი კორპუსის ქვემო სართულშია მოთავსებული, ცალკეულ სამლოცველოში, რომლის კედლები შავი მარმარილოთია გაფორმებული. სამლოცველოს სამივე კედელზე ფერადი მოზაიკით გამოხატულია ყველა ცხოველი, რომელზედაც მუშაობდა და ახდენდა ცდებს პასტერი.

აქვე გამოფენილია პასტერის წერილი სიმამრისადმი, რომელიც იმ დროს მისი უშუალო უფროსი, სტრასბურგის უნივერსიტეტის რექტორი იყო და რომელსაც პასტერმა ორი კვირის ნაცნობობის შემდეგ ქალიშვილის ხელი სთხოვა. წერილში ნათქვამია „მე ახალგაზრდა კაცი ვარ, ენერგიით სავსე; შრომისმოყვარეობის მეტი არაფერი გამაჩნია, მიყვარს და შემიძლიან მუშაობა“. ეს მიმართვა იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა რექტორზე, რომ იგი დასთანხმდა ქალიშვილი პასტერისათვის მიეთხოვებინა.

პასტერის ინსტიტუტის პირვანდელი შენობის მეოთხე სართული მუზეუმი-ლაბორატორიაა. აქ თავმოყრილია ყველა იარაღი, მასალები, რეაქტივები, რომელთაც-კი პასტერის ხელი მიჰკარებია. ყოველ ნივთს პასტერის ხელით აქვს გაკეთებული წარწერა. აქვე მოთავსებულია პასტერის მიერ გამოხარშული ბულიონი სინჯარებში, რომელიც დღემდე შეუმღვრეველი სდგას.

შენობის საექსპლოატაციო ნაწილიც იმ სახითაა, როგორც ის პასტერის დროს გამოიყურებოდა. ავადმყოფების მისაღები ოთახი, ასაცრელი, შრატების შესანახი და სხვა.

ინსტიტუტის სამეცნიერო ლაბორატორიების ნაწილი საკმარისად მდიდარია ახალი იარაღებით და ხელსაწყოებით, მაგრამ მნიშვნელოვანი აპარატურა უმთავრესად უცხოურია. ინსტიტუტის მეცნიერული ხელმძღვანელის პროფესორ ლეგრუს კაბინეთი წიგნებითა და იარაღებით გადატვირთულ პატარა ოთახს წარმოადგენს, რომლის სამუშაო მაგიდაზე დევს აკადემიკოს იუდინის წიგნი „სამხედრო საველე ქირურგია“. პროფესორმა გვიჩვენა ეს წიგნი და გვითხრა: „მე იუდინის წიგნით ვსწავლობო“. ეს წიგნი მას ჩუმად მიუღია, ჯერ კიდევ ომის დროს, მეგობრების დახმარებით.

Вокс-მა საბჭოთა დელეგატებს მოგვიწყო შეხვედრა ფრანგ კოლეგებთან, ყველას თავის სპეციალობის მიხედვით.

ფრანგ ექიმებთან კერძო საუბარში გავიგე, რომ საფრანგეთში სულ 8 უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელია. პირველ კურსზე სტუდენტების რიცხვი საკმარისად დიდია, ბოლომდე-კი ცოტანი თუ აგრძელებენ მეცადინეობას. სწავლება სულ 6 წელს გრძელდება. პირველი წელი მოსამზადებელია, საშუალო სკოლის შემდეგ, თვით სამედიცინო საგნების შესწავლა-კი

5 წლის განმავლობაში ხდება. სასწავლო პროგრამა ორ ნაწილად იყოფა: დილის მეცადინეობა და დღის 2 საათის შემდგომი. დღიდან უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისა სტუდენტები დილის საათებში, ე. ი. 12 საათამდე, მხოლოდ სამკურნალო დაწესებულებებში მუშაობენ, დღის ორი საათის შემდეგ-კი სპეციალური საგნების თეორიულ კურსს გადიან. პროგრამაში საგნების თანრიგი ძირითადში ჩვენს პროგრამებს ეფარდება.

ბიბლიოთეკა

უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მუშაკები განსაკუთრებით ქალებს უჩიოდნენ, რომლებიც სწავლას ბოლომდე არ აგრძელებენ და იშვიათად მუშაობენ თავიანთ სპეციალობაში, ოჯახით გადატვირთვის გამო.

პროფესორ გორინევსკაიასთან ერთად მომიხდა ერთერთი სამხედრო ჰოსპიტლის დათვალიერება. ეს ჰოსპიტალი ომის შემდეგაა ნაციონალიზირებული, რადგან მისი ყოფილი პატრონი ფაშისტი იყო და საფრანგეთიდან გაიქცა. ისე-კი სამკურნალო დაწესებულებები, მცირე გამონაკლისის გარდა, კერძო პირებს ეკუთვნით. ჰოსპიტლის უფროსი ფრანგი პატრიოტია. გერმანელთა ოკუპაციის წლები იატაკქვეშ მუშაობაში გაატარა. იმალებოდა, ორი სახელით ცხოვრობდა, ცოლშვილი სოფელში გადამალა; თვითონ კი კონსპირატულად მკურნალობდა პარტიზანებსა და გამოქცეულ ტყვეებს.

ახლა იგი ამ ნაციონალიზირებულ საავადმყოფოს აძლევს მთელ თავის ენერგიას, მაგრამ ეკონომიური ხელმოკლეობა, მედიკამენტებისა და მასალის ნაკლებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ.

მკურნალობა საფრანგეთში საერთოდ ძალიან ძვირი ღირს, განსაკუთრებით სამშობიარო დაწესებულებებით სარგებლობა, რის გამო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ვერ სარგებლობს მეცნიერებისა და კერძოთ მედიცინის თანამედროვე მიღწევებით.

ერთი დღე საშუალო ხარისხის სამშობიარო სახლში 900 ფრანკი ჯდება, მაშინ, როცა კვალიფიციური მუშის დღიური ხელფასი 200-300 შეადგენს— (მაქსიმუმი 500 ფრანკია). ამ 900 ფრანკში არ შედის სპეციალური საექიმო დახმარებანი, რომელიც ქალს მშობიარობის ან მის შემდეგ შეიძლება დაჭირდეს, ამის საფასური კიდევ ცალკე უნდა იყოს გადახდილი.

საერთოდ ავადმყოფი და ექიმი წინასწარ თანხმდებიან სამკურნალო კურსის ღირებულების შესახებ და ფასის მიხედვით მკურნალობაც სხვადასხვა ხარისხისა შეიძლება იყოს. ეს სრულიად ნორმალური და ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

საშუალოდ საფრანგეთში 2000 მოსახლეზე 1 ექიმი მოდის.

*
* *

ქალთა პირველი საერთაშორისო დემოკრატიული ანტიფაშისტური კონგრესი 6 დღეს გრძელდებოდა. გახსნა 26 ნოემბერს დილის 9 საათზე იყო დანიშნული და ჩვენც, საბჭოთა დელეგატები, დილის სრულ 9 საათზე მთლიანი შემადგენლობით ვიყავით ადგილზე. სხვადასხვა ქვეყნის დელეგატების გაცნობის შემდეგ საინიციატივო კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა კოტონმა, გახსნა კონგრესი.

საინიციატივო კომიტეტი შექმნილი იყო 1945 წლის ივნისში და მის მოვალეობას შეადგენდა ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება, ქალთა საერთაშორისო კონგრესის მომზადება და მოწვევა.

კომიტეტში თავდაპირველად გაერთიანებული იყვნენ საბჭოთა კავშირის

(ნ. პოპოვა), საფრანგეთის (კოტონი), ბელგიის (დიუბრო), ესპანეთის (ვ-კენტი), ჩინეთის (ლი-სენ-მინგი), იუგოსლავიის (ო. მილოშევიჩი), იტალიისა (მ. გობეცი) და ინგლისის (ე. ალენი) წარმომადგენლები.

შემდეგში ამ კომიტეტს შეუერთდნენ ჩეხოსლოვაკიის (გუდიმოვა, ნორაკოვა), რუმინეთის (ა. პაუკერი), ბულგარეთის (ც. დრაგოიჩევა), ავსტრალიის (სტრიტი), პოლონეთის, პორტუგალიის (ემიგრანტების), მექსიკის, ნორვეგიის, შვეციის, შვეიცარიის, ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომიტეტმა კონტაქტი დაამყარა საბერძნეთის, დანიის, ავსტრიისა და ფინეთის ქალთა ორგანიზაციებთან.

კომიტეტს ზოგიერთი სახელმწიფოს საზოგადო მოღვაწეებმა და მთავრობის წევრებმაც გამოუცხადეს თანაგრძნობა და სოლიდარობა. მსოფლიოს პრესა გამოეხმაურა და აღნიშნა კომიტეტის მუშაობა.

კონგრესზე 46 ქვეყნის ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციების დელეგატები ესწრებოდნენ. ამათგან 200-მდე დელეგატს ჰქონდა ხმის უფლება, ასზე მეტი დელეგატი კი სათათბირო ხმით იყო. სულ 116 ქალთა ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი. თვითეული სახელმწიფო მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად ადგენდა დელეგატებს. მცირერიცხოვანი ქვეყნებიდან დელეგატთა რიცხვი შედარებით დიდი იყო, მაგალითად, 1 მილიონამდე მცხოვრებზე 1 დელეგატი მოდიოდა, 1-5 მილიონ მცხოვრებზე—1 დელეგატი, 140-180 მილიონ მცხოვრებზე — 8 დელეგატი და ა. შ.

კომიტეტის გადაწყვეტილებით კოლონიალური ქვეყნები თავიანთ სრულუფლებიან დელეგატებს ისეთივე პროპორციით ადგენენ, როგორც დანარჩენი ქვეყნები.

კონგრესზე სალაპარაკო ენად მიღებული იყო რუსული, ფრანგული, ინგლისური და ესპანური. კონგრესის მუშაობა დილის 9-12 საათამდე და საღამოს 3-7 საათამდე სწარმოებდა. თვითეულ სხდომას მორიგეობით თავმჯდომარეობდენ სხვადასხვა ქვეყნის დელეგატი ქალები. ერთერთ სხდომას საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. პოპოვა თავმჯდომარეობდა.

კონგრესზე დამსწრე დელეგატი ქალები უმთავრესად 30-50 წლის ასაკისა იყვნენ, პროფესიის მიხედვით უმეტესად მუშა-მოსამსახურეები, მასწავლებლები, ექიმები, ჟურნალისტები, სხვადასხვა დაწესებულებათა მოხელეები და სხვა.

კონგრესზე არჩეული იყო ბიურო და სამდივნო, რომლის შემადგენლობაში 7 ქვეყნის წარმომადგენლები შევიდნენ: საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის. ბიუროს ხელმძღვანელობით სამდივნო აწარმოებდა საორგანიზაციო მუშაობას კონგრესზე. გარდა ამისა არჩეული იყო წესდების, სარედაქციო და სამანდატო კომისიები. ამ სამში მუშაობის მთავარი სიმძიმე წესდების კომისიას აწვა, რომელსაც უნდა განეხილა საინიციატივო კომიტეტის, სხვადასხვა დელეგატებისა და დელეგაციების მოწოდებები, კონგრესის განაწესი და შეემუშავებინა ფედერაციის წესდება. კონგრესზე არჩეული იყო კიდევ ოთხი ცალკე კომისია, რომელიც წინასწარ სწავლობდა და ამუშავებდა კონგრესის საპროგრამო საკითხებს.

კონგრესის დღის წესრიგში სულ 4 საკითხი იდგა: ქალის როლი უკანასკნელ ომში და მისი ბრძოლა ფაშიზმთან; ქალის როლი დემოკრატიასა და მშვიდობიანობის აღდგენაში; ქალების სოციალური, უფლებრივი და ეკონო-

მიური მდგომარეობის საკითხი; ბავშვების საკითხი (აღზრდა და უზრუნველყოფა).

კონგრესის მიერ დაწესებული იყო რეგლამენტი 20 წუთი მომხსენებლისათვის და 5 წუთი მოკამათესათვის (ამდენივე თარგმნისათვის). მოხსენებები წინასწარ იყო გადათარგმნილი და დაბეჭდილი საწერ მანქანაზე.

კონგრესის პირველი დღის დილის სხდომა უმთავრესად საზეიმო ნაწილმა და საორგანიზაციო საკითხებმა დაიკავეს.

ქალთა როლის შესახებ ფაშიზმთან ბრძოლის საქმეში მოხსენებითა და კამათში მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ. აღსანიშნავია ფრანგი დელეგატი ქალის დიუ-გეს გამოსვლა, რომელმაც ქალთა თავდადებული იატაკქვეშური მუშაობის მრავალფეროვანი და მრავალგვარი მაგალითები მოიყვანა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ საშინელ ტანჯვებსა და დანაკლისს, რომელიც ფაშიზმმა გამოაცდევინა საფრანგეთის ხალხს. მისი თქმით, ომის დროს საფრანგეთში ტყვეების რიცხვი მილიონ ნახევარს უდრიდა, 200.000 ფრანგი დახოცილი იყო გერმანელ ფაშისტებისა და მათი ფრანგი მოსამსახურეების მიერ, 350.000 პოლიტიკური პატიმარი, რომელთა უმეტესი ნაწილი დაიხოცა, 600.000 გაგზავნილი იყო იძულებით სამუშაოზე. ფაშისტებმა სოფელ არესში ყველა მამაკაცი დახვრიტეს, ორადურში აღარც ერთ სახლს არა აქვს სახურავი, ამ სოფელში 250 ბავშვი, ქალებთან ერთად დასწვეს საყდარში, ხოლო მამაკაცები-კი იმავე დროს მოედანზე დახვრიტეს.

„ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ფაშიზმი მხოლოდ გერმანელების „მიღწევაა", პეტენის პოლიციელები თავიანთ გერმანელ ბატონებს არაფერში არ ჩამოუვარდებოდნენო", — სთქვა დიუ-გემ.

ფრანგი ქალები არა მარტო იატაკქვეშურ მუშაობას აწარმოებდნენ, არამედ ხშირად მანიფესტაციებსა და სახალხო დემონსტრაციებსაც მიმართავდნენ პროტესტის ნიშნად—მუშების დაპატიმრებასთან, სასურსათო ნორმების შემცირებასთან დაკავშირებით, ტყვეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და სხვა. ზოგიერთ ქალთა დემონსტრაციების დროს, დემონსტრანტთა რიცხვი 30.000-მდე აღწევდა, მაგ., ქ. მარსელში, 1944 წლის მაისის ქალთა დემონსტრაცია, რომელიც პურსა თხოულობდა. დემონსტრაციის შედეგად ქალაქის მუშები მრავალი დღის განმავლობაში არ გადიოდნენ სამუშაოზე.

დემონსტრაციის დროს რამდენიმე ქალი მოკლული იყო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.

ფრანგი ქალები იარაღით ხელში პარტიზანებთან ერთად იბრძოდნენ სამშობლოს გასათავისუფლებლად. მრავალი ფრანგი ქალი დაიღუპა ფაშიზმთან სახელოვან ბრძოლაში, მაგრამ მათ მაინც შესძლეს მცირერიცხოვანი ქალთა ორგანიზაციები ქალთა საყოველთაო მოძრაობად გადაექციათ საფრანგეთში.

ინგლისის დელეგატი ქალი კლარკი, მოხსენებაში ინგლისელი ქალების როლის შესახებ ომის დროს და ფაშიზმთან ბრძოლაში, აღნიშნავდა იმ შრომითს აღმავლობას, რომელსაც ინგლისელ მუშა ქალებს შორის ჰქონდა ადგილი, უმთავრესად სამხედრო წარმოებაში, და იმ დიდ როლს, რომელიც ქალთა შრომამ ითამაშა ინგლისის სამხედრო და სამოქალაქო წარმოებაში ომის დროს.

მოხსენებით—ქალთა მონაწილეობის შესახებ დემოკრატიისა და მშვიდობიანობის დამყარებისა და განმტკიცების საქმეში, გამოვიდა საბჭოთა დე-

ლეგაციის ხელმძღვანელი ნ. პოპოვა. მის გამოსვლას, ისევე, როგორც საბჭოთა დელეგაციას საერთოდ, დარბაზი ძალიან გულთბილად შეხვდა. მომხსენებელმა ციფრების საშუალებით ნათლად დაანახვა კონგრესს, თუ რა საშინელი ზარალი მოუტანა ფაშიზმმა ყველა ქვეყანას, თუ [illegible] ადამიანთა დანაკლისი ბრძოლის ველზე, შიმშილით, ეპიდემიებით შედეგად და წამებით მოკლულთა სახით მთელს მსოფლიოში.

მოხსენებიდან ნათლად გამომდინარეობდა, რომ მხოლოდ დემოკრატიის განმტკიცებამ მთელ მსოფლიოში შეიძლება უზრუნველჰყოს ხანგრძლივი მშვიდობიანობა.

ქალებმა უნდა მოითხოვონ და მოიპოვონ თავიანთი პოლიტიკური უფლებები. არ შეიძლება დემოკრატიულად ჩაითვალოს სახელმწიფო, თუ მოსახლეობის ნახევარი—ქალები, უფლებას მოკლებულნი იქნებიან.

ქალებს შეუძლიათ და მათ უნდა იბრძოლონ ფაშიზმის საბოლოო მოსპობისათვის მთელ მსოფლიოში, რომ უზრუნველჰყონ თავიანთი ოჯახის, შვილების, ქმრების, ძმების, მამების სიცოცხლე და მშვიდობიანი, ნაყოფიერი მუშაობა.

მოხსენება ქალთა ეკონომიური, უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის შესახებ შემუშავებული იყო სპეციალური კომისიის მიერ და საბოლოო სახით წარმოადგინა ინგლისის დელეგაციამ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დედამიწის ყველა კუთხეში ომთან დაკავშირებით ქალებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს თითქმის ყველა სახის საფაბრიკო-საქარხნო წარმოების პროცესში. მომუშავე ქალების რიცხვი გაიზარდა ომის განმავლობაში, მაგრამ იგი არ შემცირებულა ომის შემდეგაც და, ალბათ, არც შემცირდება, რადგან ომის შემდეგ მრავალი ოჯახის ერთადერთი შემოსავლის წყაროდ ქალის შრომა არის და დარჩება.

სამწუხაროდ, მიუხედავად ქალთა შრომის თანამედროვე მნიშვნელობისა, ქალები საერთოდ და მომუშავე ქალებიც ბევრ დემოკრატიულ ქვეყნებშიაც-კი მოკლებულია მამაკაცთან თანასწორ უფლებებს. მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა ჩეხო-სლოვაკია, იუგოსლავია, ბულგარეთი და სხვები, უკვე დაწესებულია სახელმწიფო კანონები, რომლის მიხედვითაც დედაკაცი და მამაკაცი გათანაბრებული არიან უფლებებში, მაგრამ ხშირად ეს უფლებრივი თანასწორობა ქაღალდს არა სცილდება, ფაქტიურად-კი ქალი ტრადიციებისა და ზნეჩვეულებების მონად რჩება.

ისეთ ქვეყნებშიაც-კი, როგორიცაა მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ქალის შრომა მამაკაცის შრომაზე ნაკლებად ფასდება. საფრანგეთში ქალებმა მიაღწიეს გარკვეულ გაუმჯობესებას შრომის ანაზღაურების საქმეში, მაგრამ ქალის ხელფასი ჯერ კიდევ არ უდრის მამაკაცის ხელფასს. ფრანგი ქალების ხელფასი მამაკაცების ხელფასზე 10 პროც. ნაკლებია, საფრანგეთის ჩრდილოეთ პროვინციებში, ალჟირში, ტუნისში-კი ეს განსხვავება 20-30 პროცენტსაც აღწევს. შვეიცარიაში, იტალიაში და სხვა სახელმწიფოებში ქალების ხელფასი მამაკაცების ხელფასის 70 პროც. შეადგენს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა წარმოებაში მომუშავე ქალების ხელფასი საშუალოდ მამაკაცის ხელფასის 57 პროც. უდრის, ინგლისში-კი დაახლოვებით 50 პროც. ასე, მაგალითად, მამაკაცის საშუალო ხელფასი კვირაში 124 შილინგსა და 4 პენსს შეადგენს, დედაკაცისა-კი 64 შილინგსა და 3 პენსს.

თანასწორი ხელფასი თანაბარი სამუშაოს შესრულებისათვის! ასეთია მშრომელი ქალების პირველი მოთხოვნილება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანი დახმარება, რომელიც აღმოჩენილ უნდა ჰქონდეს უმუშევარ ქალს და მამაკაცებთან ერთნაირი სოცდაზღვევის საკითხი.

ქალის უზრუნველყოფის საკითხი ავადმყოფობის, ორსულობის, მშობიარობის დროს, მისი დასვენების, შრომის და განათლების უფლება.

უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფო კანონი მნიშვნელოვნად ზღუდავს გათხოვილი ქალის უფლებებს. გათხოვილ ქალს არა აქვს უფლება სამოქალაქო აქტების განხორციელებისა. იგი ქმრის ნებართვის გარეშე მოკლებულია უფლებას არა მარტო საოჯახო ქონებასა, არამედ თავის საკუთარ ნივთებზედაც-კი.

გათხოვილ ქალს არა აქვს სამსახურის და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება ქმრის სურვილის გარეშე. გათხოვილი ქალი მოკლებულია საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას. ქალი-დედა მოკლებულია უფლებას შვილზე, რომელსაც იგი ზრდის. მშობლის უფლებები მხოლოდ მამას აქვს მინიჭებული.

განსაკუთრებით მძიმეა ე. წ. უკანონო ბავშვების მდგომარეობა.

ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ზოგიერთ ქვეყანაში ქალებმა მოიპოვეს პოლიტიკური უფლებები (იუგოსლავია, ბულგარეთი). ეს ბრძოლა საფრანგეთში 200 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, და მხოლოდ ახლა მიეცათ ფრანგ ქალებს უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მმართველ ორგანოების არჩევნებში.

ძნელი წარმოსადგენია კოლონიური ქვეყნების ქალთა მდგომარეობა, თუ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ქალები ელემენტარული უფლებების მოპოებისათვისაც-კი ასეთ წინააღმდეგობებს ხვდებიან.

ბავშვების მდგომარეობისა და აღზრდის საკითხი წინასწარ კომისიაზე განხილვის შემდეგ იუგოსლაველი დელეგატის მიერ იყო მოხსენებული.

ომის პერიოდში ახალშობილი ბავშვების წონა ევროპის სხვადასხვა ოკუპირებულ ქვეყნებში საშუალოდ ნორმალური წონის ნახევარს შეადგენდა, ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობა სამჯერ გაიზარდა. ბავშვები ზრდასა და გონებრივ განვითარებაში ძლიერ ჩამორჩებიან საერთო დონეს.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საგრძნობლად გახშირდა ჭლექიო დაავადება. მაგალითად, ინგლისში ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა რიცხვი 10-12 პროც. გაიზარდა, შოტლანდიაში—20 პროც., საფრანგეთში 30-40 პროც., და სხვა.

მნიშვნელოვანი დანაკლისი ბავშვებმა ომთან დაკავშირებულ ევაკუაციის გამოც განიცადეს. საფრანგეთში ევაკუაციის დროს 60.000 ბავშვი დაიხოცა.

საბერძნეთში ბევრი ბავშვი ისეა დასუსტებული შიმშილით, რომ მოწყალებასაც ვეღარ თხოულობს. ათინაში, სოცუზრუნველყოფის ორგანიზაციის ცნობით, 6 თვემდე ასაკში, 10 ბავშვიდან 9 კვდება.

მხოლოდ ერთ დღეს 1942 წ. 7 ივლისს გერმანელ ფაშისტებმა პარიზში დაიჭირეს და მოსპეს 3.000 ებრაელი ბავშვი.

უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვებზე საბავშვო ბაგების და ბაღების სიმცირე. პარიზში მხოლოდ 28 ბავშვთა ბაგაა. წარმოებაში, რომელშიაც

3.000 ქალი მუშაობს, მხოლოდ ერთი ბავშვთა ბაგაა. ინგლისელი მუშა ქალები ჯერ კიდევ 1942 წლის იანვარში თხოულობდნენ ბავშვთა ბაგების გახსნას.

საჭიროა, რომ ბავშვთა ბაგებისა და ბაღების გახსნის საქმე სახელმწიფომ ითავოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომმა ბევრ სახელმწიფოში მნიშვნელოვნად გაზარდა ობოლი ბავშვების რიცხვი, ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში 100.000 ობოლი და 6.000 დასახიჩრებული ბავშვია.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ბავშვთა ბოროტმოქმედების შემთხვევებიც ძლიერ გაიზარდა. 1939 წელს მთელ საფრანგეთში 11.000 მცირეწლოვანი ბოროტმოქმედი იყო გასამართლებული, 1943 წელს-კი მარტო სენის დეპარტამენტში ბავშვთა კრიმინალიზმის 10.000 შემთხვევა აღინიშნებოდა.

ინგლისში მსჯავრდებული ბავშვების რიცხვი (8—14 წლამდე ასაკისა) 1938—39 წ. 16.208-დან 1941—42 წელში 21.723-მდე გაიზარდა.

ომის პერიოდში ოკუპირებულ ქვეყნებში გერმანელების მიერ დახურული იყო მთელი რიგი, როგორც დაწყებითი, ისე საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები. ჰიტლერმა თავის გამოსვლაში ქ. მიუნხენში აღნიშნა, რომ „ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს ის, რასაც საყოველთაო განათლება ეწოდება. საყოველთაო განათლება—საწამლავია. ჩვენ დაბალი კლასების უდიდეს მასას უცოდინარობის ბედნიერებას მივანიჭებთო“.

პოლონეთში გერმანელებმა დახურეს ყველა საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი. 28 უმაღლესი, 800 საშუალო და 1.500-ზე მეტი დაწყებითი სკოლა. „კარტოფილის გასაფცქვნელად და ქუჩის გასაწმენდად სწავლა-განათლება არ არის საჭირო, სხვა სამუშაო-კი პოლონეთის ხალხს არ ექნებაო“—ასე „ბრძანეს“ გერმანელებმა.

ომის პერიოდში 3 მილიონი პოლონელი ბავშვი სწავლა-განათლებას იყო მოკლებული.

იუგოსლავიაში გერმანელების ოკუპაციის დროს ყველა სკოლა დახურული იყო.

1940 წელს ნაცისტებმა ყველა ჩეხური სკოლა დახურეს და 500 მასწავლებელი საკონცენტრაციო ბანაკებში დაამწყვდიეს.

ელზასლოტარინგიაში დახურული იყო ყველა ფრანგული სასწავლებელი.

ლონდონში გერმანელთა ავიაციით 1.250 სკოლიდან 300 სრულიად იყო დანგრეული, ხოლო 800-კი—მნიშვნელოვნად დაზიანებული.

ინგლისში 1.586 ევაკუირებული მოსწავლე ბავშვიდან 27 პროც. სწავლის გარეშე დარჩა, 24 პროც. კი საშინაო მომსახურების კლასებში მეცადინეობდა, და ისიც შემოკლებული დროით და შემცირებული პროგრამით.

ბევრმა ბავშვმა დაანება სწავლას თავი ეკონომიური ხელმოკლეობის გამო. ესაა სწავლის ფასი, ტანისამოსის უქონლობა, შიმშილი.

ოკუპირებულ ქვეყნებში გერმანელები არა მარტო ხურავდნენ სასწავლებლებს ან აგერმანელებდნენ მათ, არამედ ფიზიკურად სპობდნენ მასწავლებლებსა და მეცნიერებს, განსაკუთრებით ისეთ სასწავლებლებში, სადაც დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კადრი იზრდებოდა.

მთელ რიგ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შეზღუდულია ქალის უფლება უმაღლეს განათლებაზე. ყველა ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის გარდა, ინ-

დუსტრიულ უმაღლეს სასწავლებლებში ქალების მხოლოდ 31,2 პროც. სწავლობს, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში-კი—11,2 პროც.

კამათში თითქმის ყველა ქვეყნის დელეგატი-ქალები მონაწილეობდა. ქალთა მდგომარეობის საშინელ სურათებს გვიხატავდნენ თავიანთ გამოსვლებში იტალიელი, ალბანელი, ჩინელი, ეგვიპტელი, ალჟირელი, ბულგარელი, ინდოელი ქალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდოელი დელეგატების გამოსვლა, რომელნიც დიდ აქტივობას იჩენდნენ კონგრესზე და ხაზგასმით აღნიშნავდნენ თავიანთი პოლიტიკური უუფლებობის გამო შექმნილ მდგომარეობის სიმძიმეს.

ეგვიპტელი დელეგატი, სტუდენტი ქალი აღნიშნავდა თავისი ქვეყნის ქალთა მდგომარეობის სიმძიმეს და იმ კუთხურ შუღლსა და მტრობას, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს ურთიერთობას.

მაროკოელი ქალი მოგვითხრობდა კოლონიური ქვეყნების, კერძოთ მაროკოს ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის შესახებ, რომელიც იმდენად მძიმეა და გამოუვალი, რომ პირდაპირ დაუჯერებელი ხდება ასეთი სოციალური ურთიერთობის არსებობის შესაძლებლობა მეოცე საუკუნეში.

ქალების მდგომარეობა ალჟირში, ისე როგორც სხვა კოლონიურ ქვეყნებში, ძალიან მძიმეა, მაგრამ გარდა ეკონომიური და სოციალური ჩაგვრისა, აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნის მომენტიც.

ამაღელვებელი იყო ბერძენი ქალებისა და ტრიესტის დელეგატი ქალების წერილები, რომლებიც კონგრესზე იყო წაკითხული. დელეგატები ვიზების დროული გაუფორმებლობის გამო ვერ ჩამოვიდნენ პარიზში.

[illegible], უნდა ითქვას, რომ რამდენადაც უფრო დაჩაგრულია ერი პოლიტიკურად და ეკონომიურად, იმდენად მათი წარმომადგენლების გამოსვლა უფრო მკვეთრ ხასიათს ატარებდა.

ალჟირელი ქალები კერძო საუბარში დაინტერესდნენ საბჭოთა კავშირში მუსულმანი ქალების მდგომარეობით და ძალიან გაკვირდნენ, როდესაც მათ კითხვის საპასუხოდ თურქმენეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბასთაგიულ ალთიბაევა გავაცანი.

აღსანიშნავია ის დიდი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენდა კონგრესზე საბჭოთა დელეგაცია.

თავისუფალი, სრულუფლებიანი და წელში გამართული ჩვენი ქალები თავისდაუნებურად მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენდნენ ყველა ქვეყნის ქალებთან შედარებით.

„ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჩემთვის ამ კონგრესზე საბჭოთა ქალების ნახვას ჰქონდა,—მეუბნებოდა ერთერთი უცხოელი დელეგატი,—ჩვენ ხომ სრულიად მოწყვეტილნი ვართ სინამდვილეს და თქვენს შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცითო“.

მართლაც, საამაყო იყო საბჭოთა დელეგატი ქალების შეხედვა, განსაკუთრებით ჩვენი სამხედრო პირების.

მაღალი, წარმოსადეგი, სახის წყნარი გამომეტყველებით, ახალგაზრდა ქალია გენერალი ზინაიდა ტროიცკაია. თორმეტი-თოთხმეტი წლის წინათ მან საზეინკლო სასწავლებლის შეგირდის თანამდებობით გახსნა თავისი შრომის წიგნაკი. არაჩვეულებრივ სითბოსა გრძნობს ადამიანი, როდესაც გენერალი ტროიცკაია შვილისა და თავის სურათს გვაჩვენებს, ჩვეულებრივ

კაბაში, უორდენებოდ, უსამხრეებოდ, ბედნიერი ახალგაზრდა ქალი შეჰხარის თავის პატარა გოგონას.

ჩვენ დელეგაციაში სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, მრავალგზის ორდენოსანი პროფესორი გორინევსკაია საბჭოთა ქალების უფროსი თაობის წარმომადგენელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღების ცენტრში იყვნენ საბჭოთა მფრინავი ქალები პოლკოვნიკი ბერშანსკაია და საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი ფომიჩევა.

ინჟინერ ტანია ფედოროვას სახელი არა მარტო საბჭოთა ახალგაზრდობისათვისაა ცნობილი, კონგრესის დარბაზში იგი ერთერთი განსაკუთრებით საინტერესო პირი იყო.

ხშირად ნახავდით სხვადასხვა ქვეყნების დელეგატებს, სოფლის მეურნეობის მუშაკ ქალებს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საუკეთესო ტრაქტორისტის დაშა გარმაშის გარშემო. შეკითხვების დასასრულს ბოლო არ ჰქონდა კოლმეურნეობის და კოლმეურნეების შესახებ. დაშაც ხალისით უპასუხებდა უცხოელ კოლეგებს.

კონგრესის უკანასკნელ დღეს დარბაზში დემონსტრირებული იყო ჩვენი ფილმი—ფიზკულტურელების აღლუმი წითელ მოედანზე. კონგრესის მონაწილენი არაჩვეულებრივი სითბოთი და აღტაცებით უყურებდნენ მას და ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ს თვითეულ გამოჩენას ეკრანზე ფეხზე ამდგარი ტაშის კვრით ესალმებოდნენ.

კონგრესის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობასა და შემდეგ საელჩოში მოწყობილი იყო ოფიციალური მიღებები კონგრესის მონაწილე დელეგატებისათვის, ორივე მიღება ადრეულ საათებში იყო დანიშნული, რომ სტუმრები არ შეგვეზღუდნა ტანისამოსის არჩევნაში.

განსაკუთრებით საინტერესო იყო დიდი ოფიციალური მიღება საელჩოში, სადაც ყველა ქვეყნის დელეგატები და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამ მიღებაზე ამხანაგი ტორესიც იყო.

ხუთ დარბაზში გაშლილი იყო მაგიდები.

მოსული სტუმრები მასპინძლობაზე დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ და აღნიშნავდნენ სიუხვეს, რომელიც მათი თქმით საბჭოთა სუფრას აპასიათებს.

სხვადასხვა ქვეყნების დელეგატებთან კერძო საუბარში გამოვარკვიე, რომ მათ კარგად იციან, თუ სად არის საქართველო, რომ ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ქართველია, რომ მისი გვარი ჯუღაშვილია. ზოგიერთი უცხოელი ქალი იმასაც-კი მეკითხებოდა, მინახია თუ არა სტალინის სახლი და რომელ ქალაქშია იგი.

იმდენად უჩვეულო ანტისაბჭოთა პროპაგანდა სწარმოებს ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, და ისეთი არასწორი წარმოდგენა აქვთ ჩვენს შესახებ, რომ ხანდახან პირდაპირ არ გესმის რას გეკითხებიან? უცხოელ ქალებს განსაკუთრებით აინტერესებდათ საბჭოთა ქალების ტანისამოსი და საკითხი: იმიტირებული საქონლისაა იგი თუ ნამდვილია, ბეწვი, აბრეშუმი, შალი ნამდვილია თუ ხელოვნური.

ბევრს მეკითხებოდნენ მკურნალობის შესახებ ჩვენში, ორსული და მშობიარე ქალის პრივილეგიების შესახებ; ახალშობილი და ძუძუმწოვარი ბავ-

შვების პატრონობის სისტემაზე და მთელ რიგ ჩვენ მიღწევებზე ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რომელიც მათთვის წარმოუდგენელი და პირდაპირ დაუჯერებელია. ხშირად, როდესაც საუბარში სხვა საკითხზე გადავდიოდით, უცებ ისევ მკურნალობის საკითხს უბრუნდებოდნენ და მეკითხებოდნენ — რატომ მკურნალობს ექიმი ავადმყოფს უფასოდ? და ისევ თავიდან მიხდებოდა ყველაფრის ახსნა.

კონგრესის დარბაზიდან ერთერთი შესვენების დროს რადიოთი მომიხდა გამოსვლა ფრანგულ ენაზე, ტრანსლიაცია პარიზისათვის სწარმოებდა. გამოსვლა კითხვა-პასუხის ხასიათს ატარებდა. აი ის საკითხები, რომლებიც მათ ყველაზე უფრო აინტერესებდათ, ჩემ სპეციალობასთან დაკავშირებით: რა როლი ითამაშა ექიმმა ქალმა საბჭოთა კავშირში ომის დროს? როგორია საექიმო მომსახურება საბჭოთა კავშირში? (იგულისხმება ფულადი გასამრჯელო და მკურნალობის ფასი). თავისუფალია თუ არა ექიმი ქალი თავის სპეციალობის არჩევანში?

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ზოგიერთი ჩვენთვის უჩვეულო ფარდობანი, რომლებიც ამერიკელ დელეგატთან კერძო ლაპარაკში გავიგე. დელეგატი, რომელიც გავიცანი, საშუალო სკოლის მასწავლებელია. დამაინტერესა სწავლების პროცესმა ამერიკაში, შევეკითხე რამდენ წლიანია სწავლება საშუალო სკოლაში? როგორია სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოთ საექიმო დარგში? ვინ ადგენს პროგრამებს? როგორ ხდება დასპეციალება?

ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო არ ყოფილა. ყველა 48 შტატში თავისი საკუთარი კანონი და წესია, პროგრამები სხვადასხვანაირია, სწავლების ხანგრძლივობაც სხვადასხვაა და ძირითადში სწავლების ფასზეა დამოკიდებული, რადგან სკოლები ფასიანია. ეს ეხება როგორც სრულ საშუალო სკოლებს, ისე უმაღლეს სასწავლებლებს.

შავკანიანებისადმი დამოკიდებულებაც სხვადასხვაა, ზოგიერთ შტატში შავკანიანი და თეთრკანიანი ბავშვები ერთად სწავლობენ, ზოგგან ცალცალკე. ზოგიერთ ქალაქში შავკანიანების უბნებიც-კი გამოყოფილია. მატარებელი თუ მთელ ამერიკას გაივლის, შტატების მიხედვით ზოგგან შავკანიანებს ყველა ვაგონში შეუძლიათ მგზავრობა, ზოგგან-კი მხოლოდ განსაზღვრულ ვაგონებში.

ზოგიერთ შტატში მასწავლებელ ქალებს არა აქვთ უფლება გათხოვდენ, ზოგგან აკრძალული აქვთ თამბაქოს წევა, ტუჩების შეღებვა და სხვა.

ფედერაციამ, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ქალთა პირველ საერთაშორისო დემოკრატიულ კონგრესზე, შეიმუშავა წესდება და პროგრამა, რომელიც გულისხმობს პირველ რიგში ბრძოლას ქალების უფლებრივ თანასწორობისათვის, ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებისას მამაკაცთან თანასწორი ხელფასის მიღებისათვის, ქალების თანასწორუფლებიან სოციალურ უზრუნველყოფას, ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის, აღზრდისა და განათლების საქმეს.

ფედერაციის შექმნას და წესდების დამტკიცებას კონგრესის მონაწილენი არაჩვეულებრივი ერთსულოვნებით შეხვდნენ. მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მქუხარე ტაშით მიესალმა ქალთა საერთაშორისო ფედერაციას.

სევერიან ისიანი — ლექსები

საბჭოთა მწერალი — 1945 წ.

ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა ისახელა თავი საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში. ბევრი ქართველი პატრიოტის საამაყო სახელი ამშვენებს ჩვენი გამარჯვებული ხალხის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლებს.

ქართველი ხალხი, რომელსაც სამშობლოს მტრებზე გამარჯვების დიდი ტრადიცია აქვს, სავსებით კანონიერი და დამსახურებული სიამაყის გრძნობით შეჰყურებს იმ ნაომარ ვაჟკაცებს, რომლებმაც სამამულო ომის წლებში გააასკეცეს ქართველი კაცის მაღალი პატრიოტული შეგნება, მისი ხმლისა და მარჯვენის დიდება, ასახელეს სამშობლო და ჩვენი საყვარელი ბელადი — დიდი სტალინი.

ახლა, როცა მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლი ჩამდგარია, როცა ჩვენმა ქვეყანამ ავრე ბრწყინვალედ გაიმარჯვა მტერზე, როცა ჩვენი ხალხი უდიდესი შემოქმედებითი პათოსით ჩაბმულია ახალ ხუთწლედის ფერხულში, როცა ჩვენს გარშემო ყოველდღიურად ვხედავთ სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ, ნაომარ ჭაბუკებს — შეუძლებელია სინანულის გრძნობამ არ გაჭკრას გულში. იმის გამო, რომ მრავალ შინმოუსვლელთა შორის, შორეულ ბრიანსკის ნაძვნარებში, საძმო საფლავში განისვენებს ერთი ნიჭიერი ქართველი პოეტი.

ეს არის სევერიან ისიანი, რომელმაც სუფთა, პოეტური, მგზნებარე ხმით უმღერა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს, დიდ ბელადს, ქართველ ხალხს, შემდეგ კი ფრონტზე იარაღით ხელში გმირულად დაიცვა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისი ხელშეუხებლობა და მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში დაეცა, როგორც ღირსეული ჯარისკაცი.

სევერიან ისიანი სვანეთის ამაყი მთების შვილი იყო, საქართველოს სახელოვანი კომკავშირის მიერ აღზრდილი პოეტი. ისიანმა მეტეორივით გადაუქროლა ქართული პოეზიის ლაჟვარდოვან ცას. ხანმოკლე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან აქ დასტოვა წრფელი პოეტური ხმა.

ჯერ კიდევ სამამულო ომამდე კარგახნით ადრე, ისიანი საკმაოდ ცნობილი იყო თავისი ნამდვილი, პოეტური უშუალობით გამთბარი, ჯანსაღი ლირიკული პათოსით დაწერილი ლექსებით. ამ პერიოდის მის ლექსთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „სვანური სიმღერა სტალინზე". ბელადისადმი მიძღვნილ—ქართველი პოეტების მიერ მაღალ პოეტური ოსტატობით შესრულებულ ლექსთა შორის ისიანის ეს ლექსიც უდაოდ შერჩება ქართულ პოეზიას.

უნდა ითქვას, რომ ისიანის როგორც ამ ლექსს, ისე საერთოდ მთელს მის პოეზიას ხალხური შემოქმედების სურნელება დაჰკრავს. ისიანს ბევრი რამ აქვს ნასესხები კერძოდ სვანურ ფოლკლორიდან, მაგრამ მისი ლექსთა სტროფები ისე არიან გამოკვეთილნი, რომ აქ უდაოდ გამჟღავნებულია ავტორის დამოუკიდებელი, უშუალო პოეტური გზნება:

შენზე ოცნება გვალაღებს,
შენით დამდგარი დარები,
მზის შუქით მოავარაყე
ტევრები ნაბინდარები,

შენი ლამპარით გავალეთ
ბედნიერების კარები.

. . . . . .

. . . . . .

წამოგვაყენე მთებურად
გვარები უჩინარები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძლიერი ექსპრესიით დაწერილი ლექსია. ამ ლექსმა კარგი შეფასება მიიღო, როგორც ჩვენში, ისე რუსულ პრესაშიაც. ისიანი გულიდან მოხეთქილი, თბილად მომდინარე, ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, ფოლადნარევი ლირიკული ხმით მღეროდა. მისი პოეზია თავისუფალია ბინდდაკრული პოეტური მეტყველებისაგან, მისი პოეტური სახე ნათელია, სხარტი, მარტივი, გამოკვეთილი, იმავე დროს ორიგინალური, გულში ჩამწვდომად ამღერებული:

სად იცის მიწამ ასეთი სუნთქვა, ცამ—ლაჟვარდები
და გაზაფხულმა ახავერდება?
რომელი მზის ქვეშ იცინიან ასე ვარდები?

ასე სწერს სამშობლოს სიდიადით მოხიბლული პოეტი. ჩვენი სასიქადულო კლასიკოსების გახსენებაც სიხარულის ერუანტელს იწვევს პოეტში. ისიანმა მშვენიერი ლექსები მიუძღვნა — ილიას, აკაკის, ვაჟას.

საგულისხმოა, რომ ისიანის ყოველ ლექსში გაშუქებულია დღევანდელობა. მისი ყოველი ლექსი ისეა გააზრებული და შესრულებული, რომ წაკითხვისთანავე შეიგრძნობ, თუ რა გარემოცვაში ტრიალებდა პოეტი ლექსის წერის დროს. ამას ადასტურებს აკაკისადმი მიძღვნილი ლექსი:

მე თითქოს დღესაც ჩვენს კრიალა ბანაკში ვნახე,
იარაღასხმულ მებრძოლებთან ტკბილმოუბარი,
ტანს რომ სიამის ერუანტელით ააცახცახებს, —
შენი შაირის შარბათი არის.

მშვენივრად არის გადმოცემული ის განწყობილობა, რომ აკაკი ჩვენი ხალხის საყვარელი პოეტია, რომ აკაკის, როგორც დიდი ქართველი კლასიკოსის, დიდი ქართველი პატრიოტი პოეტის ლანდი ყოველთვის თანა სდევს ჩვენს მეომრებს ბრძოლასა და დასვენებაში.

ისიანი, როგორც ლენინურ-სტალინური სახელოვანი კომკავშირის პირმშო, მის მიერ აღზრდილი პოეტი და მოქალაქე, კარგად გრძნობდა ჩვენი ახალგაზრდა თაობის მოვალეობას სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე:

ჩვენ კომკავშირი გვზრდიდა გმირული,
ვიცავთ სტალინის უძლეველ დროშას.
სამშობლოს საზღვრებს შემორკინული
კვლავ მებრძოლებად შევრჩებით დრო-ჟამს.

ასე სწერდა პოეტი ერთერთ თავის ადრინდელ ლექსში. ისიანი დარწმუნებული იყო, თუ ჩვენს სამშობლოს დაესხმოდა მტერი, საბჭოთა ხალხი, მისი სახელოვანი გმირული წითელი არმია ღირსეულ პასუხს გასცემდა მას. ისიანს მტკიცედ სჯეროდა, რომ მისი თაობა — ლენინურ-სტალინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა მტერთან ბრძოლის დროს მოწინავეთა რიგებში ჩადგებოდა და თავისი მკერდით დაიცავდა საბჭოთა სამშობლოს. აკი თვითონ პოეტიც გაეშურა ფრონტზე ომის გამოცხადების პირველსავე დღეებში. ფრონტზე გამგზავრების წინ მან დასწერა შესანიშნავი, მეტად გულთბილი, პატრიოტული მღელვარებით აღსავსე, გამოსათხოვარი ლექსი:

ცაში ცეცხლია ლაჟვარდის ნაცვლად
და ყუმბარებით მთები იძვრიან.
არა, კალამის და წიგნის კაცად
მე დღეს დარჩენა არ შემიძლია!
ჩემი აკვანი აქ გადაირწა,
მუხების ჩრდილში სტრიქონს ვჩარხავდი.
ჩემი თამაზის საფლავის მიწავ,
ნახვამდის!..
ვფიცავ: შავ სიკვდილს თვალში ჩავხედავ
საზიზღარ მტერზე ხმალშემართული!
მე ასე მზრდიდა სამშობლო-დედა,
მე ასე მზრდიდა მიწა ქართული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს იყო სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტი პოეტის სალაშქრო ძახილი ომში წასვლის წინ. ასეთი მგზნებარე პატრიოტული განწყობილებით ამხედრებული, მტრის მიმართ შურისგებით შემართული პოეტი წავიდა სამამულო ომის ფრონტზე. ისიანი წლების განმავლობაში ებრძოდა მტერს. მიუხედავად დაძაბული, გაუგონარი საფრონტო ვითარებისა, მას ამ ხნის განმავლობაში არასოდეს არ შეუწყვეტია ფიქრი პოეზიაზე. ისიანს თავის საველე ჩანთაში მუდამ თან ჰქონდა ქაღალდი და ფანქარი და, ბრძოლების შემდეგ, მცირე შესვენებების დროს, სანგარში სწერდა მაღალი პოეტური პათოსით გამთბარ, მტერზე თავდასხმებისა და გამარჯვებისაკენ მომწოდებელ ლექსებს, იგი კვლავინდებურად სჭექდა მებრძოლი პოეტური მოწოდებით:

დახედე, როგორ იწვის ტყე-ველი,
ლაჟვარდი ზეცა კვამლით დაბურეს.
აყვავებული ქვეყნის მნგრეველი —
გაანადგურე!..

ასე მოუწოდებდა ფრონტზე იარაღით მებრძოლი პოეტი თავის თაობას. ისიანი უაღრესად ოპტიმისტი, ჯანსაღი, მებრძოლი განწყობილების პოეტია, მისი პოეტური ხმა ყოველთვის წინსვლისაკენ, გამარჯვებისაკენ მომწოდებელია. პოეტმა კარგად იცოდა, რომ ომიდან შინ ყველა ვერ დაბრუნდებოდა, მან ეს საკუთარ თავზეც წარმოიდგინა, აქ თითქოს სევდიანი ჰანგი უნდა გამოეცა მის გულს, მაგრამ არა, იგი აქაც ერთგული დარჩა თავისი მგზნებარე, სიცოცხლით აღსავსე პოეტური ხმისადმი:

თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ლრუბლის გუნდებად,
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება?

კაცობრიობის უბოროტეს მტერთან—ფაშიზმთან ბრძოლაში ვაჟკაცურად დაეცა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი პოეტი. იგი ვერ შეესწრო მტერზე გამარჯვების დღეს, ვერ დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის მსგავსად, სევერიან ისიანი, როგორც სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული, შეუპოვარი მებრძოლი პატრიოტი პოეტი და მოქალაქე, ყოველთვის მაგალითის მიმცემი იქნება ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდობისათვის.

სევერიან ისიანის ლექსები მუდამ წინსვლისაკენ, გამარჯვებებისაკენ მომწოდებელ მგზნებარე პოეტურ ხმად დარჩება ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

პოლიო აბრამია

პანტელეიმონ ჩხიკვაძე — ახალი ხმელეთი

საბჭოთა მწერალი — 1946 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანტელეიმონ ჩხიკვაძის სახით ქართულმა მწერლობამ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დაჰკარგა.

საბჭოთა პერიოდის ქართველ პროზაიკოსთა შორის მას უდაოდ საპატიო ადგილი ეჭირა; იგი ნაყოფიერი მწერალი იყო. ხანმოკლე ლიტერატურულ მოღვაწეობის განმავლობაში მან რამდენიმე რომანი და მოთხრობა გამოაქვეყნა.

პანტ. ჩხიკვაძემ თავის ნაწერებში გვიჩვენა ჩვენი გლეხობის ყოფაცხოვრებისა და მისწრაფებათა კარგი ცოდნა.

პანტ. ჩხიკვაძეს მახვილი ხედვა ჰქონდა, იგი ყოველგვარ წვრილმანს ამჩნევდა გლეხის ცხოვრებაში; მისი შემოქმედების ერთ-ერთი თემა იყო — 1905 წლისა და მისი მომდევნო პერიოდის გურიის გლეხობის ყოფაცხოვრება, ის ეტაპები, რომლებიც საერთოდ განვლო ჩვენმა გლეხობამ პირველი რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პერიოდი სუსტად და უფერულად არის გაშუქებული ქართულ პროზაში. აი რას ამბობს თვითონ ჩხიკვაძე 1934 წ. გამოცემულ მისი ტრილოგიის, „ნაბიჯების" შესავალში:

„...სამწუხაროდ, ჩვენს მწერლობაში ჯერ სათანადო სიძლიერით არ სჩანს მუშათა კლასის სასიკვდილო ბრძოლები, ოქტომბრის რევოლუციის გამომსახველი. სათანადო სიძლიერით არ არის გაშუქებული რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლა თვითმპყრობელობის დასამხობად, ბრძოლა ყველა ჯურის ოპორტუნისტებისა და ფილისტერების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდენ ოქტომბრის რევოლუციის მოახლოვებას.

რევოლუციის წინადროის ლიტერატურა ჩვენში, მეტწილ შემთხვევაში არ არის ბოლშევიკურად გაშუქებული, რაც საშუალებას უსპობს თანამედროვე ახალგაზრდა მკითხველს სწორი ორიენტაცია ჰქონდეს იმ დიად რევოლუციურ ბრძოლებზე, რომლის შედეგი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება".

ეს სავსებით მართებული შენიშვნა იყო.

პანტ. ჩხიკვაძე შეეცადა ამოევსო ეს ხარვეზი ჩვენს პროზაში. მისი ტრილოგიის პირველი წიგნი წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების სწორედ 1905 წლის მომდევნო პერიოდის მხატვრულ გაშუქებას. სულ სხვა საქმეა, თუ რამდენად შესძლო ეს ჩხიკვაძემ, მაგრამ ერთი მაინც უდაოა: მან პირველმა მიაქცია პროზაში ყურადღება ამ საკითხს.

პ. ჩხიკვაძის რომანი „ახალი ხმელეთი" თანამედროვეობის აქტუალურ თემაზე დაწერილი ნაწარმოებია. მწერალი ეხება კოლხეთის ჭაობების ამოშრობის პრობლემას.

როგორც ცნობილია, კოლხეთის ჭაობების ამოშრობას, ამ მხარეში სოფლის მეურნეობის ახალი კულტურული დარგების დანერგვას და ახალი სოფლების მომრავლებას დიდი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის თემაზე ჩვენ დღემდე არ მოგვეპოება ფართო ტილოს ნაწარმოები. რა თქმა უნდა არ შეიძლება სათვალავში ჩავაგდოთ თითო-ოროლა, თუნდაც კარგად დაწერილი ლექსი და მოთხრობა, რომელიც ჩვენმა პოეტებმა და მწერლებმა მიუძღვნეს კოლხეთის თემას.

პანტ. ჩხიკვაძის რომანი „ახალი ხმელეთი" ამ მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ ამოსწურავს, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ დიდ და ყოველმხრივ საინტერესო თემის შემოქმედებითი გააზრების საქმეში.

პანტ. ჩხიკვაძის „ახალი ხმელეთის" შინაარსი იშლება კოლხეთის ჭაობის სამეფოში, უსიერ ტყეებში მიმოფანტულ სოფლებსა და რიონის სანაპიროებზე გადაშლილ უდაბურობაში. პერიოდი, რომელსაც ეხება ავტორი, ეკუთვნის კოლექტივების ჩამოყალიბების პირველ დღეებს. სოფლად გაჩაღებულ კლასობრივი ბრძოლების გამძაფრებულ ხანას.

მაშინ ჯერ კიდევ კანტი-კუნტად ისმოდა ხმები კოლხეთის ჭაობების ამოშრობისათვის საკავშირო მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები გველური სისინით ავრცელებდნენ ჭორებს კოლხეთის ჭაობების ამოშრობის შეუძლებლობაზე, მაგრამ პირველ ხანებში კოლხეთის ჭაობების ამოშრობის საკითხი კი არ იწვევდა თავდასხმებს სოფლის, ანტისაბჭოთა კულაკურ ელემენტების მხრივ, არამედ კოლექტივიზაციის შემოღება, ვინაიდან ეს წინ უძღოდა ჭაობების ამოშრობისათვის შემდგომში გაჩაღებულ მუშაობას. და აი, პანტ. ჩხიკვაძე აგვიწერს ამ პირველ დღეებში გამართულ ბრძოლას სოფლის მოწინავე გლეხო-

ბასა და კულაკურ ელემენტებს შორის. ერთის მხრივ მოქმედობს გაიძვერა, გაჭხილი კულაკი უტუ ბერულავა თავისი ფარული და აშკარა აგენტებით, ხოლო მეორეს მხრით — ახალი ცხოვრების, კოლექტიური შრომისა და საბჭოთა ხელისუფლების ლობისძიებათა მომხრე უღარიბესი გლეხი იორდანე ღვამიჩავა, რომელსაც მტკიცედ უდგას მხარში სოფლის ღარიბი გლეხკაცობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანტ. ჩხიკვაძე დამაჯერებელ ფერებში აგვიწერს კულაკის—უტუ ბერულავას, სახეს. ბერულავა ეს კლასობრივად უცხო ელემენტი—მომხრეა არა კოლექტივისა, არამედ პირდაპირ კომუნაზე გადასვლისა; იგი მოთაფლულ სიტყვასაც კი ამბობს გლეხთა საერთო კრებაზე, რათა თავზე მოახვიოს სხვებს თავისი მოსაზრება. იქვე ვეცნობით მის მოწინააღმდეგეს—იორდანე ღვამიჩავას. იგი ჯერ ნიშნის მოგებით, დაცინვით უსმენს კულაკ ბერულავას, შემდეგ ეს — საერთოდ ჩუმი და „უენო კაცი" ხმამაღლა, გაბედულად აცხადებს: „ტყუილია, ბერულავას კომუნაში მე შემსვლელი არა ვარო". კრება ორ ბანაკად იყოფა: კულაკობას უპირისპირდება ღარიბი გლეხკაცობა, რომელიც მომხრეა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკისა სოფლად. ჩაღდება ბრძოლა.

პანტ. ჩხიკვაძე რომანში შესანიშნავად გადმოგვცემს ამ ბრძოლის ეპიზოდებს, ბევრ საგულისხმო, სპეციფიურ, კოლხეთის სოფლისათვის დამახასიათებელ დეტალებს აგვიწერს და დამაჯერებლად გვისურათებს ჭაობის პირობებში ახალი, სოციალისტური სოფლის დაბადების რთულ პროცესს. მიუხედავად კულაკურ ელემენტების სისინისა და ბერულავას მავნებლურ მოქმედებისა, მიუხედავად იმისა, რომ მან დროებით შესძლო ჩირქი მოეცხო და სახელი გაეტეხა პატიოსანი მშრომელი გლეხის—იორდანე ღვამიჩავასათვის, პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით, ამ უკანასკნელმა ჩამოირეცხა მტრის მიერ ნასროლი ტალახი, გამართლდა და პირნათელი გამოვიდა თავის კოლექტივის წევრების წინაშე.

კულაკი ბერულავა გადაასახლეს. ყაჩაღად გაჭრილმა მისმა შვილობილმა ცეცხლს მისცა ბერულავას სახლკარი, რომელიც მამობილის გადასახლების შემდეგ, კოლექტივის საკუთრებად იქნა გამოცხადებული.

ჩხიკვაძის გმირი იორდანე ღვამიჩავა გამოიბრძმედა ამ ბრძოლაში. იგი თანდათან უფრო თამამი, გაბედული ხდება, მას ახლა ცხოვრების აღარ ეშინია. თუ ღვამიჩავა მთელ თავის სიცოცხლეში ღარიბი იყო და კოხტა ოდის შეძენაზე ოცნებობდა, დღეს, თუმცა ჯერ კიდევ ძველის-ძველ ფაცხაში ცხოვრობს, და ახალი ცხოვრების სიტკბო არ უგემნია, მაინც ბედნიერად გრძნობს თავს. თუ წინათ იგი უსაყვედურებდა თავის ცოლს: „ — რაღა დროს ორსულობა იყო, კიდევ ბალანა უნდა ამკიდო ზურგზეო?"—ახლა პირიქით, უხარია, რომ მესამე შვილი უნდა შეეძინოს.

ღვამიჩავა უკვე იმედიანად შეჰყურებს ცხოვრებას. სავსებით ბუნებრივია, რომ ეს იმედი მას ჩაუნერგა სოფლად მომხდარმა გარდატეხამ, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციამ, კოლექტივის გამარჯვებამ, ახალი კოლხეთისათვის გაჩაღებულმა ბრძოლამ...

აქ წყდება ჩხიკვაძის რომანი „ახალი ხმელეთის" ეს ნაწილი.

როგორც ამ დასაწყისიდან ვხედავთ, მას განზრახული ჰქონია მთელი ეპოპეა დაეწერა, სადაც, ალბათ, გაშუქებული იქნებოდა კოლხეთის ჭაობის ამოშრობისათვის ჩატარებული მუშაობის სხვადასხვა ეტაპი. ამას ადასტურებს ამ ნაწილში გამიზნული ფართო დიაპაზონი, აგრეთვე რომანის პერსონაჟთა სიმრავლე, რომლებიც ჯერ კიდევ ზრდის პროცესს განიცდიან და არა აქვთ დასრულებული, გამოკვეთილი სახე.

მიუხედავად დაუმთავრებლობისა, რომანი უთუოდ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ჩვენი მწერლობისათვის.

სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს პანტ. ჩხიკვაძის ნაწარმოების გამოცემა, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა წიგნის ბოლოში დართული რამდენიმე სტრიქონის ნაცვლად, წამძღვარებოდა წერილი ჩხიკვაძის შემოქმედებისა და კერძოდ ამ რომანის შესახებ, რომლის დამთავრება ავტორს სამწუხაროდ აღარ დასცალდა.

თ. ლაზი

შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

გვ.

ალექსანდრე ქუთათელი — მოხუცის სამფლობელო (მოთხრობა) . 3
ალექსანდრე აბაშელი — ჩემო თბილისო! ლექსის თარიღი (ლექსები). 17
გიორგი კაჭახიძე — დიდი ქართველი (ლექსი) 19
აკაკი ბელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა (გაგრძელება) 21
ლიდია მეგრელიძე — მშობლიურ ცის ქვეშ (რომანი, გაგრძელება) . 44
ჯამბული — შვილებო ჩემო, ლენინგრადელნო! (ლექსი, თარგმანი **ვასო გორგაძისა**) 65
ალექსანდრე ფადეევი — ახალგაზრდა გვარდია (რომანი, გაგრძელება, თარგმანი **პოლიო აბრამიასი**) 69

უცხოეთის ლიტერატურიდან

უოშინგტონ ირვინგი — საქმროს აჩრდილი (მოთხრობა, თარგმ. ინგლისურიდან **ალ. გამყრელიძისა**) 103

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

ჯუმბერ ჭუმბურიძე — გრიგოლ ორბელიანის „დღიურის“ გამოუქვეყნებელი ნაწილი 115
სარგის კაკაბაძე — 1761 წელს დაწერილი ქართული სასცენო მინიატურა 135

ნარკვევები

ნ. ა. ჯავახიშვილი — ქალთა პირველ საერთაშორისო დემოკრატიულ ანტიფაშისტურ კონგრესზე პარიზში 140

ბიბლიოგრაფია

პოლიო აბრამია — სევერიან ისიანი — ლექსები — „საბჭოთა მწერალი“, 1946 წ. 156
თ. ლაზი — პანტელეიმონ ჩხიკვაძე—ახალი ხმელეთი—რომანი, „საბჭოთა მწერალი“, 1946 წ. 158

ᲕᲐᲚᲘ Ა ᲫᲐᲑ.
62/23
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ